




- 
- Visegrad Fund
- 
- 

**გენდერული  
მეინსტრიმენტი  
ადგილობრივ  
თვითმმართველობაში**

**GENDER  
MAINSTREAMING  
IN LOCAL  
SELF-GOVERNMENT**

შეხვედრები პრაღაში (ჩეხეთი)  
Meetings in Prague (Czech Republic)





კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

# გენდერული მეინსტრიმენტი ადგილობრივ თვითმმართველობაში

პროექტი

„ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება  
ადგილობრივ დონეზე თანაბარი, ინკლუზიური და  
დემოკრატიული მმართველობისათვის“

ქუთაისი  
2018

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

რედაქტორი - ლალი შენგელია

თარგმანი ინგლისურიდან - ნინო ნიჭარაძე

თარგმანი რუსულიდან - ლალი შენგელია

დიზაინი - ლია კოსტავა

მისამართი:

ქ. ქუთაისი, მაგლობლიშვილის 6

ტელ: 27 29 02 ფაქსი: 27 13 68

ელფოსტა: [womansukhumi@gmail.com](mailto:womansukhumi@gmail.com)

ვებგვერდი: [www.fsokhumi.ge](http://www.fsokhumi.ge)

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	6
გენდერული თანასწორობა და გენდერული შეინსტრუქტურები ადგილობრივ თვითმმართველობაში უნგრეთის მაგალითზე	7
გენდერული შეინსტრუქტურები ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისას კოლონეთში	38
გენდერული შეინსტრუქტურები და საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე - სლოვაკეთი	50
ანგარიში ჩინეთის რესპუბლიკაში ადგილობრივ დონეზე გენდერული შეინსტრუქტურების შესახებ	64
აფხაზეთის გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში და გენდერული მიდგომის წინსვლის მხრივ	84
საქართველოს მიერ განვლილი გზა ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობისა და გენდერული შეინსტრუქტურების დასაწინააღმდეგო ნაყოფიერი ნიადაგის შექმნისაკენ	101
დეცენტრალიზაცია - ადგილობრივი თვითმმართველობა - გენდერული პოლიტიკა, საქართველო	119
გენდერული ბიუჯეტირება ადგილობრივ დონეზე. რეალობა და გამოწვევები საქართველოში	131
გენდერული თანასწორობა საქართველოში: ქვეყნის ვალდებულებები და პროგრესი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში	147

## შესავალი

საქართველომ დიდი ხანია, გამოაცხადა შეუქცევადი კურსი ევროსტრუქტურებში ინტეგრაციისკენ და დღემდე ეს საკითხი მთავრობის დღის წესრიგის უპირველეს ამოცანად რჩება. ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა 2014 წელს, რის შემდეგაც ხდება მთელი რიგი რეფორმების დანერგვა ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე.

იმ რეფორმების ჩამონათვალში, რომლებიც ქვეყანას დასახულ მიზანს მიუახლოებს, დიდი ადგილი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმას, სადაც ერთ-ერთი ძირეული ფაქტორია გენდერული პოლიტიკის რეალიზაცია სხვადასხვა - სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ სფეროში; კულტურასა და განათლებაში.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებებით, ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს ქალთა და მამაკაცთა თანასწორი წარმომადგენლობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის პარლამენტში, მთავრობაში და ადგილობრივ ხელისუფლებაში, რაც თანასწორობაზე დაფუძნებული მდგრადი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ცვლილებები გენდერული თანასწორობის კუთხით, მათ შორის მუნიციპალურ დონეზე, არასაკმარისი ტემპებით, მაგრამ ინტენსიურად მიმდინარეობს. გაცნობიერებულია, რომ საქართველომ, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის ქალთა უფლებების დამცავი ძირითადი დოკუმენტების ხელმოწერმა, ხელი უნდა შეუწყოს გენდერულ თანასწორობას ქვეყნის კანონმდებლობაში, სტრატეგიებში და პროგრამებში.

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია საქართველოში ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის შეფასება და არსებული გამოწვევების გამოვლენა, ასევე ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა გენდერული დღის წესრიგის დანერგვის მიმართულებით.

პუბლიკაცია წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტთა მიერ შესრულებული ნაშრომების კრებულს, რომელიც მიზნად ისახავს, საქართველოს და ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს ადგილობრივ მმართველობაში გენდერული მეინსტრიმინგის ხელშესაწყობად პრაქტიკული რეკომენდაციების გამომუშავებას, ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის შემდგომი ადვოკატირებისთვის.

კვლევები ჩატარდა პროექტის „ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება ადგილობრივ დონეზე თანაბარი, ინკლუზიური და დემოკრატიული მმართველობისათვის“ ფარგლებში, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით. კვლევების შედეგად წარმოდგენილი რეკომენდაციები მოიცავს საკითხებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადგილობრივი ხელისუფლების დეცენტრალიზაციას, ადგილობრივ დონეზე გენდერული ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას, გენდერულ ბიუჯეტირებასა და ზოგადად გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვას საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი, გენდერული ბიუჯეტირება, ადგილობრივი თვითმმართველობა, გენდერული სტრატეგია, თანასწორობის პოლიტიკა, საჭიროებათა კვლევა, გენდერული მეინსტრიმინგი, დეცენტრალიზაცია და გენდერი.

## გენდერული თანასწორობა და გენდერული მენისტრიმინგი ადგილობრივ თვითმმართველობაში უნგრეთის მაგალითზე

### რეზიუმე

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას და ქალთა უფლებების დაცვას მრავალი საერთაშორისო ნორმა მოითხოვს. ევროკავშირის ხელშეკრულების მიხედვით, ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობას ევროკავშირის საქმიანობაში ცენტრალური ადგილი უნდა ეჭიროს. გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის დანერგვას განსაკუთრებული როლი ეკისრება როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. სამივე დონეზე ეს საკითხები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია: ეროვნულ დონეზე მიმდინარე პროცესები განაპირობებს, ან საგრძნობ ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ დონეზე განხორციელებულ ღონისძიებებზე და, ამასთან, ხშირად საერთაშორისო მექანიზმების ზემოქმედებითაა ჩამოყალიბებული.

უნგრეთში არ არსებობს კონკრეტული კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. ამასთან, ევროკავშირში გაერთიანებამ გამოიწვია ევროკავშირის კანონების ეროვნულ დონეზე გადმოტანა, მათ შორის ანტიდისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობის მიმართულებით. შედეგად, მიღებულ იქნა კანონი თანასწორი მოპყრობისა და თანასწორი შესაძლებლობების მხარდაჭერის შესახებ. კანონის შესაბამისად, სხვა ვალდებულებებთან ერთად, ცენტრალურმა და ადგილობრივმა მთავრობებმა უნდა დაიცვან თანასწორი მოპყრობის პრინციპი ყველა ურთიერთობაში, პროცედურასა თუ ღონისძიებაში. ვინაიდან აღნიშნულ კანონში სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია ერთ-ერთია დისკრიმინაციის სხვა მრავალ ფორმას შორის და მასში არ არის მოცემული კონკრეტული დებულებები გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ, არსებობს კრიტიკული მოსაზრებები, რომ მხოლოდ ეს კანონი სრულად ვერ გადაწყვეტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებს.

უნგრეთის კონსტიტუცია და კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედების ჩარჩოსა და რეგულაციებს. ამ ჩარჩოს ფარგლებში არ იკვეთება არც გენდერული თანასწორობის და გენდერული მენისტრიმინგის პრინციპი და არც გენდერულად ორიენტირებული ღონისძიებები და ამოცანები განსაზღვრული.

ამჟამად მოქმედი გენდერული თანასწორობის ეროვნული სტრატეგია, რომელსაც ეწოდება „ეროვნული სტრატეგია გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად – სახელმძღვანელო და ამოცანები, 2010–2021“, განსაზღვრავს ექვს პრიორიტეტულ ამოცანას, რაც ეფუძნება ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროკავშირის საგზაო რუკას (2006–2010). სტრატეგიაში ადგილობრივ თვითმმართველობასთან მიმართებით მოცემული არ არის სიტუაციის კონკრეტული და ყოვლისმომცველი ანალიზი და არაა დასახული კონკრეტული ამოცანები. თუმცა ექვსი პრიორიტეტული მიმართულებიდან ერთ-ერთში, რომელიც კომპლექსურ გენდერულ მიდგომას (გენდერული მენისტრიმინგი) ეხება, მოცემულია სტრატეგიული ამოცანები და ინსტრუქციები ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ. მათგან ერთი დებულება ზოგადი სახისაა და მხარს უჭერს გენდერული მენისტრიმინგის დანერგვას ადგილობრივ დონეზე, ხოლო ორი სხვა დებულება შეეხება გენდერულ ბიუჯეტირებას.

აღნიშნული სტრატეგიის განსახორციელებლად პირველად სამოქმედო გეგმა შემუშავდა 2010–2011 წლებისათვის; შემდგომში სამოქმედო გეგმა აღარ შემუშავებულა. ერთ-ერთი ღონისძიება კონკრეტულად ადგილობრივი თვითმმართველობისთვისაა გამიზნული და ითვალისწინებს ტრენინგებს

გენდერული თანასწორობის საკითხებზე ადგილობრივ სახელმწიფო მოხელეთათვის. სამწუხაროდ, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ საჯარო ინფორმაცია არ მოიპოვება.

გენდერული მენისტრიმინგი და გენდერული თანასწორობა, როგორც ჰორიზონტალური პრინციპი, უნგრეთში ევროკავშირში განხორციელების პროცესმა და მისმა წევრობამ მოიტანა; ეს პრინციპები აისახა ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელ და საპროგრამო დოკუმენტებში. ამავდროულად, როგორც გამოცდილებამ უჩვენა, მათი ჯეროვანი რეალიზაცია არც დოკუმენტებში მომხდარა და არც პრაქტიკულ საქმიანობაში. გარდა ამისა, შემფოთების მიზეზი გახდა ისიც, რომ გენდერული მენისტრიმინგისა და გენდერული თანასწორობის პრინციპი არ ედო საფუძვლად ევროკავშირის სტრუქტურული ფონდის რესურსების დაგეგმვის, განაწილებისა და გამოყენების პროცესს.

კანონი თანასწორი მოპყრობის შესახებ შეიცავს მნიშვნელოვან დებულებებს პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით ადგილობრივ / რეგიონალურ დონეზე: ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა დაამტკიცოს თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი ხუთწლიანი გეგმა. გეგმა უნდა შეიცავდეს სიტუაციის ანალიზს განათლების, განსახლების, დასაქმების, სოციალურად დაუცველი ჯგუფების, მათ შორის ქალების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მდგომარეობის კუთხით, რის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს საჭირო ღონისძიებებს. გეგმის მომზადება ხდება (მუნიციპალური) საჯარო მოხელეების მიერ. თანასწორი მოპყრობის მენტორები უზრუნველყოფენ საჯარო მოხელეთათვის ტრენინგების ჩატარებას და დახმარებას გეგმების მომზადებასა და განხილვაში. კანონი შეიცავს ინიციატივებს თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების თაობაზეც. ადგილობრივ თვითმმართველობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გრანტი სახელმწიფო სახსრებიდან, ევროკავშირის ან სხვა საერთაშორისო ფონდებიდან, თუკი მას გააჩნია თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი პროგრამა.

რაც შეეხება გენდერული თანასწორობის ინსტიტუციურ მექანიზმებს, აქ შეიძლება რამდენიმე აქტორი გამოვყოთ, თუმცა ზოგიერთ მათგანი არ შემოიფარგლება ქალთა საკითხებით და უფრო ფართო სფეროს მოიცავს. ამჟამად, სახელმწიფო დონეზე ამ მიმართულებაზე პასუხისმგებელ ერთეულს და გენდერული თანასწორობის ძირითად სახელმწიფო სტრუქტურას წარმოადგენს ადამიანური რესურსების სამინისტროს ოჯახისა და ქალთა პოლიტიკის განყოფილების ქალთა პოლიტიკის სექცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მთელი მისი არსებობის მანძილზე, ამ ორგანოს საქმიანობაზე გავლენას ახდენს ადამიანური და ფინანსური რესურსების დეფიციტი და მისი მარგინალიზებული მდგომარეობა სამთავრობო სტრუქტურაში.

საპარლამენტო დონეზე შესაბამის სტრუქტურას წარმოადგენს კულტურის კომიტეტის ქალთა ღირსების ქვეკომიტეტი. ქვეკომიტეტის დღის წესრიგში ასახვა ჰპოვა საკითხებმა ადგილობრივი თვითმმართველობის როლის შესახებ, თუმცა შეზღუდული მასშტაბებით. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო დისკუსიებს ბავშვთა დანესებულებების და სხვადასხვა სერვისის განვითარების და ონლაინ ძალადობის საკითხების ირგვლივ.

თანასწორი მოპყრობის შესახებ კანონის საფუძველზე შეიქმნა თანასწორი მოპყრობის საკითხების სამმართველო და მას დაეკისრა შემდეგი ფუნქციები: განიხილოს და შენიშვნები გააკეთოს კანონპროექტებსა და ანგარიშებზე; წამოაყენოს საკანონმდებლო ინიციატივები; მოახდინოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან; ანგარიში წარუდგინოს ევროკავშირის კომისიას მის დირექტივებთან ჰარმონიზაციის შესახებ. გარდა ამისა, სამმართველო ატარებს მოკვლევას თანასწორი მოპყრობის შესახებ ვალდებულების შესაძლო დარღვევების შესახებ და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

ქალთა ძირითადი უფლებების მხარდაჭერის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფუნდამენტური უფლებების კომისარსაც. მას სხვადასხვა ამოცანების შესრულება აქვს დაკისრებული: მან უნდა გააანალიზოს ვითარება ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებით; წარმოადგინოს მოსაზრებები კანონპროექტებისა და კონცეფციების შესახებ; მას შეუძლია კონსტიტუციურ სასამართლოში აღძრას საქმე კანონების გადახედვასთან დაკავშირებით და მონაწილეობა მიიღოს მონიტორინგსა და ანგარიშის მომზადებაში საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე. გარდა ცნობიერების ამაღლებისა და სხვადასხვა მხარესთან თანამშრომლობისა, კომისარი ინდივიდუალურ შემთხვევებზეც რეაგირებს. კომისარს შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა მოქალაქემ, რომელიც მიიჩნევს, რომ ხელისუფლების, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის რაიმე ქმედებამ ან უმოქმედობამ შელახა ან უშუალო საფრთხე შეუქმნა მის ფუნდამენტურ უფლებებს.



ადგილობრივ ან რეგიონულ დონეზე საუბრისას აღნიშვნის ღირსია ოჯახის, თანასწორი შესაძლებლობებისა და მოხალისეთა სახლების ქსელი. ქსელი ეროვნული მასშტაბით მოქმედებს და გააჩნია ოფისები უნგრეთის ყველა ოლქში და ბუდაპეშტში. ისინი წარადგენენ სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას ადგილობრივ დონეზე. მათი ექვსი სამიზნე ჯგუფიდან ერთ-ერთს წარმოადგენენ ქალები, რომლებმაც განიცადეს დისკრიმინაცია, ან ამგვარი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ქსელი ეწევა ცნობიერების ამაღლებას საზოგადოებაში და პროფესიულ წრეებში, ახდენს შესაძლებლობათა გაძლიერებას, მონაწილეობას იღებს პოლიტიკის შემუშავების პროცესში და კონტაქტების დამყარებაში. ქსელს არა აქვს ინსტიტუციური ურთიერთობა უნგრეთის ქალთა ლობისტთან და მის ნევრ ორგანიზაციებთან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ქსელია თანასწორი შესაძლებლობებზე მომხსენებელთა ქსელი, რომელიც დააარსა თანასწორი მოპყრობის საკითხთა სამმართველომ. იგი მოქმედებს უნგრეთის ყველა ოლქში სამართლებრივი დახმარების მისაწვდომობის მიმართულებით.

არ არსებობს ყოვლისმომცველი შეფასება იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს აღნიშნული ქსელები გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას და ქალთა უფლებების დაცვას.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის თანახმად, სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის ურთიერთობის კუთხით მოქმედებს ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სამინისტროთა წარმომადგენლები, ასევე სამოქალაქო საზოგადოებასთან საკონსულტაციო ფორუმი – ადამიანის უფლებების მრგვალი მაგიდა. ამ სქემის ფარგლებში სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით მრავალი სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდა, მათ შორის ქალთა უფლებებზე მომუშავე თემატური ჯგუფი. სამწუხაროდ, ამ ჯგუფის მიერ არ მომხდარა საკანონმდებლო წინადადებათა შემუშავება და, შესაბამისად, არ მიღწეულა მნიშვნელოვანი შედეგები. ჯერჯერობით ამ ჯგუფის დღის წესრიგში არ განხილულა უშუალოდ ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საკითხი.

რაც შეეხება საკითხის პოლიტიკურ კონტექსტს, გენდერული თანასწორობის კუთხით სახელმწიფო ახორციელებს ე.წ. „ოჯახის მეინსტრიმინგის“ კონსერვატიულ მიდგომას, ნაცვლად გენდერული მეინსტრიმინგისა, რისი მიზანიცაა სასურველი დემოგრაფიული ზრდის მიღწევა. გარდა ამისა, სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა 2013 წ. შემდგომ, როცა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებზე, მათ შორის ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფი გახდა ადმინისტრაციული პროცესებისა და დისკრედიტაციული კამპანიის სამიზნე. მოგვიანებით, 2017 წ. მიღებულ იქნა კანონი „უცხოეთიდან დაფინანსებულ ორგანიზაციათა გამჭვირვალობის უზრუნველყოფის შესახებ“, რომელიც გარკვეული რაოდენობით უცხოური დაფინანსების მიმღებ ორგანიზაციებს ავალდებულებს, დარეგისტრირდნენ სასამართლოში და კომუნიკაციის პროცესსა და პუბლიკაციებში თავიანთი დასახელებისას აღნიშნონ, რომ არიან უცხოური დაფინანსების მიმღებნი. ევროკომისიის მიერ აღძრულ დარღვევებზე რეაგირების პროცედურის ფარგლებში ამჟამად ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო განიხილავს, არღვევს თუ არა ეს კანონი ევროკავშირის კანონებს. ქალთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები პირდაპირ თუ ირიბად ზარალდებიან და მომავალშიც დაზარალდებიან ამ კანონმდებლობით. ამგვარმა მიდგომამ და ქმედებებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ქალთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა.

რაც შეეხება ქალთა მონაწილეობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უნგრეთის მაჩვენებლები ამ მხრივ მეტად დაბალია. დღევანდელი მთავრობა მხოლოდ მამაკაცებისაგან შედგება. პარლამენტში ქალები წევრთა მხოლოდ 10.1%-ს შეადგენენ. ამის მიუხედავად, არ ხდება რაიმე საკანონმდებლო მექანიზმის ამოქმედება, მაგალითად ისეთის, როგორიცაა კვოტირება. ამ მხრივ ვითარება საგრძნობლად უკეთესია ადგილებზე, თუმცა აქაც კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ქალი მერების რაოდენობა ქვეყანაში 20%-ია და დემოკრატიული გარდაქმნების შემდეგ მათი რიცხვი მუდმივად მატულობს. თუმცა აქაც არ არის თანაბარი წარმომადგენლობა: დიდ და რესურსებით მდიდარ მუნიციპალიტეტებში ნაკლებად გვხვდება ქალი მერები. ადგილობრივ სათათბიროებში ქალთა რაოდენობა 30%-ია, თუმცა რეგიონულ სათათბიროებში ისინი მხოლოდ 11%-ს შეადგენენ, ამასთან ბოლო ათწლეულში ამ მხრივ არავითარი გაუმჯობესება არ შეინიშნება, რის გამოც უნგრეთს ვიშევრადის ქვეყნებს შორის ყველაზე უარესი შედეგი აქვს.

ხელმძღვანელთა, მათ შორის ადგილობრივი მთავრობების მერების, მიდგომა და დამოკიდებულება მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკისა და ორგანიზაციული კულტურის ფორმირებაში. უნგრე-

თის მერებს შორის ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მათ შორის კვლავაც ჭარბობს ტრადიციული მიდგომები გენდერული როლებისადმი. ამავდროულად, მნიშვნელოვანი მხარდაჭერით სარგებლობს არჩევით და გადანყვეტილების მიმღებ ორგანოებში თანაბარი წარმომადგენლობის საკითხი. მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა ადგილობრივ თუ ეროვნულ დონეზე გადანყვეტილებების მიღების პროცესში და დიდი კომპანიების მმართველობაში ქალებისათვის მნიშვნელოვანი როლის მიკუთვნებამ; ამ კუთხით ქალების მხრიდან მეტი მხარდაჭერა იგრძნობოდა. ქალები მიიჩნევენ, რომ აქტუალურია პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატებისათვის კვოტირების სისტემის შემოღება, მაშინ როცა მაკაცები ამ საკითხის მიმართ ნეიტრალურები არიან.

აღნიშნულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების უმეტესობას არ გააჩნია მექანიზმი, რითაც აიცილებდა და რეაგირებას მოახდენდა ძალადობრივ აქტებსა და შევიწროებაზე. უმეტეს ადგილებში ფუნქციონირებენ მომხსენებლები თანასწორი მოპყრობის საკითხებზე, მაგრამ გენდერული საკითხების გარდა მათ თანასწორი მოპყრობის სხვა ფორმებზეც უხდებათ მუშაობა. ადგილობრივ თვითმმართველობათა უმრავლესობამ განაცხადა, რომ თანასწორი მოპყრობის ასპექტებს გაითვალისწინებდნენ სამუშაო ნორმებში, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთმა აღნიშნა, რომ გააჩნია მოქნილი სამუშაო გარემო. ნიშანდობლივი და სამწუხაროა, რომ უმეტესობა არ ითვალისწინებს გენდერულ საკითხებს საბიუჯეტო პროცესში და ადგილობრივი გეგმების შემუშავებისას.

უნგრეთში ადგილობრივ მთავრობებში თითქმის ყველგან მოქმედებს თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი ხუთწლიანი გეგმა. მნიშვნელოვანი და სასარგებლოა, რომ ის ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის ონლაინ სივრცეში. გარდა ამისა, სპეციალური კომპიუტერული პროგრამა და შიდა ელექტრონული სისტემა ეხმარება ადგილობრივ მთავრობებს, მოამზადონ თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი ხუთწლიანი გეგმა და გააღრმავონ ურთიერთობები მენტორებთან თანასწორი მოპყრობის საკითხებში.

ადამიანური რესურსების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა შეფასებამ აჩვენა, რომ არსებობს ადგილობრივი ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისათვის მეთოდოლოგიური ინსტრუქციების საჭიროება. არის ნაკლოვანებები სამართლებრივი კუთხითაც, რაც გამოიხატება იმაში, რომ არ არსებობს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდა გეგმის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და იმოქმედებდა გეგმის წარუმატებლობის შემთხვევაში. შესაბამისად, შეუძლებელია გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. შეფასების თანახმად, რეკომენდირებულია გეგმას გააჩნდეს ინდიკატორები, ჰყავდეს პასუხისმგებელი აქტორები და ჰქონდეს სამოქმედო ვადები. შეფასების მიხედვით, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი ხუთწლიანი გეგმის მიმართ, გამომდინარე მათი ადამიანური რესურსებიდან და თანასწორი მოპყრობის პრინციპების მიმართ მათი დამოკიდებულებიდან, მენტორთა საქმიანობამ დიდად გააიოლა ადგილობრივი მთავრობების მუშაობა. ამავდროულად, ისინი აღნიშნავენ მათი საქმიანობის ზედამხედველობისა და გამოცდილების გაზიარების საჭიროებას. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესმა ხელი შეუწყო ადგილებზე თანასწორი მოპყრობის ასობით ფორუმის შექმნას. ყველაზე დიდი სარგებლობა, რაც ამ ფორუმებმა მოიტანა, არის ყველა დაინტერესებული მხარის შეკრება და ფუნქციების დანაწილება. მათთვის, ვისაც დაეკისრა თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმების შემუშავება, ყველაზე მეტ სიძნელეს წარმოადგენდა ორი სამიზნე ჯგუფი: ბოშები და ქალები.

ამ ანგარიშისთვის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ განამტკიცა მოსაზრება, რომ სწორედ თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს ჩარჩოს გენდერული თანასწორობის მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობისთვის. რაც შეეხება განუულ საქმიანობას, ძირითადად, აღინიშნა დასაქმების და ოჯახური ურთიერთობის საკითხები, უფრო ნაკლებად კი ქალთა დანინაურება საზოგადოებრივ სფეროში და ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლა. ადგილობრივ მთავრობებს არა ჰყავთ გამოყოფილი ოფიციალური პირი, რომელიც მხოლოდ გენდერული თანასწორობის საკითხებზე იქნებოდა პასუხისმგებელი. თუმცა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ბევრ თვითმმართველობას ჰყავს მომხსენებელი ან თანამშრომელი თანასწორობის საკითხებზე და ბევრგან მოქმედებს თანასწორი შესაძლებლობების ფორუმი. გამოკითხულთაგან მხოლოდ ზოგიერთ ადგილობრივ მთავრობასთან ფუნქციონირებდა გენდერული თანასწორობის ფორუმი, რომელიც თანამშრომლობდა ადგილობრივ მთავრობასთან, ექსპერტებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან.

რაც შეეხება ადგილობრივ მთავრობათა ასოციაციას, ადგილობრივი თვითმმართველობების ადვოკატების ყველაზე დიდი ორგანიზაციაა ადგილობრივ ხელისუფლებათა ეროვნული ასოციაცია (TÖÖSZ), რომელსაც გააჩნია ქალი მერების განყოფილება. აღნიშნული განყოფილება არის ეროვნულ დონეზე ინტერესების წარმდგენი სტრუქტურა, თუმცა იგი არ არის იურიდიული პირი. მისი ფუნქციები გულისხმობს: ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორი შესაძლებლობების დამკვიდრებას, გააძლიეროს ქალების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში; იბრძოდოს სოციალურად დაუცველი ჯგუფების დისკრიმინაციის წინააღმდეგ, განიხილოს კანონპროექტები და სახელმწიფოს გადანყვეტილებები; დაეხმაროს ასოციაციის წევრებს საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებაში, შეინარჩუნოს კონტაქტი ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; განავითაროს ადგილობრივი თვითმმართველობები და საჯარო ადმინისტრაცია თანასწორი მოპყრობისა და სოციალური სამართლიანობის მიმართულებით.

2013-2016 წლებში TÖÖSZ-მა განახორციელა მუნიციპალიტეტების შესაძლებლობათა განვითარების პროექტი ნორვეგიის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოსთან ერთად. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო გენდერული თანასწორობა ადგილობრივ დონეზე.

როგორც შესაბამისი გამოკითხვებიდან და საინფორმაციო წყაროებიდან ირკვევა, გენდერული თანასწორობის საკითხი არ არის ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობების სხვა ასოციაციების პრიორიტეტებს შორის. ასევე არ გამოვლენილა ამ თემასთან დაკავშირებული რაიმე ინიციატივა, გარდა ერთადერთხელ მოხსენიებისა, რომ უნგრეთის მერების მსოფლიო სამიტზე იყო სექცია, რომელიც ეძღვნებოდა ქალების მონაწილეობას პოლიტიკაში. ამ ორგანიზაციებს არა ჰყავთ გამოყოფილი თანამშრომელი, რომელიც იქნებოდა პასუხისმგებელი ორგანიზაციებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

ბუდაპეშტი, როგორც ქვეყნის დედაქალაქი, სადაც ქვეყნის მოსახლეობის ერთ მეხუთედამდე ცხოვრობს, ადგილობრივ თვითმმართველობაში სპეციფიკური სტატუსით სარგებლობს. ბუდაპეშტის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია იმ ამოცანების შესრულებაზე, რომელთა მასშტაბიც მოიცავს მთელ ბუდაპეშტს ან ერთზე მეტ რაიონს, და ასევე იმ ამოცანებზე, რაც უკავშირდება დედაქალაქის განსაკუთრებულ როლს.

როგორც 2007 წელს ბუდაპეშტის გენდერული პოლიტიკის ანალიზმა აჩვენა, არ არსებობს რაიმე სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობდა გენდერული თანასწორობის ან გენდერული მეინსტრიმინგის დამკვიდრებას. მეტიც, სხვადასხვა სფეროში სტრატეგიული დოკუმენტები (მაგ. ურბანული განვითარების, დანაშაულის პრევენციის, განათლების) არ არის გენდერულად ორიენტირებული: მათში მოცემული არ არის სიტუაციის გენდერული ანალიზი (არ მოიპოვება გენდერულად სეგრეგირებული მონაცემებიც კი) და გენდერულად სენსიტიური დაგეგმვა და ამოცანების განსაზღვრა.

მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა 2010 წ., როცა დამტკიცდა თანასწორი შესაძლებლობების პროგრამა ბუდაპეშტის მუნიციპალიტეტისათვის. სამიზნე ჯგუფში გაჩნდა ქალებიც, თუმცა საკმაოდ ფართო ჯგუფში „ქალები, მამაკაცები და ოჯახები“. ამავდროულად, განვითარების გარკვეული დირექტივები და ღონისძიებები კონკრეტულად ქალებზეა გამიზნული. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ დედაქალაქმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს იმას, რომ გენდერული მეინსტრიმინგი საფუძვლიანად დამკვიდრდეს და იკვეთებოდეს დედაქალაქის კანონწარმოებასა და საქმიანობაში. აღნიშნული პროგრამა მოხვდა არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობის საუკეთესო პრაქტიკის ევროკომისიის კომპენდიუმში.

ამჟამად ამ მიმართულებით პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს წარმოადგენს „დედაქალაქ ბუდაპეშტის თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი პროგრამა“ (2017-2022)“. როგორც მასშია აღნიშნული, პროგრამა აგებულია ევროკავშირის შესაბამის დირექტივებზე და ეროვნულ კანონმდებლობაზე. მასში უნდა აისახოს გადანყვეტილებების მიღების პროცესში თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ჰორიზონტალური პრინციპის აღსრულება, აგრეთვე ევროკავშირის შემოთავაზებულ თანასწორი შესაძლებლობების სახელმძღვანელო ინსტრუქციებში მოცემული კრიტერიუმები და დებულებები. ქალები პროგრამის ათ სამიზნე ჯგუფს შორის ერთ-ერთია და რაც მეტად მნიშვნელოვანია, ისინი მასში ცალკე სამიზნე ჯგუფად არიან გამოყოფილი. მასში განერილია დებულებები, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა სფეროში პრობლემების მოგვარებისკენ, მათ შორისაა იმის უზრუნველყოფა, რომ ქალთა წარმომადგენლობა ურბანული დაგეგმარების, განვითარების და ოპერირების შესახებ გადანყვეტილებების მიღების პროცესში შეესაბამებოდეს მოსახლეობაში მათ პროცენტულ

რაოდენობას. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს უახლოეს წლებში გენდერული თანასწორობის სამუშაო ჯგუფის შექმნას და საქმიანობას. დედაქალაქის ადგილობრივი გეგმის შემუშავებისა და ოპერირების კოორდინირებას უზრუნველყოფს Budapest Esély Nonprofit Ltd. მიმდინარე პროგრამისათვის მათ ორგანიზება გაუკეთეს ფართო საზოგადოებრივ კონსულტაციებს, მათ შორის ცალკე კონსულტაციები გაიმართა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის.

რაც შეეხება გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების საკითხებზე სამოქალაქო ჩართულობას, განხილული მაგალითების ანალიზი მიუთითებს რამდენიმე ფაქტორზე, რაც განაპირობებს სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ლობირებისა და ადვოკატირების მიმართულებით განხორციელებული სამუშაოს წარმატებულობას თუ წარუმატებლობას. მეტად მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოების აქტივობებს შორის ჩამოყალიბდეს რეალური პარტნიორული ურთიერთობები და შეიქმნას კოალიციები მათი მონაწილეობით. რაც შეეხება ურთიერთობას პოლიტიკის განმსაზღვრელ წრებთან, ამ მხრივ წარმატების მიღწევისათვის გარკვეულ მნიშვნელობას იქონის მათთან ურთიერთობის ფორმალური მექანიზმებისა და წესების ჩამოყალიბება. ფართო კონტექსტის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეთა და ფართო საზოგადოების სენსიტიზაცია გენდერული თანასწორობის საკითხების მიმართ, რაც დაინტერესებულ მხარეებში აძლიერებს აქტიური ქმედების სურვილს, ხოლო ფართო საზოგადოების მხრიდან ზრდის მხარდაჭერას, რითიც უზრუნველყოფს ამ თემატიკის აქტუალურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

## შესავალი

მრავალი საერთაშორისო ნორმა თუ დოკუმენტი ეხება გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების მხარდაჭერის აუცილებლობას და წარმოშობს მათი განხორციელების ვალდებულებას. როგორც ევროკავშირის ხელშეკრულებაშია აღნიშნული, ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობა ცენტრალური მნიშვნელობისაა ევროკავშირის საქმიანობაში.<sup>1</sup> ხელშეკრულების მეორე მუხლის თანახმად, გენდერული თანასწორობა ევროკავშირის ღირებულებებს განეკუთვნება, მე-3 მუხლით კი განსაზღვრულია, რომ ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის დამკვიდრებას. გარდა ამისა, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-8 მუხლი არეგულირებს გენდერული მენისტრამინგის სამართლებრივ საფუძვლებს<sup>2</sup>, კონკრეტულად მასში ნათქვამია: „თავის ყველა საქმიანობაში ევროკავშირი მიზნად ისახავს აღმოფხვრას უთანასწორობა და დაამკვიდროს თანასწორობა მამაკაცებსა და ქალებს შორის“.

ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის მისაღწევად ევროკავშირის სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო მიმართულია კონკრეტულ სექტორებსა და თემატურ სფეროებში საკითხების გადამწყვეტისკენ. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის შესაბამის დირექტივებს.

ამ მიმართულებით საბაზო პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტს წარმოადგენს „სტრატეგიული ჩართულობა გენდერული თანასწორობისათვის 2016-2019“<sup>3</sup>. დოკუმენტი განსაზღვრავს შემდეგ 5 საკვანძო სამოქმედო მიმართულებას: ქალთა და მამაკაცთა თანასწორი ეკონომიკური დამოუკიდებლობა; თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურება; თანასწორობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; ღირსება, პატიოსნება და გენდერული ძალადობის აღმოფხვრა; გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა ევროკავშირის ფარგლებს გარეთ.

1 იხ. ევროკავშირის ხელშეკრულების სრული ვერსიის მე-2 და მე-3 მუხლი შემდეგ ბმულზე: <http://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-6655-2008-REV-8/en/pdf> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

2 გენდერული მენისტრამინგი წარმოადგენს სტრატეგიულ ინსტრუმენტს, რომლის საბოლოო მიზანია გენდერული თანასწორობის მიღწევა. მას გააჩნია ორი განზომილება: პირველი, გენდერული მიდგომა უნდა გახდეს სხვადასხვა მიმართულებით არსებული პოლიტიკის ნაწილი, რაც შედეგად მოგვცემს გენდერულად ორიენტირებულ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ მოხდება ქალებისა და მამაკაცების მოთხოვნებზე თანასწორი რეაგირება (გენდერულად ორიენტირებულობა); მეორე განზომილება შეეხება ქალებისა და მამაკაცების მონაწილეობას პოლიტიკის ჩამოყალიბების სფეროში, ბენეფიციართა, სამუშაო ძალისა და გადაწყვეტილებების მიმღებთა რანგში (გენდერული წარმომადგენლობა). პოლიტიკის განხორციელების ყველა ფაზაში ყველა აქტორმა უნდა გაითვალისწინოს ორივე განზომილება. უფრო ვრცლად იხ.: <http://eige.europa.eu/gender-mainstreaming> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

3 იხ: <http://ec.europa.eu/justice/gender-equality/document/files/strategic-engagement-en.pdf> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გენდერული თანასწორობის საკითხი თავისი დღის წესრიგის უპირველეს საკითხად აქცია „გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი მმართველობის (UCLG)“ ორგანიზაციამ, რომელიც წარმოადგენს ქალაქების გლობალურ ქსელს. UCLG-ს ჰყავს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი კომიტეტი. 2013 წ. ადგილობრივად არჩეულ ქალთა გლობალურმა კონფერენციამ დაიწყო ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობათა პარიზის გლობალური დღის წესრიგის განხორციელება<sup>1</sup>.

UCLG-ს ევროპულ სექციას წარმოადგენს ევროპულ მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო (CEMR). იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისათვის, CEMR-მ 2006 წელს დაიწყო „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტიის“ განხორციელება<sup>2</sup>. ქარტიას უკვე ხელი მოაწერა 32 ქვეყნის 1600-ზე მეტმა ადგილობრივმა თვითმმართველობამ. ხელმოწერთა მხარდასაჭერად 2012 წელს CEMR-მა დაიწყო თანასწორობის ევროპული ქარტიის სადამკვირვებლო საქმიანობა<sup>3</sup>.

გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის დანერგვას განსაკუთრებული როლი ეკისრება როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. სამივე დონეზე ეს საკითხები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია: ეროვნულ დონეზე მიმდინარე პროცესები განაპირობებს ან საგრძნობ ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ დონეზე განხორციელებულ ღონისძიებებზე და ამასთან, თავის მხრივ, ხშირად საერთაშორისო მექანიზმების ზემოქმედებითაა ჩამოყალიბებული.

მოცემული ანგარიშის მიზანია მიმოიხილოს უნგრეთის საკანონმდებლო, პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და ინსტიტუციური ჩარჩო როგორც რეგიონულ, ასევე ადგილობრივ დონეზე. ანგარიშში მოცემულია როგორც არსებული იმედისმომცემი მიდგომები, ასევე პრაქტიკიდან მიღებული გაკვეთილები.

ანგარიში ეფუძნება სამაგიდო კვლევას / ლიტერატურის მიმოხილვას და კვლევის თვისობრივ მეთოდებს. ანგარიშის მიზნებიდან გამომდინარე, დავუკავშირდით შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს – შესაბამის სამინისტროებსა და დაწესებულებებს. ასევე დავუკავშირდით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციებს. გარდა ამისა, კითხვარები დაეგზავნათ ადგილობრივ მთავრობებს მინიმუმ 20 000 მოსახლეობით. კვლევის შეზღუდული ხასიათიდან გამომდინარე, არ ჩავგიტარებთ ადგილობრივი / რეგიონული პოლიტიკის განხორციელების და არსებული პრაქტიკის ყოვლისმომცველი ანალიზი, თუმცა ამ მიზნით გამოვიყენეთ უკვე არსებული შეფასებები და კვლევები.

## გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო, პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩო უნგრეთში ეროვნულიდან ადგილობრივ დონემდე

### საკანონმდებლო ჩარჩო

უნგრეთის ძირითად კანონში (იგივე კონსტიტუცია) ჩამოყალიბებულია ანტიდისკრიმინაციული და გენდერული თანასწორობის ნორმატიული ბაზა. XV მუხლის თანახმად, უნგრეთმა უნდა უზრუნველყოს ფუნდამენტური უფლებების დაცვა ყველასათვის, ყოველგვარი, მათ შორის სქესობრივი ნიშნით, დისკრიმინაციის გარეშე. ძირითად კანონში ასევე აღნიშნულია, რომ „ქალები და მამაკაცები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით“ და რომ „უნგრეთმა, სხვადასხვა საშუალებით, ხელი უნდა შეუწყოს შესაძლებლობებსა და სოციალურ ჩართულობაში თანასწორობის მიღწევას“. გარდა ამისა, სახელმწიფომ „უნდა გაატაროს კონკრეტული ღონისძიებები, რათა დაიცვას ოჯახები, ბავშვები, ქალები, მოხუცები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები“<sup>4</sup>.

1 იხ: <https://www.uclg.org/sites/default/files/ENG-Amended%20Paris%20Declaration@31.pdf> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

2 ქარტია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <http://www.ccre.org/docs/charte-egalite-en.pdf> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

3 უფრო ვრცლად იხ: <http://www.charter-equality.eu/> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

4 იხ. ნაწილი (2)-(5) მუხლი XV

უნგრეთი არის ადამიანის უფლებების დაცვის ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) და მისი ფაკულტატიური ოქმის მონაწილე. CEDAW კონვენცია წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის ნაწილს 1982 წლიდან,<sup>1</sup> ხოლო CEDAW ფაკულტატიური ოქმი კი 2001 წლიდან<sup>2</sup>.

უნგრეთში არ არსებობს კანონი კონკრეტულად გენდერული თანასწორობის შესახებ. 2001 წელს პარლამენტის ორმა ნევრმა ოპოზიციური პარტიებიდან პარლამენტში განსახილველად წარადგინა კანონპროექტი ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ, მაგრამ პარლამენტმა მისი განხილვა დღის წესრიგიდან ამოიღო პლენარულ სესიამდეც კი.

ევროკავშირში გაერთიანების შედეგად წარმოიშვა ვალდებულება, მომხდარიყო ევროკავშირის შესაბამისი კანონების ქვეყნის კანონმდებლობაში ტრანსპოზიცია. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის დირექტივებს ქალებისა და მამაკაცების თანასწორი მოპყრობის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა სექტორული კანონის მოდიფიცირებით და ყოვლისმომცველი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შედეგად კანონების ტრანსპოზიციისა და ჰარმონიზაციის მხრივ საქმის უმეტესი ნაწილი შესრულებულია (დანვრილებით იხ. ქვემოთ). თუმცა, ზოგ შემთხვევაში კვლავაც საჭიროა ქვეყნის კანონების ევროკავშირის კანონებთან ზუსტ შესაბამისობაში მოყვანა. ზოგიერთი დირექტივის ძირითადი კონცეფცია და პირობები სათანადოდ არ ასახულა და ზუსტად არ ჩამოყალიბებულა უნგრეთის კანონმდებლობაში, რასაც შედეგად მოაქვს გარკვეული შეზღუდულობა დისკრიმინაციისაგან დაცვის მხრივ, გარკვეული გამონაკლისების დაშვება და იძლევა სამართლებრივი ვალდებულებების სხვადასხვა ინტერპრეტაციის და მათგან თავის არიდების საშუალებას<sup>3</sup>. როგორც ერთ-ერთ კვლევაშია აღნიშნული, „კანონმდებლობაში არ მომხდარა გენდერული თანასწორობის დირექტივების ისე სკურულოზული ასახვა, როგორც ეს მოხდებოდა ცალკე კანონის არსებობის შემთხვევაში“<sup>4</sup>.

დისკრიმინაციის საწინააღმდეგო და თანასწორი მოპყრობის სფეროში საკვანძო საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს კანონი „თანასწორი მოპყრობისა და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობის შესახებ“<sup>5</sup>. კანონი შემუშავდა ევროკავშირში განეწიანების ფარგლებში, იგი მიღებულ იქნა 2003 წელს და ძალაში შევიდა 2004 წლიდან. კანონი კრძალავს დისკრიმინაციას ე.წ. „დაცული მახასიათებლების“ საფუძველზე (მახასიათებლები, რაც შეიძლება გახდეს დისკრიმინაციის საფუძველი). დასახელებულ 20 მახასიათებელს შორის ერთ-ერთია სქესი, ოჯახურ მდგომარეობასთან, დედობასთან (ორსულობასთან) და მამობასთან ერთად.<sup>6</sup>

კანონი განსაზღვრავს იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც თავიანთ ყველა ურთიერთობაში, პროცედურასა და საქმიანობაში უნდა დაიცვან თანასწორი მოპყრობის პრინციპი. მათ შორისაა ცენტრალური, ადგილობრივი და უმცირესობათა მთავრობები და მათი ორგანოები, ასევე მთელი რიგი სხვა აქტორებისა, რომლებიც ფართო გაგებით ახორციელებენ საზოგადოებრივ ამოცანებს.<sup>7</sup> გარდა ამისა, კანონში ჩამოთვლილია ის სამართლებრივი ურთიერთობები, რომელთა განხორციელებისას თანასწორი მოპყრობის პრინციპი უნდა დაიცვან კანონში აღნიშნულმა აქტორებმა, მაგალითად, მომსახურ-

1 იხ. 1982 წ. ბრძანება N 10 გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1979 წ. 18 დეკემბერს ნიუ-იორკში მიღებული კონვენციის გამოქვეყნების შესახებ.

2 იხ. კანონი N LX გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1979 წ. 18 დეკემბერს ნიუ-იორკში მიღებული კონვენციის ფაკულტატიური ოქმის გამოქვეყნების შესახებ

3 დეტალებისათვის იხ.: ენიკო პაპი: „გენდერული თანასწორობა უნგრეთში“. პუბლიკაციაში „გენდერული პოლიტიკა და ევროინტეგრაცია – ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის“, მენარმე ქალთა ფონდი, ქუთაისი, 2016 წ. გვ. 272-293. იხ. ბმული: <http://www.fwe.ge/pdf/gender-policies.pdf> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

4 იხ. სუზან ბური და ჰანკე ვან ეიკენი: „გენდერული თანასწორობის კანონი 33 ევროპულ ქვეყანაში – როგორ არის ასახული ევროკავშირის ნორმები უნგრეთის კანონმდებლობაში 2014 წლისათვის?“ – ბეატა ნაკსა. ევროკომისია, გენდერულ საკითხებში სამართლებრივ ექსპერტთა ევროპული ქსელი, 2015 წ. იხ. ბმული: <http://ec.europa.eu/justice/gender-equality/files/ge-law-33-european-countries-2015-en.pdf> გვ. 109 (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

5 იხ. 2003 წ. კანონი CLXXXV „თანასწორი მოპყრობისა და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობის შესახებ“.

6 იხ. მუხლი 8

7 იხ. მუხლი 4. მასში შედიან: საჯარო სერვისების მიმწოდებლები, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური, ბავშვთა დაცვის, ბავშვთა კეთილდღეობის სამსახურები, საჯარო და უმაღლესი განათლების დაწესებულებები და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციები.

რების მიმწოდებლებმა, მათ, ვინც საზოგადოებისთვის ღია ადგილებში ყიდის საქონელს და აგრეთვე დამსაქმებლებმა.<sup>1</sup>

კანონი იძლევა პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის<sup>2</sup>, ძალადობის, უკანონო სეგრეგაციისა და ანგარიშსწორების განსაზღვრებებს<sup>3</sup> და მოიცავს დებულებებს პოზიტიური ქმედების შესახებ<sup>4</sup>. მსხვერპლის სასარგებლოდ კანონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დებულებაა მტკიცების ტვირთის შებრუნება, ან უფრო ზუსტად, გადატანა.<sup>5</sup> გარდა ამისა, კანონი დეტალურად არეგულირებს თანასწორი მოპყრობის აღსრულების საკითხებს შემდეგ ხუთ სექტორში / პოლიტიკის სფეროში: დასაქმება, სოციალური უსაფრთხოება და ჯანდაცვა, განსახლება, განათლება და ტრენინგები, ასევე საქონლის გაყიდვა და მომსახურებით სარგებლობა.

ვინაიდან აღნიშნულ კანონში სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია ერთ-ერთია სხვა მრავალ დისკრიმინაციის ფორმას შორის და მასში არ არის მოცემული კონკრეტული დებულებები გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ, არსებობს კრიტიკული მოსაზრებები, რომ მხოლოდ ეს კანონი სრულად ვერ გადაწყვეტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებს.<sup>6</sup>

უნგრეთის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედების ძირითად ჩარჩოსა და მოქმედების მეთოდებს, კომპეტენციის სფეროს, უფლებებსა და მოვალეობებს<sup>7</sup>. იგი არ შეიცავს კონკრეტულ გენდერულ დებულებებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ დეტალური რეგულაციები მოცემულია უნგრეთის კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.<sup>8</sup> სხვა რეგულაციებთან ერთად, კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ზოგად ნებს, მის როლსა და კომპეტენციის ფარგლებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციულ მოწყობას და საქმიანობის სფეროს.<sup>9</sup> კანონში აღნიშნულია, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობა გამოხატავს და ახორციელებს საზოგადოების ნებას ადგილობრივ საქმეებში, რაც ხორციელდება დემოკრატიული საშუალებებითა და ფართო საჯაროობის უზრუნველყოფით“<sup>10</sup>. კანონი აგრეთვე ადგენს, რომ „თავისი მოვალეობების შესრულებისას ადგილობრივმა თვითმმართველობამ მხარი უნდა დაუჭიროს მოსახლეობის თვითორგანიზებულ ერთობებს, ითანამშრომლოს მათთან და უზრუნველყოს მოქალაქეთა ფართო მონაწილეობა ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმეებში“<sup>11</sup>.

უნგრეთში მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორი დონე: ადგილობრივი თვითმმართველობა / ხელისუფლება (მათ შორის თემი, ქალაქი და დედაქალაქის რაიონი) და საოლქო მუნიციპალიტეტი რეგიონულ დონეზე. ბუდაპეშტს, როგორც ქვეყნის დედაქალაქს, თავისი 2 მილიონი მცხოვრებით, რაც ქვეყნის მოსახლეობის მეხუთედს შეადგენს – აქვს განსაკუთრებული სტატუსი და გააჩნია ორსაფეხურიანი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა: როგორც მთლიანად დედაქალაქს, ასევე მის 23-ვე რაიონს ჰყავს თავისი ადგილობრივი ხელისუფლება. ორივე ტიპის თვითმმართველობა თანაბარია ძირითადი მმართველობითი უფლებების თვალსაზრისით, მაგრამ მათი როლი და კომპეტენციის ფარგლები განსხვავებულია. გარდა ამისა, ბუდაპეშტის მუნიციპალიტეტი ასრულებს როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონული ხელისუფლების ფუნქციებს.

1 იხ. მუხლი 5

2 იხ. მუხლი 8 და 9

3 იხ. მუხლი 10

4 იხ. მუხლი 11

5 იხ. მუხლი 19

6 იხ: A Magyar Néi Érdekvérvényesítő Szövetség bírálata és javaslatai az egyenlő bánásmódról és az esélyegyenlőség előmozdításáról szóló törvényjavaslatához, 2003. 27 ნოემბერი (უნგრეთის ქალთა ლობის მოსაზრებები და შენიშვნები კანონპროექტზე „თანასწორი მოპყრობისა და თანასწორი შესაძლებლობების მხარდაჭერის შესახებ“, 27 ნოემბერი, 2003წ. უნგრულ ენაზე იხ. ბმულზე: <http://nokjoga.hu/sites/default/files/filefield/2003-eselyegy-tv-kritikaja-noierdek.pdf> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

7 იხ. მუხლი 31-35

8 იხ. 2011 წ. კანონი N. CLXXXIX უნგრეთში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

9 გარდა ამისა, კანონი არეგულირებს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციას, ძალაუფლების განაწილებასა და რეგიონალიზაციას, ეკონომიკის საფუძვლებს, ადგილობრივ თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობებს, ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივ ზედამხედველობას და ადგილობრივი ხელისუფლების იურისდიქციაში მყოფ საქმეებს.

10 იხ. მუხლი 2 (2)

11 იხ. მუხლი 6 a)

კანონის დებულებებს შორის ვერ ვნახავთ გენდერული თანასწორობისა და გენდერული მინსტრინგის პრინციპებს და იგი არ გულისხმობს გენდერულად ორიენტირებული ღონისძიებებისა და ამოცანების შესრულებას. თუმცა, აქვე უნდა გავიმეოროთ, რომ თანასწორი მოპყრობის შესახებ კანონის საფუძველზე, როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ასევე საჯარო სერვისების მიმწოდებელიც ვალდებული არიან, დაიცვან თანასწორი მოპყრობის პრინციპები.

## გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ჩარჩო ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე

### ეროვნული პოლიტიკა

1997–დან 2000 წლამდე უნგრეთში არ შემუშავებულა გენდერული თანასწორობის ეროვნული სტრატეგია / სამოქმედო გეგმა. 2010 წელს, ქვეყანაში არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე მიღებულ იქნა „ეროვნული სტრატეგია გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად – სახელმძღვანელო და ამოცანები, 2010–2021“<sup>1</sup>. იგი განსაზღვრავს ექვს პრიორიტეტულ ამოცანას, რაც ეფუძნება ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროკავშირის საგზაო რუკას (2006-2010)<sup>2</sup>. ეს პრიორიტეტული ამოცანებია:

- ქალებისა და მამაკაცების თანაბარი ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, დასაქმებისა და ანაზღაურების კუთხით არსებული სხვაობების აღმოფხვრა, ქალთა სიღარიბისა და ქალთა ჯანმრთელობის საკითხების განხილვა;
- პროფესიული, პირადი და ოჯახური ცხოვრების უკეთ შეთავსება;
- პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მეცნიერებაში ქალებისა და მამაკაცების არათანაბარი წარმომადგენლობის შემცირება;
- ნაბიჯების გადადგმა ძალადობასთან ეფექტური ბრძოლისა და პრევენციისაკენ – ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრა, ენერგიული ზომების მიღება ქალების, მამაკაცების, გოგონებისა და ბიჭების ფიზიკური და გონებრივი ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად;
- გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის ხელშეწყობა;
- პროფესიული საფუძვლების მომზადება იმ გარდაუვალი ცვლილებებისათვის, რაც შედეგად მოიტანს გენდერული მინსტრინგის დანერგვას (ტრენინგები, ინსტიტუციური სისტემა, გენდერული ბიუჯეტირება, გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება).

სტრატეგიით განსაზღვრულია მის განსახორციელებლად ორწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. პირველი სამოქმედო გეგმა მოიცავდა 2010-2011 წლებს<sup>3</sup>. 2010 წ. ქვეყანაში არჩევნების და მთავრობის ცვლილების შემდეგ, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა კვლავ დარჩა ძალაში. თუმცა 2012 წლიდან სახელმწიფოს ოფიციალური პირები ღიად აცხადებდნენ, რომ სტრატეგია შეიცვლებოდა ახალი დოკუმენტით. გაეროს CEDAW–ს კომიტეტი 2013 წ. უნგრეთის შესახებ სინანულით აღნიშნავდა, რომ სახელმწიფომ არჩია ახალი სტრატეგიის მიღება არსებულის განხორციელების დაჩქარების ნაცვლად<sup>4</sup>. თუმცა ძველი სტრატეგია ისევ ძალაშია; დღემდე არ შემუშავებულა არც ახალი დოკუმენტი და არც ახალი სამოქმედო გეგმა.

ეროვნული სტრატეგია რამდენჯერმე მოიხსენიებს გენდერულ თანასწორობაში ადგილობრივი თვითმმართველობის როლსა და ფუნქციებს, თუმცა მასში მოცემული არაა მრავალმხრივი სიტუაციური ანალიზი და კონკრეტული ამოცანები. რაც შეეხება კონკრეტულ სტრატეგიულ სახელმძღვანელო ინსტრუქციებს და ამოცანებს სტრატეგიის ექვსი პრიორიტეტული მიმართულებით, მხოლოდ გენდე-

1 სტრატეგია მიღებულ იქნა მთავრობის N. 1004 / 2010 (I. 21.) გადაწყვეტილების საფუძველზე

2 იხ. ბმული: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3Ac10404> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

3 სამოქმედო გეგმა მიღებულ იქნა მთავრობის N1095 / 2010 (IV. 21.) გადაწყვეტილების საფუძველზე

4 იხ: ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტი: დასკვნითი დებულებები უნგრეთის შესახებ მე-7 და მე-8 გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შესახებ, დამტკიცებული კომიტეტის 54-ე სესიაზე (2013 წ. 11 თებერვალი – 3 მარტი) CEDAW / C / HUN / CO / 7-8, 2016 წ. 26 მარტი, პუნქტი 19, გვ. 3. იხ. ბმულზე: [http://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fHUN%2fCO%2f7-8&Lang=en](http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fHUN%2fCO%2f7-8&Lang=en) (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)



რული მეინსტრიმინგის პრიორიტეტული მიმართულება შეიცავს ადგილობრივი თვითმმართველობისათვის გამიზნულ დებულებებს. ერთ-ერთი ამგვარი დებულება მოცემულია ჩარევის მიმართულებით: „სტრატეგიის განსახორციელებლად აუცილებელი ოპერაციული და ინსტიტუციური სისტემის შექმნა“. ამ მიმართულებით ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანა შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „ადგილობრივი მერების მოთხოვნათა საფუძველზე, ექსპერტები მათ დახმარებას გაუწევენ საჯარო ადმინისტრაციის ქვედა დონეებზე დაგეგმვისას გენდერული მეინსტრიმინგის ინტეგრირებაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესების ქვევიდან, საძირკვიდან დაწყებას, რეგიონული და ტერიტორიული უპირატესობების გათვალისწინებას, განსაკუთრებით კი ნაკლებ განვითარებულ რეგიონებში. ამ პროცესში მონაწილე ადამიანებიდან, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქალ მერებს და თანასწორობის საკითხებზე მომუშავე პირები უნდა განიხილებოდნენ მოკავშირეებად, მიუხედავად მათი პოლიტიკური სიმპათიებისა.“<sup>1</sup>

ჩარევის პუნქტში არის სხვა დებულებებიც ამ მიმართულებით, მაგ: „იმგვარი საბიუჯეტო მიდგომების ჩამოყალიბება, რომლებიც სენსიტიურია გენდერული საკითხების მიმართ (გენდერული ბიუჯეტირება)“. ამ მიმართებით ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა: „გენდერული ბიუჯეტირების დამკვიდრება ცენტრალური და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებზე მუშაობისას“<sup>2</sup>. კიდევ ერთი ამოცანა უფრო დეტალურად განმარტავს გენდერულ ბიუჯეტირებას: „იმისათვის, რომ დამკვიდრდეს გენდერული მიდგომა, რეკომენდაციებით ან ახალი ნორმატიული წესებით უნდა განისაზღვროს საბიუჯეტო პუნქტების მინიმალური ოდენობა, როგორებიცაა ადგილობრივი გადასახადები, დასაქმების საკითხები (მაგ. ბავშვთა მოვლა, მოხუცებზე ზრუნვა, უმუშევართა დასაქმება ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილების საქმეში). სოციალური ეკონომიკის სტიმულირება შესაძლებელია მუნიციპალური შეკვეთების საშუალებით, ხოლო მასშტაბის დადებითი ეფექტის მისაღწევად და ტრანსპორტის გრაფიკებთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა რეგიონული თანამშრომლობის წახალისება“. ბოლო ამოცანა ამ მიმართულებით შეეხება მერების როლს და კომპეტენციის ფარგლებს: „გენდერულ ბიუჯეტირებაზე ტრენინგების კურსების ხელშეწყობა ქალი და მამაკაცი მერებისათვის, რომლებიც ემზადებიან (ხელახალი) არჩევნებისათვის“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული მეინსტრიმინგი და გენდერული თანასწორობა, როგორც ჰორიზონტალური პრინციპი, უნგრეთში ევროკავშირში განეწიანების პროცესმა და მისმა ნევრობამ მოიტანა; მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელ და საპროგრამო დოკუმენტებში დაიწყო ამ პრინციპების ასახვა. ამავდროულად, როგორც გამოცდილებამ უჩვენა, მათი ჯეროვანი რეალიზაცია არც დოკუმენტებში მომხდარა და არც პრაქტიკულ საქმიანობაში<sup>3</sup>. გარდა ამისა, შემფოთების მიზეზი გახდა ისიც, რომ გენდერული მეინსტრიმინგისა და გენდერული თანასწორობის პრინციპი არ ედო საფუძვლად ევროკავშირის სტრუქტურული ფონდის რესურსების დაგეგმვის, განაწილებისა და გამოყენების პროცესს.<sup>4</sup>

გენდერული თანასწორობის ეროვნული სტრატეგიის პირველი (და ჯერჯერობით უკანასკნელი) სამოქმედო გეგმა შეიცავს რამდენიმე დებულებას სხვადასხვა დაწესებულებისა და სამსახურის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის და მათი განვითარების შესახებ, რომელთაც ადგილობრივ / რეგიონულ დონეზეც აქვთ მნიშვნელობა (მაგ. ბავშვთა მოვლის დაწესებულებები და სამსახურები, ჯანმრთელობის სკრინინგ პროგრამები, კრიზისზე რეაგირების რეგიონული ცენტრები). გარდა ამ დებულებებისა, კონკრეტულად ადგილობრივი თვითმმართველობისთვისაა გამიზნული კიდევ ერთი ღონისძიება, რომლის თანახმად: „ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაციების თანამშრომლებისთვის უნდა მოხდეს გენდერული თანასწორობის სფეროში სატრენინგო პროგრამების ორგანიზება და ჩატარება“<sup>5</sup>. სამოქმედო გეგმა ეხება არასამთავრობო ორგანიზაციების როლსაც და მოითხოვს, რომ „გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას ხელი უნდა შეუწყოს სოფლის ქალთა არაკომერციული ორგანიზაციების აქტივობებმა“<sup>6</sup>.

1 იხ. სტრატეგიის პუნქტი 6.2.

2 იხ. სტრატეგიის პუნქტი 6.3.

3 იხ. ტამაშ დომბოში, ანდრეა კრიშანი, მელინდა საბო და იუდიტ ვირტი (2008 წ.): უნგრეთის კონტექსტის კვლევა, პროექტი QUING, ვენა: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტი (IWM). იხ. ბმულზე: <http://www.quing.eu/files/results/cs-hungary.pdf> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

4 იხ: ენიკო პაპი: გენდერული თანასწორობა უნგრეთში, op. cit.,

5 პუნქტი 27

6 პუნქტი 6

სამწუხაროდ, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ საჯარო ინფორმაცია არ მოიპოვება.

რაც შეეხება პოლიტიკურ კონტექსტს, ახლანდელი მთავრობა, რომელიც 2010 წ. შემდეგ მეორე ვადითაა ხელისუფლებაში, გენდერული თანასწორობის საკითხების მიმართ კონსერვატიულ მიდგომებს ინარჩუნებს. მთავრობამ განაცხადა, რომ ახორციელებს ე.წ. „ოჯახის მეინსტრიმინგის“ მიდგომას, ნაცვლად გენდერული მეინსტრიმინგისა, რისი მიზანიცაა სასურველი დემოგრაფიული ზრდის მიღწევა. ამ მიდგომას ადასტურებს როგორც ზოგიერთი გატარებული ღონისძიება, ასევე სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან გაკეთებული განცხადებებიც. შედეგად, გაეროს ჯგუფმა, რომელიც მუშაობს კანონებსა და პრაქტიკაში ქალთა დისკრიმინაციის საკითხზე, უნგრეთის შესახებ 2017 წლის ანგარიშში აღნიშნა: „ოჯახის კონსერვატიული მოდელი, რომლის დაცვაც გარანტირებულია, როგორც ეროვნული გადარჩენისათვის აუცილებელი პირობა, არ უნდა იქცეს ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებებისა და ქალთა გაძლიერების არათანაბარ საპირწონედ“<sup>1</sup>.

## ადგილობრივი პოლიტიკის ჩარჩო – თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი პროგრამები

კანონი თანასწორი მოპყრობის შესახებ შეიცავს მნიშვნელოვან დებულებებს, რაც ხელს უწყობს ადგილობრივ დონეზე ქალთა უფლებების დაცვის კუთხით პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას, თუმცა კი განკუთვნილია უფრო ფართო სპექტრის ბენეფიციართათვის. 2011 წელს კანონში შევიდა ახალი ნაწილი<sup>2</sup> თანასწორი შესაძლებლობების პროგრამების შესახებ<sup>3</sup>. ახალი კანონის მიხედვით, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა, იქნება ეს თემი, ქალაქი თუ დედაქალაქის რაიონი, ყოველ ხუთ წელიწადში უნდა დაამტკიცონ თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი ხუთწლიანი პროგრამები<sup>4</sup>.

თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივ გეგმაში მოცემული უნდა იყოს სიტუაციის ანალიზი შემდეგი მიმართულებებით: განათლება, განსახლება, დასაქმება, სოციალურად დაუცველი ჯგუფების, მათ შორის ქალების, უკიდურეს სიღატაკეში მცხოვრები ადამიანების, ბოშების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ბავშვებისა და მოხუცების ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მდგომარეობა. ამ ანალიზის საფუძველზე უნდა შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს საჭირო ღონისძიებებს არსებული პრობლემების გადასაჭრელად. დოკუმენტის მიღებისას ყურადღება უნდა მიექცეს მუნიციპალიტეტში უმცირესობათა თვითმმართველობების მოსაზრებებსაც. პროგრამის შემუშავებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმის თავსებადობა განვითარების სხვა გეგმებთან და კონცეფციებთან.

გეგმა უნდა მომზადდეს სოციალურ ჩართულობაზე პასუხისმგებელი მინისტრის მიერ ჩამოყალიბებული დეტალური წესების საფუძველზე<sup>5</sup>. თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმის სტრუქტურის გარდა, კანონში მოცემულია გარკვეული სახელმძღვანელო დებულებები შინაარსის შესახებაც. კანონის მოთხოვნით ადგილებზე თანასწორი შესაძლებლობების პროგრამის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

ა) ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს თანასწორ მოპყრობას, თანასწორ შესაძლებლობებს და სოციალურ ჩართულობას;

ბ) განათლებისა და ტრენინგების სფეროში ღონისძიებების გატარებას განათლების მიღების უკანონო შეზღუდვების წინააღმდეგ და განათლებისადმი თანასწორი წვდომის უზრუნველსაყოფად;

1 იხ: კანონებსა და პრაქტიკაში ქალთა დისკრიმინაციის საკითხზე მომუშავე ჯგუფის ანგარიში უნგრეთში მისიის შესახებ; გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების საბჭოს ოცდამეთხუთმეტე სესია, 2017 წ. 6-23 ივნისი A/HRC/35/29/Add.1. გვ. 19. იხ. ბმულზე: <http://ap.ohchr.org/documents/dpage—e.aspx?si=A/HRC/35/29/Add.1> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

2 იხ. ნაწილი IV., მუხლი 31.

3 თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი პროგრამის მიღება მანამდეც იყო საკანონმდებლო პროცესის ნაწილი, თუმცა ადრინდელი რედაქციით იგი მხოლოდ შესაძლებლობას წარმოადგენდა და არა ვალდებულებას. გარდა ამისა, ძირითადი დებულებები არ იყო დეტალური და არ იყო გამოყოფილი ისეთი კონკრეტული სამიზნე ჯგუფი, როგორიცაა ქალები.

4 მუხლი 31 (1)

5 მუხლი 31 (2)

გ) საჭირო ღონისძიებების გატარებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანასწორი წვდომა საჯარო სერვისებსა და ჯანმრთელობის დაცვაზე;

დ) საჭირო ღონისძიებების გატარება, რათა შემცირდეს ადამიანთა დაუცველი ჯგუფებისათვის შრომით ბაზარზე არსებული შემაფერხებელი ფაქტორების მოქმედება და გაუმჯობესდეს მათი დასაქმების შესაძლებლობანი<sup>1</sup>.

ყოველ ორ წელიწადში უნდა მოხდეს თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმის განხორციელებისა და ვითარების შესაძლო ცვლილებების განხილვა, რის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოხდეს სიტუაციის ხელახალი ანალიზი და, შესაბამისად, შეიცვალოს სამოქმედო გეგმა<sup>2</sup>.

გეგმის მომზადება ხდება (მუნიციპალური) საჯარო მოხელეების მიერ. კანონი ითვალისწინებს თანასწორი მოპყრობის მენტორის ფუნქციას, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო მოხელეთათვის ტრენინგებს და დახმარებას გეგმების მომზადებასა და განხილვაში. მენტორებს უნდა ჰქონდეთ განათლების უფრო მაღალი ხარისხი, გავლილი უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ტრენინგი და გააჩნდეთ პროფესიული გამოცდილება, რაც განსაზღვრულია ცალკე კანონმდებლობით<sup>3</sup>.

კანონი ითვალისწინებს წამახალისებელ ღონისძიებებს თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმის დამტკიცებისთვის. ადგილობრივ თვითმმართველობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გრანტი სახელმწიფო სახსრების ინდივიდუალური ქვესისტემებიდან, ევროკავშირის ან სხვა საერთაშორისო ფონდებიდან, თუკი მას გააჩნია თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი მოქმედი პროგრამა. გრანტის გაცემა მოხდება ყველა შემთხვევის ცალ-ცალკე განხილვისა და სატენდერო პროცედურების საფუძველზე. გარდა ამისა, იურიდიული პირის სტატუსის მქონე ადგილობრივი თვითმმართველობების ასოციაციას ანალოგიურად შეუძლია ისარგებლოს ასეთი გრანტებით, თუკი ასოციაციის მონაწილე ყველა ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს მოქმედი თანაბარი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმა<sup>4</sup>.

თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმის შემუშავების შესახებ უფრო მეტი დეტალია მოცემული კიდეც ორ სამართლებრივ დოკუმენტში. პირველი მათგანი, მთავრობის დადგენილება №321/2011. (XII. 27.) თანასწორი შესაძლებლობის პროგრამის მომზადების ნესების და თანასწორი შესაძლებლობების მენტორების შესახებ, შეიცავს დებულებებს თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმის სტრუქტურის, შინაარსის, მომზადების ასპექტებისა და რედაქტირების, აგრეთვე დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილე მხარეების შესახებ<sup>5</sup>.

თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმის მომზადებისას გასათვალისწინებელ ასპექტებს შორის ქალებთან მიმართებით არსებობს შემდეგი დებულებები:

„(3) ქალთა უთანასწორობის შემცირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

ა) სოციალური პრობლემების გენდერულ ინტერპრეტაციას და არსებულ საჭიროებებში გენდერული სხვაობების გამოკვეთას;

ბ) ქალთა ეკონომიკურ დამოკიდებულებას და მონყვლადობას;

გ) ქალთა მიმართ ძალადობას;

დ) ინფორმაციისა და ეფექტური დახმარების მისაწვდომობას ოჯახის დაგეგმვის, დედასა და ბავშვზე ზრუნვის მხრივ, რათა ავიცილოთ რეპროდუქციულ უფლებათა დარღვევა;

ე) საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალის არაპროპორციულ მონაწილეობას;

ვ) ქალის ოჯახური და სამსახურებრივი ვალდებულებების შეთავსებაში ხელშეწყობას<sup>6</sup>.“

გარდა ამისა, ბრძანების თანახმად, სამოქმედო გეგმაში განერილი ღონისძიებანი, არა მარტო ქალებისათვის, არამედ ყველა სამიზნე ჯგუფისათვის, მიზნად ისახავს:

„ა) განსახლების კუთხით სეგრეგაციისა და განათლების შეზღუდვის აღმოფხვრას, ინტეგრირებულ და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების სტანდარტის დანერგვას;

1 მუხლი 31 (3)

2 მუხლი 31 (4)

3 მუხლი 31 (5) და (8)

4 მუხლი 31 (6) და (7)

5 უნგრულ ენაზე ბრძანება იხ. ბმულზე: <http://njt.hu/cgi-bin/njt-doc.cgi?docid=140310.325911> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

6 მუხლი 4 (3) (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

ბ) მონყვლადი სოციალური ჯგუფების უნარ-ჩვევებისა და დასაქმების დონის ამაღლებას;  
გ) განათლებასა და ტრენინგებში სტერეოტიპული კარიერული ორიენტაციის შეცვლას;  
დ) საჯარო სერვისებისადმი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურებისადმი თანაბარ წვდომას;

ე) თანასწორი მოპყრობის პრინციპის დანერგვას ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ განწყვეტილებების მიღების პროცესში, მათ დაქვემდებარებაში მყოფ დანესებულებებში და მათ მიერ კონტროლირებად სამსახურებში;

ვ) მონყვლადი ჯგუფების მონაწილეობის მხარდაჭერას საზოგადოებრივი საქმეების შესახებ განწყვეტილებების მიღებისა და მართვის, დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში;

ზ) მონყვლადი ჯგუფების ცნობიერების ამაღლებას თავიანთი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ<sup>1</sup>.”

მნიშვნელოვანია, რომ კანონის მოთხოვნით გეგმა უნდა გასაჯაროვდეს<sup>2</sup>. ამავდროულად, სხვა სამიზნე ჯგუფების მიმართ არ ხდება გენდერული მიდგომების გამოყენება და ეს მიდგომები დოკუმენტში ნახსენებიც კი არაა.

ბრძანებით დადგენილია, რომ თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმის მომზადებაში მონაწილე პირების ტრენინგის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სოციალურ და ბავშვთა დაცვის საქმეთა გენერალური დირექტორი და იგი აგრეთვე მართავს თანასწორი შესაძლებლობების მენტორთა ქსელს. ადგილობრივ ხელისუფლებებს გეგმის მომზადებისას შეუძლიათ ისარგებლონ მენტორთა უფასო დახმარებით<sup>3</sup>. მენტორები ასევე ახდენენ ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელთათვის თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმის შემუშავების თემაზე ტრენინგების პროგრამის ორგანიზებასა და ჩატარებას<sup>4</sup>.

მეორე მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია ადამიანური რესურსების სამინისტროს ბრძანება №2 / 2012. (VI. 5.), ადგილებზე თანასწორი შესაძლებლობათა პროგრამის შედგენის დეტალური წესების შესახებ<sup>5</sup>. ბრძანება განსაზღვრავს უნიფიცირებულ სტატისტიკურ ინდიკატორებს, რომლებიც უნდა იყოს გამოყენებული ადგილობრივი გეგმის შემუშავებისას, თუმცა, სამწუხაროდ, მასში არ არის მოცემული სქესის მიხედვით სეგრეგირებული ზოგი მნიშვნელოვანი ინდიკატორი.

ბრძანებით განსაზღვრულია სიტუაციური ანალიზის შინაარსიც. ქალთა სამიზნე ჯგუფისათვის იგი შემდეგი სახითაა მოცემული:

„5.1 ქალთა როლი ეკონომიკაში და თანასწორი შესაძლებლობები ქალთათვის

ა) ქალთა დასაქმება და ქალთა შორის უმუშევრობა

ბ) ქალთა მონაწილეობა დასაქმებისა და ტრენინგების პროგრამებში

გ) დაბალი განათლების მქონე ქალთა დასაქმების შესაძლებლობები

დ) დასაქმებულთა დისკრიმინაცია (მაგ. სხვაობები შრომის ანაზღაურებაში)

5.2 სერვისები, რომლებიც ხელს უწყობს სამსახურებრივი და ოჯახური ვალდებულებების შეთავსებას (მაგ. ბაგები, საოჯახო ბაგები, ბაგები სამუშაო ადგილზე, ბაგა-ბალები, სივრცის ნაკლებობა, მოქნილი სამუშაო გრაფიკი საჯარო დანესებულებებში, ოჯახის ხელშემწყობი გარემოს შექმნა და ა.შ.)

5.3 ოჯახის დაგეგმვა, დედებსა და ბავშვებზე ზრუნვა

5.4 ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახური ძალადობა

5.5 კრიზისულ შემთხვევებში არსებული მომსახურება (მაგ. თავშესაფარი, დროებითი სახლი ოჯახისათვის)

5.6 ქალის როლი ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში

5.7 სოციალური პრობლემები და ინიციატივები, რაც ზეგავლენას ახდენს ქალთა მდგომარეობაზე ადგილობრივ დონეზე

5.8 დასკვნები: პრობლემების იდენტიფიცირება, განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა.“<sup>6</sup>

1 მუხლი 5

2 მუხლი 3

3 იხ. ბრძანების მუხლი 2

4 იხ. მუხლი 8 (1)

5 უნგრულ ენაზე ბრძანება იხ. ბმულზე: <http://njt.hu/cgi-bin/njt-doc.cgi?docid=149264.344046> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

6 იხ. დამატება II

ბრძანებაში აგრეთვე მოცემულია სამოქმედო გეგმის ფორმატი და მისი სავალდებულო შინაარსი<sup>1</sup>. ყველა სამიზნე ჯგუფისათვის, მათ შორის ქალებისათვის, სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს: პრობლემის იდენტიფიცირებას, აქტივობის დასახელებას, მიზნებს და შინაარსს, პასუხისმგებელ პირებს, განხორციელების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს, განხორციელებისათვის აუცილებელ (აღამიანურ, ფინანსურ, ტექნიკურ) რესურსებს და შედეგების მდგრადობას. მასში აგრეთვე განმარტებული უნდა იყოს, თუ რამდენად თავსებადია გეგმის ამოცანები სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან.

გარდა თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმისა, კანონი თანასწორი მოპყრობის შესახებ ითვალისწინებს კიდევ ერთი დოკუმენტის მიღებას, რომელიც თანასწორი შესაძლებლობების საკითხებს არეგულირებს ადგილობრივი ხელისუფლების დიდი ზომის ორგანიზაციებში. კანონის თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციები, რომელთა თანამშრომლების რაოდენობა აღემატება 50 ადამიანს და სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი იურიდიული პირების უმეტესობა, ვალდებული არიან დაამტკიცონ თანასწორი შესაძლებლობების გეგმა<sup>2</sup>. გეგმა არეგულირებს შესაბამისი დანესებულების / დამსაქმებლის შიდა საქმიანობას.

## გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ინსტიტუციური მექანიზმი და ინსტიტუციური ჩარჩო

ამჟამად გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმის ფუნქციას ასრულებს ადამიანური რესურსების სამინისტროს ოჯახისა და ქალთა პოლიტიკის განყოფილების ქალთა პოლიტიკის სექცია (იგი არის ამ საკითხებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურა).

დღიდან 1995წ. დაარსებისა, ამ ერთეულმა არაერთხელ განიცადა რესტრუქტურირება, მას რამდენიმეჯერ შეეცვალა სახელი და მასზე მთავრობის ცვლილებებიც ახდენდა ზეგავლენას. თუმცა, მეტწილად დღემდე შენარჩუნებულია მისი საქმიანობის ძირითადი მახასიათებლები: ადამიანური და ფინანსური რესურსების დეფიციტი და ამ ერთეულის მარგინალიზებული მდგომარეობა სამთავრობო სტრუქტურაში<sup>3</sup>.

ეროვნული საკანონმდებლო ნორმებითა და სტრატეგიებით გათვალისწინებული არ არის გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების / საკონტაქტო პირის თანამდებობის შექმნა ადგილობრივ / რეგიონულ დონეზე.

თანასწორი მოპყრობის პრინციპების აღსრულების მიზნით თანასწორი მოპყრობის შესახებ კანონის საფუძველზე შეიქმნა თანასწორი მოპყრობის საკითხების სამსახური. ამ ორგანომ 2005 წლიდან დაიწყო ფუნქციონირება და მას შემდეგი ფუნქციები დაეკისრა: განიხილოს და შენიშვნები გააკეთოს კანონპროექტებსა და ანგარიშებზე; შემოვიდეს საკანონმდებლო ინიციატივებით ამ სფეროში; ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან; მიანოდოს ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს და შესთავაზოს მათ დახმარება, რაც გამოიხატება აქტიურ ქმედებაში თანასწორი მოპყრობის დარღვევების წინააღმდეგ; ანგარიში წარუდგინოს ევროკავშირის კომისიას მის შესაბამის დირექტივებთან ჰარმონიზაციის შესახებ.

გარდა ამისა, ეს სამსახური ატარებს მოკვლევას თანასწორი მოპყრობის შესახებ ვალდებულების შესაძლო დარღვევების შესახებ და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. თუკი დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევას, შეუძლია გაატაროს სხვადასხვა ღონისძიება: უბრძანოს დამრღვევს, რომ შეცვალოს ვითარება, რაც იწვევს ამგვარ დარღვევას; აუკრძალოს დამრღვევს იმგვარი ქმედების შემდგომში გაგრძელება, რაც იწვევს დარღვევას; გამოაქვეყნოს თავისი გადაწყვეტილება დარღვევის შესახებ; დააკისროს ჯარიმა დამრღვევს, ან მის მიმართ გამოიყენოს ის სამართლებრივი ზომები, რასაც ითვალისწინებს სპეციალური კანონი.

1 იხ. დამატება III

2 მუხლი 63 (4)

3 იხ. გაეროს CEDAW კომიტეტისთვის წარდგენილი ალტერნატიული ანგარიში უნგრეთის მე-7 და მე-8 გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შეფასებასთან დაკავშირებით, უნგრეთის ქალთა ლობი და ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრი, იანვარი, 2013 წ. იხ. ბმულზე: <http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/HUN/INT-CEDAW-NGO-HUN-13260-E.pdf> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ვალდებულების შესაბამისად, აღნიშნულ სამსახურს შეუძლია აღძრას საქმე სასამართლოში იმ პირების ან პირთა ჯგუფის ინტერესების დასაცავად, რომლის უფლებებიც დაირღვა. ამგვარ შემთხვევებში *Actio popularis* უფლება აქვთ პროკურორებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსაც.

ქალთა ძირითადი უფლებების მხარდაჭერის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფუნდამენტური უფლებების კომისარსაც, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის კონტექსტშიც. კანონის თანახმად,<sup>1</sup> კომისარმა თავის საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს შემდეგი ჯგუფების უფლებებს: ბავშვებს, მომავალ თაობას, ეროვნულ უმცირესობებს, მონყვლად სოციალურ ჯგუფებს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. მართალია, ქალები არ არიან ცალკე სამიზნე ჯგუფად გამოყოფილნი, თუმცა კომისრის საქმიანობა და კომპეტენციის სფერო ქალთა ფუნდამენტურ უფლებებსაც შეეხება.

კომისარს კანონით სხვადასხვა ამოცანის შესრულება აქვს დაკისრებული: მან უნდა გააანალიზოს ვითარება ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებით; წარმოადგინოს მოსაზრებები კანონპროექტებისა და კონცეფციების შესახებ; მას შეუძლია კონსტიტუციურ სასამართლოში აღძრას საქმე კანონების გადახედვასთან დაკავშირებით. კომისარს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ანგარიშების მომზადებაში და განახორციელოს ამ ხელშეკრულებების აღსრულების მონიტორინგი და შეფასება. იგი უნდა ჩაერთოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართულ აქტივობებში და ითანამშრომლოს ამ მიმართულებით შესაბამის ორგანიზაციებთან და დანესებულებებთან<sup>2</sup>.

კომისარი ინდივიდუალურ შემთხვევებზეც რეაგირებს. კომისარს შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა მოქალაქემ, რომელიც მიიჩნევს, რომ ხელისუფლების, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების<sup>3</sup> წარმომადგენლის რაიმე ქმედებამ ან უმოქმედობამ შელახა ან უშუალო საფრთხე შეუქმნა მის ფუნდამენტურ უფლებებს და მათ დასაცავად ყველა ადმინისტრაციული სამართლებრივი დაცვის მექანიზმი უკვე ამონურულია, ან ამგვარი მექანიზმი არ არსებობს<sup>4</sup>. აგრეთვე შეიძლება განხორციელდეს მოკვლევა საჯარო სერვისების მიწოდებელი ორგანიზაციის მიმართ მის მიერ განეულ საჯარო მომსახურებასთან დაკავშირებით. ამგვარ ორგანიზაციებს შორისაა ასევე სახელმწიფო და ადგილობრივი სახელისუფლებო ფუნქციების შემსრულებელი ან ამ პროცესში მონაწილე ორგანოები და ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას საჯარო სამსახურის კუთხით<sup>5</sup>. კომისარი მოკვლევას აწარმოებს მის მიმართ წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე და მოკვლევის შედეგად იღებს სათანადო ზომებს<sup>6</sup>.

კომისარმა შეიძლება გაატაროს *ex officio* პროცესუალური ღონისძიებები ფუნდამენტური უფლებების მიმართ გარდაუვალი საფრთხის არსებობის შემთხვევაში<sup>7</sup>. ამგვარი პროცესუალური ღონისძიებები იქნება უფასო<sup>8</sup>.

თავისი საქმიანობის უმეტესი პერიოდის მანძილზე კომისრის აპარატს არ გააჩნდა ძლიერი და მკაფიო დღის წესრიგი ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით, თუმცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა. აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე საერთაშორისო პროგრამასა და პროექტში, დაამყარეს აქტიური ურთიერთობა ქალთა უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. კომისარი შეუერთდა ე.წ. „თეთრი ლენტის“ კამპანიას, რომლის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა.

1 კანონი CXI 2011 წ. ფუნდამენტური უფლებების კომისრის შესახებ

2 მუხლი 2 (1)-(5)

3 სხვადასხვა აქტორებს შორის შეიძლება იყოს: საჯარო ადმინისტრაციის ორგანო, ეროვნების თვითმმართველობა, ძალადგანი ორგანო, საჯარო ადმინისტრირების სფეროში მოქმედი ნებისმიერი ორგანო, საგამომძიებლო ორგანო, სანოტარო ბიურო, საოლქო სასამართლოს მანდატურის სამსახური, საჯარო სერვისების მიწოდებელი ორგანო

4 მუხლი 18 (1)

5 მუხლი 18 (1)-(2)

6 მუხლი 20 (1)

7 მუხლი 18 (4)

8 მუხლი 19. ინგლისურ ენაზე კანონი იხ. ბმულზე: <http://www.ajbh.hu/en/web/ajbh-en/act-cxi-of-2011> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

საპარლამენტო დონეზე შესაბამის სტრუქტურას წარმოადგენს კულტურის კომიტეტის ქალთა ღირსების ქვეკომიტეტი. იგი დაარსდა 2015 წ. ქვეკომიტეტის საქმიანობის დროს, ზოგ შეხვედრაზე დაისვა საკითხები ადგილობრივი თვითმმართველობის როლის შესახებ, თუმცა შეზღუდული მასშტაბებით. ბავშვთა დაწესებულებების და სხვადასხვა სერვისის განვითარება და ონლაინ ძალადობა იყო ის ორი საკითხი, რომლის განხილვასაც მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო<sup>1</sup>.

ადგილობრივ ან რეგიონულ დონეზე საუბრისას აღნიშვნის ღირსია ოჯახის, თანასწორი შესაძლებლობებისა და მოხალისეთა სახლების ქსელი<sup>2</sup>. ქსელი ეროვნული მასშტაბით მოქმედებს და იგი შედგება საოლქო ცენტრებისაგან, რომლებიც წარადგენენ ადგილობრივ დონეზე სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მიზნებს. ქსელს გააჩნია ოფისები უნგრეთის 19-ივე ოლქში და ბუდაპეშტში. მათი ექვსი სამიზნე ჯგუფიდან ერთ-ერთს წარმოადგენენ ქალები, რომლებმაც განიცადეს დისკრიმინაცია, ან ამგვარი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ქსელი ეწევა ცნობიერების ამაღლებას საზოგადოებასა და პროფესიულ წრეებში, ახდენს შესაძლებლობათა გაძლიერებას, მონაწილეობას იღებს პოლიტიკის შემუშავების პროცესში და კონტაქტების დამყარებაში. ქსელის ვებგვერდზე პარტნიორებად დასახელებული არ არის არც ქალთა უფლებების დამცველი და არც ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები და მათ არა აქვთ ინსტიტუციური ურთიერთობა უნგრეთის ქალთა ლობისტან და მის ნევრ ორგანიზაციებთან.

რეგიონულ დონეზე თანასწორი მოპყრობის სამსახურებმა შექმნეს მომხსენებელთა ქსელი. იგი მოქმედებს უნგრეთის ყველა ოლქში სამართლებრივი დახმარების მისაწვდომობის მიმართულებით. არ არსებობს იმის ყოვლისმომცველი შეფასება, თუ როგორ უწყობს ხელს აღნიშნული ქსელები გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას და ქალთა უფლებების დაცვას.

სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორს შორის ურთიერთობის კუთხით 2012 წ. შეიქმნა ადამიანის უფლებების სამუშაო ჯგუფი. ის იყო გაეროს მიერ ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ახალი პროცესის, *უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის*, შედეგი<sup>3</sup>. სამუშაო ჯგუფში შედიან სხვადასხვა სამინისტროს სახელმწიფო მდივნები<sup>4</sup>. იგი მოქმედებს როგორც სამოქალაქო საზოგადოებასთან საკონსულტაციო ფორუმი – ადამიანის უფლებების მრგვალი მაგიდა. ამ ჩარჩოს ფარგლებში შეიქმნა რამდენიმე თემატური სამუშაო ჯგუფი სახელმწიფოს წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით. მათგან ერთ-ერთია ქალთა უფლებებზე მომუშავე ჯგუფი. სამუშაო ჯგუფში მონაწილე იყო ქალთა უფლებების დამცველი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია. მართალია, ჯგუფში სამუშაო პროცესის დროს ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა, რომელიც ზოგ შემთხვევაში ცალკე აღნიშვნის ღირსია, თუმცა მას არ განუხილავს საკანონმდებლო ცვლილებები. ჯერჯერობით ამ სტრუქტურის მუშაობას არ ჰქონია რეალური, ხელშესახები შედეგები. აგრეთვე, დღემდე ამ ჯგუფის მიერ კონკრეტულად თემატურ საკითხად არ განხილულა ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საკითხი.

2013 წლიდან გაუარესდა ურთიერთობა სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ქალთა უფლებების სფეროში, როცა სახელმწიფოს ზოგმა წარმომადგენელმა და მედიამ წამოიწიეს შეტევა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფზე, რომლებიც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების, მათ შორის ქალთა უფლებების საკითხებზე მუშაობდნენ. ეს არასამთავრობო ორგანიზაციები გახდნენ სხვადასხვა ადმინისტრაციული სტრუქტურის (სახელმწიფო აუდიტის სამსახური და საგა-

1 ქვეკომიტეტის მიერ განული სამუშაო იხ. ბმულზე: <http://www.parlament.hu/web/kulturalis-bizottsag/albizottsagok?p-auth=2wC0AxCr&p-p-id=pairproxy-WAR-pairproxyportlet-INSTANCE-9xd2Wc9jP4z8&p-p-lifecycle=1&p-p-state=normal&p-p-mode=view&p-p-col-id=column-1&p-p-col-count=1&-pairproxy-WAR-pairproxyportlet-INSTANCE-9xd2Wc9jP4z8-pairAction=%2Finternet%2Fcpls%2Fogy-biz.biz-adat-uj%3Fp-ckl%3D40%26p-biz%3DA464%26p-tag%3D%26p-tagj%3D%26p-munkatars%3D%26p-honl-rend%3D%26p-ules%3DI%23biz-ules> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

2 მეტი ინფორმაციისათვის იხ. ბმული: <http://eselyeremtesihazak.gov.hu/english/> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

3 იხ. მთავრობის გადაწყვეტილება № 1039/2012. (II. 22.) ადამიანის უფლებათა სამუშაო ჯგუფის შესახებ

4 მეტი ინფორმაციისათვის იხ. ბმული: <http://emberijogok.kormany.hu/en> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

დასახადო სამსახური) სამიზნე, კომუნიკაციის დროს კი, მათ მიმართ ხშირად ისმოდა ბრალდებები, რომ ისინი არიან „სოროსის აგენტები“, „დაქირავებული პოლიტიკური აქტორები“ ან „უცხო ქვეყნის ინტერესების მოსამსახურეები“. 2017 წ. პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „უცხოეთიდან დაფინანსებულ ორგანიზაციათა გამჭვირვალობის უზრუნველყოფის შესახებ“, რომელიც გარკვეული რაოდენობით უცხოური დაფინანსების მიმღებ ორგანიზაციებს ავალდებულებს, დარეგისტრირდნენ სასამართლოში და კომუნიკაციის პროცესსა და პუბლიკაციებში აღნიშნონ, რომ არიან უცხოური დაფინანსების მიმღებნი. დარღვევებზე რეაგირების პროცედურის ფარგლებში, რომელიც აღიძრა ევროკომისიის მიერ, ამჟამად ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო განიხილავს, არღვევს თუ არა ეს კანონი ევროკავშირის კანონებს<sup>1</sup>. ქალთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები ირიბადაც ზარალდებიან და მალაღია აღბათობა იმისა, რომ პირდაპირაც დაზარალდნენ ამ კანონმდებლობით.

ამგვარმა ზომებმა და ქმედებებმა შექმნა ვითარება, როცა მნიშვნელოვნად ფერხდება ქალთა უფლებების დამცველი იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც ახდენენ სხვადასხვა მომსახურების მიწოდებას, მუშაობენ პროფესიულ წრეებში და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებასა და შესაძლებლობათა განვითარებაზე, ეწევიან ადვოკატირებას საჭირო საკანონმდებლო და პოლიტიკური ცვლილებებისათვის.

## გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენისტრიმინგის ხელშეწყობა – ადგილობრივ/რეგიონულ დონეზე დამკვიდრებული პრაქტიკა

### ქალების როლი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე

უნგრეთის მაჩვენებლები პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის მხრივ მეტად დაბალია. ამჟამინდელ მთავრობაში არც ერთი ქალი მინისტრი არ არის. პარლამენტში ქალების წილი 10.1%-შეადგენს და იგი დემოკრატიული გარდაქმნების შემდგომ მუდამ ამ ნიშნულის ირგვლივ ტრიალებს. ამ შედეგით უნგრეთი პარლამენტთაშორისი კავშირის რეიტინგში 187 ქვეყანას შორის 157-ე ადგილს იკავებს<sup>2</sup>. ამგვარი შედეგის მიუხედავად, ამ მიმართულებით არ განხორციელებულა საკანონმდებლო ზომები, ხოლო საკანონმდებლო კვოტირების შემოღების ყველა მცდელობა ჩა-ვარდა.

ამ მხრივ ვითარება საგრძნობლად უკეთესია ადგილებზე, თუმცა აქაც კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ქალი მერების რაოდენობა ქვეყანაში 20%-ია<sup>3</sup> და დემოკრატიული გარდაქმნების შემდეგ მათი რიცხვი მუდმივად მატულობს. თუმცა, როგორც შესაბამისი კვლევები აჩვენებს, აქაც არ არის თანაბარი წარმომადგენლობა: რაც უფრო დიდი და რესურსებით მდიდარია მუნიციპალიტეტი, მით ნაკლებად გვხვდება ქალი მერი<sup>4</sup>.

1 შესაბამისი განახადებები იხ. ბმულზე: <http://europa.eu/rapid/press-release-IP-17-5003-en.htm> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

2 სრული რეიტინგი იხ. ბმულზე: <http://archive.ipu.org/wmn-e/classif.htm> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

3 იხ. პიქტოგრამა, რომელიც მომზადდა პროექტის „ცენტრალურ ევროპაში გენდერული ბალანსისა და დისბალანსის მიზეზებისა და შედეგების შესწავლა“ ფარგლებში, იხ. ბმულზე: <https://create.piktochart.com/output/15664611-women-in-v4-regional-govs> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

4 იხ: Ilonszki Gabriella: „Jó kormányzás és a nemek egyenlősége – Magyarországi helyzetjelentés“ (კარგი მმართველობა და გენდერული თანასწორობა – სიტუაციის ანალიზი უნგრეთში) : A nőtlen évek ára – A nők helyzetének közpolitikai elemzése 1989–2013. (უქალო წლების საზღაური. ქალებთან მიმართებით პოლიტიკის სიტუაციური ანალიზი 1989–2013.) Magyar Női Érdekérvényesítő Szövetség (უნგრეთის ქალთა ლობი), ბუდაპეშტი, 2014. უნგრულ ენაზე იხ. ბმულზე: <http://noierdek.hu/2/wp-content/uploads/2016/09/notlen.evek-ara.pdf> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)



რაც შეეხება ადგილობრივ სათათბიროებს, აქ ქალთა რაოდენობა 30%-ა. როგორც კვლევიდან ირკვევა, გარდა დასახლებული პუნქტის ზომისა, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - მანდატის მოპოვების გზა: აღმოჩნდა, რომ ქალები ინდივიდუალურ საარჩევნო უბნებში უფრო მეტად აღწევნენ წარმატებას, ვიდრე საარჩევნო სიებში<sup>1</sup>. რაც შეეხება რეგიონულ (საოლქო) დონეზე წარმომადგენლობას, საოლქო სათათბიროებში ქალების წილი 11%-ს შეადგენს. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა პოლიტიკურ მონაწილეობაში ეროვნულ დონეზე, ამასთან ბოლო ათწლეულში ამ მხრივ არავითარი გაუმჯობესება არ შეინიშნება, რის გამოც ქვეყანას ვიშეგრადის ქვეყნებს შორის ყველაზე უარესი შედეგი აქვს<sup>2</sup>. გარდა ამისა, რეგიონული სათათბიროების ხელმძღვანელ პირთა შორის არც ერთი ქალი არ არის<sup>3</sup>.

ბუდაპეშტის შემთხვევაში, დედაქალაქის გენერალური ასამბლეის 33 წევრიდან 3 ქალია, რაც 10%-იან წარმომადგენლობას ნიშნავს. ბუდაპეშტის მერიც მამაკაცია, ხოლო მერის სამი მოადგილიდან ერთი ქალია.

ქალაქის მთავარი ნოტარიუსი ქალია. გენერალური ასამბლეის კომიტეტების თავმჯდომარეთაგან ყველა მამაკაცია. ბუდაპეშტის 23 რაიონის მერებს შორის მხოლოდ ერთია ქალი<sup>4</sup>.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ქალთა წარმომადგენლობის საკითხებში პოლიტიკური პარტიების დომინირების გავლენა ადგილობრივ დონეზეც იგრძნობა: ქალთა მზარდ აქტიურობას ხშირად აფერხებს პოლიტიკურ პარტიათა პოზიციები<sup>5</sup>.

## გენდერული თანასწორობა ადგილობრივ დონეზე: დაინტერესებულ მხარეთა მიდგომები, ინსტიტუციური სტრუქტურები და საშუალებები

პოლიტიკისა და ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებაში მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ამა თუ იმ დაწესებულების ხელმძღვანელის, ადგილობრივი ხელისუფლების შემთხვევაში კი მერის პოზიციას და დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის მიმართ.

2013 წლის სექტემბრიდან 2016 წლის აგვისტომდე უნგრეთის ადგილობრივ ხელისუფალთა ეროვნულმა ასოციაციამ განახორციელა პროექტი „შესაძლებლობათა გაძლიერება მუნიციპალიტეტებში ნორვეგიულ-უნგრული თანამშრომლობის საშუალებით“ (MANORKA)<sup>6</sup>. პროექტი დაფინანსდა ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) და ნორვეგიის საგრანტო სქემით. პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო გენდერული თანასწორობა ადგილობრივ დონეზე (დეტალები იხ. ქვემოთ).

პროექტის აქტივობებს შორის იყო გამოკითხვა ადგილობრივ დონეზე თანასწორი შესაძლებლობების შესახებ. პირველი გამოკითხვა 2014 წ. მაისში, უნგრეთის ადგილობრივ არჩევნებამდე ჩატარდა, ხოლო მეორე კი - 2015 წ. აპრილში. პირველი ორი გამოკითხვა შინაარსობრივად ერთნაირი იყო, გარდა ერთი კითხვისა, მესამე გამოკითხვა კი - ცოტათი განსხვავებული. პირველ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 301 მერმა, მეორეში 227-მა, მესამეში კი 234-მა. მერების საერთო რაოდენობაში ქალი მერების პროპორციის გათვალისწინებით, ქალები გაცილებით აქტიურად გამოეხმაურნენ კვლევას.

1 იხ: Mehring-Tóth Szilvia: “Képviselők és képviselőnők a helyi politikai elitben” (მამაკაცი და ქალი დეპუტატები ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტაში). In Politikatudományi Szemle 2017 / 3, გვ. 81-100.

2 დაწვრილებით იხ: მარკეტა მოტლოვა: ბზარები „შუშის ჭერზე“: ქალები ვიშეგრადის ქვეყნების რეგიონულ და ადგილობრივ პოლიტიკაში. იხ. ბმულზე: <http://visegradrevue.eu/cracks-in-the-glass-ceiling-women-in-regional-and-local-v4-politics/> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

3 იხ. პიქტოგრამა, op. cit.

4 მეტი ინფორმაციისათვის იხ.: <http://infoszab.budapest.hu:8080/akl/szsz/Default.aspx?i=12> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

5 იხ: Várnagy Réka, Ilonszki Gabriella: “Üvegplafonok. Pártok lent és fent.” („შუშის ჭერი“. პოლიტიკური პარტიები მაღლა და დაბლა) In: Politikatudományi Szemle XXI / 4. გვ. 7-25., გვ. 20-21.

6 იხ: <http://www.manorka.net/en/news/> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

გამოკითხვა კონცენტრირებული იყო შემდეგი ოთხი ძირითადი საკითხის ირგვლივ: სიტუაციის ანალიზი – მერების მიდგომები; ქალთა დასაქმების კუთხით არსებული ხარვეზები; პრობლემების გადამწყვეტის გზების შეთავაზება და ადგილობრივ თვითმმართველობათა მარეგულირებელი და განვითარების ინსტრუმენტების მიმოხილვა და შეფასება<sup>1</sup>.

პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა მერების დამოკიდებულებებს, რესპონდენტთა უმეტესობა, თითქმის 90%, მიიჩნევს, რომ იდეალურ შემთხვევაში კარიერა და ოჯახი თანაბრად მნიშვნელოვანია. ანალოგიურად, რესპონდენტთა 4/5 მიიჩნევს, რომ ოჯახის ბიუჯეტისათვის აბსოლუტურად, ან დიდწილად მნიშვნელოვანია ქალების მიერ მიღებული შემოსავალი. ამავდროულად, კითხვაზე, უნდა იმუშაოს თუ არა ცოლმა ან პარტნიორმა, თუკი მამაკაცი ახერხებს ოჯახის წევრების უზრუნველყოფას, მამაკაცი რესპონდენტების დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ასეთ შემთხვევაში ქალის არასრულ განაკვეთზე მუშაობას, ხოლო გამოკითხულთა მეოთხედმა პასუხად აირჩია, რომ ქალი უნდა დარჩეს სახლში ან დაკავდეს ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მონაწილეობით. რაც შეეხება ქალ რესპონდენტებს, უმეტესობამ მხარი დაუჭირა მთლიანი დატვირთვით მუშაობას, იგივე რაოდენობამ, როგორც მამაკაცების შემთხვევაში, არასრულ განაკვეთზე მუშაობას, ხოლო გაცილებით ნაკლებმა კი სახლში გაჩერებას, ან ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მონაწილეობას<sup>2</sup>. მოცემული შედეგები, ისევე, როგორც ამ მიმართულებით ჩატარებული სხვა კვლევები, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ უნგრეთში კვლავაც ძლიერია ტრადიციული შეხედულებები გენდერული როლების შესახებ.

მესამე გამოკითხვა ჩატარდა 2016 წ. და რესპონდენტებს ეკითხებოდნენ, თუ როგორ შეაფასებდნენ ისინი ქალთა მდგომარეობას მამაკაცთა მდგომარეობასთან შედარებით. უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ქალები უარეს მდგომარეობაში არიან – ზოგი ამ მდგომარეობას აფასებდა ოდნავ უარესად, ხოლო გამოკითხულთა ოდნავ ნაკლები რაოდენობა მიიჩნევდა, რომ ქალები გაცილებით უარეს მდგომარეობაში არიან<sup>3</sup>.

რაც შეეხება ქალთა დასაქმების მხრივ არსებულ ხარვეზებს, როგორც ქალი, ასევე მამაკაცი რესპონდენტებისათვის ყველაზე დიდი პრობლემა იყო მოქნილი სამუშაო გარემოს არარსებობა.

რაც შეეხება პრობლემების სავარაუდო გადაწყვეტას, როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ქალთა „პოზიტიური დისკრიმინაციის“ იდეას. მამაკაცები ამ იდეას უფრო მეტად ემხრობოდნენ. რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა აგრეთვე მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებების მიმღებ არჩევით ორგანოებში თანასწორი წარმომადგენლობის პრინციპს. თუმცა, როცა საქმე კონკრეტულ ზომებზე მიდგა, ამ სფეროში კვოტირების შემოღებას პირველი ორი გამოკითხვის რესპონდენტთა უმრავლესობა არ დაეთანხმა. კვოტირების სამ შეთავაზებულ ვარიანტს შორის, ყველაზე მაღალი მხარდაჭერა ჰქონდა კვოტირებას კომიტეტებში, მას მოსდევდა კანდიდატთა სიებში კვოტირება, ხოლო ყველაზე ნაკლები მხარდაჭერა ჰქონდა თანამშრომელთა დაკომპლექტებისას კვოტირების შემოღებამ<sup>4</sup>. მესამე გამოკითხვისას იყო კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ქალები მონაწილეობდნენ ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე და დიდ კომპანიებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სამივე კითხვაზე პასუხისას რესპონდენტებმა ქალის მონაწილეობას მაღალი მნიშვნელობა მიანიჭეს; ქალი რესპონდენტები აქაც

1 იხ: Előzetes Összegzés A TÖOSZ MANORKA PROJEKT keretében elvégzett esélyegyenlőségi kutatás első két Hullámáról (TÖOSZ პროექტ MANORKA-ს ფარგლებში თანასწორი შესაძლებლობების კვლევის პირველი ორი ტალღის წინასწარი რეზიუმე, რობერტ კოვაჩი, ანიკო სუკოსდი, ბუდაპეშტი, 2016 წ.

აგრეთვე იხ. (კვლევის მესამე ტალღა): A MANORKA projekt hatásának értékelése – A MANORKA projekt hatása a női esélyegyenlőségre az önkormányzati szektorban. (პროექტ MANORKA შეფასება – პროექტის MANORKA ეფექტი ქალთა თანასწორ შესაძლებლობებზე ადგილობრივ თვითმმართველობაში. ავტორი: რობერტ კოვაჩი. მომზადებულია ადგილობრივი სადამკვირვებლო ოფისის მიერ, ბუდაპეშტი, 2016 წ.

ორივე ნაშრომი შევიდა Krausz Veronika and Lüttmerdingné Balla Mónika eds: MANORKA „Önkormányzati kapacitásépítés norvég-magyar együttműködéssel” című projekt – A nemek közötti esélyegyenlőségért – A nők és férfiak helyzete a közéletben és a magánéletben Magyarországon és Norvégiában 2013–2016. (MANORKA შესაძლებლობათა გაძლიერება მუნიციპალიტეტებში ნორვეგიულ-უნგრული თანამშრომლობის პროექტის – „ქალთა და მამაკაცთა თანასწორი შესაძლებლობებისათვის – ქალთა და მამაკაცთა მდგომარეობა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში უნგრეთსა და ნორვეგიაში“ საშუალებით 2013–2016). უნგრულ ენაზე იხ. ბმულზე:

<http://www.manorka.net/uploads/images/Kiadv%C3%A1nyok/es%C3%A9lyegyenl%C5%91s%C3%A9g.pdf> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

2 იხ: Krausz Veronika and Lüttmerdingné Balla Mónika eds: MANORKA, op. cit. გვ. 48-52.

3 იქვე., გვ. 60-61.

4 იქვე., გვ. 52-54.

უფრო მეტ მხარდაჭერას ავლენდნენ. კითხვაზე, საჭიროა თუ არა კვოტირება პოლიტიკური პარტიების და კანდიდატებისთვის, ქალებმა ორივე კვოტას დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს, ხოლო მამაკაცებმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს<sup>1</sup>.

პირველ ორ გამოკითხვაში იყო კითხვები ქალთა და მამაკაცთა თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი მარეგულირებელი მექანიზმისა და საშუალებების შესახებ. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა უმეტესობასთან არ მოქმედებს ნორმები, რომლითაც მოახდენდნენ ძალადობისა და შევიწროების ფაქტების პრევენციას და მათზე რეაგირებას. მართალია, უმეტესობას ჰყავს მომხსენებელი თანასწორობის საკითხებზე, თუმცა მათ, გარდა გენდერული საკითხებისა, თანასწორი მოპყრობის სხვა ფორმებზეც უწევთ მუშაობა. რესპონდენტთა უმეტესობამ განაცხადა, რომ სამუშაო განაწესის შედგენისას ისინი ითვალისწინებდნენ თანასწორი შესაძლებლობების ასპექტებს, თუმცა მათგან მხოლოდ მცირე ნაწილმა აღნიშნა მათთან მოქნილი სამუშაო გარემოს არსებობის შესახებ. ბიუჯეტის შემუშავებისას და ადგილობრივი დაგეგმვისას რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი არ ითვალისწინებს გენდერულ საკითხებს.<sup>2</sup>

## თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი პროგრამებისა და სხვა სტრატეგიების პრაქტიკული განხორციელება – მიღებული გაკვეთილები

უნგრეთში ამჟამად 3155 მუნიციპალიტეტია (სოფლები, ქალაქები და ა.შ.). ოფიციალური ვებგვერდის მიხედვით, არსებობს თანასწორი შესაძლებლობების 3162 დამტკიცებული პროგრამა (მათ შორისაა ბუდაპეშტის 23 რაიონი)<sup>3</sup>, რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის ყველა ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს მოქმედი ადგილობრივი გეგმა.

როგორც გამჭირვალობისა და რესურსების / მაგალითების მისაწვდომობის, ასევე კვლევისა და პოლიტიკის თვალსაზრისით სასარგებლოა, რომ ყველა ადგილობრივი გეგმა განთავსებულია ინტერნეტ სივრცეში. მონაცემთა მოძიება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის დასახელების, მცხოვრებთა რაოდენობის და ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. გარდა ამისა, ცალკე კომპიუტერული პროგრამა ეხმარება ადგილობრივ თვითმმართველობას, მოამზადოს პროგრამები და გააღრმავოს ურთიერთობები თანასწორი მოპყრობის მენტორებთან.

ადამიანური რესურსების სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა პუბლიკაციის სახით წარმოადგინა თანასწორი შესაძლებლობების გეგმის თვისობრივი ანალიზი და შეფასება<sup>4</sup>. მასში აღნიშნული იყო, რომ არსებობს გეგმის შემუშავებისათვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო ინსტრუქციების საჭიროება. საკანონმდებლო ჩარჩოს ხარვეზებს შორის აღინიშნა, რომ არ არსებობს დებულებები განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შეფასების შესახებ, არ არის უზრუნველყოფილი გეგმის მიმდინარეობის მონიტორინგი და მისი აღრიცხვიანობა. რეკომენდებულია გეგმა აღიჭურვოს ინდიკატორებით, განისაზღვროს პასუხისმგებელი მხარეები და შესრულების ვადები.

ამ შეფასების თანახმად, როგორც გამოცდილება აჩვენებს, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს ურთიერთგანსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ადგილობრივი გეგმის მიმართ, რაც უკავშირდება ადამიანურ რესურსებს და თანასწორი შესაძლებლობების პრინციპების ერთგულებას. ასევე ნათელი იყო, რომ მენტორებმა საგრძობლად გაუმარტივეს საქმე ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლებს. იყო შემთხვევები, როცა მათ გარეშე ვერ მოხერხდებოდა გეგმის შემუშავება. ამავდროულად, მენტორებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა გეგმის განხორციელებაზე ზედამხედველობა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

ამ პროცესს შედეგად მოჰყვა თანასწორი შესაძლებლობების რამდენიმე ასეული ფორუმის შექმნა ადგილობრივ დონეზე. არსებული გამოცდილებით, ამგვარი ფორუმების ყველაზე დიდი სარგებელი მდგომარეობს იმაში, რომ მოხერხდა ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ერთ მაგიდასთან შეკრება, მათ შორის ამოცანების ურთიერთგაზიარება და ფუნქციების განაწილება.

1 იქვე., გვ. 69-70.

2 იქვე., გვ. 54.

3 იხ: <https://hep.ttki.hu/Public/PublishedProgramSearch.aspx?searchtext> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

4 იხ: Sebestyén Zsuzsa: „Inventárium a Helyi Esélyegyenlőségi Programokról” (თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი პროგრამების რეესტრი). In: Krausz Veronika and Lüttmerdingné Balla Mónika eds: MANORKA, op. cit., გვ. 88-96.

კითხვაზე, თუ რომელი სამიზნე ჯგუფი იყო ყველაზე პრობლემატური თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმის შემუშავების, მონაცემთა მისაწვდომობის ან საჭირო ღონისძიებების იდენტიფიცირების თვალსაზრისით, ექსპერტები ყოველთვის აღნიშნავენ ბოშებს და ქალებს. პრობლემებს შორის ცალსახად აღინიშნა ოჯახურ ძალადობაზე მონაცემების ნაკლებობა.

მოცემული ანგარიშის მიზნებისთვის კითხვარები დაეგზავნა ადგილობრივ თვითმმართველობებს 20,000-იანი ან მეტი მოსახლეობით. კითხვები შეეხებოდა ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივებს (კვლევები, პროექტები) გენდერული თანასწორობის და გენდერული მენისტრიმინგის სფეროში, მათ პოლიტიკას და გეგმებს ამ მიმართულებით, აგრეთვე გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ოფიციალური პირის და ფორუმების / პლატფორმების არსებობას და სხვ. 84 ადგილობრივი თვითმმართველობიდან, რომელთაც დაეგზავნა კითხვარი, პასუხი გაგვცა 35-მა (42%), ასევე ინფორმაცია მოგვანოდა ორმა სხვა თვითმმართველობამაც, რომლებთანაც კითხვარი არ გაგვიგზავნია.

ყველა ადგილობრივ თვითმმართველობას, რომლებმაც გვიპასუხეს კითხვარზე, გააჩნდა თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი გეგმა, რომელთა უმეტესობა 2017 წელსაა მიღებული. პასუხებიდან ამკარაა, რომ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაო და აქტივობები განხორციელდა და ახლაც ხორციელდება გეგმის ფარგლებში. რაც შეეხება კონკრეტულად, როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ აქტივობებს, ყველაზე ხშირად რესპონდენტებმა აღნიშნეს დასაქმებისა და ოჯახური ურთიერთობის საკითხები: ქალთა დასაქმება, ბავშვთა აღზრდის შემდეგ სამუშაოზე რეინტეგრაცია, სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსება, ოჯახისათვის მეგობრული გარემოს შექმნა. უფრო ნაკლებად აღინიშნა ქალთა ჩართვა და წარმოჩენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლა. გამოკითხულთაგან არც ერთ ადგილობრივ თვითმმართველობაში არ არის დანიშნული ოფიციალური პირი, რომელიც მხოლოდ გენდერული თანასწორობის საკითხებზე იმუშავებდა. თუმცა, ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ თვითმმართველობაში არის მომხსენებელი, ან თანამშრომელი თანასწორი შესაძლებლობების საკითხებზე, რომელიც პასუხისმგებელია გეგმის განხორციელებაზე (აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების თანასწორი შესაძლებლობების გეგმებზე). ანალოგიურად, ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა თანასწორი შესაძლებლობების ფორუმების ან საბჭოების არსებობა, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილობრივი გეგმის შედეგად შეიქმნა. მხოლოდ სამ მუნიციპალიტეტში მოქმედებს გენდერული თანასწორობის მომუშავე ფორუმები, რომლებშიც მიმდინარეობს თანამშრომლობა და აზრთა ურთიერთგაცვლა ადგილობრივ ხელისუფლებას, ექსპერტებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის და კიდევ ერთი ადგილობრივი ხელისუფლება აპირებს ამგვარი ფორუმის შექმნას.

## ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების აქტივობები გენდერული თანასწორობის სფეროში

არ არსებობს სახელმწიფო რეგულაცია, რომელიც გაითვალისწინებდა ადგილობრივ / რეგიონულ ადმინისტრაციაში გენდერული თანასწორობის ერთეულის ან პასუხისმგებელი პირის ფუნქციონირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში მოქმედებს ადგილობრივ ხელისუფალთა ეროვნული ასოციაცია (TÖÖSZ), ადგილობრივ მთავრობათა ადვოკატირების უმსხვილესი ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია ქალი მერების განყოფილება. იგი ეროვნულ დონეზე ინტერესთა გამომხატველი სამართალსუბიექტურობის არმქონე ორგანოა. მისი ფუნქციები გულისხმობს: მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორ შესაძლებლობებს; გააძლიეროს ქალების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ებრძოდოს დისკრიმინაციას მონყვლადი ჯგუფების მიმართ; მოამზადოს შენიშვნები კანონპროექტებზე და სამართლებრივ გადანყვეტილებებზე; დაეხმაროს საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებაში; ხელი შეუწყოს ადგილობრივი მმართველობისა და საჯარო ადმინისტრირების განვითარებას თანასწორი შესაძლებლობებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად. განყოფილება შედგება გენერალური ასამბლეისა და მმართველი საბჭოსაგან. გენერალური ასამბლეის შემადგენლობაში შედის ყველა რეგისტრირებული წევრი და მისი სხდომა იმართება მინიმუმ წელიწადში ერთხელ. წევრობა ნებაყოფლობითია TÖÖSZ-ის წევრებისთვის. საბჭო წარმოადგენს გადანყვეტილების მიმღებ ძირითად ორგანოს ასამბლეებს შორის პერიოდში. იგი ცხრა

წევრისაგან შედგება: განყოფილების პრეზიდენტი, გენერალური ასამბლეის მიერ არჩეული შვიდი რეგიონალური წევრი და TÖOSZ გენერალური მდივანი, რომელიც არის წევრი *ex officio*.

ამ ანგარიშის მომზადებისას აღმოჩნდა, რომ 2010 წლის შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის თემატიკაზე განხორციელდა ერთი პროექტი. ეს იყო ზემოთ უკვე ნახსენები MANORKA პროექტი.

პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო საზოგადოებაში ქალთა როლის გაძლიერება და შრომისა და პირადი ცხოვრების ბალანსის გაუმჯობესება. განსახორციელებელ სამუშაოთა კომპლექსის და მუშა ჯგუფის ამოცანები მდგომარეობდა შემდეგში: თანასწორი მოპყრობის დამკვიდრება, მიუხედავად გენდერული ნიშნისა, საზოგადოების მიდგომების შეცვლით და პოლიტიკურ ცხოვრებაში საზოგადოებისათვის მაგალითის მიმცემი ქმედებით ქალებისა და მამაკაცებისათვის თანასწორი შესაძლებლობების შექმნა; ქალებსა და მამაკაცებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება; პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების ჩართულობის ხელშეწყობა. ამ სამუშაოთა კომპლექსის ფარგლებში განხორციელდა მრავალი აქტივობა.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა თანასწორ შესაძლებლობებათა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა არჩეული წევრებისაგან (ადგილობრივი ხელისუფლებიდან). თავდაპირველად დაგეგმილი 40 წევრის ნაცვლად, მის შემადგენლობაში 61 ადამიანი იყო.

პროექტის ფარგლებში გენდერული თანასწორობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის თემატიკაზე მერებს შორის ჩატარდა ეროვნული მასშტაბის სამი გამოკითხვა. ზემოთ უკვე წარმოგიდგინეთ ამ გამოკითხვათა ძირითადი შედეგები.

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო გენდერული თანასწორობის მიმართულეობით სანიმუშო პრაქტიკის მაგალითების იდენტიფიცირება, შერჩევა და რეკლამირება. მოხდა საპილოტე პროგრამის ორგანიზება, რათა გამოვლენილიყო შრომისა და პირადი ცხოვრების ბალანსის დაცვის მხრივ ნორვეგიის 5 სანიმუშო მაგალითი. შერჩეულ იქნა 5-5 წარმომადგენელი უნგრული და ნორვეგიული მხარეებიდან, რომლებიც პილოტირების პროცესში მუშაობდნენ წყვილებში და შეხვედრებზე ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას<sup>1</sup>. საპილოტე პროგრამა დაიწყო უნგრეთში სამდღიანი ვორკშოპით. უნგრელი მონაწილეები გაეცნენ ნორვეგიის საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშებს. შემდგომ, ამ მაგალითების საფუძველზე, ნორვეგიელი კოლეგების დახმარებით, მათ შეიმუშავეს ექსპერიმენტული აქტივობები და სამოდელო პროექტები. მიღებული გამოცდილება გაუზიარეს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს ადგილებზე გამართულ ვორკშოპებზე, სადაც ნორვეგიელმა კოლეგებმაც გააკეთეს პრეზენტაციები. ასევე მოხდა ნორვეგიაში სასწავლო ვიზიტის ორგანიზება, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების ხელმძღვანელები, ადამიანური რესურსების სამინისტროს წარმომადგენლები და ექსპერტები. ვორკშოპზე მხარეებმა ერთმანეთს შეადარეს ორი ქვეყნის გენდერული პოლიტიკა, ადგილობრივი რეგულაციები და აქტივობები ამ მიმართულებით.

გამოიცა და უნგრულად ითარგმნა პუბლიკაცია: „*ესპანეთის და ნორვეგიის ადგილობრივი თვითმმართველობების საუკეთესო პრაქტიკის გზამკვლევი სამუშაოსა და პირადი ცხოვრების ბალანსის ხელშეწყობის კუთხით*“.

პროექტის ფარგლებში დაგროვილი გამოცდილების შეჯამება მოხდა საბოლოო კონფერენციაზე და ცალკე პუბლიკაციაში<sup>2</sup>. პროექტის საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს შორის ერთ-ერთია ურთიერთშეთანხმებული ინიციატივების, ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის რეგულაციების და ერთობლივი საქმიანობის აუცილებლობა, რასაც შეუძლია შეცვალოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის ამჟამინდელი მაჩვენებელი, ხელი შეუწყოს სამუშაოსა და პირადი ცხოვრების დაბალანსებას და გენდერული თანასწორობის მხრივ ვითარების გაუმჯობესებას. რაც შეეხება MANORKA პროექტის შემდგომ რეაგირებას, როგორც პროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა TÖOSZ-მა აღნიშნა, ქალი მერების განყოფილების საშუალებით შესაძლებელია სანიმუშო პრაქტიკის მაგალითების განხილვა, ახალი პროექტების ინიცირება, საპილოტე აქტივობების დაწყება და საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილების მაგალითების რეკლამირება<sup>3</sup>.

1 თანამშრომლობაში მონაწილეობდნენ შემდეგი მუნიციპალიტეტები: ჰიდეგუუტი (უნგრეთიდან) თანამშრომლობდა ფოსნესთან, აბასარი ჰოილანდეთთან, ეტიეკი ვერდალთან, სენტენდრე სატნგესთან და ბუკი სტაინკიერთან.

2 იხ. Krausz Veronika and Lüttmerdingné Balla Mónika eds: *MANORKA, op. cit.*

3 დეტალებისათვის იხ. დრ. ზონგორ გაბორი, პროექტ MANORKA შეჯამება. იხ. ბმულზე: <http://www.manorka.net/uploads/images/Kiadv%C3%A1nyok/MANORKA-%C3%B6sszeg%C3%A9s-english-boritoval-opti.pdf> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

პროექტის აპლიკანტმა პროექტის მიღწევებს შორის აღნიშნა პროფესიონალთა ქსელის დაარსება, რომლის მეშვეობითაც წევრებს შეუძლიათ ერთობლივი მუშაობა მომავალი აქტივობებისა და პროექტების ირგვლივ<sup>1</sup>. ჩატარებულმა კვლევამ მეტად სასარგებლო ინფორმაცია მოგვანოდა ადგილობრივ დონეზე არსებული ვითარების შესახებ. ამავდროულად, სამწუხაროდ, პროექტში პარტნიორების სახით ჩართულნი არ ყოფილან უნგრეთის ქალთა უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები. შესაბამისად, საჯაროდ ხელმისაწვდომ დოკუმენტებში ამ ღონისძიებაზე გამომსვლელთა შორის მოხსენიებულია ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენელი მხოლოდ ერთი კომპანია. პროექტს კარგი პოტენციალი გააჩნდა იმისათვის, რომ ყოვლისმომცველ კონტექსტში ყურადღება გაემახვილებინა ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის საკითხზე, თუმცა ფოკუსირება მხოლოდ ერთ თემატიკაზე, სამუშაოსა და ოჯახური ცხოვრების შეთავსების საკითხზე მოხდა. გარდა ამისა, ნორვეგიული პროექტების ადაპტირებისას შერჩეულ პროექტებში ორი საგანმანათლებლო პროექტი მოხვდა, რომლებიც ექსკლუზიურად გენდერულ თანასწორობაზე არ იყვნენ ფოკუსირებულნი. ამავდროულად, პროექტის ერთ-ერთი მონაწილის საქმიანობაში შესაძლებელია დავინახოთ საკმაოდ მრავალმხრივი მიდგომა: ქალაქმა სენტენდრემ შეიმუშავა გეგმა, განევითარებინა მათი ადრინდელი პროექტი სახელწოდებით „სენტენდრე – ქალების საჭიროებებზე მორგებული ქალაქი“. ოჯახისათვის ადაპტირებული ადგილებისა და სერვისების განვითარების აქტივობებთან ერთად მასში მოხსენიებული იყო სხვა ისეთი ღონისძიებებიც, როგორცაა მაგ. ქალი მხატვრების ძეგლის აღმართვა ან ჯანმრთელობის სკრინინგ-პროგრამები.

ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ინფორმაცია, თუ როგორ განხორციელდა საპილოტე აქტივობები მონიწივე პრაქტიკის სანიმუშო მაგალითების ადაპტაციის მხრივ და რა შედეგები იქნა მიღებული.

სამწუხაროდ, პროექტის დოკუმენტაციაში არ არის ინფორმაცია იმის შესახებ, მოხდა თუ არა პროექტის სხვა კომპონენტებში (მაგ. ადგილობრივ მთავრობათა ასოციაციების შესაძლებლობების განვითარება ან სილარიბესთან ბრძოლა) გენდერული მეინსტრიმინგის გამოყენება.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, მივმართეთ ადგილობრივი თვითმმართველობების რვა ასოციაციას გენდერული თანასწორობის მიმართულებით მათი ჩართულობისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად<sup>2</sup>. მათგან ოთხმა მოგვანოდა ინფორმაცია<sup>3</sup>. მათი პასუხებიდან ირკვევა, რომ გენდერული თანასწორობის საკითხები არ ხვდება მათ პრიორიტეტებში და დღის წესრიგში. მათ არ უხელმძღვანელიათ და მონაწილეობა არ მიუღიათ აღნიშნულ თემატიკაზე განხორციელებულ პროექტში ან კვლევაში და ორგანიზაციებში არ არსებობს გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი სამტატო ერთეული. კითხვაზე, ამ სფეროში არსებული მონიწივე პრაქტიკის სანიმუშო მაგალითების შესახებ, ერთ-ერთმა მიუთითა ამ მიმართულებით TÖOSZ-ის შესაბამის აქტივობებზე. გარდა ამისა MÖSZ-მა აღნიშნა, რომ მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, უნგრეთის მერების მსოფლიო სამიტში, ცალკე სექცია დაეთმო პოლიტიკაში ქალების მონაწილეობას.

## ბუდაპეშტი და გენდერული თანასწორობა – პოლიტიკური ჩარჩო

ბუდაპეშტი, როგორც ქვეყნის დედაქალაქი, რომელშიც ქვეყნის მოსახლეობის ერთ მეხუთედამდე ცხოვრობს, ადგილობრივ თვითმმართველობაში სპეციფიკური სტატუსით სარგებლობს. ბუდაპეშტის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია იმ ამოცანების შესრულებაზე, რომელთა მასშტაბიც მოიცავს მთელ ბუდაპეშტს ან ერთზე მეტ რაიონს, და ასევე იმ ამოცანებზე, რაც უკავშირდება დედაქალაქის განსაკუთრებულ როლს<sup>4</sup>.

1 იხ. Krausz Veronika and Lüttmerdingné Balla Mónika eds: MANORKA, op. cit.

2 ადგილობრივ ხელისუფალთა ეროვნული ასოციაცია (TÖOSZ), ოლქების ადგილობრივ მთავრობათა ეროვნული ასოციაცია (MÖOSZ), საოლქო მნიშვნელობის ქალაქების ასოციაცია (MJVSZ), ბუდაპეშტის ადგილობრივ მთავრობათა ასოციაცია (BÖSZ), თემების და მცირე მუნიციპალიტეტების ეროვნული ასოციაცია (KÖSZ), უნგრეთის ადგილობრივ მთავრობათა ასოციაცია (MÖSZ), მცირე ქალაქების ეროვნული ასოციაცია (KÖÖÉS), და უნგრეთის სოფლების ასოციაცია (MFSZ)

3 ინფორმაცია მოგვანოდა: MÖOSZ, MÖSZ, KÖSZ და MFSZ.

4 ბუდაპეშტის 23-ვე რაიონს აქვს თანასწორი შესაძლებლობების მიმართულებით პოლიტიკის თავისი ჩარჩო, თუმცა ნაშრომის შეზღუდულობის გამო განვიხილავთ მხოლოდ ბუდაპეშტის მუნიციპალიტეტის პოლიტიკას.

როგორც 2007 წელს (ევროკავშირში განცვიანებიდან სამი წლის შემდეგ) ბუდაპეშტის გენდერული პოლიტიკის ანალიზმა აჩვენა, არ არსებობს რაიმე სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ხელს შეწყობდა გენდერული თანასწორობის ან გენდერული მეინსტრიმინგის დამკვიდრებას<sup>1</sup>. მეტიც, სხვადასხვა სფეროში სტრატეგიული დოკუმენტები (მაგ. ურბანული განვითარების, დანაშაულის პრევენციის, განათლების) არ არის გენდერულად ორიენტირებული: მათში მოცემული არ არის სიტუაციის გენდერული ანალიზი (არ მოიპოვება გენდერულად სეგრეგირებული მონაცემებიც კი) და გენდერულად სენსიტიური დაგეგმვა და ამოცანების განსაზღვრა.

მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა 2010 წ., როცა ბუდაპეშტის მუნიციპალიტეტისათვის დამტკიცდა თანასწორი შესაძლებლობების პროგრამა სახელწოდებით „ბუდაპეშტი – უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ შესაძლებლობა“<sup>2</sup>. დოკუმენტი ძალაში შევიდა 2016 წელს. სამიზნე ჯგუფში გაჩნდა ქალებიც, თუმცა საკმაოდ ფართო ჯგუფში „ქალები, მამაკაცები და ოჯახები“. ამავდროულად, განვითარების გარკვეული დირექტივები და ღონისძიებები კონკრეტულად ქალებზეა გამიზნული, მაგ.: ქალების მოთხოვნების შესაბამისად კონკრეტული სერვისების უზრუნველყოფის მონიტორინგი და ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება, ქალებისა და მათი მიღწევების ხილვადობის გაზრდა საზოგადოებრივ ადგილებსა და დაწესებულებებში. გარდა ამისა, გათვალისწინებულია გარკვეული ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია საოჯახო პასუხისმგებლობების განაწილების, სამუშაოსა და ოჯახის შეთავსებისა და ბავშვებიანი ოჯახებისათვის სერვისებისა და შესაძლებლობათა შექმნისაკენ.

დადებითი ფაქტორია დოკუმენტში იმის ხაზგასმა, რომ დედაქალაქმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს იმას, რომ გენდერული მეინსტრიმინგი საფუძვლიანად დამკვიდრდეს და იკვეთებოდეს დედაქალაქის კანონმდებლობასა და საქმიანობაში. აღნიშნული პროგრამა მოხვდა არადისკრიმინაციული და თანასწორი მოპყრობის საუკეთესო პრაქტიკის ევროკომისიის კომპენდიუმში.

ამჟამად ამ მიმართულებით პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს წარმოადგენს „დედაქალაქ ბუდაპეშტის თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი პროგრამა“ (2017-2022)<sup>3</sup>. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგრამა აგებულია ევროკავშირის შესაბამის დირექტივებზე და ეროვნულ კანონმდებლობაზე. მასში უნდა აისახოს გადამწყვეტილებების მიღების პროცესში თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ჰორიზონტალური პრინციპის აღსრულება, აგრეთვე ევროკავშირის შემოთავაზებული თანასწორი შესაძლებლობების სახელმძღვანელო ინსტრუქციებში მოცემული კრიტერიუმები და დებულებები.

ქალები პროგრამის ათ სამიზნე ჯგუფს შორის ერთ-ერთია და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ცალკე სამიზნე ჯგუფად არის გამოყოფილი. დამატებით, გამოყოფილია ცალკე ჯგუფი იმ პირებისა, ვინც ბავშვებს ზრდის. პროგრამაში მოცემულია სიტუაციური ანალიზი ქალებთან მიმართებით, რომელიც ეხება სხვადასხვა სექტორს. გარდა ამისა, სხვა სამიზნე ჯგუფების სიტუაციური ანალიზის შემთხვევაშიც გამოყენებულია გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები. დოკუმენტის სტრატეგიული ნაწილი განსაზღვრავს საჭირო ჩარევების მიმართულებებს. იგი ეყრდნობა კომპლექსური მიდგომის პრინციპებს, თუმცა უფრო ფართო მასშტაბით, როგორც „თანასწორი შესაძლებლობების კომპლექსური მიდგომის“ პრინციპებს, ხოლო გენდერული მეინსტრიმინგი მასში ნახსენები არ არის. პროგრამაში ჩამოყალიბებულია როგორც ზოგადი ღონისძიებები, რომლებიც ყველა სამიზნე ჯგუფზე ვრცელდება, ასევე კონკრეტული სამიზნე ჯგუფისათვის განსაზღვრული ღონისძიებანი. კონკრეტულად ქალთა ჯგუფისათვის გამიზნული ღონისძიებებია: კამპანიების წარმართვა, რომელთა მიზანია საოჯახო პასუხისმგებლობების განაწილება; კამპანიების წარმოება და დამსაქმებელთა დაინტერესება, რათა შემცირდეს შრომის ანაზღაურებაში გენდერული სხვაობები და გაუმჯობესდეს ქალების დასაქმებისა და დანაშაურების შესაძლებლობები; ქალთა ჩვევებისა და მოთხოვნების გათვალისწინება დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ადგილების დიზაინში; უზრუნველყოფა იმისა, რომ ქალთა წარმომადგენლობა ურბანული დაგეგმარების, განვითარების და ოპერირების შესახებ გადამწყვეტილებების მიღე-

1 იხ: ენიკო პაპი, ფანი ბორბირო: „გენდერული თანასწორობა და გენდერული მეინსტრიმინგი ბუდაპეშტში: სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხები ორმილიონიან თვითმმართველობაში – სიტუაციური ანალიზი და რეკომენდაციები“, ბუდაპეშტი, 2007 წ.

2 პროგრამა მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით №1558/2010. (VIII. 26.). უნგრულ ენაზე პროგრამა იხ. ბმულზე:

<http://www.pestesely.hu/doc/BELIV-strategia-es-celok-vegleges.pdf> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

3 უნგრულ ენაზე პროგრამა იხ. ბმულზე: <http://www.pestesely.hu/doc/FHEP-2017-22.pdf> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

ბის პროცესში შეესაბამებოდეს მოსახლეობაში მათ პროცენტულ რაოდენობას. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ არსებული დოკუმენტი ითვალისწინებს უახლოეს წლებში გენდერული თანასწორობის სამუშაო ჯგუფის შექმნას და საქმიანობას.

რაც შეეხება დედაქალაქის თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივ პროგრამას, მასში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბუდაპეშტის მუნიციპალიტეტის მიერ 1996 წელს დაარსებული ორგანიზაციის Budapest Esély Nonprofit Ltd. როლი. მისი მუშაობის ორი ძირითადი მიმართულებაა დასაქმების ხელშეწყობა და სოციალური ჩართულობის განვითარება. ორგანიზაცია მონაწილეობს სოციალური ჩართულობისა და დასაქმების ხელშეწყობის ქსელის შექმნასა და ფუნქციონირებაში და შესაბამისი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში. იგი წარმოადგენს დედაქალაქს სხვადასხვა ადგილობრივ და ევროპულ პროექტში<sup>1</sup>, აქვეყნებს მასალებს თანასწორი შესაძლებლობების შესახებ, შეიმუშავებს და ანცობს ტრენინგებს ამ სფეროში<sup>2</sup>. აღსანიშნავია, რომ კომპანია კოორდინირებას უწევს დედაქალაქ ბუდაპეშტის თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას. 2016 წ. მიმდინარე პროგრამის შემუშავებისას მათ ორგანიზება გაუკეთეს ორეტაპიან ფართო საზოგადოებრივ კონსულტაციებს. გარდა ონლაინ კონსულტაციებისა, მოაწყვეს შვიდი საკონსულტაციო დღე, რომელთაგან ხუთი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს დაეთმო. პროცესში მონაწილეობა შესთავაზეს ქალთა უფლებადამცველ ორგანიზაციებსაც.

## სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გენდერული თანასწორობისათვის – შემთხვევების ანალიზი

ბუდაპეშტში ბოლო ათწლეულის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით მრავალი აქცია გაიმართა ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე. ამ თემასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ სტატიაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია სამი ასეთი შემთხვევა<sup>3</sup>. ქვემოთ მოცემულია მათი და დამატებით კიდევ ერთი შემთხვევის მოკლე მიმოხილვა და ამ შემთხვევებიდან გამომდინარე დასკვნები.

### რუდას აბანოების შემთხვევა

ბუდაპეშტის თურქული აბანოები, რომელსაც რუდას აბანოები ეწოდება, 2000-იანი წლების დასაწყისში განაახლეს. მათი გახსნის შემდეგ დანესდა დღეები მხოლოდ მამაკაცებისათვის ორშაბათიდან შაბათამდე. ქალებსაც და მამაკაცებსაც შეეძლოთ პარასკევს და შაბათს ღამით და კვირას მთელი დღის განმავლობაში ბანაობა.

ამგვარმა რეგულაციამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ამ წესის წინააღმდეგ მოქალაქეებმა შეადგინეს ონლაინ პეტიცია და საჩივრით მიმართეს სხვადასხვა ორგანოს: თანასწორი მოპყრობის სამმართველოს, ფუნდამენტური უფლებების კომისარს, ბუდაპეშტის აბანოების კომპანიას და ბუდაპეშტის მერს (ეს უკანსაკნელი მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც დედაქალაქი არის ბუდაპეშტის აბანოების კომპანიის მფლობელი). ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს წესი დისკრიმინაციულია ქალების მიმართ და იგი შეიცავს თანასწორი მოპყრობის შესახებ კანონის დარღვევის ნიშნებს. შემთხვევა საკმაოდ რეზონანსული გახდა და მიიპყრო საზოგადოებისა და მედიის ყურადღება. ბუდაპეშტის მერმა გადაწყვიტა შეეცვალა ეს წესი და დაენესებინა ორი დღე, როცა მხოლოდ ქალებს შეეძლოთ შესვლა.

მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი დისკუსიების დროს კომპანიას სხვადასხვა ამოცანის შესრულება დაეკისრა, მაგალითად, გამოკითხვის ჩატარება ქალების მიერ აბანოთი სარგებლობის შესახებ, სამიზნე ჯგუფში ახალი შესაძლებლობების ხელშეწყობა, მან ვერ შეძლო მათი შესრულება. სატესტო

1 თანასწორი შესაძლებლობებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ადრე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბუდაპეშტის სოციალური რესურსების ცენტრი. ის ჩართული იყო შესაბამის პროფესიულ აქტივობებში (კონსულტაციები, პოლიტიკის ფორმირების პროცესი) და პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში ხელმძღვანელობდა ან მონაწილეობდა სხვადასხვა ევროპულ პროექტში.

2 მეტი ინფორმაციისათვის იხ. ბმული: <http://www.pestesely.hu/?pageid=menueng> (ვებგვერდი ნანახია 2018 წ. 11 თებერვალს)

3 იხ: ფანი ბორბირო: სამოქალაქო ინიციატივები – საეჭვო შედეგები ურბანული პოლიტიკის ფორმირებისას. სამოქალაქო ჩართულობის შემთხვევები გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ფორმირებისას ბუდაპეშტში



პერიოდის ბოლოს შეთანხმდნენ, რომ კვირაში იქნებოდა ერთი დღე მხოლოდ ქალებისათვის და შაბათ-კვირას კი დაშვებული იქნებოდა როგორც ქალების, ასევე მამაკაცების შესვლა.

### **სამგზავრო ბარათი მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებისათვის**

მცირეწლოვან ბავშვთა მშობლებისათვის სამგზავრო ბარათებზე ფასდაკლებების შემოღების საკითხი 2007 წელს დააყენა პოლიტიკოსმა ქრისტინა-დემოკრატიული პარტიიდან, რომელიც ბუდაპეშტის გენერალურ ასამბლეაში ოპოზიციას წარმოადგენდა. მან მხარდაჭერისათვის მიმართა ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ადრე მცირეწლოვან ბავშვთა მშობლების მობილობის საკითხებზე მუშაობდა. მან შესაბამისი წინადადება რამდენჯერმე წარუდგინა ბუდაპეშტის ასამბლეას, თუმცა ეს წინადადებები ყოველთვის ჩავარდა. 2007 წელს მან ახალი წინადადება წარუდგინა ასამბლეის კომიტეტს, რომელიც პასუხისმგებელი იყო თანასწორი შესაძლებლობების საკითხებზე. ინიციატივის განსახილველად მოენყო შეხვედრა, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ცალკეული პირები. მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს ამ წინადადებას, თუმცა კი მოგვიანებით მხარდაჭერა უკან გაიწვიეს. 2008 წლის მარტში გამართულ კენჭისყრაზე ეს წინადადება კვლავ ვერ გავიდა. ამ ჩავარდნის შემდეგ მშობლებმა დაიწყეს დემონსტრაციების ორგანიზება და საბოლოოდ, ერთი კვირის შემდეგ, მიაღწიეს იმას, რომ მათი წინადადება მიღებულ იქნა. მოგვიანებით, შეღავათით მოსარგებლეთა წრე გაფართოვდა და სხვა ქალაქებშიც შემოიღეს ფასდაკლებული სამგზავრო ბარათი. ამ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, როგორც მობილიზაციისა და საზოგადოების დაინტერესების დემონსტრირების კუთხით, ასევე იმითაც, რომ სამგზავრო ბარათს შეუცვალეს სახელი და „დედის ბარათის“ ნაცვლად უწოდეს „ბარათი მცირეწლოვან ბავშვთა მშობლისათვის“.

### **მეტროს ადაპტირება: მოძრაობა „კრიტიკული დედები“; მეტრო ყველასათვის**

საზოგადოებრივი ადგილების საბავშვო ეტლებისათვის არაადაპტირებულობის საკითხი დაისვა 2007 წელს ჩატარებულ დემონსტრაციაზე, რომელსაც ეწოდა Babakocsisokk (საბავშვო ეტლების შოკი). ამ დღიდან დაარსდა „კრიტიკული დედები“ მოძრაობა. მისი შექმნა ორგანიზატორებს შთააგონა ველოსიპედისტების მოძრაობამ „კრიტიკული მასა“, რომელიც ყოველწლიურად მართავდა დიდ დემონსტრაციას. „კრიტიკული დედები“ მიზნად ისახავდნენ, საზოგადოების ყურადღება გაემახვილებინათ საზოგადოებრივი ტრანსპორტის და გაჩერებების არაადაპტირებულობაზე, რისთვისაც ისინი აწყობდნენ დემონსტრაციებს წელიწადში ორჯერ. ასევე ისინი უერთდებოდნენ „კრიტიკული მასის“ მიერ მოწყობილ მსვლელობებს. გარდა ამისა, მათ შესაბამისი პეტიცია წარუდგინეს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს. მათი აქციები სასარგებლო გამოდგა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, თუმცა ვერ მიაღწიეს სასურველ ცვლილებას.

მართალია, ბოლო ათწლეულის მანძილზე აღინიშნება გარკვეული გაუმჯობესება ამ მხრივ, თუმცა საზოგადოებრივი ადგილებისა და ტრანსპორტის ადაპტირებულობის საკითხი კვლავაც დგას დღის წესრიგში, რაც იწვევს ამ საკითხების ირგვლივ სხვადასხვა მხარის თანამშრომლობას. მაგალითად, უნგრეთის ქალთა ლობი სხვებთან ერთად შეუერთდა მოძრაობას „მეტრო ყველასათვის“, რომელიც 2015 წელს წამოიწყო ბუდაპეშტის შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ასოციაციამ. ის მოითხოვდა ბუდაპეშტის მეტროს M3 ხაზის დაგეგმილი რეკონსტრუქციის შედეგად მის სრულ ადაპტირებას. მეტროს მთლიანი ადაპტირებულობა ჯერაც არაა მიღწეული, ამიტომაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ასოციაციების ეროვნულმა ფედერაციამ 2017 წ. დეკემბერში გასაჩივრების პროცედურა დაიწყო თანასწორი მოპყრობის სამმართველოში.

განხილული მაგალითების ანალიზი მიუთითებს რამდენიმე ფაქტორზე, რაც განაპირობებს სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ლობირებისა და ადვოკატირების მიმართულებით განხორციელებული სამუშაოს წარმატებულობას თუ წარუმატებლობას. მეტად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის შორის ჩამოყალიბდეს რეალური პარტნიორული ურთიერთობები და შეიქმნას კოალიციები მათი მონაწილეობით. რაც შეეხება ურთიერთობას პოლიტიკის განმსაზღვრელ წრებთან, მათთან ურთიერთობის ფორმალური მექანიზმებისა და წესების ჩამოყალიბება ეხმარება სამოქალაქო საზოგადოების აქტივობებს თავიანთი რეალური როლის განსაზღვრაში. ფართო კონტექსტის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეთა და ფართო საზოგადოების სენსიტიზაცია გენდერული თანასწორობის საკითხების მიმართ, რაც დაინტე-

რესტრუქტურულ მხარეებში აძლიერებს აქტიური ქმედების სურვილს, ხოლო ფართო საზოგადოების მხრიდან ზრდის მხარდაჭერას, რითიც უზრუნველყოფს ამ თემატიკის აქტუალობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

### ქირითადი რეკომენდაციები

- დამტკიცდეს ან სათანადოდ გახორციელდეს გენდერული თანასწორობის ეროვნული სტრატეგია და / ან სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნება კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები, ვადები, საბიუჯეტო ასიგნებები, აგრეთვე განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები; ეროვნულ სტრატეგიაში / სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების ხელშეწყობასა და დამკვიდრებას ადგილობრივ / რეგიონულ კონტექსტში;
- დამტკიცდეს ან სათანადოდ გახორციელდეს გენდერული თანასწორობის სტრატეგია და / ან სამოქმედო გეგმა ადგილობრივი / რეგიონული მასშტაბით, რომელშიც განსაზღვრული იქნება კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები, ვადები, საბიუჯეტო ასიგნებები, აგრეთვე განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები; იგი უნდა აიგოს და მჭიდროდ დაუკავშირდეს ეროვნული პოლიტიკის ჩარჩოს და ამავდროულად უნდა პასუხობდეს ადგილობრივ / რეგიონულ ვითარებას, პრობლემებსა და საჭიროებებს. უზრუნველყოფილ იქნას იმ პირების სათანადო ტრენინგი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ სტრატეგიების / სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე ან მონაწილეობას იღებენ ამ პროცესში;
- გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დასამკვიდრებლად პოლიტიკისა და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელებისას გამოყენებულ იქნას ყოვლისმომცველი მიდგომა და სათანადო ყურადღება მიექცეს ყველა პრობლემას, სექტორსა და პოლიტიკის სფეროს გენდერული სტერეოტიპებისაგან განთავისუფლების თვალსაზრისით, რაც უნდა განხორციელდეს სერვისებზე თანაბარი წვდომისა და ქალთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველყოფით;
- მოხდეს ადგილობრივი / რეგიონული პოლიტიკის დამტკიცებისა და მისი ფორმირების პროცესში ექსპერტების, მაგალითად, მენტორების, ჩართვის სტიმულირება; ამ პროცესში ჩართულ მხარეებს მიეცეთ თავისუფალი სივრცე გამოცდილების გაცვლისა და გაზიარებისათვის;
- როდესაც ქალთა მიმართ დისკრიმინაცია ან ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა განიხილება უფრო ფართო, ზოგადად, თანასწორი მოპყრობისა და შესაძლებლობების კონტექსტში, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ქალები, როგორც სამიზნე ჯგუფი, არ დაიკარგოს ამ ფართო კონტექსტში და გენდერული თანასწორობის პრინციპი, გამოყენებულ იქნას როგორც ძირითადი ფასეულობა, თავისი როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით;
- უზრუნველყოფილ იქნას როგორც გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმის, ასევე სხვა ინსტიტუციური მექანიზმების მყარი პოზიცია და მისი მნიშვნელოვანი როლი გენდერული თანასწორობისათვის; რეგიონულ და ადგილობრივ საჯარო ადმინისტრაციებში და მთავრობებში შეიქმნას გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობები და ამ თანამდებობებზე მიღებულ იქნას სათანადოდ გადამზადებული პერსონალი;
- სისტემატურად იქნას გამოყენებული გენდერული მეინსტრუქციის სტრატეგია როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე; ყურადღება უნდა მიექცეს მის ორივე განზომილებას, როგორც გენდერულ შინაარსს, ასევე გენდერულ წარმომადგენლობას; შემოღებულ იქნას გენდერული მეინსტრუქციის ისეთი მექანიზმები და მეთოდები, როგორებიცაა გენდერული ანალიზი, გენდერული ბიუჯეტირება და გენდერული ზეგავლენის ანალიზი;
- ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ადმინისტრაციების საჯარო მოხელეთათვის მოხდეს ტრენინგ პროგრამების ორგანიზება გენდერული თანასწორობის თემატიკაზე, რაც მოიცავს როგორც გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ყველა სფეროს, ასევე გენდერული მეინსტრუქციის სტრატეგიის გამოყენებას;
- ადგილობრივ / რეგიონულ დონეზე გაიმართოს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების თემატიკაზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიები;
- ეროვნულ, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეებზე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა შო-

რის თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით შეიქმნას მექანიზმები და პლატფორმები / ფორუმები საჯარო ადმინისტრაციის, ქალთა უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების, ინდივიდუალური ექსპერტების და სხვათა მონაწილეობით და ყოველნაირად ხელი შეეწყოს მათ ფუნქციონირებას;

➤ განისაზღვროს ქალთა უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების და აკადემიური ექსპერტების მნიშვნელოვანი როლი და ადგილი როგორც გენდერული პოლიტიკის ფორმირების ყველა ეტაპზე, ასევე შესაბამისი ღონისძიებებისა და აქტივობების მომზადების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში;

➤ მოხდეს უზრუნველყოფა იმისა, რომ პროგრამები ან ფონდები, რომლებიც იყენებენ ევროკავშირის ფინანსური სქემების რესურსებს, თანმიმდევრულად ახორციელებდნენ გენდერული თანასწორობის პრინციპებსა და გენდერული მენისტრამინგის სტრატეგიას; გამოვლინდეს დაფინანსების კონკრეტული შესაძლებლობები ქალთა მდგომარეობისა და ქალთა უფლებების გასაუმჯობესებლად გენდერული საკითხები სხვა თემატურ პროგრამებშიც იქნას წარმოდგენილი; გარდა ამისა, მოხდეს უზრუნველყოფა იმისა, რომ გენდერული მენისტრამინგი მუდმივად თან გასდევდეს ამ ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განაწილებისა და გამოყენების პროცესს.

## დანართი – ბიბლიოგრაფია

### კანონმდებლობა

ევროპის კავშირის ხელშეკრულება

ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ

უნგრეთის ძირითადი კანონი

2011 წ. კანონი NCXI ფუნდამენტური უფლებების კომისარის შესახებ

2011 წ. კანონი NCLXXXIX უნგრეთის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

2003 წ. კანონი NCLXXXV თანასწორი მოპყრობისა და თანასწორი შესაძლებლობების ხელშეწყობის შესახებ

2001 წ. კანონი NLX გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

1979 წ. 18 დეკემბერს ნიუ-იორკში მიღებული კონვენციის ფაკულტატიური ოქმის გამოქვეყნების შესახებ

1982 წ. ბრძანება N10 გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ  
1979 წ. 18 დეკემბერს ნიუ-იორკში მიღებული კონვენციის გამოქვეყნების შესახებ.

ადამიანური რესურსების სამინისტროს ბრძანება №2 / 2012. (VI. 5.), ადგილებზე თანასწორ შესაძლებლობათა პროგრამის შედგენის დეტალური წესების შესახებ

მთავრობის გადაწყვეტილება N1004 / 2010 (I. 21.): ეროვნული სტრატეგია გენდერული თანასწორობის დასამკვიდრებლად – სახელმძღვანელო ინსტრუქციები და ამოცანები

მთავრობის გადაწყვეტილება N1039 / 20120 (II. 22.) ადამიანის უფლებათა სამუშაო ჯგუფის შესახებ

მთავრობის დადგენილება №321 / 2011. (XII. 27.) თანასწორი შესაძლებლობის პროგრამის მომზადების წესების და თანასწორი შესაძლებლობების მენტორების შესახებ

### დოკუმენტაცია

A Magyar Női Érdekvégyesítő Szövetség bírálata és javaslatai az egyenlő bánásmódról és az esélyegyenlőség előmozdításáról szóló törvényjavaslatához, 2003. november 27. (უნგრეთის ქალთა ლობის მოსაზრებები და შენიშვნები კანონპროექტზე „თანასწორი მოპყრობისა და თანასწორი შესაძლებლობების მხარდაჭერის შესახებ“, 27 ნოემბერი, 2003წ. უნგრულ ენაზე იხ. ბმულზე:

<http://nokjoga.hu/sites/default/files/filefield/2003-eselyegy-tv-kritikaja-noierdek.pdf>

A MANORKA projekt hatásának értékelése – A MANORKA projekt hatása a női esélyegyenlőségre az önkormányzati szektorban. (პროექტ MANORKA შეფასება – პროექტის MANORKA ეფექტი ქალთა თანას-

ნორ შესაძლებლობებზე ადგილობრივ თვითმმართველობაში. ავტორი: რობერტ კოვაჩი. მომზადებულია ადგილობრივი სადამკვირვებლო ოფისის მიერ, ბუდაპეშტი, 2016 წ. უნგრულ ენაზე იხ. ბმულზე: <http://www.manorka.net/uploads/images/Kiadv%C3%A1nyok/es%C3%A9lyegyenl%C5%91s%C3%A9g.pdf>

გაეროს CEDAW კომიტეტისთვის წარდგენილი ალტერნატიული ანგარიში უნგრეთის მე-7 და მე-8 გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შეფასებასთან დაკავშირებით, უნგრეთის ქალთა ლობი და ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრი, იანვარი, 2013 წ. იხ. ბმული:

<http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/HUN/INT-CEDAW-NGO-HUN-13260-E.pdf>

„ბუდაპეშტი – უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ შესაძლებლობა“. უნგრულ ენაზე იხ. ბმულზე: <http://www.pestesely.hu/doc/BELIV-strategia-es-celok-vegleges.pdf>

„დედაქალაქ ბუდაპეშტის თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი პროგრამა“ (2017–2022). უნგრულ ენაზე იხ. ბმულზე:

<http://www.pestesely.hu/doc/FHEP-2017-22.pdf>

ტამაშ დომბოში, ანდრეა კრიშანი, მელინდა საბო და იუდიტ ვირტი (2008 წ.): უნგრეთის კონტექსტის კვლევა, პროექტი QUING, ვენა: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტი (IWM). იხ. ბმულზე:

<http://www.quing.eu/files/results/cs-hungary.pdf>

Előzetes Összegzés A TÖOSZ MANORKA PROJEKT keretében elvégzett esélyegyenlőségi kutatás első két Hullámáról (TÖOSZ პროექტ MANORKA-ს ფარგლებში თანასწორი შესაძლებლობების კვლევის პირველი ორი ტალღის წინასწარი რეზიუმე), რობერტ კოვაჩი, ანიკო სუკოსდი, ბუდაპეშტი, 2016 წ. უნგრულ ენაზე იხ. ბმულზე:

<http://www.manorka.net/uploads/images/Kiadv%C3%A1nyok/es%C3%A9lyegyenl%C5%91s%C3%A9g.pdf>

ენიკო პაპი, ფანი ბორბირო: „გენდერული თანასწორობა და გენდერული მენისტრინგინგი ბუდაპეშტში: სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხები ორმილიონიან თვითმმართველობაში – სიტუაციური ანალიზი და რეკომენდაციები“, ბუდაპეშტი, 2007 წ.

ენიკო პაპი: „გენდერული თანასწორობა უნგრეთში“. პუბლიკაციაში „გენდერული პოლიტიკა და ევროინტეგრაცია – ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის“, მენარმე ქალთა ფონდი, ქუთაისი, 2016 წ. გვ. 272-293. იხ. ბმული:

<http://www.fwe.ge/pdf/gender-policies.pdf>

ფანი ბორბირო: სამოქალაქო ინიციატივები – საეჭვო შედეგები ურბანული პოლიტიკის ფორმირებისას. სამოქალაქო ჩართულობის შემთხვევები გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ფორმირებისას ბუდაპეშტში

დრ. ზონგორ გაბორი, პროექტ MANORKA შეჯამება. იხ. ბმულზე:

<http://www.manorka.net/uploads/images/Kiadv%C3%A1nyok/MANORKA%C3%B6sszegz%C3%A9s-english-boritoval-opti.pdf>

Ilonszki Gabriella: “Jó kormányzás és a nemek egyenlősége – Magyarországi helyzetjelentés” (კარგი მმართველობა და გენდერული თანასწორობა – სიტუაციის ანალიზი უნგრეთში) In: A nőtlen évek ára – A nők helyzetének közpolitikai elemzése 1989–2013. (საზღაური იმ წლებსათვის, როცა ხდებოდა ქალების უგულვებლყოფა. ქალებთან მიმართებით პოლიტიკის სიტუაციური ანალიზი 1989–2013.) Magyar Női Érdekvégyesítő Szövetség (უნგრეთის ქალთა ლობი), ბუდაპეშტი, 2014. უნგრულ ენაზე იხ. ბმულზე: <http://noierdek.hu/2/wp-content/uploads/2016/09/notlen.evek-ara-.pdf>

Krausz Veronika and Lüttmerdingné Balla Mónika eds: MANORKA „Önkormányzati kapacitás-építés norvég-magyar együttműködéssel” című projekt – A nemek közötti esélyegyenlőségért – A nők és férfiak helyzete a közéletben és a magánéletben Magyarországon és Norvégiában 2013–2016. (MANORKA- შესაძლებლობათა გაძლიერება მუნიციპალიტეტებში ნორვეგიულ-უნგრული თანამშრომლობის პროექტის „ქალთა და მამაკაცთა თანასწორი შესაძლებლობებისათვის – ქალთა და მამაკაცთა მდგომარეობა საზოგადოებ-

რივ და პირად ცხოვრებაში უნგრეთსა და ნორვეგიაში“ საშუალებით 2013–2016) უნგრულ ენაზე იხ. ბმულზე:

<http://www.manorka.net/uploads/images/Kiadv%C3%A1nyok/es%C3%A9lyegyenl%C5%91s%C3%A9g.pdf>

მარკეტა მოტლოვა: ბზარები „შუშის ჭერზე“: ქალები ვიშეგრადის ქვეყნების რეგიონულ და ადგილობრივ პოლიტიკაში. იხ. ბმულზე:

<http://visegradrevue.eu/cracks-in-the-glass-ceiling-women-in-regional-and-local-v4-politics/>

Mehring-Tóth Szilvia: “Képviselők és képviselőnők a helyi politikai elitben” (მამაკაცი და ქალი დეპუტატები ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტაში). In Politikatudományi Szemle 2017/3, გვ. 81-100.

კანონებსა და პრაქტიკაში ქალთა დისკრიმინაციის საკითხზე მომუშავე ჯგუფის ანგარიში უნგრეთში მისიის შესახებ; გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების საბჭოს ოცდამეთხუთმეტე სესია, 2017 წ. 6-23 ივნისი A/HRC/35/29/Add.1. გვ. 19. იხ. ბმულზე:

<http://ap.ohchr.org/documents/dpage-e.aspx?si=A/HRC/35/29/Add.1>

Sebestyén Zsuzsa: „Inventárium a Helyi Esélyegyenlőségi Programokról” (თანასწორი შესაძლებლობების ადგილობრივი პროგრამების რეესტრი). In: Krausz Veronika and Lüttmerdingné Balla Mónika eds: MANORKA „Önkormányzati kapacitás-építés norvég–magyar együttműködéssel” című projekt – A nemek közötti esélyegyenlőségért – A nők és férfiak helyzete a közéletben és a magánéletben Magyarországon és Norvégiában 2013–2016 (MANORKA - შესაძლებლობათა გაძლიერება მუნიციპალიტეტებში ნორვეგიულ-უნგრული თანამშრომლობის პროექტის „ქალთა და მამაკაცთა თანასწორი შესაძლებლობებისათვის – ქალთა და მამაკაცთა მდგომარეობა საზოგადო და პირად ცხოვრებაში უნგრეთსა და ნორვეგიაში“ საშუალებით 2013–2016). უნგრულ ენაზე იხ. ბმულზე:

<http://www.manorka.net/uploads/images/Kiadv%C3%A1nyok/es%C3%A9lyegyenl%C5%91s%C3%A9g.pdf>

სუზან ბური და ჰანეკე ვან ეიკენი: „გენდერული თანასწორობის კანონი 33 ევროპულ ქვეყანაში – როგორ არის ასახული ევროკავშირის ნორმები უნგრეთის კანონმდებლობაში 2014 წლისათვის?“ – ბეატა ნაკსა. ევროკომისია, გენდერულ საკითხებში სამართლებრივ ექსპერტთა ევროპული ქსელი, 2015 წ. იხ. ბმული:

<http://ec.europa.eu/justice/gender-equality/files/ge-law-33-european-countries-2015-en.pdf> p. 109.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტი: დასკვნითი დებულებები უნგრეთის მე-7 და მე-8 გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შესახებ, დამტკიცებული კომიტეტის 54-ე სესიაზე (2013 წ. 11 თებერვალი – 3 მარტი) CEDAW/C/HUN/CO/7-8, 2016 წ. 26 მარტი, იხ. ბმულზე:

[http://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fHUN%2fCO%2f7-8&Lang=en](http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fHUN%2fCO%2f7-8&Lang=en)

Várnagy Réka, Ilonszki Gabriella: “Üvegplafonok. Pártok lent és fent.” („შუშის ჭერი“. პოლიტიკური პარტიები მაღლა და დაბლა) In: Politikatudományi Szemle XXI/4. გვ. 7-25., გვ. 20-21

## გენდერული მენისტრიმინგი ადგილობრივ დონეზე ბადაწყვეტილებების მიღებისას პოლონეთში

გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც მხარს უჭერს ევროკავშირი, მდგომარეობს ჰორიზონტალური პოლიტიკის განხორციელებაში, რაც გულისხმობს იმას, რომ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება მოხდება არა მარტო პოლიტიკის შემუშავების, არამედ მმართველობის ყველა დონეზე – იქნება ეს საერთაშორისო, ეროვნული, რეგიონული თუ ადგილობრივი დონე. მოცემული ანგარიშის მიზანია პოლონეთში არსებული სტრატეგიებისა და სამთავრობო აქტივობების კონტექსტში წარმოადგინოს ადგილობრივ დონეზე განხორციელებული აქტივობები კომპლექსური გენდერული მიდგომის სფეროში. ანგარიში შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მიმოვიხილავ გენდერული მენისტრიმინგის კუთხით არსებულ ზოგად ფონს პოლონეთში და თუ რა გავლენა მოახდინა გენდერული თანასწორობის საკითხზე ევროკავშირში ქვეყნის განვითარებამ. მეორე ნაწილში წარმოდგენილი მაქვს ზოგადი ინფორმაცია პოლონეთში გენდერული მენისტრიმინგის, მისი განვითარების, მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. ბოლო ნაწილში კი ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება კომპლექსური გენდერული მიდგომის ადგილობრივ დონეზე დანერგვა თუ არდანერგვა, მოცემულ პროცესში ჩართული იმ აქტორების, დანესებულებების და ინიციატივების დემონსტრირებით, რომელთა მიზანია ამ იდეის მხარდაჭერა. აგრეთვე მოყვანილია მონიშნავ პრაქტიკის ორი ნიმუში.

### ნიდაგის მომზადება – გენდერული გარდაქმნები 1989 წლის შემდგომ პოლონეთში

კომუნიზმის დაცემამ პოლონეთის საზოგადოებაში დასაბამი მისცა ყოვლისმომცველ ცვლილებებს, რომლებიც შეეხო სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებს. ამ ცვლილებებს გენდერული განზომილებაც გააჩნდა, რადგან პოსტსოციალისტური გარდაქმნებისთვის დამახასიათებელი იყო ქალთა უგულვებელყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. პოლონეთის სემის პირველ არჩევნებში ქალები წარმომადგენელთა 13%-ს შეადგენდნენ, მეორე არჩევნებში კი (1991–1993) მხოლოდ 10%-ს. მოძრაობა „სოლიდარობის“ მთავრობაში მხოლოდ სამი ქალი შედიოდა: პოლონეთის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი, ანტიმონოპოლური სამსახურის უფროსი და მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქალებისა და ოჯახის საკითხში. ეს უკანასკნელი გაუქმდა 1992 წ. მარტში, როგორც არასაჭირო თანამდებობა (Sawa-Czajka, 1996). პოლონეთში უმუშევრობის ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მამაკაცებსაც და ქალებსაც შეეხო, უფრო მეტად მაინც ამ უკანასკნელ ჯგუფზე აისახა. მაშინ, როდესაც ქალებს „უფრო მეტად ეუფლებოდათ გულგატეხილობა და ხდებოდნენ დიასახლისები“, მამაკაცებმა კვლავ დაიბრუნეს სარჩოს მომპოვებლის ტრადიციული როლი და უფრო აქტიურად „იღებდნენ უმუშევრობის შემწეობას (და სავარაუდოდ ეძებდნენ სამუშაოს არაფორმალურ სამუშაო ბაზარზეც) და / ან იღებდნენ ნაადრევ პენსიას ან მუდმივ შვებულებას ავადმყოფობის გამო“. (Fodor, 2005, p. 21) ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის პროცესში ნათელი იყო, რომ ხდებოდა „დამოუკიდებლობის, თანასწორობის და თავისუფლების ცნებების განსაზღვრისა და კონსტრუირების პროცესში ქალების ამოვარდნა და მარგინალიზაცია“ (Moghadam, 1995, p. 336) და მთელი გარდაქმნები ავლენდა „დასავლური დემოკრატიის მკვეთრად გამოსატყუარ მასკულიზურ ბუნებას“ (Watson, 1993, p. 485).

1990-იანი წლების გარდაქმნების დროს ჩამოყალიბდა ქალთა როლის ორი დომინანტური მოდელი. პირველი მოდელის მიხედვით, მოხდა გენდერული როლების ტრადიციული დანაწილება და იგი ერთგვარად უკავშირდება სახლისა და ოჯახის სენტიმენტალიზაციას. ამგვარ პარადიგმაში ქალს განეკუთვნება დედისა და მზრუნველის, ხოლო მამაკაცს კი - სარჩოს მომპოვებლის როლი. ევროპულ ღირებულებათა კვლევის (EVS) 1990-იანი წლების მონაცემები ადასტურებენ საზოგადოებაში ამგვარი შეხედულებების ფართო მხარდაჭერას. მოსახლეობის უმრავლესობა ამჟღავნებდა ოჯახისა და რელიგიის ერთგულებას და ინარჩუნებდა გენდერული როლების და იდენტობის ტრადიციულ აღქმას. რესპონდენტთა უმრავლესობის მოსაზრებით (75,2%), ქალების თვითრეალიზაციისათვის ბავშვები აუცილებელია, ხოლო 88% მთლიანად ან ძირითადად ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ ქალებს სურთ ბავშვები და ოჯახი. მეტიც, 63,4% მთლიანად ან ძირითადად ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ ქალისათვის დიასახლისობა თვითრეალიზაციის ისეთივე საშუალებაა, როგორც სამსახური (EVS, 2011). გენდერული როლის მეორე მოდელი ეფუძნება ქალურობისა და მამაკაცურობის ალტერნატიულ მოდელს. იგი განპირობებული იყო ზოგადად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესით, რაც დაკავშირებულია ინდივიდუალიზმის უპირატეს ღირებულებასთან და მასმედიის გახსნილობასთან. ოჯახისა და საზოგადოების ერთგული და თავგანწირული დედის სახეს 1990-იან წლებში დაემატა ქალის ახალი იმიჯი - ქალის სექსუალიზებული სხეული, რომელიც შეესაბამება სილამაზის გაბატონებულ მოდელს (Bator, 1998; Marody and Giza-Poleszczuk, 2000).

1989 წლის შემდგომმა გარდაქმნებმა ბიძგი მისცა სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების, დინამიურ განვითარებასაც.<sup>1</sup> მათი საქმიანობა მოიცავდა სხვადასხვა აქტივობას. ზოგი მათგანი ცდილობდა გარდაქმნების პროცესში სოციალური უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფოს მიერ დატოვებული ცარიელი სივრცეების შევსებას (Sawa-Czajka, 1996; Einhorn and Sever, 2003). სხვებმა თავისი ძალისხმევა მიმართეს ქალებზე ორიენტირებული პოლიტიკის ლობირებისა და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ყოველმხრივი და მნიშვნელოვანი წარმომადგენლობის გაძლიერებისაკენ. აღნიშნულის სადემონსტრაციოდ კარგი მაგალითია პოლონელ ქალთა წინასაარჩევნო კოალიცია. ქალთა სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაფუძნებული ეს კოალიცია მხარს უჭერდა ქალ კანდიდატებს საპარლამენტო და ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში. მისი მიზანი იყო, გაეძლიერებინა ქალთა წარმომადგენლობა ყველა დონეზე. კოალიციის ძალისხმევის შედეგად უნდა ჩაითვალოს 2001 წლის არჩევნებში სეიმსა და სენატში ქალთა რაოდენობის ზრდა, შესაბამისად, 20% და 23%-მდე (Nowosielska, 2004). ზოგი ჯგუფის აქტიურობა მიმართული იყო რეპროდუქციული უფლებების დაცვისაკენ (Nowicka, 2007). არსებობდა განსხვავებული ჯგუფებიც, რომელთაც კონსერვატიული პროგრამა ჰქონდა, ზოგი მათგანი მოითხოვდა აბორტების სრულ აკრძალვას, ზოგიც მუშაობდა ტრადიციული ღირებულებების დამკვიდრებაზე. ქალთა სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური ჯგუფის შექმნა მიუთითებდა ქალთა კოლექტიური ძალისხმევის ზრდაზე, თუმცა ამავდროულად ავლენდა პოლონეთის კონტექსტში პოლიტიკის გადაფასების პროცესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამოქალაქო საზოგადოებამ ქალთა პოლიტიკური აქტივობა მიმართა ფორმალურ პოლიტიკაში შესაძლებლობების შეზღუდვის წინააღმდეგ. მას შემდეგ ფემინისტური ორგანიზაციები, ხშირ შემთხვევაში ქალ პოლიტიკოსებთან კოალიციაში, პოლონეთში ქალთა უფლებების ყველაზე თანმიმდევრულ დამცველებად გვევლინებიან.

## ქალები, მამაკაცები და გენდერული თანასწორობა პოლონეთში – ბოლოდროინდელი ტენდენციები

2000-ანი წლებიდან სხვადასხვა დადებითი ცვლილების მოწმენი ვართ ქალთა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით. ცვლილებები შეიმჩნევა საზოგადოებაში არსებულ მიდგომებშიც. სახალხო გამოკითხვები მიუთითებს პოზიტიური ტენდენციების არსებობაზე გენდერული თანასწორობის მიმართულებით. მონაცემები ადასტურებს მზარდ მხარდაჭერას როგორც ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში და შრომის ბაზარზე თანაბარი

<sup>1</sup> მიმომხილველები დებატებს აბორტის შესახებ და აბორტის შემზღუდველი კანონის შემოღების (წარმატებულ) მცდელობას 1990-იანი წლების დასაწყისში აღიქვამენ, როგორც პოლონეთის ქალთა მოძრაობის დაბადებას, იხ: (Anderson, 2006, p. 113; Fuszara, 2006, p. 220).

მონაწილეობისადმი (Boguszewski, 2013; Omyła - Rudzka, 2013), ასევე ოჯახსა და პირად ცხოვრებაში თანასწორუფლებიანობის მიმართ. თუმცა, იგივე გამოკითხვები მონაწილეს, რომ ამგვარი საკითხები-სადმი მხარდაჭერა ქალებს შორის უფრო მაღალია. 2000-ანი წლების დასაწყისიდან შეიმჩნევა ქალთა მზარდი წარმომადგენლობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე. პოლიტიკაში არსებული დადებითი ტენდენციები გარკვეულწილად განაპირობა 2011 წელს შემოღებულმა კვოტირების სისტემამ<sup>1</sup>. ეს ყოველივე აისახა თვალსაჩინო ცვლილებაში ქალთა წარმომადგენლობის მხრივ (იხ. დიაგრამა 1 და 2). 2014 წ. სექტემბრიდან 2017 წ. დეკემბრამდე ჩვენ გვყავდა ორი ქალი პრემიერ-მინისტრი (ევა კოპაჩი სამოქალაქო პლატფორმიდან 2014-2015 წლებში და ბეატა შიდლო „სამართალი და სამართლიანობის პარტიიდან“ 2015-2017 წლებში).

ამასთანავე შეინიშნება სხვა ტენდენციები, რომლებიც ამცირებს ოპტიმიზმს. გაცილებით მცირეა პროგრესი სენატში (ზედა პალატა), სადაც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გამო არ გამოიყენება კვოტირების სისტემა. სეიმის მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეებშიც აშკარა დისბალანსია, რაც პოლიტიკური ძალაუფლების არათანაბარ დაწინაურებაზე მეტყველებს (Druciarek et al., 2012, p. 27). ასევე დაბალი რჩება ქალთა წარმომადგენლობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში – დაახლოებით 20%-ს დონეზე (2011 წ. მთავრობაში 20 წევრიდან 5 იყო ქალი, 2014 წ. 19-დან 5 პლუს ქალი პრემიერ-მინისტრი, 2015-2017 წლების მთავრობაში 6 ქალი 27-დან პლუს ქალი პრემიერ-მინისტრი, ახლანდელ მთავრობაში კი 22 წევრიდან 6 ქალი). საჯარო სამსახურებში მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე მეტწილად მამაკაცები არიან წარმოდგენილნი, თუმცა ადმინისტრაციულ დონეზე ქალები ჭარბობენ, მათ შორის მაღალ პოზიციებზეც (Klejdyz, 2013). ნაკლებად არიან ქალები წარმოდგენილნი მსხვილი პარტიების პოლიტიკურ საბჭოებშიც (20%-ზე ნაკლები) (Druciarek et al., 2012, p. 5). გარდა ამისა, ფიზიკური წარმომადგენლობა ყოველთვის როდი აისახება ქალთა ინტერესების რეალურ წარმომადგენლობაში. აღნიშნულის დასადასტურებლად გამოდგება ამჟამინდელი პარლამენტი. მიუხედავად 1989 წ. შემდგომ ქალთა ყველაზე მაღალი შემადგენლობისა (27%), მათი პოლიტიკური ორიენტაცია (სოციალური კონსერვატიზმი) განაპირობებს გენდერული თანასწორობის ინიციატივებისა და პოლიტიკის ნაკლებ მხარდაჭერას.<sup>2</sup>

დიაგრამა 1. პარლამენტის ქვედა პალატაში ქალ პარლამენტართა პროცენტული რაოდენობა


საპარლამენტო ვადა	ქალები - %
1991-1993	10
1993-1997	13
1997-2001	13
2001-2005	20
2005-2007	20
2007-2011	20
2011-2015	23
2015-2019	27

გამოთვლები ეყრდნობა (Druciarek et al., 2012)

1 სისტემა სავალდებულოს ხდის ყველა საარჩევნო სიაში ქალთა და მამაკაცთა მინიმუმ 35%-იან წარმომადგენლობას.  
 2 აღნიშნული შეადგენს „სამართლისა და სამართლიანობის“ პარტიის დღის წესრიგის ნაწილს. ხშირ შემთხვევაში როგორც მთავრობა, ასევე პარლამენტარები უარყოფით დამოკიდებულებას იჩენენ გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების საკითხების მიმართ. აღნიშნულის დამადასტურებლად გამოდგება მათ მიერ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის კრიტიკა, აქტისშემდგომი ჩასახვის საწინააღმდეგო აბებისათვის სავალდებულო რეცეპტების შემოღება და აგრეთვე აბორტის კიდევ უფრო შეზღუდვის მცდელობა.



დიაგრამა 2. ქალი დეპუტატები ადგილობრივ მთავრობაში



წყარო (Druciarek et al., 2012)

არაერთგვაროვანი ტენდენციები შეინიშნება ეკონომიკის სფეროშიც. ერთი მხრივ, პოლონეთში მაღალია ეკონომიკაში დასაქმებულ ქალთა რიცხვი (ქალები შეადგენენ მენარმეთა 34%-ს და დამსაქმებელთა 30%-ს) (Polska Konfederacja Pracodawców Prywatnych, 2012, p. 19). ისინი კარგად არიან წარმოდგენილნი ხელმძღვანელობის დაბალ და საშუალო რგოლშიც (Lisowska and Sawicka, 2009, p. 19; Adamska, 2014). თუმცა, მეორე მხრივ, პოლონეთში მოქმედ წამყვან კომპანიებში დაბალია ქალთა წარმომადგენლობა უმაღლეს თანამდებობებზე (მაგ. აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის და აღმასრულებელი ან მმართველობითი საბჭოს წევრის თანამდებობებზე). ამდენად, არსებული ტენდენციები მიუთითებს ე.წ. „შუშის ჭერის“ მექანიზმების არსებობაზე.

ასევე არაერთგვაროვანი ტენდენციები შეიმჩნევა ქალთა წარმომადგენლობისა და თანამდებობების მხრივ საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებში. მონაცემები მიუთითებს ქალთა მაღალ წარმომადგენლობაზე აკადემიურ სფეროში – 43% სრულ შტატზე მყოფი მასწავლებლებისა (ცენტრალური სტატისტიკური სამსახური, 2013 წ. გვ. 62). თუმცა, თუკი საკითხს უფრო ღრმად გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ მაღალ აკადემიურ პოზიციებზე ნაკლებია ქალთა რაოდენობა (მაგ. სრულ შტატზე მყოფ დოქტორთაგან 43% ქალია, თუმცა ქალთა რაოდენობა პროფესორებს შორის მხოლოდ 21%-ია). 2012 წ. დოქტორის ხარისხის მიღება შორის 52% იყო ქალი, თუმცა შემდეგ დონეზე, ე.წ. ჰაბილიაციის საფეხურზე, მათი რაოდენობა 38%-მდე შემცირდა (ცენტრალური სტატისტიკური სამსახური, 2013 წ. გვ. 159). ამგვარი დისპროპორცია კიდევ უფრო თვალსაჩინოა ისეთ დისციპლინებში, როგორცაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ინჟინერია (იქვე, გვ. 49). მსგავსი ტენდენციები აშკარად მიუთითებს მექანიზმზე, რომელიც იწვევს ქალთა გადინებას ამ სფეროდან აკადემიური ხარისხის მიღების შემდეგ. გარდა ამისა, ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი კვლევითი პროექტების ხელმძღვანელებს შორის (იქვე, გვ. 50).

## გენდერული მეინსტრიმინგი პოლონეთში

გენდერული მეინსტრიმინგი აღიქმება, როგორც ევროკავშირის ძირითადი სტრატეგია მასში შემავალ ქვეყნებში გენდერული თანასწორობის მისაღწევად. იგი „გულისხმობს გენდერული ხედვის ჩართვას პოლიტიკის, მარეგულირებელი ღონისძიებებისა და პროგრამების ჩამოყალიბების ყველა ეტაპზე – შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასებისას – ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის დანერგვისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.“<sup>1</sup>

პოლონეთში გენდერული მეინსტრიმინგის დამკვიდრება ფაქტობრივად ქვეყნის ევროკავშირში

<sup>1</sup> იხ: <http://eige.europa.eu/gender-mainstreaming/what-is-gender-mainstreaming>

განვერთანებამ განაპირობა.<sup>1</sup> ამგვარი მიდგომა უკვე 1990–იანი წლების ნახევრიდან შეიმჩნეოდა, როდესაც ევროკავშირში განვერთანების მოთხოვნები განაპირობებდა კანდიდატ ქვეყნებში გენდერული თანასწორობის სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, გენდერული თანასწორობის განვითარებასა და დამკვიდრებაზე გავლენა იქონიეს ქალთა უფლებებისათვის მებრძოლმა აქტივისტებმა (Matynia, 2003, p. 503). გენდერული თანასწორობის ნორმების გატარებას თან ახლდა დისკუსია, რაც გამონვეული იყო გარდამავალ ეტაპზე ამ პროცესებისადმი გარკვეული ჯგუფების დაპირისპირებით. შედეგად, ევროკავშირის გენდერული ნორმების დამკვიდრებას საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდა (Anderson, 2006). თუმცა, საბოლოოდ, ყოველივე ამას მოჰყვა ახალი სტრატეგიების განხორციელება, ან ძველი სტრატეგიების შესწორება, აგრეთვე გენდერული თანასწორობის განვითარებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების შექმნა. 2001 წ. ევროკავშირში განვერთანების მოთხოვნათა საპასუხოდ შეიქმნა მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენლის აპარატი ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის საკითხში. აღნიშნული სამსახურის შექმნის დოკუმენტების თანახმად, მისი მიზანი იყო განეხორციელებინა მონიტორინგი და ჩამოეყალიბებინა პოლიტიკის მთავრობის პოლიტიკა ქალთა და მამაკაცთა თანასწორი სტატუსის უზრუნველსაყოფად, ხელი შეეწყო ფართო საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისათვის და განეხორციელებინა ამ პროცესის მონიტორინგი. ეს აპარატი მოქმედებდა პრემიერ-მინისტრის აპარატთან (Rozporządzenie Rady Ministrów z dnia 25 czerwca 2002 r. w sprawie Pełnomocnika Rządu do Spraw Równego Statusu Kobiet i Mężczyzn<sup>2</sup>, 2002), თუმცა იგი სამთავრობო სტრუქტურის ნაწილია, რაც მას სახელისუფლებო ძალის იდეოლოგიური ორიენტაციის გავლენის ქვეშ აქცევს. თუკი მთავრობა არ ისურვებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებას, სრულუფლებიანი წარმომადგენლის აპარატმა შეიძლება შეწყვიტოს ფუნქციონირება, ან მას მხოლოდ „დეკორაციის“ ფუნქცია შეერჩეს. პირველ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 2005 წ. „სამართლისა და სამართლიანობის“ პარტიის ხელისუფლებაში ყოფნისას. მეორე შემთხვევას ადგილი ჰქონდა, როცა სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანამდებობა ეჭირა ელჟებეტა რაძიჟევსკას მემარჯვენე-ცენტრისტული, სოციალურ-კონსერვატიული „სამოქალაქო პლატფორმის“ პარტიიდან (2007–2011). იგივე ახასიათებს ამჟამინდელ სრულუფლებიან წარმომადგენელს (2015 წლიდან) ადამ ლიპინსკის, რომელიც ამ თანამდებობაზე „სამართლისა და სამართლიანობის“ მემარჯვენე პარტიამ წამოაყენა. ორიენტაციის ცვლილების დასადასტურებლად გამოდგება ის ფაქტიც, რომ ამ აპარატს სახელი შეეცვალა და ეწოდა სრულუფლებიანი წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოებისა და თანასწორობის საკითხებში.

სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანამდებობა და უფლებამოსილება შეიცვალა მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა კანონი „თანასწორი მოპყრობის მიმართულებით ევროკავშირის ზოგიერთი დებულების განხორციელების შესახებ“ (2010 წ.), რომელშიც მოცემული იყო რეგულირებები თანასწორი მოპყრობის უზრუნველსაყოფად სქესის, რასის, ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური კუთვნილების, რწმენის, პოლიტიკური შეხედულებების, შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკისა და სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად (Warat 2014, 10). ამჟამად, წარმომადგენლის ფუნქციები უკავშირდება სამთავრობო პოლიტიკის განხორციელებას თანასწორი მოპყრობის საკითხებში და თანასწორი მოპყრობის უზრუნველსაყოფად ეროვნული სამოქმედო გეგმის შექმნას, რაც წარმოადგენს „დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს თანასწორი მოპყრობის მიმართულებით აქტივობების მიზნებსა და პრიორიტეტებს“ (Grabowska, 2014, p. 7). თუმცა, პარალელურად კანონი თანასწორობის საკითხებში გარკვეულ „აღმასრულებელ“ და მაკონტროლებელ ფუნქციებს ანიჭებს სახალხო დამცველს, რომელიც პასუხისმგებელი ხდება მსხვერპლთა ინტერესების წარმომადგენლობაზე, პოლიტიკის მონიტორინგზე, პოლიტიკის დამოუკიდებელ ანალიზზე და თანასწორი უფლებების უზრუნველყოფის კუთხით მთავრობის მიერ მიღებული პროგრესის შეფასებაზე (იქვე). კრიტიკოსები მიუთითებენ ამ ორ სტრუქტურას შორის ფუნქციების დანაწილების მხრივ არსებულ გარკვეულ პრობლემებზე. ჯერ ერთი, კონსტიტუციის თანახმად, სახალხო დამცველის ფუნქცია გულისხმობს რეაგირებას საჯარო მოხელეთა

<sup>1</sup> ზოგი მკვლევარი კრიტიკულად ეკიდება კანდიდატ წევრებში გენდერული თანასწორობის სფეროზე ევროკავშირის ზეგავლენის საკითხს. მართალია, მან შეცვალა არსებული პოლიტიკა და ინსტიტუციური გარემო, მაგრამ ეს ცვლილებები არ ასახულა სოციალურ მიდგომებსა და ყოველდღიურ პრაქტიკაზე. მიმომხილველები ბრალს დებენ როგორც ევროკავშირს, რომელიც აქტიურად არ ატარებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკას, ასევე განვერთანების მსურველ ქვეყნებსაც, რადგან ხელისუფლებამ და სახელმწიფო ინსტიტუტებმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს გენდერული თანასწორობის ნორმებსა და პოლიტიკაზე ეროვნულ კონტექსტში გადატანისას (Liebert, 2003; Guiraudon, 2008; Chiva, 2009, p. 108).

მხრიდან დარღვევების შემთხვევაში, თუმცა დისკრიმინაციას საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი არასა-  
ჯარო სტრუქტურებიდან თუ პირებისგან (Grabowska, 2014, p. 7). მეორეც, სახალხო დამცველზე და-  
კისრებულ დამატებით ფუნქციებს არ მოჰყვა დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა, რაც  
სერიოზულად ზღუდავს მის საქმიანობას ამ კუთხით (იქვე).

ევროკავშირში განვრიანებამ განაპირობა პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში ეროვნული კა-  
ნონმდებლობის ჰარმონიზაცია გენდერული თანასწორობის ევროპულ კანონმდებლობასთან (თანას-  
წორობის დირექტივები), რის შედეგადაც მიღებულ იქნა შესწორებები შრომით კანონმდებლობაში  
და ცვლილებები სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში (Zielińska, 2005, გვ. 7–8). ანალოგიურად,  
კანონი „თანასწორი მოპყრობის მიმართულებით ევროკავშირის ზოგიერთი დებულების განხორციე-  
ლების შესახებ“ (2010 წ.) მიზნად ისახავდა ევროკავშირის ზოგი დირექტივის განხორციელებას.<sup>1</sup>  
თუმცა, მისი საბოლოო ვერსია მძაფრი კრიტიკის საგნად იქცა. უპირველეს ყოვლისა, კრიტიკოსები  
აღნიშნავდნენ, რომ ახალი კანონი ითვალისწინებდა დაცვას მხოლოდ გარკვეული სახის დისკრიმი-  
ნაციის შემთხვევებში (მაგ. დისკრიმინაციის ფორმები არ მოიცავდა შეზღუდული შესაძლებლობე-  
ბისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციას). მეორეც, ისინი მიუთითებდნენ,  
რომ ახალი კანონის მოქმედების სფერო მხოლოდ ეკონომიკას და შრომის ბაზარს მოიცავდა და არ  
ვრცელდებოდა სოციალურ მომსახურებებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე და განათლებაზე. მესამეც,  
მკვლევარები აკრიტიკებდნენ იმას, რომ არ არსებობდა ფუნქციების ნათელი გადანაწილება თანას-  
წორობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ ამ ორ სტრუქტურას შორის (Grabowska, 2014, გვ.6-  
7). დაბოლოს, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები შიშობდნენ, რომ ამგვარი ჰორიზონტალური  
თანასწორობის კანონი, რომელიც გენდერულ თანასწორობას აერთიანებს სხვა სახის დისკრიმი-  
ნაციასთან და უმცირესობების საკითხებთან, გამოიწვევდა გენდერული თანასწორობის თემატიკის  
მარგინალიზაციას (Zielińska, 2015, გვ. 126).

მაგდალენა გრაბოვსკა აღნიშნავს, რომ განხორციელების მხრივ, ცალკე ბიუჯეტის არარსებობის  
გამო, სახელმწიფოს მხრიდან ქალისა და მამაკაცის თანასწორობისაკენ მიმართული აქტივობები ევ-  
როკავშირის სტრუქტურული ფონდებიდან ფინანსდებოდა და ისინი, ძირითადად, მიმართული იყო  
საჯარო და ეკონომიკის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ და თითქმის  
ყველა შემთხვევაში მხოლოდ შრომით ბაზარზე ქალთა მდგომარეობაზე იყო ფოკუსირებული. 2002-  
2010 წლებში კონცენტრირება ხდებოდა მაკროეკონომიკურ საკითხებზე, სახელმწიფო ცდილობდა  
პროფესიული და საოჯახო ცხოვრების დაბალანსების უზრუნველყოფას მოქნილი სამუშაო გრაფიკით  
და თვითდასაქმებით. 2007-2013 წლებში შეიმჩნევა გარკვეული ცვლილება პროექტების მიმართულე-  
ბებში. „საოპერაციო პროგრამა ადამიანური კაპიტალის“ ფარგლებში დაფინანსებული ეს პროექტე-  
ბი ეფუძნებოდა სახელმწიფოს აქტივობებში გენდერის, როგორც ჰორიზონტალური განზომილების,  
გაგებას და ეს აქტივობები მიმართული იყო გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვისაკენ. ერთ-ერთი  
ასეთი პროექტთაგანი იყო „გენდერული მეინსტრიმინგი, როგორც ცვლილებების ინსტრუმენტი“  
(2008-2009 წწ), რომლის მიზანი იყო აქტივობების საჯარო ადმინისტრაციის თანამშრომელთა ცნო-  
ბიერება და დაენერგა გენდერული მეინსტრიმინგი სახელმწიფოს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკო-  
ნომიკურ აქტივობებში (Grabowska, 2014, გვ. 8). ანალოგიურად, პროექტი „თანასწორი მოპყრობა რო-  
გორც ეფექტური მმართველობის სტანდარტი“ (2010 წ.) მიზნად ისახავდა საჯარო მმართველობაში  
კომპლექსური გენდერული მიდგომის დამკვიდრებას (Grabowska, 2014, გვ. 8). პროექტის ფარგლებში  
შეიქმნა ეროვნული ქსელი, რომელმაც ერთმანეთს დაუკავშირა თანასწორი მოპყრობის საკითხებ-  
ში საჯარო ადმინისტრაციების 51 კოორდინატორი და ამავე საკითხებში სავოევოდოების სრულუფ-  
ლებიანი წარმომადგენლები. ამ უკანასკნელთა ფუნქციები გულისხმობს გენდერული თანასწორობის  
პრინციპების განხორციელებას და მონიტორინგს, აგრეთვე თანამშრომლობას თანასწორი მოპყრო-  
ბის უზრუნველყოფის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების საკითხებზე სახელმწიფოს  
სრულუფლებიანი წარმომადგენელთან (Pełnomocnik Rządu do spraw równego traktowania, 2013, გვ. 41).<sup>2</sup>  
სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ქვევიდან ინიცირებული აქტივობები ავსებს და ხში-  
რად ჩაანაცვლებს კიდევ სახელმწიფოს აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავენ პოლონეთში გენ-  
დერული მეინსტრიმინგის დანერგვას. სახელმწიფოს (სრულუფლებიანი წარმომადგენლის აპარატი

1 2010 წ. დეკემბერში მიღებული კანონით განხორციელდა ევროკავშირის დირექტივები: 86/613/ EEC, 2000/43/EC, 2000/78/EC, 2004/113/EC, 2006/54/EC.

2 იხ <https://www.spoleczenstwoobywatelskie.gov.pl/rowne-traktowanie-standardem-dobrego-rzadzenia>

და შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო) და ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციების საქმიანობა მოიცავს შემდეგ სფეროებს<sup>1</sup>:

1. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ კანონის მიღება (პოლონეთის სეიმი, 2005 წ.) და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება (მინისტრთა საბჭო, 2014 წ.);

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კონვენციის რატიფიცირება.

2. ოჯახისა და სამუშაოს შეთავსების კუთხით განხორციელებული ცვლილებები

მშობელთათვის ანაზღაურებადი შვებულების გახანგრძლივება – ძირითად 26-კვირიან დეკრეტულ შვებულებაზე დამატებითი 26-კვირიანი შვებულების შემოღება, მამის ორკვირიანი დეკრეტული შვებულების შემოღება;

პროგრამების განხორციელება, რომელთა მიზანია სკოლამდელი აღზრდის ცენტრებისა და ბაგების განვითარება (მაგ. „Maluch” პროგრამა, რომელიც აფინანსებდა სამ წლამდე ბავშვებისათვის გამიზნულ ახალ ინიციატივებს<sup>2</sup>, პროგრამა, რომელიც 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებს 2017 წლისათვის უზრუნველყოფდა ადგილით საჯარო სკოლამდელ დაწესებულებებში (Ministerstwo Edukacji Narodowej, 2013, p. 13)

3. ბრძოლა გენდერულ სტერეოტიპებთან

სხვადასხვა სოციალური კამპანიის წარმართვა, რომელთა მიზანია სოციალურ პრობლემებზე (მაგ., ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახური ძალადობა) ცნობიერების ამაღლება, აგრეთვე საჯარო სფეროში ქალის როლის შესახებ დამკვიდრებულ სტერეოტიპებთან ბრძოლა (მაგ., სამსახურში თანასწორობის ხელშეწყობა, შრომით ბაზარზე ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა) (Kicińska, 2012).

4. ქალთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერებისაკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავება.

ქალთა კონგრესის ინიციატივის საპასუხოდ, ადგილობრივ და ეროვნულ არჩევნებში (სეიმი – ქვედა პალატა) საარჩევნო სიების კვოტირების სისტემის შემოღება (პოლონეთის რესპუბლიკის სეიმი, 2011 წ.)

ინიციატივები, რომლებიც მიმართულია კომპანიებში უმაღლეს თანამდებობებზე ქალთა წარმომადგენლობის გაძლიერებისაკენ (*Dobre praktyki w zakresie doboru kandydatów na członków organów spółek o kluczowym znaczeniu dla Skarbu Państwa - Aktualności - Ministerstwo Skarbu Państwa, no date; Ministerstwo Skarbu Państwa, 2013*)

5. გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვა

ანგარიშების მომზადება, რომლებიც ასახავენ ქალთა და მამაკაცთა მდგომარეობას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშების შესწავლა, ტრენინგები მენეჯერთათვის და რეკომენდაციების შემუშავება ცვლილებების განსახორციელებლად. (Departament Analiz Ekonomicznych i Prognoz Ministerstwa Pracy i Polityki Społecznej, no date; Pełnomocnik Rządu do spraw równego traktowania, no date).

„სამართლისა და სამართლიანობის პარტიისთვის“, რომელიც ამჟამად ხელისუფლებაში იმყოფება (2015 წლიდან), გენდერული თანასწორობის პრინციპები იდეოლოგიურად მიუღებელია და, ამდენად, მან შეანელა აქტივობების განხორციელება და პოლიტიკის შემუშავების პროცესი არა მხოლოდ გენდერული თანასწორობის, არამედ ზოგადად თანასწორობის მიმართულებით. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ორიენტაციის ამგვარ ცვლილებაზე მიუთითებს სრულყოფილიანი წარმომადგენლის დასახელების შეცვლაც.

## გენდერული მეინსტრიმინგი ადგილობრივ დონეზე

ევროკავშირი აღიარებს გენდერული მეინსტრიმინგის დიდ მნიშვნელობას ადგილობრივ დონეზე. ამ ვალდებულებისადმი ერთგულებაზე მიუთითებს ევროკომისიის მიერ ევროპული მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს (CEMR) ინიციატივის მხარდაჭერა, რაც გულისხმობდა „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტიის“ პრინციპების დანერგვას. ქარტია განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს, ნაბიჯებს და სფეროებს ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის. ქარტიაზე ხელმოწერით ადგილობრივი და რეგიონული აქტორები ვალდებულია იღებენ, იყვნენ „თანასწორობის პრინციპის ერ-

1 წყარო: (Zielińska, 2016)

2 Ministerstwo Rodziny, Pracy i Polityki Społecznej, Żłobki, accessed 10 April 2016, <http://www.zlobki.mpips.gov.pl/>.

თვალნი და ამ მიმართულებით პოლიტიკის გატარებისას და კონკრეტული ქმედების განხორციელებისას ითანამშრომლონ მათ ტერიტორიებზე მოქმედ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან“.<sup>1</sup>

როგორც თანასწორი მოპყრობის ეროვნულ სამოქმედო გეგმაშია აღნიშნული (2013-2016 წწ.), ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის დანერგვის მნიშვნელობა აღიარებულია პოლონეთის კონტექსტშიც. წინა სრულყოფილიანი წარმომადგენლის აპარატი ახორციელებდა პროექტს, რომლითაც ხდებოდა ადგილობრივ და რეგიონალურ მთავრობებში თანასწორი მოპყრობის პრინციპის დამკვიდრება (რაც მოიცავდა ტრენინგების ციკლს, სემინარებს, საინფორმაციო მასალების გავრცელებას). პროექტის დასასრულს მომზადდა სახელმძღვანელო „თანასწორი მოპყრობა საჯარო მმართველობაში. რეგიონული და ადგილობრივი განზომილებანი“ (Brzezińska, Jonczy-Adamska and Pawlega, 2014). თანასწორი მოპყრობის საკითხებში სავოევოდების სრულყოფილიანი წარმომადგენლების ქსელის შექმნაც ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გენდერული თანასწორობის დამკვიდრების პროცესის ნაწილია. თუმცა, პრაქტიკაში ადგილობრივ დონეზე კვლავაც დაბალია მმართველობის მიერ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და დამკვიდრების ხარისხი. 2010-2013 წლებში ფონდმა Feinioteka განახორციელა პროექტი „თანასწორობა, როგორც საუკეთესო ადგილობრივი მმართველობის სტანდარტი“. მისი მიზანი იყო მოეხდინა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული იმ აქტივობების მონიტორინგი, რომლებიც მიმართული იყო თანასწორობის (მათ შორის გენდერული თანასწორობის) პოლიტიკის ხელშეწყობისაკენ. პროექტმა აჩვენა, რომ ამ მიმართულებით ძალისხმევა საკმაოდ სუსტია. 2010 წელს 88 ადგილობრივი თვითმმართველობიდან მხოლოდ 12-მა განახორციელა გარკვეული აქტივობა თანასწორობის დამკვიდრების მიმართულებით. სამიდან მხოლოდ ერთ თვითმმართველობაში არსებობდა ამ პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ოფიციალური პირი. თვითმმართველობების მხოლოდ 22%-ს ჰქონდა ჩატარებული ტრენინგი თანასწორობის თემატიკაზე, თუმცა შემთხვევების 58%-ში არსებობდა თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებებსა და იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ და მუშაობენ დისკრიმინირებულ ჯგუფებთან (Rawłuszko, 2014, გვ. 196). კვლევის შედეგად გამოიკვეთა სამი ძირითადი დაბრკოლება ადგილობრივ დონეზე (გენდერული) თანასწორობის რეალიზების გზაზე: პირველი, კვლევა მიუთითებს ამ მიმართულებით ჩინოვნიკთა დაბალ ცოდნაზე და არაინფორმირებულობაზე; მეორე, არასაკმარისია სახსრები ამგვარი პოლიტიკის მომზადებისა და განხორციელებისათვის; მესამე, თანასწორობის საკითხებზე მუშაობისათვის საკმარისი არ არის ორგანიზაციული და სტრუქტურული რესურსები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ხელმძღვანელთა მიდგომებიც. დაბოლოს, სხვადასხვა ჯგუფის მიმართ დამოკიდებულებაში არსებობს დიფერენციაცია – ზოგიერთი ჯგუფის მიმართ დისკრიმინაცია და მათ წინაშე მდგარი პრობლემები აღიარებულია და არიან აქტივისტები, რომლებიც ცდილობენ მათ მოგვარებას (მაგ., ბავშვიანი დედები), მაშინ, როცა სხვა ჯგუფები (მაგ., ლგბტ, რელიგიური უმცირესობები) შეუმჩნეველნი რჩებიან. ამგვარ დიფერენციაციაზე კიდევ უფრო მეტად მოქმედებს ადგილობრივ ჩინოვნიკთა პირადი დამოკიდებულებები და მათი ინფორმირებულობის ხარისხი (იქვე, გვ. 203). გენდერული თანასწორობის დასაწერად მიმდინარე აქტივობებში ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის დაბალი ჩართულობის მაჩვენებელია ისიც, რომ მხოლოდ ორმა, შედარებით პატარა ქალაქმა მოაწერა ხელი ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ ევროპულ ქარტიას – ნისამ 2008 წ. და ალექსანდრუვ კუიავსკიმ 2012 წ.

ისევე, როგორც ზოგადად გენდერული თანასწორობის საკითხებში, ადგილობრივ დონეზეც გენდერული თანასწორობის დამკვიდრების საკითხში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ქვემოთ მოკლედ წარმოვადგენ მონიწივე გამოცდილების ორ სანიმუშო მაგალითს.

## „თანასწორობა როგორც საუკეთესო ადგილობრივი მმართველობის სტანდარტი“

ფონდმა Feinioteka თავისი კვლევის საფუძველზე მოამზადა სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებისათვის, რომელშიც მათ უზიარებდა მონიწივე გამოცდილების სანიმუშო მაგალითებს. სახელმძღვანელო ეხმარებოდა მათ ადგილობრივ დონეზე თანასწორობის პოლიტიკის დაგეგმვაში, განვითარებასა და განხორციელებაში. იგი მოიცავს სამ ელემენტს:

<sup>1</sup> იხ: <http://www.charter-equality.eu/the-charter/observatoire-europeen-en.html>

თანასწორობის სტანდარტს, თანასწორობის ინდექსს და ტრენინგებისა და სემინარების პროგრამას. თანასწორობის სტანდარტი წარმოადგენს იდეალურ მოდელს გენდერული პოლიტიკის განსახორციელებლად ადგილობრივ დონეზე. იგი შედგება 10 პირობისაგან (Czerwinska et al., 2013, p. 48):

1. თანასწორობის პოლიტიკა – თანასწორობის პრინციპი არის ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა აქტივობის ნაწილი

2. ცოდნა და კომპეტენცია – ხელისუფლების წარმომადგენლებმა იციან და გააზრებული აქვთ თანასწორობის პოლიტიკისა და დისკრიმინაციის პრევენციის მნიშვნელობა.

3. ინსტიტუციური მონყობა – ადგილობრივი მთავრობა განსაზღვრავს გუნდს ან ადამიანების ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაზე.

4. დაგეგმვა – ადგილობრივი ხელისუფლება ახორციელებს იმ პირების მდგომარეობის მონიტორინგს, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ დისკრიმინაციას, გამოავლენს არსებულ ბარიერებს და თავის შესაძლებლობებს ამ მიმართულებით მუშაობის მხრივ.

5. ინსტრუმენტები – ადგილობრივი ხელისუფლება ამზადებს და ახორციელებს თანასწორობის მისაღწევად პერიოდულ სამოქმედო გეგმას, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივ ჩინოვნიკთა მიზნებს ამ მიმართულებით.

6. კონსულტირება და ჩართულობა – ადგილობრივი ხელისუფლება განსახორციელებელი აქტივობების შესახებ კონსულტაციებს ეწევა ადგილობრივ მოსახლეობასთან და კერძოდ, პოტენციურად არაპრივილეგირებულ ჯგუფებთან, ასევე ორგანიზაციებთან, რომლებიც მოქმედებენ ამ ადამიანების სახელით.

7. განათლება და ინფორმაციის გავრცელება – ადგილობრივი ხელისუფლება ეწევა საქმიანობას, რომელიც მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის განათლებისა და ინფორმირებულობისაკენ, რათა მოხდეს დისკრიმინაციის პრევენცია.

8. ბიუჯეტი – ადგილობრივი ხელისუფლება გამოყოფს ფინანსურ რესურსს თანასწორობის პოლიტიკის განსახორციელებლად.

9. მონიტორინგი – ადგილობრივი ხელისუფლება ახორციელებს თანასწორობის პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის მონიტორინგს.

10. შეფასება – ადგილობრივი ხელისუფლება აფასებს თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებას და მის ზეგავლენას.

სახელმძღვანელოში (მის ონლაინ ვერსიაშიც) საუბარია თანასწორობის ინდექსზე, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლებისათვის წარმოადგენს თანასწორობის სტანდარტებთან მიმართებით თვითშეფასების ინსტრუმენტს. იგი მათ ეხმარება განსაზღვრონ, თუ რომელი მიმართულებით აქვს წარმატება ადგილობრივ ხელისუფლებას და რომელი მიმართულებით ესაჭიროება აქტივობებისა და პოლიტიკის უფრო მეტად დახვეწა. სახელმძღვანელო გვთავაზობს თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული კუთხით ტრენინგების პროგრამას, რომელიც შეესაბამება თანასწორობის სტანდარტსა და თანასწორობის ინდექსს, აგრეთვე ითვალისწინებს ექსპერტთა მოსაზრებებსა და ანალიზს (Czerwinska et al., 2013, p. 49).

## კრაკოვის ანტიდისკრიმინაციული ქსელი

მონინავე გამოცდილების კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია პროექტი, რომელიც კრაკოვში განახორციელა თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციამ – ფონდმა Autonomia. 2011-2014 წლებში შექმნა კრაკოვის ანტიდისკრიმინაციული ქსელი (Krakowska Sieć Antydyskryminacyjna)<sup>1</sup>. ქსელი მიზნად ისახავდა კრაკოვის ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური პოლიტიკის და ბიუჯეტის დაგეგმვის მონიტორინგს ამ პროცესებში თანასწორობის პრინციპების გათვალისწინების თვალსაზრისით. მან განიხილა ქალაქის სტრატეგიისა და განვითარების დოკუმენტები, რათა დარწმუნებულიყო, თუ რამდენად ითვალისწინებენ ისინი თანასწორობის პრინციპებს. ქსელმა აგრეთვე შეისწავლა ქალაქის სტრატეგია კონსულტაციების მიმართულებით, რათა გარკვეულიყო, ათანხმებს თუ არა თანასწორობის პოლიტიკის საკითხებს ქალაქის ხელმძღვანელობა იმ ჯგუფებთან, რომლებიც სარგებელს იღებენ ან ზოგადად განიცდიან ამ პოლიტიკის გავლენას. ისიც, თუ რამდენად ითვალისწინებენ თანასწორობის საკითხებს ის არა-

<sup>1</sup> ქსელში მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაციები: Fundacja Autonomia, Fundacja Przestrzeń Kobiet, Towarzystwo Interwencji Kryzysowej, Instytut Socjologii UJ, Centrum Ewaluacji i Analiz Polityk Publicznych UJ, Instytut Ekonomii i Zarządzania UJ, Federacja Anarchistyczna and Fundacja Równość.org.pl.

სამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც თანამშრომლობენ ქალაქის ხელმძღვანელობასთან. შეფასების პროცესის ნაწილს შეადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მზად და რამდენად ითვალისწინებს ქალაქის ბიუჯეტი თანასწორობის საკითხებს. პროექტი განხორციელდა 2012 და 2014 წლებში. მონიტორინგი იძლევა საფუძველს კრაკოვის ხელმძღვანელობისათვის რეკომენდაციების მოსამზადებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Adamska, L. (2014) Więcej równości - więcej korzyści w gospodarce: kobiety i mężczyźni na stanowiskach decyzyjnych w polskiej gospodarce w latach 2010-2013. Warszawa: Ministerstwo Pracy i Polityki Społecznej.
- Anderson, L. S. (2006) 'European Union Gender Regulations in the East: The Czech and Polish Accession Process', *East European Politics & Societies*, 20(1), pp. 101–125. doi: 10.1177 / 0888325405284314.
- Bator, J. (1998) Wizerunek kobiety w reklamie telewizyjnej. Warszawa: Instytut Spraw Publicznych. Available at: <https://pl.scribd.com/doc/46643708/Bator-Joanna-Wizerunek-Kobiety-w-Reklamie-Telewizyjnej> (Accessed: 28 October 2014).
- Boguszewski, R. (2013) Kobieta pracująca. BS / 28 / 2013. Warszawa: CBOS. Available at: <http://badanie.cbos.pl/details.asp?q=a1&id=4786>.
- Brzezińska, K., Jonczy-Adamska, M. and Pawłęga, M. (2014) Równe traktowanie w administracji publicznej. Wymiar regionalny i lokalny Podręcznik. Warszawa: Pełnomocnik Rządu do spraw równego traktowania. Available at: <https://www.spoleczenstwoobywatelskie.gov.pl/sites/default/files/rowne-traktowanie-w-administracji-publicznej-wymiar-regionalny-i-lokalny-podrecznik-1.pdf> (Accessed: 20 February 2018).
- Central Statistical Office (2013) Higher Education Institutions and their Finances in 2012. Warszawa: Central Statistical Office. Available at: <http://stat.gov.pl/obszary-tematyczne/edukacja/edukacja/szkoly-wyzsze-i-ich-finanse-w-2012-r-2,9.html> (Accessed: 16 November 2014).
- Chiva, C. (2009) 'The Limits of Europeanisation: EU Accession and Gender Equality in Bulgaria and Romania', *Perspectives on European Politics and Society*, 10(2), pp. 195–209. doi: 10.1080 / 15705850902899230.
- Czerwinska, A. et al. (2013) Polityka równości w samorządzie – standardy wdrożenia i system pomiaru. Warszawa: Feminioteka. Available at: [/ bibliography / publication / polityka-rownosci-w-samorzadzie-standardy-wdrozeni](#) (Accessed: 20 February 2018).
- Departament Analiz Ekonomicznych i Prognoz Ministerstwa Pracy i Polityki Społecznej (no date) Równość szans. Available at: <http://www.analizy.mpips.gov.pl/index.php/rowno-szans.html> (Accessed: 10 March 2016).
- Dobre praktyki w zakresie doboru kandydatów na członków organów spółek o kluczowym znaczeniu dla Skarbu Państwa - Aktualności - Ministerstwo Skarbu Państwa (no date). Available at: <http://www.msp.gov.pl/pl/media/aktualnosci/20000,dok.html> (Accessed: 6 November 2014).
- Druciarek, M. et al. (2012) Women on the Polish Political Scene. Instytut Spraw Publicznych. Available at: <http://pasos.org/wp-content/uploads/2012/05/womenpoland.pdf> (Accessed: 13 November 2014).
- Einhorn, B. and Sever, C. (2003) 'Gender and Civil Society in Central and Eastern Europe', *International Feminist Journal of Politics*, 5(2), pp. 163–190. doi: 10.1080 / 1461674032000080558.
- EVS (2011) EVS - European Values Study 1990 - Integrated Dataset. ZA4460 Data file Version 3.0.0. Cologne: GESIS Data Archive.
- Fodor, É. (2005) Women at work: the status of women in the labour markets of the Czech Republic, Hungary and Poland. Geneva: United Nations Research Institute for Social Development (Occasional paper / United Nations Research Institute for Social Development, 3).
- Fuszara, M. (2006) Kobiety w polityce. Warszawa: Trio.
- Grabowska, M. (2014) 'Gender equality in Poland after EU Accession. Expectations and Reality', Heinrich Böll Foundation, 22.
- Guiraudon, V. (2008) 'Guiraudon, (2008). Anti-Discriminatory Policy in Paolo and Maarten P. Vink (Eds.)

- Europeanisation. New Research Agendas, Basingstoke: Palgrave Macmillan, 295-308', in Graziano, P. and Vink, M. P. (eds) Europeanisation. New Research Agendas. Basingstoke: Palgrave Macmillan, pp. 295-308.
- Kicińska, M. (2012) *Równość płci w polskich kampaniach społecznych*. Warszawa: Instytut Spraw Publicznych.
- Klejdzysz, N. (2013) 'Kobiety w polskiej administracji publicznej', *Central European Political Studies (Środkowoeuropejskie Studia Polityczne)*, (4), pp. 25-36. Available at: <http://www.ceeol.com/asp/getdocument.aspx?logid=5&id=090f6ff1-6e3d-452f-b78f-6a67d86835d3> (Accessed: 15 November 2014).
- Liebert, U. (2003) 'Europeanization and the "Needles Eye": The Transformation of Employment Policy in Germany', *Review of Policy Research*, 20(3), p. 479-492(14). Available at: <http://www.ingentaconnect.com/content/bpl/ropr/2003/00000020/00000003/art00009>.
- Lisowska, E. and Sawicka, J. (2009) 'Kobiety i gospodarka', in Piotrowska, J. and Grzybek, A. (eds) *Kobiety dla Polski. Polska dla kobiet. 20 lat transformacji 1989-2009*. Warszawa: Fundacja Feminioteka (Kongre Kobiet Polskich).
- Marody, M. and Giza-Poleszczuk, A. (2000) 'Changing Images of Identity in Poland: From the Self-sacrificing to the Self-Investing Woman?', in Gal, S. and Kligman, G. (eds) *Reproducing Gender: Politics, Publics, and Everyday Life After Socialism*. Princeton University Press, pp. 151-175.
- Matynia, E. (2003) 'Provincializing Global Feminism: The Polish Case', *Social Research*, 70(2), pp. 499-530. Available at: <https://www.jstor.org/stable/40971624> (Accessed: 17 February 2018).
- Ministerstwo Edukacji Narodowej (2013) Ustawa z dnia 13 czerwca 2013 r. o zmianie ustawy o systemie oświaty oraz niektórych innych ustaw. Available at: <http://isap.sejm.gov.pl/DetailsServlet?id=WDU20130000827> (Accessed: 1 April 2016).
- Ministerstwo Skarbu Państwa (2013) *Dobre praktyki w zakresie zapewnienia zrównoważonego udziału kobiet i mężczyzn w organach spółek z udziałem Skarbu Państwa*. Available at: <http://www.msp.gov.pl/pl/media/aktualnosci/25131,Dobre-praktyki-w-zakresie-zapewnienia-zrownowazonego-udzialu-kobiet-i-mezczyzn-w.html?search=3418587> (Accessed: 10 November 2014).
- Młodożeniec, M. and Knapieńska, A. (2013) 'Czy nauka wciąż ma męską płęć? Udział kobiet w nauce', *Nauka*, (2), pp. 47-72. Available at: <http://www.pan.poznan.pl/nauki/N-213-04-Mlodozeniec.pdf> (Accessed: 14 November 2014).
- Moghadam, V. M. (1995) 'Gender and Revolutionary Transformation: Iran 1979 and East Central Europe 1989', *Gender and Society*, 9(3), pp. 328-358. doi: 10.2307/190059.
- Nowicka, W. (2007) 'the Struggle for Abortion rights in Poland', *SexPolitics*, p. 167. Available at: <http://petitiononline.comwww.swannet.org/files/swannet/File/Documents/sexpolitics.pdf?page=167> (Accessed: 17 December 2015).
- Nowosielska, P. (2004) 'Myślę, więc jestem feministką', *Tygodnik Przegląd*, 14 March. Available at: <http://www.tygodnikprzeglad.pl/mysle-wiec-jestem-feministka/> (Accessed: 29 March 2016).
- Omyła - Rudzka, M. (2013) *Kobieta w życiu publicznym*. Warszawa: CBOS. Available at: <http://badanie.cbos.pl/details.asp?q=a1&id=4792> (Accessed: 15 January 2014).
- Pełnomocnik Rządu do spraw równego traktowania (2013) 'Krajowy program działań na rzecz Równego Traktowania na lata 2013-2016'. Pełnomocnik Rządu do spraw równego traktowania.
- Pełnomocnik Rządu do spraw równego traktowania (no date) *Równe Traktowanie Standardem Dobrego Rządzenia (2011-2012)*. Available at: <http://www.spoleczenstwoobywatelskie.gov.pl/rowne-traktowanie-standardem-dobrego-rzadzenia> (Accessed: 10 April 2016).
- Polska Konfederacja Pracodawców Prywatnych (2012) *Przedsiębiorcy w Polsce. Fakty, liczby, przykłady*. Polska Konfederacja Pracodawców Prywatnych.
- Rada Ministrów (2014) 'Uchwała nr 76 Rady Ministrów z dnia 29 kwietnia 2014 w sprawie ustanowienia Krajowego Programu Przeciwdziałania Przemocy w Rodzinie na lata 2014-2020', *Monitor Polski. Dziennik Urzędowy Rzeczypospolitej Polskiej*, (445). Available at: <https://ms.gov.pl/Data/Files/-public/ppwr/krajowy-program/krajowy-program-przeciwdzialania-przemocy-w-rodzinie-na-lata-2014-2020.pdf> (Accessed: 28 March 2016).



- Rawłuszko, M. (2014) 'Polityki równości płci – możliwości i ograniczenia rozwoju na poziomie samorządowym', *Studia Socjologiczne*, (4(215)). Available at: <http://cejsh.icm.edu.pl/cejsh/element/bwmeta1.element.desklight-71736719-917c-4ef8-8461-52ebb00538d7> (Accessed: 20 February 2018).
- 'Rozporządzenie Rady Ministrów z dnia 25 czerwca 2002 r. w sprawie Pełnomocnika Rządu do Spraw Równego Statusu Kobiet i Mężczyzn' (2002). Rada Ministrów. Available at: <http://isip.sejm.gov.pl/DetailsServlet?id=WDU20020960849> (Accessed: 20 March 2016).
- Sawa-Czajka, E. (1996) 'Are There Female Political Elites in Poland?', *Journal of Women's History*, 8(2), pp. 103–110. doi: 10.1353/jowh.2010.0430.
- Sejm RP (2005) Ustawa z dnia 29 lipca 2005 r. o przeciwdziałaniu przemocy w rodzinie. Available at: <http://isap.sejm.gov.pl/DetailsServlet?id=WDU20051801493> (Accessed: 10 April 2016).
- Sejm RP (2011) Ustawa z dnia 5 stycznia 2011 r. - Kodeks wyborczy. Available at: <http://isap.sejm.gov.pl/DetailsServlet?id=WDU20110210112> (Accessed: 30 March 2016).
- Watson, P. (1993) 'Eastern Europe's Silent Revolution: Gender', *Sociology*, 27(3), pp. 471–487. doi: 10.1177/0038038593027003008.
- Zielińska, E. (2005) Equal Opportunities for Women and Men. Monitoring law and practice in new member states and accession countries of the European Union. Available at: <https://www.opensocietyfoundations.org/sites/default/files/eowmestonia-2005-0.pdf> (Accessed: 24 March 2016).
- Zielińska, K. (2015) 'Gender democracy in Poland. An empty shell?', in Galligan, Y. (ed.) *States of Democracy: Gender and Politics in the European Union*. Routledge.
- Zielińska, K. (2016) 'Gender Equality in Poland in the context of the EU Integration', in *Gender Equality Policies and EU Integration – Experience of Visegrad for EAP*. Kutaisi: Fund of Women Entrepreneurs, pp. 244–271.

## გენდერული მენისტრიმინგი და საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე - სლოვაკეთი

### წინასწორება, სამოქალაქო საზოგადოების როლი გენდერულ თანასწორობაში და ევროინტეგრაციული პროცესი სლოვაკეთში - მოკლე ისტორიული ექსპურსი

#### 1. გენდერული თანასწორობის საკითხის ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური წინაპირობები 1989 წლის შემდგომ პერიოდში

● სლოვაკეთში 1989 წლის ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ გენდერული თანასწორობის განხორციელების საქმეში შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი წინააღმდეგობა და დაბრკოლება:

1. ახალ ტენდენციებზე რეაგირების დაყოვნება
2. ახალი დემოკრატიული მოძრაობის მიერ გენდერული თანასწორობის როლის არასწორი გაგება
3. მოსახლეობის კონსერვატიულ-ქრისტიანული ნაწილის ძლიერი წინააღმდეგობა

#### რეაგირების დაყოვნება - „რკინის ფარდის შედეგები“

● გენდერული ნიშნით გარჩევა 1980-იანი წლებიდან სამეცნიერო, საგანმანათლებლო, პოლიტიკურ წრეებში და ზოგადად საზოგადოებაში განსჯის მნიშვნელოვანი საგანი გახდა დასავლურ საზოგადოებაში. ცენტრალურ ევროპაში, მათ შორის სლოვაკეთში, ეს პროცესი შეყოვნდა და მისი სრულად ამოქმედება მხოლოდ კომუნისტური დასაბრუნების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ქალთა და მამაკაცთა უმრავლესობა 90-იანი წლების სლოვაკეთში (სხვადასხვა ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით) „გენდერს“ აღიქვამდა უფრო ბიოლოგიურ ატრიბუტად, ვიდრე სოციალურ მახასიათებლად. არსებობდა სამყაროს ტრადიციული ორპოლუსიანი დაყოფა – „ვარდისფრად“ და „ცისფრად“.

#### გენდერული თანასწორობის როლის არასწორი გაგება

● საზოგადოების დემოკრატიულ ნაწილში გენდერული თანასწორობა უკვე გადაწყვეტილ საკითხად ითვლებოდა, რადგან კომუნისტურ ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მხოლოდ კლასებს შორის, არამედ სქესთა შორის თანასწორობასაც. ეს საყოველთაოდ მისაღებ, გავრცელებულ ტენდენციად იქნა მიჩნეული დემოკრატიის მშენებლობის პროცესში.

ხავერდოვანი რევოლუციიდან ხუთი წლის შემდეგ, სლოვაკი მწერალი ი. იურანოვა ირონიულად შენიშნავს: „საკმარისზე მეტია სხვა პრობლემები იმისათვის, რომ ისეთ რამეზე არ გავამახვილოთ ყურადღება, როგორც ფემინიზმია“.

#### საზოგადოების წინააღმდეგობა

● არსებობდა ძლიერი წინააღმდეგობა საზოგადოების კონსერვატიულ-ქრისტიანული ნაწილის ორგანიზაციათა ლიდერებისაგან, რომლებიც, როგორც ანტიკომუნისტური მოძრაობის წარმომადგენლები, საზოგადოების მაღალი ნდობით სარგებლობდნენ. ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა იდეას, რომ ახალი დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობისთვის მნიშვნელოვანი იყო ტრადიციული, კულტურული და ეროვნული ფესვები. გენდერული თანასწორობა აღიქმებოდა (და ახლაც აღიქმება) როგორც „დასავლური“ ღირებულება და ტრადიცია.

## გენდერული თანასწორობის ოთხი ფაზა სლოვაკეთში

- რევოლუციის შემდგომი პერიოდი (1985–95) – ეს პერიოდი ხასიათდება გენდერული თანასწორობის თემატიკაზე მომუშავე პირველი არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნით, თუმცა მათ მიმართ ინტერესი და მხარდაჭერა ოფიციალური მხრიდან მცირე იყო. ჩეხოსლოვაკიის გაყოფის შემდეგ ყურადღების კონცენტრირება მოხდა ახალი პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე.

- ვ. მეჩიარის ავტორიტარული მმართველობა (1995–99), რომელსაც ახასიათებდა ძლიერი პოპულისტური ატმოსფერო. დემოკრატიული მოძრაობის მთელი რიგი მიმართულებები, მათ შორის გენდერული თანასწორობა, ამ დროს „ზედმეტ ფუფუნებად“ ითვლებოდა.

- ევროკავშირში მიღების პერიოდი (1999–2004) – ხასიათდებოდა ბრიუსელის მხრიდან ძლიერი მხარდაჭერითა და თანადგომით, ზენოლით გენდერული თანასწორობის სტრუქტურების ჩამოსაყალიბებლად, ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო მხარდაჭერით.

- ევროკავშირის ნევრობა – ხასიათდება არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ქსელის შექმნით, რომლებიც მუშაობენ ტრენინგების, განათლების, ადვოკატირებისა და ძალადობის პრევენციის კუთხით. თუმცა, არსებობს ამ პროგრამებისა და პროექტების მდგრადობის პრობლემა, რადგანაც მცირეა ფინანსური მხარდაჭერა და დაინტერესება ოფიციალური საგანგან, რაც განპირობებულია გენდერული თანასწორობის ოფიციალურ სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის არსებული დაძაბულობით. მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების, ეროვნული უმცირესობებისა და გენდერული თანასწორობის სახელმწიფო საბჭოს გენდერული თანასწორობის კომიტეტის როლი (2011 წლიდან) ადგილებზე მრავალი აქტივობის მხარდაჭერისა და ახალი სტრატეგიებისა და კანონების მომზადების საქმეში.

## სამოქალაქო საზოგადოების მთავარი აქტორები გენდერული თანასწორობის სფეროში

- ASPEKT – ფემინისტური საგანმანათლებლო ორგანიზაცია, 1993 წლიდან აქვეყნებს ჟურნალს, 1996 წლიდან კი წიგნებსაც (დღემდე გამოქვეყნებულია 110 დასახელება), ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკებში და ონლაინ.

- ODZ – (მოქალაქე, დემოკრატია, პასუხისმგებლობა), აქვს 20-წლიანი საგანმანათლებლო გამოცდილება სამოქალაქო აქტიურობის, ადამიანის უფლებებისა და თანასწორი შესაძლებლობების, ადვოკატირებისა და ანტიდისკრიმინაციულ სფეროებში.

- EsFem – ცდილობს, ხელი შეუწყოს ინფორმირებულობის ფართო გავრცელებას გენდერული თანასწორობისა და გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის საკითხებში (ევროსაბჭო რეკომენდაციას უწევს EsFem-ს. როგორც მონინავე პრაქტიკის მაგალითს).

- Možnosť voľby (არჩევანის შესაძლებლობა) – ეწევა ადვოკატირებას, აქვს ცხელი ხაზი, ახდენს განათლების კოორდინირებას სლოვაკეთის რესპუბლიკის CEDAW (კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ) ალტერნატიული ანგარიშის შესახებ, ორგანიზებას უკეთებს „CEDAW სკოლას“, ეწევა კამპანიას სტამბოლის პროტოკოლის რატიფიცირებისთვის.

- Fenestra – ეწევა ადვოკატირებას, კონსულტირებას, განსაკუთრებით – ძალადობის შემთხვევებში, უზრუნველყოფს თავშესაფრით.

## ინტერვიუები გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან

2017 წლის აგვისტო–სექტემბერში ჩავატარე ინტერვიუები ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მომუშავე ხუთ ექსპერტთან, რომელთაც შეხება აქვთ გენდერული თანასწორობის საკითხებთან. კვლევის მონაწილეთა შორის იყვნენ როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორის და კვლევითი ინსტიტუტების ექსპერტები და პრაქტიკოსები (ტრენინგები, მასწავლებლები, ცხელი ხაზის კონსულტანტები). ხუთივე რესპონდენტის პასუხი ასახავს არა მარტო მათ პირად, არამედ მათთან ერთად პროექტებში ან კვლევებში მომუშავე მათი კოლეგების გამოცდილებასა და მოსაზრებებს. ეს კოლეგები პირადად ესწრებოდნენ ინტერვიუებს. ამ კუთხით თუ შევხედავთ, მოსაზრებები და გამოცდილება გაგვიზიარა 15 ექსპერტმა.

### **პირდაპირ გამომკითხული ხუთი ექსპერტი:**

- სილვია პორუბანოვა – შრომისა და ოჯახის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სლოვაკეთის გენდერული თანასწორობის კომიტეტის წევრი
- დავმარ ჰორნა – ადამიანის უფლებების აქტივისტი, კომენიუსის უნივერსიტეტის მასწავლებელი
- იარმილა ფილადელოვოვა – მკვლევარი, გენდერული თანასწორობის სფეროში მრავალი ემპირიული კვლევისა და შრომის ავტორი და თანაავტორი
- იანა დივინცოვა – შრომის, სოციალური დაცვისა და ოჯახის საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სამდივნოს დირექტორი
- ადრიანა მესოხორიტისოვა – გენდერული ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის „არჩევანის შესაძლებლობა“ ხელმძღვანელი.

## **დასკვნები ინტერვიუებიდან**

ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გაკეთებული დასკვნები შეიძლება გავაერთიანოთ ორ ძირითად მიმართულებად, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პრინციპების გამოყენებასთან:

1. ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის განხორციელებაში არსებული ძირითადი ტენდენციები – დასკვნები მოიცავს საზოგადოების მიდგომებს, ამჟამად არსებულ ვითარებას და მოსალოდნელ ტენდენციებს
2. „შემთხვევის ანალიზი“ – მონიწივე პრაქტიკის მაგალითები, ინდივიდუალური გამოცდილება და პროექტების მდგრადობა

## **I. ძირითადი ტენდენციები**

ყველა ექსპერტი ცალსახად აღიარებს, რომ გენდერული თანასწორობის კუთხით ადგილებზე არსებული სიტუაცია ამ მხრივ ეროვნულ დონეზე არსებული მდგომარეობის ანარეკლია.

ეროვნულ დონეზე გენდერულ თანასწორობას აქვს შემდეგი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

- გენდერული თანასწორობის პრინციპების არასწორი გაგება
- სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერა და ადგილებზე ამ მხრივ განათლებისა და ინფორმირებულობის ნაკლებობა

● ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ევროსაბჭოსა და გაეროს წინაშე აღებული ვალდებულებებით დადგენილი სტანდარტების არათანმიმდევრული დანერგვა

- გენდერულ საკითხებზე რეაგირება არაეფექტური ფორმალური გზებით

ბუნებრივია, ამგვარი ზოგადი სოციალურ-კულტურული ფონი ზეგავლენას ახდენს ადგილებზე შექმნილ ვითარებაზე. ამას ემატება სხვა ფაქტორებიც, რაც ანელებს ან აფერხებს ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის დანერგვას. ასეთი ხელისშემშლელი ფაქტორების მაგალითებია:

- გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და არსის შესახებ არასაკმარისი ინფორმირებულობა;
- ამ საკითხზე ძლიერი კულტურული და სოციალური სტერეოტიპების არსებობა ადამიანურ-სამართლებრივ განზომილებებში (მაგ. ტრადიციული აზროვნება გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ);

● გავრცელებული მოსაზრება, რომ „ქალთა უთანასწორობის საკითხი“ გადაწყდა ჯერ კიდევ სოციალიზმის ეპოქაში და, შესაბამისად, საჭირო აღარაა შემდგომი მსჯელობა ამ თემაზე;

● გენდერული უთანასწორობის თემატიკის ხშირი გადაფარვა ეკონომიკური თემატიკით, როგორცაა უმუშევრობა, ბინით უზრუნველყოფა და ა.შ.;

● ძლიერი ზენოლა ეკლესიის, განსაკუთრებით კათოლიციზმის მხრიდან გენდერული თანასწორობის პრინციპების წინააღმდეგ და CEDAW და გენდერული თანასწორობის სხვა დოკუმენტების ძირეული უარყოფა. კათოლიკური ეკლესია გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ იყენებს სხვადასხვა არგუმენტს, როგორცაა ის, რომ გენდერული თანასწორობა საფრთხეს უქმნის ჩვენს კულტურას, ტრადიციებს და ოჯახის სტაბილურობას.

ყველა აღნიშნული ფაქტორის ზემოქმედებით განპირობებულია გენდერული თანასწორობის განხორციელების დაბალი დონე ადგილებზე, თუმცა ამავე მიზეზებით დიდია განსხვავება კონკრეტულ მუნიციპალიტეტებს, ქალაქებსა და რეგიონებს შორის.

ხშირად შესაძლებელია, რომ თუნდაც ერთმა ადამიანმა ან მცირე საგანმანათლებლო პროექტმა შეცვალოს ვითარება. მაგალითად, იმ ქალაქებში, რომელთა მერებიც ქალები გახდნენ, შეინიშნება აღნიშნული საკითხის მასშტაბების ცვლილება. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი განსხვავება გამოიწვიოს რეგიონებში გენდერული თანასწორობის განხორციელების მხრივ, არის ადგილობრივი მოქალაქეების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზების ნება-სურვილი და კონკრეტულ რეგიონში ამ პროგრამების მისანვდომობა ფართო საზოგადოებისათვის. ამგვარად, შეგვიძლია ვისაუბროთ მკვეთრ განსხვავებებზე გენდერული თანასწორობის განხორციელების კუთხით სლოვაკეთში. მხოლოდ ერთი ფაქტორის გათვალისწინება, მაგალითად, იმისა, მოცემული ქალაქის მერი ქალია თუ მამაკაცი, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვისაუბროთ გენდერული თანასწორობისადმი ფართო საზოგადოების დამოკიდებულების და ზოგადად არსებული ატმოსფეროს ცვლილების შესახებ. მაგალითად, იყო შემთხვევები, როცა ქალმა მერმა მიიღო ეს თანამდებობა, როგორც „უკანასკნელმა არჩევანმა“, რადგან სხვას არავის სურდა ამ თანამდებობის დაკავება. ამგვარად, არჩევნების ამგვარი შედეგი განპირობებული იყო არა მოქალაქეთა მაღალი ცნობიერებით გენდერული თანასწორობის საკითხებზე, არამედ არჩევანის სიმწირით. თუმცა, მეორე მხრივ, ხშირად ასეთი მერები, რომლებიც კანდიდატების ნაკლებობის შედეგად იყვნენ არჩეულნი, თანდათანობით ცვლიან მოქალაქეთა მიდგომებსა და ხედვებს გენდერული თანასწორობის პრინციპების მიმართ. თავიანთი გამორჩეული მუშაობით, ისინი პრაქტიკაში ადასტურებენ გენდერული თანასწორობის პრინციპებს და ხელს უწყობენ ამ საკითხზე ინფორმირებულობის ამაღლებას. საჭიროა ამგვარი პოზიტიური მაგალითების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება და საზოგადოებასთან მეტი დისკუსია.

მუნიციპალურ არჩევნებში არსებული პროპორცია გამოირჩევა დადებითი დინამიკით ქალი მერების ზრდის კუთხით, თუმცა, მეტწილად ეს ქალი მერები წარმოადგენენ მხოლოდ პატარა და ნაკლებად განვითარებულ ქალაქებს. უფრო ნაკლებად არიან ქალები არჩეული მერებად დიდ ქალაქებში. რეგიონულ დონეზე, სლოვაკეთის რვავე თვითმმართველი რეგიონის თავმჯდომარეებად მხოლოდ მამაკაცები იყვნენ ხოლმე არჩეული. აღნიშნული ვითარება პირველად 2017 წლის ნოემბერში, ბოლო არჩევნებისას შეიცვალა, როცა ერიკა იურინოვა იქნა არჩეული ჟილინას თვითმმართველი რეგიონის თავმჯდომარედ. ეს არჩევნები გამორჩეული იყო კანდიდატებს შორის ქალთა რაოდენობითაც, რაც მნიშვნელოვნად მაღალი იყო ნებისმიერ წინა არჩევნებთან შედარებით.

### „შემთხვევის ანალიზი“

გენდერული თანასწორობის ადგილობრივ დონეზე განხორციელების მონინავე გამოცდილების მაგალითები შეიძლება ვიპოვოთ სამი მიმართულებით:

- მუნიციპალიტეტების სოციალური ცხოვრება
- იმ სანარმოთა დონეზე გატარებული ზომები, რომლებიც საქმიანობას წარმართავენ კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში
- განათლება, ტრენინგები, ცნობიერების ამაღლების კამპანია

## მოწინავე გამოცდილება პოლიტიკურ დონეზე

სლოვაკეთის თვითმმართველი რეგიონების არჩევნების შედეგები გენდერული თანასწორობის მიმართ სოციალურ-პოლიტიკური ცნობიერების ერთ-ერთი ინდიკატორია. მათი შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ხალხის დამოკიდებულებაზე ქალების მიმართ, ფართო საზოგადოების რწმენაზე, რომ ქალებს შეუძლიათ ისევე იმუშაონ, როგორც მამაკაცებმა. შესაბამისად, ქალი მერების არსებობა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მათი მუშაობის შედეგები და იგი წარმოადგენს არჩეული ქალების უნარებისა და შესაძლებლობების პირდაპირ დასტურს. აღნიშნული ინდიკატორი, ძირითადად, შეეხება ქალი მერების ან მუნიციპალური საბჭოს დეპუტატი ქალების მუშაობის შეფასებას.

როგორც აღვნიშნეთ, ამგვარ თანამდებობებზე ქალების ყოფნა ჯერ კიდევ არ არის ჩვეული ამბავი სლოვაკეთისათვის – იგი მხოლოდ 20% აღწევს (იხ. დიაგრამა). უმეტეს შემთხვევაში ისინი ხელ-

მძღვანელობენ მცირე ან საშუალო ზომის მუნიციპალიტეტებს, 500–დან 5000–მდე მოსახლეობით. ბოლო წლებისა და მუნიციპალურ ორგანოებში არჩევნების გამოცდილება ნათლად მიუთითებს ქალების წარმატებაზე ამ თანამდებობისათვის ბრძოლაში. ამის დამადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ მაღალი წილი ქალი მერებისა, რომლებიც ხელახლა იქნენ არჩეული მეორე ან მესამე ვადით. ადგილობრივი გამოცდილება ასევე მიუთითებს ამ მხრივ ზოგადი ატმოსფეროს შეცვლაზე, რაც გამოიხატება ისეთ ტენდენციებში, როგორცაა მეტი პატივისცემა ქალებისადმი, ქალებთან დაკავშირებით ნაკლები სტერეოტიპები და ა.შ. ამავე დროს წარმატებული ქალი მერები ნიმუშს, მაგალითს წარმოადგენენ მეზობელი თემებისთვისაც. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სლოვაკეთში გამოიკვეთა რამდენიმე რეგიონი, სადაც ორი–სამი წარმატებული ქალი მერის მაგალითზე თანდათანობით იზრდება შემდეგ მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილე ქალი კანდიდატებისა და, შედეგად, ქალი ლიდერების რიცხვი. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჟილინას მუნიციპალური რეგიონი ჩრდილოეთ სლოვაკეთში, სადაც ერთ კონკრეტულ რეგიონში, ტურიეცში, მერების ერთ მესამედზე მეტი ქალია, მიუხედავად იმისა, რომ მეზობლად მდებარე ლიპტოვში და ორავაში კვლავ მცირეა მათი რაოდენობა.

ტურიეცში ასევე იზრდება ახალგაზრდა ქალ მერთა რიცხვიც. ერთ–ერთი მათგანია ყოფილი მოდელი 30 წლის ერიკა ცინტულოვა – სოფლის კლასტორ პოდ ზნიევომ მერი. იგი მშობლიურ სოფელში დედაქალაქ ბრატისლავადან დაბრუნდა, რათა ააღორძინოს აქაურობა. როდესაც დაინახა, რომ ამ ფუნქციისთვის სხვა კანდიდატი არ იყო, გადაწყვიტა, თავად ეცადა ბედი. „ვხედავდით, რომ ჩვენი სოფლიდან გამქრალიყო ის სიამაყე, ბრწყინვალეობა, მომხიბვლელობა და წესრიგი, რაც ბავშვობიდან მახსოვდა. ვცდილობდით, დაგვერწმუნებინა ჩვენი მეგობრები, კენჭი ეყარათ მერობაზე, მაგრამ ვერავინ დავიყოლიეთ, ასე, რომ მე მომიწია კენჭისყრამ“ – იგონებს ეს მიზანსწრაფული მერი. საბედნიეროდ, ამ რეგიონში მრავლად არიან ქალი მერები და ისინი ხშირად ეხმარებიან ერთმანეთს, ამიტომ ერიკასაც შეუძლია მათი მაგალითით ისარგებლოს. ქალი მერების მიერ ერთმანეთის რჩევებით ამგვარი დახმარება დამახასიათებელია სლოვაკეთის სხვა რეგიონებისთვისაც.

## მოწინავე გამოცდილება ბიზნესის დონეზე

გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის მეორე მნიშვნელოვანი დონეა ბიზნესში ამ საკითხისადმი დამოკიდებულება. მოწინავე გამოცდილების მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში და რეგიონებში საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი პროგრამებისა და სტრატეგიების შემუშავება.

1989 წლის რევოლუციისა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების შედეგად, ქარხნების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კორპორატიული სტრატეგიიდან გაქრა საოჯახო პოლიტიკა. კერძო ბიზნესში საოჯახო პოლიტიკის მიმართ ინტერესის გაქრობის საპასუხოდ შრომის, სოციალურ საკითხთა და ოჯახის სამინისტრომ დაიწყო ახალი ტიპის საოჯახო სტრატეგიის შემუშავება, რაც დაკავშირებული იყო გენდერული თანასწორობის პრინციპებთან. ამ პროცესში სამინისტრომ შექმნა პროექტი „ოჯახისადმი მეგობრული საწარმო“. ეს არის კონკურსი და ითვალისწინებს კერძო საწარმოებისათვის პრიზების მინიჭებას და საზოგადოებრივ აღიარებას ფართო სოციალური პროგრამების შექმნისა და მათი თანამშრომლების ოჯახების მხარდასაჭერად მიმართული სხვადასხვა ტიპის ძალისხმევისათვის. პრიზის მინიჭებისას ერთ–ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად განისაზღვრა გენდერული თანასწორობის პრინციპების გამოყენება პრაქტიკაში, კერძოდ, თუ რა ღონისძიებებს მიმართავს ესა თუ ის კომპანია, რათა მისმა თანამშრომლებმა შეძლონ, ერთმანეთს შეუთავსონ სამუშაო და ოჯახი. ამგვარ ღონისძიებებს შორისაა ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა კომპანიაში მუშაობის თავისუფალი გრაფიკის დამკვიდრება დედებისა და მამებისათვის, თანამშრომელთა ბავშვებისათვის საბავშვო ბაგებისა და ბაღების დაარსება და ა.შ.

კონკურსის უალრესად წარმატებული აღმოჩნდა და აშკარაა მნიშვნელოვანი პროგრესი, როგორც აპლიკანტების რაოდენობის, ასევე მედიამომხილვის კუთხით. დაჯილდოებულ კომპანიებს შორის იყვნენ არა მარტო დიდი და მდიდარი, არამედ მცირე ზომის კომპანიებიც, რომელთაც დანერგეს საინტერესო ღონისძიება ან აქტივობა, რომელიც მიმართული იყო ოჯახისა და სამუშაოს შეთავსებისკენ. ამ კონკურსის შედეგები ცხადდება შრომის, სოციალურ საკითხთა და ოჯახის სამინისტროს მიერ, ფართოდ ვრცელდება საზოგადოებაში და მას დადებითი გამოხმაურება მოჰყვება. გამარჯვებულ საწარმოებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ადგილებზე ზოგადი ატმოსფეროს შეცვლის და სხვა საწარმოებისათვის გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული სამუშაო პრინციპების ყოველდღიურ ცხოვრე-

ბაში გამოყენების მაგალითის მიცემის კუთხით. ამ მხრივ რეგიონზე ზეგავლენაც მეტად საგრძნობია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ სანარმოებში რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილია დასაქმებული.

### **ამონაპრაპი ჩვენი ქსაერთაბის პასუხებიდან შემდეგ კითხვებზე:**

1. გთხოვთ, შეაფასოთ გენდერული თანასწორობის პრინციპების გამოყენება თქვენს ქვეყანაში ადგილობრივ დონეზე და მუნიციპალური სტრატეგიების სხვადასხვა ფორმაში.

2. არის თუ არა თქვენთვის ცნობილი მოწინავე გამოცდილების მაგალითები? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მოკლედ გვიამბოთ მათ შესახებ.

როგორც სიღვია პორუბანოვა აღნიშნავს:

ბოლო წლებში აშკარაა ძალისხმევა რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე. ხშირად ვხედავთ გენდერული თანასწორობისაკენ მიმართული დოკუმენტების მიღებასა და გამოყენებას, სხვადასხვა აქტივობას, ამ მიზნით მომუშავე დაწესებულებებს, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება თემებს, რომლებიც აქტიუალურია კონკრეტული რეგიონის, ქალაქის ან მუნიციპალიტეტისთვის.

აქ იგულისხმება, მაგალითად, სხვადასხვა ტიპის მემორანდუმები, თანამშრომლობის ხელშეკრულებები, ადგილობრივ წარმომადგენელთა ქსელის შექმნა (დეპუტატების, ადგილობრივი ხელისუფლების, ადგილობრივი კომპანიების წარმომადგენლების, სკოლებისა და დაწესებულებებისგან). მათი საქმიანობის სფერო მოიცავს ოჯახური ცხოვრებისა და სამუშაოს შეთავსებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ორივე სქესის წარმომადგენელთა დაბალანსებულ მონაწილეობას, ქალთა მიმართ ძალადობას და ოჯახურ ძალადობას, ორგანიზაციების ეფექტურ სოციალურ პასუხისმგებლობას, მიმართულს მშობლების ხელშეწყობისაკენ. ამ კუთხით ადგილობრივ დონეზე ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ტრენინგები და საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც ხშირად სარგებლობენ ამ სფეროში არსებული საუკეთესო გამოცდილებით და მაგალითებით ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა გერმანია, ავსტრია ან შვედეთი.

ადგილობრივ ორგანიზაციათა კონკრეტული ინიციატივები უმეტესად კონცენტრირებულია შემდეგზე: იმგვარი სამუშაოს ორგანიზება, რომელიც ითვალისწინებს საოჯახო და პირად საჭიროებებს და ინდივიდუალურ განსხვავებებს ქალ და მამაკაც თანამშრომლებს შორის, იმ მომსახურებათა განვითარება, რომლებიც ხელს უწყობს ოჯახისა და სამუშაოს შეთავსებას, პროგრამების მხარდაჭერა, რომლებიც მიმართულია მამაკაცებისა და ქალების დასაბრუნებლად შრომით ბაზარზე (გადამზადება, სპეციალიზებული დასაქმების კურსები, მენტორობა და სწავლება, არასამუშაო ეტაპზე სწავლების გაგრძელება და ა.შ.).

ადგილობრივ ორგანიზაციებში ამჟამად მიმდინარეობს დისკუსიები და გამოცდილების და იდეების გაზიარება შემდგომ კონკრეტულ მიმართულებებსა თუ „თემებზე“:

- მომზადება მშობლობისათვის
- მშობლობა, როგორც ახალი სიტუაცია ცხოვრებაში
- ბავშვებზე ზრუნვა და ბავშვის განათლება
- სკოლამდელი დაწესებულებები
- დეკრეტული შვებულებიდან სამუშაოზე დაბრუნება
- დედების მხარდაჭერის პროგრამები
- მამების მხარდაჭერა კომპანიებში
- ოჯახის წევრებზე ერთობლივი ზრუნვის მხარდაჭერა

### **როგორც დინცოვა აღნიშნავს:**

ამის შეფასება ძნელია, თუმცა ვფიქრობ, ეს, ძირითადად, დამოკიდებულია რეგიონში მოქმედ კომპანიებში თანამშრომლებს შორის არსებულ განათლების დონეზე და მათ ინფორმირებულობაზე გენდერული თანასწორობის საკითხებზე; ამგვარად, შეიძლება ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებული სურათი მივიღოთ. ჩემი აზრით, ურბანულ თემებში უფრო პოზიტიური განწყობები უნდა იყოს, ვიდრე მცირე მუნიციპალიტეტებში, სადაც მოსალოდნელია საკითხის ნაკლები ცოდნა და ტრადიციული მიდგომების არსებობა. თუმცა, ჩემი თვალთახედვით, ვითარება იცვლება, რადგან ინსტიტუციური საფუძველი ძლიერდება და ხორციელდება ბევრი საგანმანათლებლო პროექტი რეგიონული ხელისუფლების თანამშრომლობით შრომის, სოციალური დაცვისა და ოჯახის სამინისტროსთან. საინტერესოა თვალი გადავავლოთ რეგიონულ და მუნიციპალურ არჩევნებში ქალ კანდიდატთა რაოდენობასაც.

### **როგორც ჰორნა აღნიშნავს:**

სლოვაკეთში გენდერული თანასწორობის პრინციპების გამოყენებას ადგილობრივ, მუნიციპალურ დონეზე რამდენიმე განზომილება აქვს. პრინციპში, მამაკაცები ჭარბად არიან გადანყვევტილების მიმღებ და საკვანძო თანამდებობებზე (პოლიტიკური წარმომადგენლობის ყველა დონეზე და ბიზნესში, მათ შორის აკადემიურ სფეროშიც). ამ სიჭარბის ფაქტორები, ასევე შესაბამისი სტატისტიკა სათანადოდაა ასახული სლოვაკეთის ყოველწლიური საერთო მდგომარეობის ანგარიშში, ასევე CEDAW ალტერნატიულ ანგარიშში და CEDAW რეკომენდაციებზე არასამთავრობო ექსპერტების პასუხებში.

ქალებს შორის შეინიშნება მზარდი დაინტერესება, დაიკავონ თანამდებობები რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე – მაგ. მუნიციპალიტეტების მერების, ადგილობრივ, მუნიციპალურ საბჭოთა დეპუტატების თანამდებობები. მოგიყვანთ მაგალითს ჩემი პირადი გამოცდილებიდან: საერთო საცხოვრებლების ბინათმესაკუთრეთა წარმომადგენლისა და თვითმმართველი რეგიონის თავმჯდომარის თანამდებობები, ჩვეულებრივ, ქალებს უკავიათ (სასარგებლო იქნებოდა შესაბამისი სტატისტიკა ან სილრმისეული კვლევა ამ კუთხით, თუმცა ეს ინფორმაცია ხელთ არაა მაქვს).

## **II. მონიშნავი პრაქტიკა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კომპეტენციის განვითარება სლოვაკეთში. 2008 წ. მოკლე მონახაზი**

2008 წელს კომიტეში ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ საჯარო სამსახურების იმ პერსონალს, რომელთაც უწევდათ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობა, არავითარი წვდომა არ გააჩნდათ ტრენინგებზე. ამიტომაც, სამინისტროს მხარდაჭერით ქალთა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ FENESTRA შეიმუშავა სატრენინგო კურსი.

აღნიშნული კურსი განხორციელდა ქალაქის ოთხ რაიონში. სპეციალურ ტრენინგ კურსებს დაესწრო ამ თემაზე მომუშავე სხვადასხვა პროფესიის 36 ადამიანი – პოლიციელები, სოციალური მუშაკები, ჯანდაცვის სპეციალისტები, ფსიქოლოგები და იურისტები. მოხდა მათი გათვითცნობიერება პარტნიორის მხრიდან ძალადობის თემაზე. ძირითად თემებს შორის იყო: გავრცელებული მითები პარტნიორებს შორის ძალადობის შესახებ, მისი რეალური მიზეზები და ბუნება, რისკ-ფაქტორები, ქალთა უსაფრთხოება, ვინაა პასუხისმგებელი ქალთა მიმართ ძალადობაზე და პარტნიორების მხრიდან ძალადობის ზეგავლენა ქალებისა და მათი ბავშვების ჯანმრთელობაზე.

შეიქმნა სახელმძღვანელო, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი თითოეული სამსახურის კომპეტენცია და პროცედურები. ამ კურსმა სტიმული მისცა მსგავს პროექტებს სლოვაკეთის სხვა რეგიონში – პრემოვში.

## **ერთიანი მიდგომა მოითხოვს კოორდინაციას**

სლოვაკეთში ეროვნული პოლიტიკა ოჯახურ ძალადობასთან და ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით მჭიდრო კავშირშია გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან. 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის საკითხი ამ დღის წესრიგის ნაწილი გახდა, რაც, ძირითადად, უკავშირდებოდა ალბერტ საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელიც ევროკავშირში გაერთიანების შემადგენელი ნაწილი იყო. 2004 წლამდე ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი ჩართული იყო ქალთა საკითხების შესახებ ეროვნულ გეგმებში (1997) და მისი ჩამოყალიბება მოხდა ქალთა და მამაკაცთა თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფის (2001) კონტექსტში. ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სტრატეგიის მიღებას თან ახლდა მთელი რიგი სიძნელეები, დისკუსიები, პერსონალის ცვლილება და ზენოლა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ძირითადი კონფლიქტი უკავშირდებოდა გენდერული ძალადობის კონცეფციის აღიარებას და არჩევანს, აქცენტი გაკეთებულიყო ექსკლუზიურად ქალებზე. [1] გადანყდა, რომ არჩეულიყო ერთიანი მიდგომა, რომელიც მოიცავდა სისხლის სამართალს, დახმარების აღმოჩენას, პრევენციასა და კვლევით საქმიანობას. უმნიშვნელოვანესად იქნა მიჩნეული დაინტერესებულ მხარეთა შორის კოორდინაცია. [2] ეს რომ მართლაც ასეა, საკითხის მრავალმხრივობიდანაც გამომდინარეობს, რადგან ქალთა მიმართ ძალა-



დობის პოლიტიკის აქტორები წარმოადგენენ ფართო სპექტრის სხვადასხვა სფეროს: უსაფრთხოებას და დაცვას, სისხლის სამართალს, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებს, სამოქალაქო საზოგადოებას და კვლევით საქმიანობას. ამ თემაზე აქტიურად ჩართულ სამინისტროებს შორისაა შრომის, სოციალურ საქმეთა და ოჯახის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები. დეცენტრალიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესების კვალდაკვალ, სულ უფრო და უფრო მეტი პასუხისმგებლობის დელეგირება ხდება რეგიონულ ხელისუფლებაზე. ამავდროულად, არასამთავრობო ორგანიზაციებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ და ხშირად საკუთარ თავზე სახელმწიფოს ვალდებულებებსაც კი იღებენ ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის მიმართულებით.

## ტრენინგების საჭიროება

2008 წ. ქალაქ კომიტეში განხორციელდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდაჭერისა და დაცვის მხრივ არსებული ვითარების მონიტორინგი. მონიტორინგმა გამოავლინა ამ მიმართულებით ძლიერი და სუსტი მხარეები და განვითარების შესაძლებლობები. სისუსტეთა შორის ერთ-ერთი იყო ტრენინგების ნაკლებობა ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მომუშავე საჯარო მოსამსახურეთათვის.

ამიტომაც შემუშავდა სატრენინგო კურსი პოლიციელების, სოცმუშაკების, ჯანდაცვის სპეციალისტების, ფსიქოლოგებისა და იურისტებისათვის. ტრენინგი მიზნად ისახავდა იმ სპეციალისტების მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას, რომლებიც შედიოდნენ კომიტეში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის სამუშაო ჯგუფში (რომელიც 2008 წ. შეიქმნა), რათა გაუმჯობესებულიყო მათ შორის ურთიერთთანამშრომლობა და შექმნილიყო პლატფორმა ჩართულ ინსტიტუტებს შორის შეხვედრებისა და ცოდნის გაზიარებისათვის.

კურსის შემუშავების ინიციატივა ეკუთვნოდა კომიტეს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციას Fenestra და იგი დააფინანსა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეგიდით მოქმედმა დანაშაულის პრევენციის კომიტეტმა. სამიზნედ შეირჩა კომიტეს 4 რაიონი: სევერ, ზაპად, დარგოვსკიხ პრდინოვ და ნად ჯაზერომ.

მოხდა ყოველ რაიონში ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლაზე პასუხისმგებელი მთავარი დაწესებულების შერჩევა. შერჩევის უპირველესი კრიტერიუმი იყო მისი შესაძლებლობა, ყოფილიყო პირველადი კონტაქტის ადგილი იმ ქალებისათვის, რომლებმაც განიცადეს ძალადობა პარტნიორის მხრიდან და ითხოვდნენ დახმარებას. ამგვარი დაწესებულებები იყო პოლიციის განყოფილებები, სოციალური და საოჯახო მომსახურების ოფისები, საავადმყოფოები, საველე სოცსამსახურები, ფსიქოლოგიური კონსულტაციის და პრევენციის ცენტრები და პროკურატურის განყოფილებები.

ამ დაწესებულებებში მომუშავე სპეციალისტები ესწრებოდნენ სპეციალიზებულ სატრენინგო კურსებს, რომლებიც ახდენდნენ მათ გათვითცნობიერებას პარტნიორის მხრიდან ძალადობის საკითხებში. ძირითადი თემები მოიცავდა გავრცელებულ მითებს პარტნიორებს შორის ძალადობის შესახებ, მათ რეალურ მიზეზებსა და ბუნებას, რისკ-ფაქტორებს, ქალთა უსაფრთხოებას, ვინაა პასუხისმგებელი ქალთა მიმართ ძალადობაზე და პარტნიორების მხრიდან ძალადობის ზეგავლენას ქალებისა და მათი ბავშვების ჯანმრთელობაზე.

შეიქმნა სახელმძღვანელო, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი თითოეული სამსახურის კომპეტენცია და ძალადობის შემთხვევაში საჭირო პროცედურები. კონკრეტული ღონისძიებების შესახებ თავების ავტორები იყვნენ შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც შედიოდნენ კომიტეში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის სამუშაო ჯგუფში.

ტრენინგი გაიარა 36 ადამიანმა. მათ მაღალი შეფასება მისცეს მიღებულ ინფორმაციას და შესაძლებლობას, გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება სხვა პროფესიის ადამიანებისათვის. გაიხსნა მეტად სასარგებლო საინფორმაციო არხი სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს შორის თანამშრომლობისათვის.

## პროფესიებს შორის თანამშრომლობა

ტრენინგი სასარგებლო აღმოჩნდა იმ კუთხითაც, რომ თავი მოუყარა სხვადასხვა პროფილისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვადასხვა როლის მქონე სპეციალისტებს და იგი გახდა ნაწილი ფართო პროექტისა, რომელიც მხარს უჭერს კომიტეში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის სამუშაო ჯგუფის წევრთა შორის უწყებათაშორისი მიდგომის დამკვიდრებას.

ტრენინგი წარმატებული გამოდგა ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდასაჭერად სტანდარტიზებული პროცედურების გავრცელების კუთხითაც და საშუალება მისცა სხვადასხვა უწყებას, ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ ცოდნა და გამოცდილება.

ტრენინგი ეფუძნება მსხვერპლზე ორიენტირებულ და მრავალუნებრივ მიდგომას, რომელიც ერთად უყრის თავს ოჯახური ძალადობის საკითხებში ჩართულ რამდენიმე ორგანიზაციას, რომელთაც ხელი მოაწერეს ფორმალურ პროტოკოლებს. მის განხორციელებაში ჩაერთნენ უშუალოდ მსხვერპლთან მომუშავე ექსპერტებიც.

ოჯახური ძალადობის განმარტება ეფუძნება საერთაშორისო დოკუმენტებსა და შეთანხმებებს, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობას განიხილავენ გენდერულ ძალადობად და მას ქალთა და მამაკაცთა შორის ისტორიულად და სოციალურად ჩამოყალიბებული უფლებრივი დისბალანსის შედეგად მიიჩნევენ. ამგვარი განსაზღვრება კარგ საფუძველს იძლევა ზოგად გარემოზე ზემოქმედებისათვის, რადგან იგი ხაზს უსვამს გენდერულ უთანასწორობას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის სიღარიბის რისკი და სახელმწიფო და ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან არაჯეროვანი ან არასაკმარისი რეაგირების შემთხვევაში ქალისთვის შექმნილი ფიზიკური (ჯანმრთელობის) საფრთხე.

ტრენინგის შეფასება ან მონიტორინგი არ განხორციელებულა. თუმცა არსებობს რამდენიმე მიმართულება, სადაც შეიძლება მისი ეფექტურობის გაზრდა. პირველი ნაბიჯი იქნებოდა პროცედურათა ფორმალიზება, რაც გამოიხატება ყოველი უწყების შიგნით და ერთად მომუშავე უწყებებს შორის პროტოკოლის ხელმოწერაში. მეორე ნაბიჯი უნდა იყოს ტრენინგის გამოცდილების გადმოტანა მიმდინარე პრაქტიკაში. მესამეც, ტრენინგებისათვის სასარგებლო იქნებოდა მისი პერიოდული შეფასება. მიუხედავად ამ ინიციატივაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართულობისა, არ შემუშავებულა კონკრეტული გეგმა მისი გავრცელებისათვის.

## ნიმუში სხვა რეგიონებისათვის

ტრენინგის დადებითი მხარე იყო ის, რომ იგი ეფუძნებოდა პრაქტიკას და მიზნად ისახავდა ადგილზე სიტუაციის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას. ის აიგო მრავალუნებრივი მიდგომის პრინციპებზე და მასში ჩართულნი იყვნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთან მომუშავე სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები. ამ უწყებათა წარმომადგენლებმა შექმნეს სახელმძღვანელო, რომელშიც თითოეული უწყებისათვის განერილია საჭირო ჩარევის პროცედურები და მისი გრძელვადიანი მნიშვნელობა. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია Fenstra-ს ვებგვერდზე და მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერ უწყებას, რომელსაც სურს გაიუმჯობესოს უნარები პროფესიული მხარდაჭერის მხრივ ოჯახური ძალადობის შემთხვევებში.

ტრენინგის გადატანა სხვა გარემოში შეიძლება გარკვეულწილად შეზღუდული იყოს, კონკრეტული ადამიანებიდან და მონაწილე დანესებულებებიდან გამომდინარე. ამას გარდა, ტრენინგში ჩართულ დანესებულებათა ტიპოლოგია დამოკიდებულია არსებულ საკანონმდებლო გარემოსა და თითოეული დანესებულების პასუხისმგებლობაზე. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ტრენინგი აღმოჩნდა ნიმუში სხვა რეგიონებისათვის, რათა დაეწყოთ მსგავსი თანამშრომლობა (მაგ. პრემოვის რეგიონში), რითაც დაამტკიცეს, რომ არსებული პრაქტიკა შეიძლება დაინერგოს სხვაგანაც და გამოდგეს სასწავლო მაგალითად განსხვავებულ კონტექსტში.

პროცესიდან მიღებული გაკვეთილებიდან, უპირველესად, შეგვიძლია გამოვყოთ ის, რომ ტრენინგის პოზიტიური შედეგისათვის საწყისი წერტილი უნდა იყოს ტრენინგის საჭიროებათა ანალიზი სამიზნე სპეციალისტებს შორის. მეორეც, მრავალუნებრივ ტრენინგს აქვს უნარი, დასაბამი მისცეს სხვადასხვა უწყებას შორის თანამშრომლობას. და მესამეც, ოჯახური ძალადობის გამკლავების შესახებ სხვადასხვა უწყებას შორის გამოცდილების გაზიარებას შეიძლება სტიმული მისცეს სახელმძღვანელოს შემუშავებამ, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა უწყების პროცედურებს.

[1] ბარბარა ჰოლუბოვა, ქალთა მიმართ ძალადობა და გენდერული თანასწორობის როლი, სოციალური ინკლუზია და ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიები, ეროვნული ანგარიში მომზადებული EGGSI ქსელისათვის, ევროკომისია, 2010 წ.

[2] ეროვნული სტრატეგია ქალთა მიმართ და ოჯახური ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისთვის. საკონტაქტო / დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისათვის ვებგვერდი (<http://www.fenestra.sk/>)

NB საავტორო უფლება: დუშანა კარლოვსკა

Fenestra o.z.

Festivalové námestie 2

041 90 Košice

Slovakia

### III. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური სტრუქტურა

სლოვაკეთში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური სტრუქტურა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნებოდა. პირველი უწყება – შრომის, სოციალურ საქმეთა და ოჯახის სამინისტროს გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების დეპარტამენტი 2000 წელს შეიქმნა ევროკავშირში განვერიანების პროცესის ფარგლებში. ეს სტრუქტურა დღემდე აქტიურად მუშაობს, როგორც გენდერული თანასწორობის საკითხების სტაბილური საკოორდინაციო ცენტრი. 2004 წ. ევროკავშირში განვერიანების შემდეგ შეიქმნა ახალი სტრუქტურები, რომლებიც მუშაობენ სამთავრობო და არასამთავრობო აქტორებს შორის კოორდინაციაზე, ახალი სტრატეგიებისა და კანონების შემუშავებაზე, ენევიან ცნობიერების ამაღლების კამპანიებს, იცავენ და პოპულარიზაციას უწყვენ საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის იდეას. ფაქტობრივად, გენდერული თანასწორობის სტრუქტურა შედგება სამი კომპონენტისაგან: 1. სამთავრობო საბჭო 2. გენდერული თანასწორობის კომიტეტი და 3. გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების დეპარტამენტი.

#### 1. საბჭო

##### სლოვაკეთის მთავრობის ადამიანის უფლებათა, ეროვნულ უმცირესობათა და გენდერული თანასწორობის საბჭო

2010 წ. ნოემბერში შეიქმნა სლოვაკეთის მთავრობის ადამიანის უფლებათა, ეროვნულ უმცირესობათა და გენდერული თანასწორობის საბჭო, როგორც სლოვაკეთის მთავრობის მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ორგანო. მისი წესდების საფუძველზე განხორციელდა მრავალი სისტემური ცვლილება, მათ შორის ანტიდისკრიმინაციულ სფეროში, რაც პოზიტიურად უნდა აისახოს კომუნიკაციაზე სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, ასევე, ზოგადად, ადამიანის უფლებების საკითხთა კოორდინაციაზე და, კერძოდ - ანტიდისკრიმინაციულ მიმართულებაზე.

წესდების შესაბამისად, საბჭო გახდა მთავრობის მუდმივმოქმედი საექსპერტო, სათათბირო, მაკოორდინირებელი და საკონსულტაციო ორგანო ადამიანის უფლებათა, მათ შორის ეროვნული უმცირესობებისა და ეთნიკური ჯგუფების დაცვის სფეროში და თანაბარი მოპყრობისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების მიმართულებით. მისი ამოცანები მოიცავს: ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების შესახებ მოსაზრებების წარდგენას; ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სამინისტროების პოლიტიკის კოორდინირების უზრუნველყოფას; სამინისტროებთან და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აკადემიურ დაწესებულებებთან და ა.შ. თანამშრომლობას; ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მთავრობისათვის წინადადებების წარდგენას; ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საკუთარი მტკიცე პოზიციის დაფიქსირებას და ამ მიმართულებით კანონებსა და საკვანძო თემებზე მოსაზრებების გამოთქმას. სამთავრობო საბჭო 36 წევრისაგან შედგება და აერთიანებს მთავრობის, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების, ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოებრივი ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური დაწესებულებების წარმომადგენლებს და საბჭოს კომიტეტების ვიცე-თავმჯდომარეებს (იხ. ქვემოთ). საბჭოს შეხვედრები იმართება წელიწადში არანაკლებ ოთხჯერ.

საბჭოში რვა კომიტეტია, რომლებიც მოიცავენ შემდეგ თემებს: ეროვნული უმცირესობები და ეთნიკური ჯგუფები, არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციები, მოხუცები, შშმ პირები, გენდერული თანასწორობა, ბავშვები და ახალგაზრდები, კვლევა და სწავლება ადამიანის უფლებათა დაცვის

და განმავითარებელი განათლების სფეროში, რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის და არატოლერანტობის სხვა ფორმების პრევენცია და აღმოფხვრა. კომიტეტებს შეუძლიათ წინადადებები გაუგზავნონ საბჭოს, ითანამშრომლონ სამინისტროებთან და სხვა უწყებებთან და დაწესებულებებთან, მოსაზრება გამოთქვან კანონებზე და სხვა სავალდებულო ან არასავალდებულო დოკუმენტებზე და ა.შ. თუკი ისინი რაიმე მოსაზრებას მხარს დაუჭერენ ხმათა 2 / 3-ით, იგი სავალდებულო ხდება საბჭოსათვის.

## 2. კომიტეტი

კომიტეტი წარმოადგენს სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობის ადამიანის უფლებათა, ეროვნულ უმცირესობათა და გენდერული თანასწორობის საბჭოს მუდმივმოქმედ საექსპერტო ორგანოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე და ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW), სქესისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის მავალდებულებელი სხვა საერთაშორისო კონვენციების და ამ სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის აღსრულების მიმართულებით. კომიტეტი მოქმედებს როგორც საკონსულტაციო ორგანო გენდერული თანასწორობის საკითხებზე სლოვაკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის ფარგლებში. კომიტეტის წევრები წარმოადგენენ საჯარო დაწესებულებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, რომელთაგან თითოეული თანაბრადაა წარმოდგენილი (15–15 წევრი ორივე სექტორიდან).

კომიტეტი, კერძოდ, დაკავებულია შემდეგი საქმიანობით:

ა) წარმოადგენს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია გაზარდოს სქესისა და გენდერული ნიშნით თანაბარი მოპყრობის უფლების მხარდაჭერა, დაცვა და პატივისცემა სლოვაკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის, სლოვაკეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ვალდებულებებისა და ევროკავშირის წევრობის ვალდებულებების, კანონებისა და სავალდებულო რეგულაციების შესაბამისად;

ბ) მონაწილეობს ადამიანის უფლებათა დაცვის და სქესისა და გენდერული ნიშნით თანაბარი მოპყრობის უფლების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების მონიტორინგის მექანიზმების შესახებ ანგარიშების მომზადებაში;

გ) ამზადებს წინადადებებს თანმიმდევრული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ემსახურება ადამიანის უფლებებისა და სქესისა და გენდერული ნიშნით თანაბარი მოპყრობის უფლების პატივისცემას;

დ) წარმართავს გენდერულ ანალიზს, იძლევა რჩევებს და გამოთქვამს მოსაზრებებს კანონებისა და სხვა არასაკანონმდებლო ზომების შესახებ, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ ადამიანის უფლებებისა და სქესისა და გენდერული ნიშნით თანაბარი მოპყრობის უფლების დაცვასა და პატივისცემაზე, ქმნის რეზოლუციათა პროექტებს საბჭოს წარმომადგენელთა კომიტეტის შეხვედრაზე წარსადგენად.

ე) ახდენს გენდერული თანასწორობის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს და იძლევა საექსპერტო რჩევებს ამ მიმართულებით;

ვ) მოქმედებს როგორც სამინისტროთაშორისი უწყება და თანამშრომლობს სამინისტროებთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან, სოციალურ პარტნიორებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მაღალ ტერიტორიულ ერთეულებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით და აკადემიურ დაწესებულებებთან;

ზ) სლოვაკეთის რესპუბლიკის შრომის, სოციალურ საქმეთა და ოჯახის სამინისტროს გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების დეპარტამენტთან, შრომისა და ოჯახის კვლევის ინსტიტუტთან, ადამიანის უფლებების სლოვაკეთის ეროვნულ ცენტრთან და შრომის ინსპექციის ორგანოებთან თანამშრომლობით ყოველწლიურად ადგენს შეფასებით ანგარიშს სლოვაკეთში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ.

## 3. დეპარტამენტი

სლოვაკეთის რესპუბლიკის შრომის, სოციალურ საქმეთა და ოჯახის სამინისტროს გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების დეპარტამენტი წარმოადგენს სლოვაკეთში გენდერული თანასწორობის უწყებას, რომელიც მუშაობს გენდერული თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო პოლიტიკის კოორდინაციასა და ქალთა გაძლიერებაზე. დეპარტამენტი არის ორგანო, რომელიც კოორ-

დინატორის წინაშე პასუხისმგებელია თანაბარი შესაძლებლობების ჰორიზონტალური პრიორიტეტების განხორციელებაზე ევროპის სტრუქტურული ფონდების მიერ თანადაფინანსებულ პროექტში.

გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების დეპარტამენტი პასუხისმგებელია გენდერული თანასწორობის კომიტეტის მუშაობის კოორდინირებაზე, რომელიც ადამიანის უფლებების, უმცირესობებისა და გენდერული თანასწორობის სამთავრობო საბჭოს მუდმივმოქმედი კომიტეტია. იგი ასევე თანამშრომლობს სლოვაკეთის ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთა მონაცემთა ბაზაც შეგიძლიათ იხილოთ აქ.

ოლგა პიეტრუხოვა,

სლოვაკეთის შრომის სამინისტროს გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების დეპარტამენტის დირექტორი

olga.pietruchova@employment.gov.sk

+ 421 2 2046 1812

## ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივ პარლამენტებში

1993 წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ სლოვაკეთმა ოთხი მუნიციპალური არჩევნები ჩაატარა. ბოლო მუნიციპალურ არჩევნებში 2006 წ. 2905 მერის თანამდებობიდან ქალებმა მოიპოვეს 601 ადგილი. მათი საერთო წილი გაიზარდა 18.6%-დან 20.7%-მდე ოთხი წლის განმავლობაში. წინა ორ მუნიციპალურ არჩევნებში ეს წილი უფრო მცირე იყო: 17.5% 1998წ. და მხოლოდ 15.2% 1994 წ. ქალების წილი, რომელთაც მერის თანამდებობა უჭირავთ ნელა, მაგრამ მტკიცედ იზრდება – 5%-ით 15 წლის განმავლობაში.


თუმცა ადგილობრივ დონეზე პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის ვითარება გარკვეულწილად უკეთესია, ვიდრე რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, იგი მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი.

## IV. დიაგრამები, ცხრილები შუშის ჟერის ინდექსი ბარემო დასაქმებული ქალებისთვის

(სამხრეთ კორეა, იაპონია, თურქეთი, შვეიცარია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ნიდერლანდები, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, აშშ, გერმანია, ავსტრია, იტალია, ისრაელი, სლოვაკეთი, ავსტრალია, ესპანეთი, საშუალო მაჩვენებელი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებისათვის, პორტუგალია, ახალი ზელანდია, კანადა, უნგრეთი, ბელგია, დანია, საფრანგეთი, პოლონეთი, ფინეთი, ნორვეგია, შვედეთი, ისლანდია)

### The glass-ceiling index


Environment for working women, 2016 or latest, 100=best



**ღიაბრამა №2**

**არჩეული წევრები სქესის მიხედვით  
(პარლისფრით - ქალი, ღია ფერით - მამაკაცი)**

- ა) სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭო
- ბ) ევროპარლამენტი
- გ) რეგიონების თვითმმართველობის ორგანოები
- დ) ქალაქების და მუნიციპალიტეტების მერები
- ე) თემების თვითმმართველობის ორგანოები



**ღიაბრამა №3**

**თვითმმართველი რეგიონების ორგანოების არჩევნები**

კანდიდატები		არჩეული წევრები	წარმატების მაჩვენებელი %	თვითმმართველი რეგიონების ორგანოებში არჩევნების 26 ნოემბერი, 2005
წევრობის	პრეზიდენტობის			
2307	57	355	15,4	სულ ამათვან, ასაკის მიხედვით
45	-	1	2,2	18-24
223	6	22	9,9	25-34
1428	35	255	17,9	35-54
611	16	77	12,6	55 და ზევით
48	49	48	X	საშუალო ასაკი
				თვითმმართველი რეგიონების ორგანოებში არჩევნების 14 ნოემბერი, 2009
2765	52	345	12.5	სულ ამათვან, ასაკის მიხედვით
57	-	-	-	18-24
363	1	24	6.6	25-34
1582	30	223	14,1	35-54
763	21	98	12.8	55 და ზევით
48	51	50	X	საშუალო ასაკი
				თვითმმართველი რეგიონების ორგანოებში არჩევნების 9 ნოემბერი, 2013
2090	61	344	16.5	სულ ამათვან, ასაკის მიხედვით
55	-	1	1.8	18-24
298	4	25	8.4	25-34
1073	33	198	18.5	35-54
664	24	120	18.1	55 და ზევით
48	51	50	X	საშუალო ასაკი

## Elections to the bodies of self-governing regions

Candidates for		Elected representatives	Success rate in %	Election to the of self-governing regions on 26 november 2005
representatives	president			
2307	57	355	15,4	<b>total</b>
45	–	1	2,2	of which in the age group:
223	6	22	9,9	18-24
1428	35	255	17,9	25-34
611	16	77	12,6	35-54
48	49	48	X	55 and more
				Average age
				<b>Election to the bodies of self-governing regions on 14 November 2009</b>
2765	52	345	12.5	<b>Total</b>
57	-	-	-	of which in the age group:
363	1	24	6.6	18-24
1582	30	223	14,1	25-34
763	21	98	12.8	35-54
48	51	50	X	55 and more
				Average age
				<b>Election to the bodies of self-governing regions on 9 November 2013</b>
2090	61	344	16.5	<b>Total</b>
55	-	1	1.8	of which in the age group:
298	4	25	8.4	18-24
1073	33	198	18.5	25-34
664	24	120	18.1	35-54
48	51	50	X	55 and more
				Average age

### ბიბლიოგრაფია

Bútorová, Zora. Et al., 2008. She and He in Slovakia. Gender and Age in the Period of Transition: Institution for Public Affairs, Bratislava 2008. 342 p. ISBN: 978-80-89345-14-4.

[www.gender.gov.sk/files/Strategy-EN](http://www.gender.gov.sk/files/Strategy-EN).

<http://eige.europa.eu/gender-based-violence/good-practices/slovakia/training-multiagency-approach>.

<http://www.economist.com/blogs/graphicdetail/2017/03/daily-chart-0>.

[www.susr.sk](http://www.susr.sk). ISBN 978-80-8121-408-0 (on-line)

## ანგარიში ჩეხეთის რესპუბლიკაში ადგილობრივ დონეზე გენდერული მენისტრიმინგის შესახებ

### შესავალი

გენდერული თანასწორობა მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში. ჩეხეთის რესპუბლიკა ევროკავშირში 2003 წელს გაწევრიანდა და, შესაბამისად, აღიარებს ევროპულ ღირებულებებს. თუმცა, ყველა საზოგადოებაში არსებობს უთანასწორობა მეტ-ნაკლები ხარისხით და მის მიმართ არსებული მიდგომები განსხვავებულია.<sup>1</sup> ამასთან, ევროკავშირის მიერ შემუშავებული დამატებითი პრინციპი ცალსახად მხარს უჭერს განსხვავებულ მიდგომას გენდერული თანასწორობის საკითხზე. აღსანიშნავია, რომ ევროპულ დონეზე გენდერული თანასწორობის საკითხი საკმაოდ აქცენტირებულია და მის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება, თუმცა ეროვნულ დონეზე გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად გატარებული ღონისძიებები და პირობები მეტად განსხვავებულია<sup>2</sup>.

ევროკავშირი აღიარებს გარკვეულ პრინციპებს, რომლებსაც იზიარებენ მისი წევრი ქვეყნები. 90-იან წლებში ევროკავშირის დღის წესრიგში წინა პლანზე წამოიწია თანაბარი შესაძლებლობების საკითხმა.<sup>3</sup> აუცილებელია შესრულდეს ვალდებულებები თანაბარი მოპყრობის შესახებ, ხოლო თანასწორობის შესახებ საკანონმდებლო ბაზა წარმოადგენს ამგვარი თანასწორობის საფუძველს. პოზიტიური ღონისძიებები განიხილება, როგორც არსებული ხარვეზების შემცირების საშუალება. გენდერული თანასწორობა დასაქმების საკითხში თავიდანვე წარმოადგენდა ევროპული სტრატეგიის საკვანძო საკითხს.

გენდერული მენისტრიმინგი, როგორც გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრისკენ მიმართული ყოვლისმომცველი მიდგომა, ევროკავშირში პირველად 1994 წლის მსოფლიოს ქალთა პეკინის მე-4 კონფერენციის შედეგად დაინერგა და მას შემდეგ მის გამოყენებას მუდმივი მხარდაჭერა აქვს. 1996 წელს ევროკომისიამ აიღო კომპლექსური გენდერული მიდგომის განხორციელების ვალდებულება<sup>4</sup>. თანაბარი შესაძლებლობების მე-4 პროგრამა (1996–2000) განსაზღვრავს გენდერული მენისტრიმინგის პრინციპებსა და მიზნებს. თანაბარ შესაძლებლობებს ინტერდისციპლინარული ხასიათი აქვს და მათი გამოყენება უნდა მოხდეს პოლიტიკის შემუშავების ყველა დონეზე: ეროვნულზე, რეგიონულზე და ადგილობრივზე. 1997 წ. შემოღებულ იქნა გენდერულ უთანასწორობასთან ბრძოლის ორმაგი სტრატეგია. ზოგადად, გენდერულ მენისტრიმინგს თან უნდა სდევდეს სპეციალური ღონისძიებები, რათა დროულად მოხდეს გენდერული თანასწორობის მიღწევა. ამტერდამის შეთანხმებამ სამართლებრივი ბაზა შეუქმნა კომპლექსური გენდერული მიდგომის სტრატეგიას ევროკავშირის დონეზე.

2006 წელს მიღებული გენდერული თანასწორობის ევროპული პაქტი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, გააძლიერონ გენდერული მენისტრიმინგი. გენდერული თანასწორობის ახალი ევროპული პაქტი (2011–2020) მიიღეს 2011 წელს და ის კიდევ ერთხელ ადასტურებს მართვისას

1 Ferrarová, Eva. 2009. Kultura, gender a moc. Disertační práce. FF UK: Praha.

2 Prechal, S., and Burri, S. 2009. EU rules on gender equality. How are they transposed into national laws? Luxembourg: Publications Office of the European Union

3 RUBERY, JILL. 2003. Gender mainstreaming and the open method of coordination: is the open method too open for gender equality policy?

4 COM (96) 67



გენდერული მენისტრიმინგის გამოყენების ვალდებულებას. მასში ცალსახადაა აღნიშნული, რომ გენდერული მენისტრიმინგი არ გულისხმობს, რომ ძალისხმევა შემოიფარგლოს მხოლოდ ქალთა დახმარებისკენ მიმართული გარკვეული ღონისძიებებით. იგი გულისხმობს, რომ ყოველგვარი პოლიტიკა და ღონისძიება მიმართული იყოს თანასწორობის მიღწევისაკენ და დაგეგმვის ეტაპზე ღიად და აქტიურად მოხდეს მისი ყველა შესაძლო ეფექტის გათვალისწინება როგორც მამაკაცების, ასევე ქალების მდგომარეობაზე<sup>1</sup>.

გენდერული მიდგომა განიხილება, როგორც საკვანძო პრინციპი არა მხოლოდ ქალთა მდგომარეობის, არამედ მთლიანად საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შესაცვლელად. ეროვნულ დონეზე გამოყენებისათვის შემუშავებულ იქნა კოორდინირების ღია მეთოდების საშუალებით გენდერული მენისტრიმინგის დანერგვის სახელმძღვანელო<sup>2</sup>.

როგორც ხაზგასმულია აღნიშნული საკითხის არსებულ ანალიზში, ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებს ყველაზე დიდი პროგრესი გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარების კუთხით ევროკავშირში განვითარების წინა პერიოდში ჰქონდათ<sup>3</sup>. ჩეხეთის რესპუბლიკაც არ წარმოადგენს გამონაკლისს ამ მხრივ. თუმცა გენდერული თანასწორობისთვის ძირითადი ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნისა და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფის შემდეგ გენდერული თანასწორობის კუთხით პროგრესი საკმაოდ ნელია. აშკარაა სხვაობა მამაკაცებისა და ქალების მდგომარეობის მხრივ: ქალთა დასაქმების მაჩვენებელი სისტემატურად ჩამორჩება მამაკაცებისას, შრომის ბაზრის ჰორიზონტალური სეგრეგაცია გვიჩვენებს, რომ ქალებს უჭირავთ კონკრეტული სექტორი, რაც დაკავშირებულია მზრუნველობასთან და ასევე ხასიათდება დაბალი ანაზღაურებით (სოციალური სფერო, პედაგოგიური საქმიანობა და განათლება, ჯანმრთელობის დაცვა). გენდერულ უთანასწორობას გვიჩვენებს ვერტიკალური სეგრეგაციაც: იშვიათია ქალი ხელმძღვანელები და მენეჯერები, ისევე როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურები. გენდერული სხვაობა ანაზღაურებაში შეადგენს 22.5% მამაკაცთა სასარგებლოდ.<sup>4</sup>

ეს კვლევა აღწერს ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილებას გენდერული მენისტრიმინგის და ადგილობრივ თვითმმართველობაში საზოგადოებრივი ჩართულობის მიმართულებით ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში და ამ მიმართულებების შემდგომ განვითარებას. ყურადღების ცენტრში მოქცეულია კომპლექსური გენდერული მიდგომა და მისი გამოყენება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში. ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს და შეაფასოს ჩეხეთის რესპუბლიკაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკაში ამჟამად არსებული ტენდენციები.

ევროკავშირის ჩართულობის წყალობით დამკვიდრდა გენდერული მენისტრიმინგი, როგორც ძირითადი პრინციპი. იგი ყოველწლიურად ჩეხეთის მთავრობის პრიორიტეტებს შორისაა. თუმცა, როგორც მოცემული ანალიზი გვიჩვენებს, ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი გატარება საკმაოდ რთული და პრობლემურია.

## კვლევის მეთოდოლოგია და შეზღუდვები

მოცემული კვლევის ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია საზოგადოებრივი პოლიტიკის თეორია, დაინტერესებული მხარეები, პროცესები, შედეგები და პირობები პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის<sup>5</sup> განხილული გენდერული მიდგომების ქრილში. თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ქალებისა და მამაკაცებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის თემის ერთ-ერთი შემადგენელია, რაც საზოგადოებრივი პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს. უფრო ზოგადად,

1 ევროსაბჭოს 2011 წ. 7 მარტის დასკვნები გენდერული თანასწორობის ევროპულ პაკტზე (2011-2020) (2011 / C 155 / 02)

2 Evropské společenství. 2008. Manuál pro gender mainstreaming politik za městnanosti, sociálního začleňování a sociální ochrany. Generální ředitelství pro zaměstnanost, sociální věci a rovné příležitosti Evropské komise: Lucemburk. ISBN 978-92-79-09261-9.

3 Gelasvili, Meri, Elena Kuperadze, Maia Kuprava-Sharvashidze, Nargiza Arjevanidze, Ekaterina Gamakharia, Klara Cozlova, Enikő Pap, Katarzyna Zielińska, Magdalena Piscová and Tamara Martsenyuk. 2016. Gender Equality Policies and EU Integration – Experience of Visegrad for EaP Countries. Fund of Women Entrepreneurs: Kutaisi. ISBN 978-9941-22-791-2.

4 Křížková, Alena, Marta Vohlídalová, Kristýna Pospíšilová and Hana Maříková. 2017. Aktuální rozdíly v odměňování žen a mužů v ČR. Hlubková analýza statistik a mezinárodní srovnání. MPSV: Praha.


5 Patton, C. V. and Sawicki, D. S. 1993. Basic Methods of Policy Analysis and Planning, 2nd Edition. New Jersey: Prentice Hall.

თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ქალთა და მამაკაცთათვის პირდაპირ კავშირშია საზოგადოებრივ კეთილდღეობასთან, რაც სასარგებლოა მთლიანად საზოგადოებისათვის<sup>1</sup>.

ანალიზის მოსამზადებელ ეტაპზე განხორციელდა სამაგიდო კვლევა. შესწავლილ იქნა წიგნები, კვლევები, ბროშურები კომპლექსური გენდერული მიდგომის თემაზე. ასევე გამოყენებული იყო გენდერული მეინსტრიმინგის კონკრეტული მიმართულებებისადმი მიძღვნილი სახელმძღვანელოები და გზამკვლევები – გენდერული აუდიტის სახელმძღვანელოები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გენდერული აუდიტი, გენდერული ბიუჯეტის ბროშურები, გენდერული ზეგავლენის შეფასების გზამკვლევი. აგრეთვე, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, მხედველობაში იქნა მიღებული ადგილობრივ დონეზე გენდერული აუდიტის შედეგები. ასევე განხილულ იქნა პროექტების ანგარიშები, სამართლებრივი დოკუმენტები, სამთავრობო გადაწყვეტილებები და სამინისტროების მასალები, რომლებიც შეეხებოდა გენდერული თანასწორობის საკითხებს. მომზადდა და ჩატარდა კვლევა კომპლექსური გენდერული მიდგომის საკითხში ინფორმირებულობის დასადგენად რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.


როდესაც განვიხილავთ პრაქტიკაში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვის საკითხებს, უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკაში გენდერული წარმომადგენლობის ფაქტობრივი მონაცემები. მიუხედავად პოლიტიკოსთა შორის ქალთა წილის მუდმივი ზრდისა, ადგილობრივ დონეზე ქალები შეადგენენ წარმომადგენლობითი ორგანოს მხოლოდ 27%-ს. (იხ. დიაგრამა №1).

**დიაგრამა №1: მამაკაცთა და ქალთა წარმომადგენლობა რეგიონულ საბჭოებში**



მე-2 დიაგრამაზე წარმოდგენილია როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური გენდერული სეგრეგაცია. ამგვარად, რეგიონულ საბჭოებში ქალები შეადგენენ წარმომადგენელთა მხოლოდ 1/4-ს. საინტერესოა, რომ უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობებზე მამაკაცები უფრო არიან წარმოდგენილნი. ამასთან, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციების დონეზე და მომსახურებასთან დაკავშირებულ თანამდებობებზე ქალები ჭარბობენ.

**დიაგრამა №2. მამაკაცთა და ქალთა წარმომადგენლობა მუნიციპალიტეტებში**



წყარო: ფორუმი 50%

<sup>1</sup> Musilová, Martina. 1999. Vývoj politiky rovných příležitostí mužů a žen v České republice kontextu evropské integrace. Praha: SOU AV ČR. P. 9.

პარლამენტში ქალთა წილი შეადგენს 22%-ს, სენატში კი 20%-ს. მთავრობის შემადგენლობის შემთხვევაში ქალთა წილი ეცემა 12%-მდე (ფორუმი 50%).

ქალთა აღნიშნული დაბალი წარმომადგენლობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში მეტად საჭირობოროტოა, თუ გავითვალისწინებთ მზაობას, რომ მოხდეს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. სამწუხაროდ, იმ მამაკაცთა რაოდენობა, რომლებიც მართლაც ზრუნავენ გენდერულ თანასწორობაზე, კვლავაც ძალიან დაბალია და ეს საკითხი მხოლოდ ახლა გახდა ზოგიერთი მცირე პროექტის დაინტერესების საგანი (მაგალითისთვის იხილეთ [www.gendermen.cz](http://www.gendermen.cz))<sup>1</sup>.

მიუხედავად გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული პროგრესისა და განეული ძალისხმევისა, ანალიზი ცხადყოფს, რომ უპირველეს შეზღუდვას დროის ფაქტორი წარმოადგენს. როგორც ჩანს, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ამჟამად პოპულაზიში პოლიტიკაში აღმავლობას განიცდის<sup>2</sup>, რაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს გენდერული თანასწორობის საკითხების განხორციელებაზე ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. გარდამავალი პროცესი, რომელიც აღიქმება დაკარგულ შესაძლებლობად, უკვე ჩავლილია. თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრება გამოწვევებთანაა დაკავშირებული. საკმაოაა წინააღმდეგობები სისტემის შიგნითაც<sup>3</sup>. როგორც თვით ევროკავშირის მაგალითიდანაც ჩანს, მიუხედავად კომპლექსური გენდერული მიდგომის მხარდაჭერისა ოფიციალურ დონეზე, მისი პრაქტიკული გამოყენება ფერხდება<sup>4</sup>. ეროვნულ დონეზეც, კერძოდ კი ჩეხეთის რესპუბლიკაში, იგივე ტენდენცია შეინიშნება. ხშირად აღინიშნება გენდერული მეინსტრიმინგის მიმართ მძლავრი წინააღმდეგობა ჩინოვნიკების მხრიდან და სულ უფრო და უფრო ხშირად პოლიტიკოსთა მხრიდანაც. ეს არა მხოლოდ წინააღმდეგობაა, არამედ საფრთხის შემცველიც ხდება, რადგან ისინი ხშირად მიმართავენ გამოსვლისას სიძულვილის ენას, არიან ღიად მიზოგინისტური, ეწინააღმდეგებიან გენდერულ თანასწორობას, გენდერულ სწავლებებს, როგორც ასეთს და ქალთა მოძრაობას<sup>5</sup>.

## საკვლევი შეკითხვების მიმოხილვა, შედეგები

როგორც აღინიშნა, ანალიზის მოსამზადებელ ეტაპზე განხორციელდა კვლევა. მისი მიზანი იყო გაერკვია, თუ რამდენად კარგად იცნობენ გენდერულ მეინსტრიმინგს პასუხისმგებელი პირები ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. კითხვარის მეორად მიზანს შეადგენდა ინფორმირებულობის გაზრდა გენდერული მეინსტრიმინგის გამოყენებისას მათი პასუხისმგებლობის შესახებ.

კვლევაში გამოყენებულ იქნა მოკლე კითხვარი და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები. კითხვარი მომზადდა პროექტის გუნდში დისკუსიის საფუძველზე, რომელიც გაიმართა 2016 წ. გაზაფხულზე პრაღის სესიაზე. ის მოერგო ჩეხეთის კონკრეტულ გამოცდილებას, შედეგად, კითხვარი შემოკლდა მხოლოდ 8 ძირითად კითხვამდე. 2017 წლის განმავლობაში იგი ელფოსტით დაეგზავნა 10 000-ზე მეტ მცხოვრებს 152<sup>6</sup> ქალაქისა და რეგიონის წარმომადგენელს. მისი მიზანი იყო, მიეღოთ ინფორმაცია მათი წარმოდგენების შესახებ კომპლექსური გენდერული მიდგომების შესახებ, იცნობდნენ თუ არა ისინი ამ მიდგომას და მის ინსტრუმენტებს.

კვლევის მეორე ნაწილი კონცენტრირებული იყო დაინტერესებულ მხარეებთან ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებზე როგორც რეგიონულ და ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე. დაინტერესებულ მხართა შერჩევა მოხდა სამაგიდო კვლევიდან მიღებული ცოდნისა და კითხვარის შედეგების

1 იხ. <http://www.otevrenaspolecnost.cz/genderman>

2 აღნიშნულ თემაზე დისკუსია გაიმართა პროგრამის „მივცეთ ქალებს/მამაკაცებს შანსი და მამაკაცებს შესაძლებლობა“ ფინალურ კონფერენციაზე „ქალთა საკითხები დღევანდელ მსოფლიოში“, რომელიც გაიმართა პრაღაში 2017 წლის 7-8 ნოემბერს.

3 Rosalind Cavaghan. 2017. The Gender Politics of EU Economic Policy: Policy Shifts and Contestations Before and After the Crisis. Gender and the Economic Crisis in Europe, pages 49-71.

4 Mergaert, Lut and Emanuela Lombardo. 2014. 'Resistance to implementing gender mainstreaming in EU research policy', in: Weiner, Elaine and Heather MacRae (eds): 'The persistent invisibility of gender in EU policy' European Integration online Papers (EIoP), Special issue 1, Vol. 18, Article 5, <http://eiop.or.at/eiop/texte/2014-005a.htm>, pp. 1-21.

5 იხ. სადისკუსიო თემა „ქალთა საკითხები დღევანდელ მსოფლიოში“, კონფერენციაზე „მივცეთ ქალებს შანსი“, რომელიც გაიმართა პრაღაში 2017 წლის 7-8 ნოემბერს (დღე 1) <http://www.dejmezenamsanci.cz/en/aktuality/stream/>

6 მოცული იყო 132 ქალაქი, შემდგომ დამატებით პრაღის და ბრნოს თითო მუნიციპალიტეტი.

საფუძველზე. 2017 წლის შემოდგომაზე ჩატარდა 9 ინტერვიუ (5 მამაკაცი და 4 ქალი). კითხვები შეირჩა იმის გამოსავლენად, თუ როგორ მოიაზრებენ რესპონდენტები გენდერულ მეინსტრიმინგს: რა არის იგი, როგორ ხორციელდება მათ მუნიციპალიტეტებში, რა არის მისი საფუძველი, როგორ აღიბეჭდა იგი სტრატეგიულ დოკუმენტებში და რა სამომავლო გამოწვევები არსებობს ამ მიმართულებით. პასუხების შესწავლა მოხდა გენდერული კონტენტ-ანალიზის<sup>1</sup> და დისკურსის კრიტიკული ანალიზის<sup>2</sup> მეთოდების გამოყენებით. შემდგომში საილუსტრაციოდ მოყვანილი იქნება ციტატები ამ მასალიდან.

## გენდერული მეინსტრიმინგი

გენდერული მეინსტრიმინგის ევროკავშირისეული დეფინიცია ამბობს, რომ „გენდერული მეინსტრიმინგი გულისხმობს გენდერული ხედვის ჩართვას პოლიტიკის ჩამოყალიბების ყველა ეტაპზე – შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასებისას – ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის დანერგვის მიზნით. ეს გულისხმობს იმის შეფასებას, თუ რამდენად მოქმედებს ამ მიმართებით არსებული პოლიტიკა როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა ცხოვრებასა და მდგომარეობაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებლობის აღებას საჭირო ცვლილებების გატარებაზე“<sup>3</sup>.

გაერო გენდერულ მეინსტრიმინგს განსაზღვრავს შემდეგნაირად: „გენდერული მეინსტრიმინგი არის მსოფლიოში აღიარებული სტრატეგია გენდერული თანასწორობის დასამკვიდრებლად. იგი საბოლოო მიზანს კი არ წარმოადგენს, არამედ სტრატეგიაა, მიდგომაა, საშუალებაა გენდერული თანასწორობის მისაღწევად. გენდერული მეინსტრიმინგი გულისხმობს, რომ გენდერულ ხედვას და გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებას ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს ყველა საქმიანობაში – პოლიტიკის შემუშავებისას, კვლევებში, ადვოკატირებისა და დიალოგის პროცესში, კანონმდებლობაში, რესურსების განაწილებისას, პროგრამებისა და პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგისას.“<sup>4</sup>

მიუხედავად აქ მოცემული აქცენტებისა პოლიტიკის გატარების თითოეულ შემადგენელ ნაწილზე, ასევე სხვა აქტივობებსა (კვლევებზე, ადვოკატირებაზე, კანონმდებლობაზე და ა.შ.) და მათ ეტაპებზე, ამ ორ განსაზღვრებას შორის შეინიშნება გარკვეული სხვაობებიც, რომლებმაც განხორციელება ჰპოვა გენდერული მეინსტრიმინგის განსხვავებულ მიმართულებებში. კომპლექსურ გენდერულ მიდგომაში შეგვიძლია გამოვკვეთოთ ორი არსებული მიმართულება:

1. გაეროს განსაზღვრებასა და ფემინისტურ მიდგომებზე დაფუძნებული გენდერული მეინსტრიმინგის გაგება უფრო ფართოა. იგი მოითხოვს უთანასწორო სისტემის შეცვლას, ღონისძიებების და ზომების გატარებას საზოგადოებაში თანასწორობის მისაღწევად. პროცესი გულისხმობს გენდერული ანალიზის ჩართვას საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ ეტაპზე. როგორც სილვია უოლბი აღნიშნავს: „გენდერული მეინსტრიმინგი დავის საგანია კონცეპტუალური და პრაქტიკული თვალსაზრისით. იგი წარმოადგენს ფემინიზმის საკვანძო ნაწილის ხელახლა გადაფასებას, რესტრუქტურირებას და რებრენდინგს თანამედროვე ეპოქაში. იგი გენდერულად ორიენტირებული პოლიტიკური პრაქტიკის ახალი ფორმაცაა და ასევე, ახალი გენდერული სტრატეგია თეორიის ჩამოყალიბებისთვის. პრაქტიკული თვალსაზრისით ეს მიდგომა მიმართულია ძირითადი პოლიტიკების ეფექტურობის გაუმჯობესებისაკენ, ათვალსაჩინოებს რა დებულებების, პროცესებისა და შედეგების გენდერულ მიკერძოებულობას. კომპლექსური გენდერული მიდგომა, როგორც თეორია, საკვანძო კონცეფციების გადასინჯვის პროცესია, რომლის მიზანიც უფრო გენდერულად ორიენტირებული სამყაროს ადეკვატურად გააზრებაა, ვიდრე განცალკევებული გენდერული თეორიის შექმნა.“<sup>5</sup>

ამგვარი მიმართულებით გენდერული მეინსტრიმინგის პოტენციალი უზარმაზარია. ფემინისტური

1 Miessler, J. 2008. „Kritická diskurzivní analýza (CDA) a velké množství masmediálních textů“. In Média a text II. Prešov: Filozofická fakulta Prešovskej univerzity v Prešove.

<http://www.google.cz/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&frm=1&source=web&cd=2&ved=0CCgQFjAB&url=http%3A%2F%2Fwww.pulib.sk%2Felpub2%2FFF%2FBocak1%2Fpdf--doc%2Fmiessler.pdf&ei=8OtVVeTXKciZsgHH7oGgAw&usq=AFQJCN Et1DuewOpgojTkSfePamSaz0eZig&bvm=bv.93564037,d.bGg>

2 Fairclough, N. 1995. Critical discourse analysis. The critical study of language. London: Longman.

3 იხ. <http://standard.gendercop.com/about-the-standard/what-is-gender-mainstreaming/index.html>

4 იხ. <http://www.un.org/womenwatch/osagi/gendermainstreaming.htm>

5 Walby, Sylvia. 2005. Gender mainstreaming: Productive tensions in theory and practice. Social Politics: International Studies in Gender, State and Society, 12(3), 321–343. P. 321.

თვალთახედვით, სახელმწიფო წარმოადგენს ძალაუფლებას და პატრიარქალურ წყობას, რომელიც აღ-  
ბეჭდილია მის ინსტიტუტებში, მათ შორის გადანყვეტილებების მიღების პროცესში.<sup>1</sup> ამ მიმართულე-  
ბით მუშაობისას შესაძლებელია მმართველ საზოგადოებაში დამკვიდრებული პარადიგმის შეცვლა, თუკი  
მასში მონაწილეობას მიიღებენ გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური და პასუხისმგებლობის მქონე  
აქტორები. თუმცა სწორედ ეს წარმოადგენს ყველაზე დიდ პრობლემას. გენდერული მეინსტრიმინგის  
რამდენი სხვადასხვა მიმართულებაც არსებობს, იმდენივეა მასში მონაწილე აქტორები და განსხვავე-  
ბული ვითარებები. გენდერული მეინსტრიმინგი შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც სოციალურად კონ-  
სტრუირებული,<sup>2</sup> რაც მისი სისუსტეცაა და სიძლიერეც. გენდერული მეინსტრიმინგი, როგორც პრაქ-  
ტიკული ინსტრუმენტი, შეიძლება, გადატანილ იქნას განსხვავებულ ვითარებაში და ასევე გამოყენებულ  
იქნას სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის მიერ. როგორც ლავენა და რიკუჩი აღნიშნავენ, „გენდერული  
მეინსტრიმინგის პოტენციური წარმატებისა და წარუმატებლობის საკითხი დგება იმის მიხედვით, თუ  
როგორ არის იგი კონცეპტუალიზებული სხვადასხვა სახელმწიფო სისტემის მიერ“<sup>3</sup>.

ამისათვის, ეს მიდგომა კიდევ უფრო მეტ გამოწვევას ხვდება პოპულისტების ეპოქაში. როგორც  
ფერაროვა აღნიშნავს: „საზოგადოების უმრავლესობა ფემინისტურ თეორიებს და ფემინიზმს განი-  
ხილავს, როგორც საფრთხეს არსებული წყობის მიმართ, რადგან ისინი შემოდიან „განსხვავებულ“  
კონცეფციით“<sup>4</sup>. ამით აიხსნება სურვილი, თავი აარიდონ იმ ტერმინების გამოყენებას, რაც უკავშირ-  
დება ფემინიზმს, გენდერულ საკითხებს და თანასწორობას<sup>5</sup>. ის რადიკალური პოტენციალი, რაც მო-  
აქვს გენდერულ მეინსტრიმინგს, უდიდესი პრობლემა ხდება, რადგან პატრიარქარულ საზოგადოებას  
არ სურს ცვლილებები.

2. თუ დავეყრდნობით გენდერული მეინსტრიმინგის ევროკავშირისეულ განმარტებას, აქ  
ხაზგასმულია პოლიტიკური გადანყვეტილებების მიღების პროცესი. როგორც მომზადების და  
განხორციელების, ასევე შეფასების ეტაპი იმ სხვადასხვა აქტორის, პოლიტიკოსის და ჩინოვნი-  
კის ხელთაა, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესში. ამდენად, საჭიროა ძალიან ბევრ ადამიანს  
ნათლად ჰქონდეს ჩამოყალიბებული და გააზრებული მიდგომები ამ საკითხის მიმართ. შედეგად,  
კომპლექსურმა გენდერულმა მიდგომამ შეიძლება სახე იცვალოს, სხვადასხვა ფორმა შეიძინოს  
კონტექსტისა და პროცესში ჩართული პირებისგან გამომდინარე. გენდერული მეინსტრიმინგი  
შეიძლება გადაიქცეს ცარიელ ცნებად. პოლიტიკის განმსაზღვრელი პირებისა და ჩინოვნიკები-  
სათვის მისი განსაზღვრება საკმაოდ ბუნდოვანია.<sup>6</sup> როგორც ო'კონორი აღნიშნავს: „გენდერული  
მეინსტრიმინგის ცნების ბუნდოვანი ხასიათი, მრავალმხრივი უთანასწორობების კონტექსტი და  
ამ უთანასწორობათა სტრუქტურული საფუძველი პრობლემას წარმოადგენს თვით კომპლექსურ  
გენდერულ მიდგომაში“<sup>7</sup>.

ჩეხეთში გადანყვეტილების მიმღებთა და პოლიტიკის განმსაზღვრელ ჩინოვნიკთა ცოდნა და ინ-  
ფორმირებულობა გენდერული უთანასწორობის შესახებ ძალიან დაბალ დონეზეა. იგი ხშირად უარ-  
ყოფილია ან არ აღიქმება როგორც პრობლემა, რომელსაც სჭირდება შესაბამისი რეგულაციებით  
მოგვარება. როგორც შემდგომ იქნება ნაჩვენები, გენდერული მეინსტრიმინგის კონცეფციის ამგვა-  
რი გაგება, უფრო სწორად „არგაგება“, მთელ ჩეხეთის რესპუბლიკაშია გავრცელებული. როგორც  
ირკვევა, კომპლექსური გენდერული მიდგომა აღიქმება ზედმეტ ადმინისტრაციულ ტვირთად ეროვ-  
ნული პოლიტიკის ჩამოყალიბების მოსამზადებელ ეტაპზე, რომელიც შეუსაბამოა თვით დოკუმენტის  
შინაარსთან და პოლიტიკასთან ადგილობრივ დონეზე.

1 Ferrarová, Eva. 2009. Kultura, gender a moc. Disertační práce.FF UK: Praha. P. 83.

2 Walby, S. 2005. Gender mainstreaming: Productive tensions in theory and practice.Social Politics: International Studies in Gender, State and Society, 12(3), 321–343.

3 Lavena, Cecilia & Riccucci, Norma. 2012. Exploring Gender Mainstreaming in the European Union.International Journal of Public Administration. 35. 122-136. 10.1080 / 01900692.

4 Ferrarová, Eva. 2009. Kultura, gender a moc. Disertační práce.FF UK: Praha. P. 84.

5 როგორც ადგილობრივი ადმინისტრირების ინსტიტუტის თანამშრომელმა ანა მალინოვსკამ ინტერვიუში აღნიშნა: ჩვენ არ ვიყენებთ ტერმინს „გენდერი“, რადგან ის ძლიერ ემოციებს აღძრავს. უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინს „თანასწორობა ქალთათვის“.

6 Cavaghan, Rosalind. 2017. The Gender Politics of EU Economic Policy: Policy Shifts and Contestations Before and After the Crisis.Gender and the Economic Crisis in Europe, pages 49.

7 O'Connor, Julia. 2014. Gender mainstreaming in the European Union: broadening the possibilities for gender equality and/or an inherently constrained exercise?.Journal of International and Comparative Social Policy. 30. 69-78. 10.1080 / 21699763.2014.888012. P. 70.

## გენდერული მენისტრიმინგი ჩახეთის კონტექსტში

ჩახეთის რესპუბლიკის კონტექსტში სახელმწიფო ადმინისტრაციის დონეზე კომპლექსური გენდერული მიდგომა გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებული კონკრეტული პოლიტიკის მიღებასა და იმპლემენტაციას:

ერთი მხრივ (1), ხდება გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებული ზოგადი სტრატეგიის მიღება და კონკრეტული დოკუმენტების შემუშავება, რომელიც შეეხება უთანასწორობის ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევებს. ჩახეთის რესპუბლიკა გენდერულ მენისტრიმინგს აღიარებს ლეგიტიმურ ინსტრუმენტად ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის პოლიტიკის გატარებისთვის და მის დანერგვას პრიორიტეტულ ამოცანად მიიჩნევს<sup>1</sup>. ამ მიმართებით ძირითადი დოკუმენტებია „მთავრობის პრიორიტეტები და პოლიტიკა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის“<sup>2</sup> და „2014-2020 წლების სამთავრობო სტრატეგია ჩახეთის რესპუბლიკაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისათვის“<sup>3</sup>. ეს დოკუმენტები ქმნიან სამართლებრივ საფუძველს გენდერული მენისტრიმინგისთვის. ჩახეთის რესპუბლიკის მთავრობა გენდერულ მენისტრიმინგს ახორციელებს 1999 წლიდან და ყოველწლიურად ადასტურებს თავის ვალდებულებებს განახლებულ ანგარიშში „მთავრობის აქტუალიზებული პრიორიტეტები და სტრატეგიები ქალთა და მამაკაცთათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად“<sup>4</sup>. სტრატეგიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სამთავრობო დონეზე არსებობდეს დოკუმენტები, რომლებიც ცალსახად აღიარებს გენდერულ თანასწორობას მთელი საზოგადოების პრიორიტეტად და, ამავდროულად, ქმნის ჩარჩოს საშუალოვადიან პერიოდში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ხელშეწყობისთვის.

მეორე მხრივ, (2) გენდერული თანასწორობის კომპლექსური მიდგომა მოიცავს იმ სტრატეგიების შემუშავების პროცესს, რომლებიც ცალკეულ ინდივიდებს შეეხება. აუცილებელია მიღებული სტრატეგიების შეფასება იმ კუთხით, რომ გამოირიცხოს მათი უარყოფითი ზეგავლენა ქალებსა და მამაკაცებზე და ზოგადად გენდერულ თანასწორობაზე. ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისაკენ მიმართული რეგულაციების (რაშიც იგულისხმება როგორც საკანონმდებლო, ასევე არასაკანონმდებლო დონეზე შემოთავაზებული წინადადებები) შეფასება ჩახეთის კანონმდებლობაში გამოყენებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. თუმცა, მისი გამოყენების მონიტორინგი და მეთოდოლოგიური რეგულაცია არ ხდებოდა 2015 წ. სახელმძღვანელოს შემუშავებამდე<sup>5</sup>. ჩახეთის რესპუბლიკის მთავრობის 2015 წ. 8 ივლისის №542 დადგენილება მოიხსენიებს ამ სახელმძღვანელოს და რეკომენდაციას იძლევა მისი გამოყენების შესახებ კონცეპტუალურ, გადანყვეტლების მიღებისა და შეფასებით პროცესებში, რომელთაც შეიძლება ზეგავლენა იქონიონ ინდივიდებზე. რადგანაც ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე არ არსებობს კომპლექსურ გენდერულ მიდგომასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, აღნიშნული დადგენილება ქმნის გენდერული მენისტრიმინგის გამოყენების შესაძლებლობას ყველა მოქმედი აქტორისათვის, მათ შორის არასამთავრობო დონეზეც. როგორც ექსპერტები აღიარებენ: „ცენტრალურმა ხელისუფლებამ საკანონმდებლო დონეზე მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო გენდერულ მენისტრიმინგზე რეაგირება. ის ეფუძნება მთავრობის საკანონმდებლო წესებს, რაც სავალდებულოს ხდის ჩახეთის მთავრობისადმი წარდგენილი ყველა საკანონმდებლო დოკუმენტის გენდერული ზეგავლენის კუთხით შეფასებას. თუმცა, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე გენდერული მენისტრიმინგი არ არის გამაგრებული კანონმდებლობით.“<sup>6</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ჩახეთის კანონმდებლობა ცალსახად არ მიუთითებს გენდერული მენისტრი-

1 იხ. მთავრობის დადგენილება No. 456 9 მაისი, 2001 წ.

2 იხ. Souhrnné zprávy o plnění priorit a postupů vlády při prosazování rovných příležitostí žen a mužů. <https://www.vlada.cz/cz/pracovni-a-poradni-organy-vlady/rada-pro-rovne-prilezitosti/the-government-council-for-equal-opportunities-for-women-and-men-29830/>

3 იხ. სამთავრობო სტრატეგია ჩახეთის რესპუბლიკაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისათვის“ გვ. 6. <https://www.vlada.cz/assets/ppov/rovne-prilezitosti-zen-a-muzu/Projekt-Optimalizace/Strategie-pro-rovnost-zen-a-muzu-v-CR-na-leta-2014-2020.pdf>

4 აქტუალიზებული პრიორიტეტების ამოცანა. 1.8. ამოცანის აქტუალიზება ხდება ყოველწლიურად 2001 წ. შემდეგ. <http://www.mpsv.cz/files/clanky/12361/UV456P-2001.pdf>

5 Špondrová, Pavla, Eva Hejzlarová, Czeslaw Walek and Klára Čmolíková Cozlová. 2015. Metodika hodnocení dopadů na rovnost žen a mužů pro materiály předkládané vládě ČR. Úřad vlády ČR: Praha.

6 ინდივიდუალური ინტერვიუ – ლენკა გრუნბერგოვა, სტრატეგიების ოფიცერი, ადამიანური რესურსების განყოფილებასთან არსებული გენდერული თანასწორობის გუნდი

მინგის გაეროსეულ ან ევროკავშირისეულ დეფინიციათაგან რომელიმე ერთზე. ანგარიშში „მთავრობის აქტუალიზებული სტრატეგიები და პრიორიტეტები ქალთა და მამაკაცთათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად“ 1.8 პუნქტის მიხედვით, „ყველა კონცეპტუალურ, გადანყვეტილების მიღებისა და შეფასების პროცესს მათი მომზადებისა და განხორციელების ყველა ეტაპზე საფუძვლად უნდა დაედოს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრინციპი.“<sup>1</sup> იმას, რომ აქ ნახსენებია ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა და არა გენდერული თანასწორობა ან გენდერული მეინსტრიმინგი, სიმბოლური ზეგავლენა აქვს აღნიშნულ საკითხზე. ტერმინების ჩეხურ ენაზე გადათარგმნის საკითხი წარმოიშვა გარდამავალი ეტაპის დასაწყისიდან<sup>2</sup>. თვით სიტყვა „გენდერი“ არ არის იოლად გასაგები ჩეხურ ენაზე. ტერმინის „ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობა“ გამოყენების მიმართ კითხვები უფრო იშვიათია და მოგვიანებით გაჩნდა.<sup>3</sup> ჩნდება მეორადი პრობლემა „გენდერული მეინსტრიმინგის“ გამოყენებასთან დაკავშირებით: იგი ძნელად სათარგმნია, თავად ცნება აღიქმება როგორც „უცხო“ და, შესაბამისად, მისი გამოყენების მიმართ მეტია წინააღმდეგობაც. ამასთან, რადგან ჩეხური კანონმდებლობა მხოლოდ „რბილი“ პოლიტიკის გატარებას და ნებაყოფლობით თანამშრომლობას გვთავაზობს, ჩნდება რისკი იმისა, რომ გენდერულ მეინსტრიმინგზე ერთდროულად ყველაცაა და თანაც არავინაა პასუხისმგებელი.<sup>4</sup>

ჩეხეთის რესპუბლიკაში უკვე გვაქვს გენდერული მეინსტრიმინგის უფრო ფართო ინტერპრეტაციის გამოყენების მაგალითები. მაგალითად, გენდერული მეინსტრიმინგის გზამკვლევაში ნათქვამია, რომ ეს მიდგომა ორიენტირებულია არა იმაზე, როგორ ჩავრთოთ ქალები ამა თუ იმ პროცესში, არამედ იმაზე, როგორ მოვახდინოთ თვით პროცესების ორგანიზება იმგვარად, რომ იგი გულისხმობდეს ქალების ჩართულობას<sup>5</sup>. აგრეთვე პავლიკი აღნიშნავს, რომ „გენდერული მეინსტრიმინგი“ ნიშნავს გენდერული თანასწორობის საკითხების ჩანერგვას საზოგადოებაში დომინანტურ ტენდენციებს შორის, რათა მოხერხდეს მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი პრივილეგიების უზრუნველყოფა. კომპლექსური გენდერული მიდგომის განუყოფელი ნაწილია ქალთა გაძლიერება და მათი უფლებების გაფართოება“. ამ მიდგომის გამოყენებით შესაძლებელია საზოგადოებაში გენდერული უთანასწორობების გამოვლენა და მათი მოგვარება. ამგვარი ქმედება გულისხმობს პირდაპირ მიდგომას, რომლითაც ხდება კონკრეტული გადანყვეტილების, მათ შორის პოზიტიური ზომების მომზადება.

## გენდერული მეინსტრიმინგი არასამთავრობო დონეზე

სამთავრობო და ადგილობრივი დონეების გარდა, გენდერული მეინსტრიმინგი ახასიათებს სხვადასხვა სფეროს ჩეხეთის რესპუბლიკაში. ზოგადად, გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების გზამკვლევი ჩართულია პროექტის მენეჯმენტში<sup>6</sup>, ხოლო გენდერული მეინსტრიმინგი შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა დანესებულების სტრატეგიულ დოკუმენტებში. მიუხედავად იმისა, რომ საჭიროა ინფორმირებულობის ამაღლება გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ, გზამკვლევი ამ ფუნქციას კარგად ვერ ასრულებს. მის შედგენაში არა აქვს მონაწილეობა მიღებული გრაფიკულ დიზაინერს, ამიტომ პირველი შთაბეჭდილება საკმაოდ ცუდია. თარგმანი ძალიან უხარისხოა და ხანდახან შინაარსიც იკარგება, მაგ. გენდერული მეინსტრიმინგის განსაზღვრების თარგმანი ასე ჟღერს: “gender mainstreaming is active process

1 მაგ. იხ. ჩეხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს პოლიტიკა და პრიორიტეტები . 2015. <https://www.mkcr.cz/doc/cms—library/priority-a-postupy-ministerstva-kultury-pri-prosazovani-rovnosti-zen-a-muzu-v-roce-2015-2843.pdf>

2 Čmolíková Cozlová, Klára. 2015. Gender Equality Policies in Czech Republic. In Gelasvili, Meri, Elena Kuparadze, Maia Kuprava-Sharvashidze, Nargiza Arjevanidze, Ekaterina Gamakharia, Klara Cozlova, Enikö Pap, Katarzyna Zielińska, Magdalena Piscová and Tamara Martsenyuk. 2016. Gender Equality Policies and EU Integration – Experience of Visegrad for EaP Countries. Fund of Women Entrepreneurs: Kutaisi. ISBN 978-9941-22-791-2

3 Špondrová, Pavla, Eva Hejzlarová, Czeslaw Walek and Klára Čmolíková Cozlová. 2015. Metodika hodnocení dopadů na rovnost žen a mužů pro materiály předkládané vládě ČR. Úřad vlády ČR: Praha.

4 Lovecy, J. 2002. Gender mainstreaming and the framing of women’s rights in Europe: The contribution of the Council of Europe. *Feminist Legal Studies*, 10, 271–283.

5 Evropské společenství. 2008. Manuál pro gender mainstreaming politik zaměstnanosti, sociálního začleňování a sociální ochrany. Generální ředitelství pro zaměstnanost, sociální věci a rovné příležitosti Evropské komise: Lucemburk. ISBN 978-92-79-09261-9.

6 Franceskidesová, Rebecca. 2004. Příručka programu Iniciativy Společenství EQUAL zaměřená na gender mainstreaming. Evropská komise: MPSV ČR Praha.

created to solve inequalities, which can – and also are doing – discrimination of one sex”<sup>1</sup> („კომპლექსური გენდერული მიდგომა არის აქტიური პროცესი, შექმნილი უთანასწორობების გადასაწყვეტად, რომელსაც შეუძლია – და აკეთებენ კიდევაც – ერთი სქესის დისკრიმინაცია“), რაც გაუგებარია ინგლისურადაც და ჩეხურადაც. ამგვარად, დაიკარგა ჩეხეთის კონტექსტში გენდერული მეინსტრიმინგის ფართო დეფინიციის შემოტანის შესაძლებლობა.

ინსტიტუციურ დონეზე არსებობს ორი ძირითადი მიდგომა. პირველი ეყრდნობა ლოგიკას, რომ საჭიროა მოქმედება და არა ყურადღების მიპყრობა, და ამიტომ არ უნოდებს მას „გენდერული მეინსტრიმინგს“. მეორე მიდგომა უფრო ნათლადაა გაცხადებული, რადგან იყენებს კომპლექსური გენდერული მიდგომის ტერმინებს. პირველი ირჩევს გზას, გამოიყენოს ტერმინი „მამაკაცი“ და „ქალი“, ნაცვლად გენდერისა. მეორე პროაქტიულად იყენებს გენდერულ მეინსტრიმინგს და მას დანებსებულების სტრატეგიული დოკუმენტის შემადგენელ ნაწილად აქცევს. მონინავე პრაქტიკის ამგვარი მაგალითია ჩეხეთის რესპუბლიკის ტექნოლოგიური სააგენტო (TACR). მასში დამკვიდრებულია ღია გენდერული პოლიტიკა. მისი პრინციპები გულისხმობს თანაბარ შესაძლებლობებს და ანტიდისკრიმინაციულ მიდგომას, გუნდის მრავალფეროვნება და გენდერული მრავალფეროვნება დანახულია როგორც ინოვაციური კვლევების წარმართვის აუცილებელი პირობა. TACR-ში მიმდინარე პროცესებში გამოიყენება კომპლექსური გენდერული მიდგომები<sup>2</sup>.

## გენდერული მეინსტრიმინგი ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე

გარდა საკანონმდებლო პროცესის მომზადებისა, ჩეხეთის რესპუბლიკაში სხვა მხრივ არანაირადაა განსაზღვრული პასუხისმგებლობა გენდერული მეინსტრიმინგის მიმართ. გენდერული მეინსტრიმინგი განსაზღვრულია როგორც ზევიდან ქვევით ვერტიკალზე მიმართული პროცესი და მასში მცირე ადგილი ეთმობა ადგილობრივ აქტორებს და დაინტერესებულ მხარეებს. ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების სამთავრობო საბჭოში რაიონები წარმოდგენილია მხოლოდ როგორც გარე პარტნიორები<sup>3</sup>.

ადგილობრივ დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის შესაძლო მაკოორდინირებელი ორგანო შეიძლება იყოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ერთ-ერთი გზაა „საჯარო მმართველობისა და კანონმდებლობის სექციის შეხვედრაზე შეღწევა, რომელსაც სისტემატურად ესწრებიან რეგიონული ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. აქ არის საშუალება, გაკეთდეს ადგილობრივ დონეზე კომპლექსური გენდერული მიდგომის განხორციელების აქტიური პროპაგანდა და ასევე, მოხდეს კონკრეტული წარმომადგენლების და დეპუტატების მოტივირება“<sup>4</sup>.

ამისთვის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენს ცოდნა, ნება და დრო შინაგან საქმეთა სამინისტროში გენდერის საკითხების კოორდინატორის დღის წესრიგში. სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენდერის საკითხების კოორდინატორის აქტიურობა შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც რეგიონის / მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის „ავტონომიის“ დარღვევა. ხშირად გვხვდება დისკურსი ყველას და არავის პასუხისმგებლობის შესახებ გენდერულ მეინსტრიმინგთან მიმართებით<sup>5</sup>.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციაა, რომ აქცენტი გაკეთდეს მოტივაციურ მიდგომაზე. 2006 წლის შემდგომ არასამთავრობო ორგანიზაციასთან – „ღია საზოგადოება – გენდერული სწავლებები“ თანამშრომლობით გამოიყენება მიდგომა „ნახევარი–ნახევარზე: თანაბარი შესაძლებლობები ქალთა და მამაკაცთათვის“. ის მუნიციპალიტეტები, რომლებიც იყენებენ საუკეთესო მიდგომებს თანაბარი შესაძლებლობების თემაზე, ჯილდოვდებიან პრიზებით<sup>6</sup>. თვით შეჯიბრი ნებაყოფლობითია, ძირითა-

1 იქვე P. 7.

2 TA CR Gender Policy document. <https://www.tacr.cz/dokums—raw/urednideska/gender—policy.pdf>

3 Úřad vlády České republiky. 2003. Statut Rady vlády pro rovné příležitosti žen a mužů. Praha: Úřad vlády České republiky.

4 ინდივიდუალური ინტერვიუ ჩეხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენდერულ საკითხთა კოორდინატორთან, ევა ფერაროვასთან

5 Lovecy, J. 2002. Gender mainstreaming and the framing of women’s rights in Europe: The contribution of the Council of Europe. *Feminist Legal Studies*, 10, 271–283.

6 Stryková, Iva. 2012. Téma: Proszazování rovných příležitostí – soutěž Úřad roku 2009. Diplomová práce. Praha: Univerzita Karlova. file:///C:/Users/klark/Downloads/DPTX—2009—1—0—267611—0—78099.pdf




დად, იგი უკავშირდება კითხვარის შევსებას. თუმცა, შედეგების არათუ სიღრმისეული ანალიზი არ მოიპოვება, არამედ ამგვარი გაანალიზება საერთოდ არ ხდება<sup>1</sup>.

ერთადერთი პროაქტიული ქმედება, რომელიც განახორციელა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, იყო ადგილობრივ დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის 2009 წელს ჩატარებული კვლევა. იგი დასახული იყო სამინისტროს პრიორიტეტად<sup>2</sup> და განახორციელა გენდერული საკითხების ექსპერტმა. პეტრ პავლიკი აღნიშნავს, რომ მუნიციპალურ და ადგილობრივ დონეზე რესპონდენტების მიერ კითხვარების შევსების დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ თანამდებობის პირები, რომელთაც არ უპასუხეს კითხვებს, მიიჩნევენ, რომ გენდერული თანასწორობა მათთვის საინტერესო თემას არ წარმოადგენს. ამგვარი დამოკიდებულება ანალიზში რომ გავვეთვალისწინებინა (ანუ, შედეგები მხოლოდ შევსებულ კითხვარებზე დაყრდნობით კი არ გამოგვეყვანა, არამედ ყველა დაგზავნილი კითხვარიდან, რომელთა 2 / 3 შეუვსებელი დარჩა), სურათი იმ თანამდებობის პირთა შესახებ, რომლებიც ადგილობრივ დონეზე ცდილობენ დანერგონ თანასწორობა, გაცილებით უარესი იქნებოდა. ამ შემთხვევაში, იმ თანამდებობის პირთა ოდენობა, რომლებიც სისტემატურად აქცევენ ყურადღებას გენდერული თანასწორობის საკითხებს, 16%-დან 6%-მდე ჩამოვიდოდა<sup>3</sup>.

მსგავსი შედეგი მივიღეთ ამ პროექტის ფარგლებში დაგზავნილი კითხვარის პასუხებიდანაც. მუნიციპალიტეტებსა და რეგიონულ ადმინისტრაციებში დაგზავნილი 152 კითხვარიდან მხოლოდ 49 დაგვიბრუნდა შევსებული, რაც მთლიანად 32%-ს შეადგენს. კითხვარის შევსება ნებაყოფლობითი იყო და მას თან არ ახლდა წერილი რომელიმე ოფიციალური უწყებიდან, მაგ. შინაგან საქმეთა სამინისტროდან. შევსებული კითხვარების დაბალი პროცენტული რაოდენობა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ გენდერული თანასწორობის საკითხი არ იპყრობს პასუხისმგებელ პირთა ყურადღებას ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.

პავლიკი მიუთითებს, რომ თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა მამაკაცთა და ქალთათვის აღბეჭდილია სტრატეგიული დოკუმენტების 30%-ში, მაგრამ გენდერული მეინსტრიმინგი არაა გამოყენებული არც ერთ შემთხვევაში.<sup>4</sup> მას შემდეგ ამ მიმართულებით აღინიშნება ცვლილებები და ჩვენს კვლევაში გენდერული მეინსტრიმინგის ცოდნა და გამოყენება ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გაზრდილია: რესპონდენტთა 61%-მა იცის გენდერული მეინსტრიმინგის ცნების შესახებ, ხოლო 26.5% იყენებს მას კონცეპტუალური, გადანყვეტილების მიღებისა და შეფასების პროცესების მომზადების და რეალიზებისას (იხ. დიაგრამა 3 და 4).

### დიაგრამა 3. იცით თუ არა გენდერული მეინსტრიმინგის ცნების შესახებ?



წყარო: ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა

რიცხობრივად ეს ნიშნავს, რომ 30 რესპონდენტმა იცის გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ, ხოლო 13 აცხადებს, რომ იყენებს მას მუშაობისას. ეს აშკარა პროგრესია.


1 ინდივიდუალური ინტერვიუ პეტრ შნოკვაუსთან, ჩეხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

2 ამოცანა II. ჩეხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკა და პრიორიტეტები ქალთა და მამაკაცთა თანასწორი შესაძლებლობების დანერგვის მიმართულებით 2009. Zpráva o plnění Priorit a postupů Ministerstva vnitra při prosazování rovných příležitostí pro ženy a muže za rok 2009. file: / / C: / Users / klark / Downloads / zprava—priority—2009.pdf

3 Pavlík, Petr, Smetáčková, Irena. 2010. Analýza stavu rovných příležitostí pro ženy a muže ve vybraných úřadech samosprávy. Praha: MV ČR.

4 იქვე გვ. 25.


**დიაგრამა 4. იყენებთ თუ არა გენდერული მენისტრინგის თქვენს მუნიციპალიტეტში?**



წყარო: ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება ადგილობრივ დონეზე გენდერული მენისტრინგის ინსტრუმენტების გამოყენების მხრივაც. 2009 წელს ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა გენდერული სტატისტიკა (24%), ანაზღაურების გენდერული უთანაბრობის ანალიზი (6.7%), გენდერული ზეგავლენის შეფასება (4%), გენდერული ბიუჯეტირება (2.7%) და გენდერული აუდიტი (2.7%). 2017 წ. კვლევა მიუთითებს პროგრესზე გენდერული აუდიტის (31.8%) და გენდერული სტატისტიკის (50%) გამოყენების კუთხით. თანამდებობის პირების მნიშვნელოვნად მაღალი რაოდენობა აცხადებს, რომ მოხელეებს შეუძლიათ გენდერული თანასწორობის თემაზე განათლების მიღება და სემინარებზე დასწრება (81.8%). ამის საწინააღმდეგოდ, ისევ დაბალია ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე იმ თანამდებობის პირთა რიცხვი, რომლებიც იყენებენ გენდერულ ბიუჯეტირებას და გენდერული ზეგავლენის შეფასებას: მხოლოდ ორმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ იყენებს ამ ინსტრუმენტებს (იხ. დიაგრამა 5).

**დიაგრამა 5. სორციელდება თუ არა ადგილობრივ / რეგიონულ დონეზე შემდეგი:**



წყარო: ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა

მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად გაიზარდა იმ თანამდებობის პირთა რაოდენობა, ვინც იყენებს გენდერული მენისტრინგის ზოგ ელემენტს და ამაღლდა შესაბამისი ორგანოების წარმომადგენელთა ცოდნა ამ კუთხით, ზედმეტი ოპტიმიზმის საფუძველი არ არსებობს. 2009 წელს, პავლიკმა, საკუთარი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბა გასატარებელი ზომების შემდეგი ნუსხა:<sup>1</sup>

1. ადგილობრივ ხელისუფალთათვის საგანმანათლებლო ღონისძიებების შეთავაზება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის თემაზე (ორგანიზაციის „ინსტიტუტი ადგილობრივი ადმინისტრაციისთვის“ მეშვეობით);
2. მეთოდოლოგიური მასალების შექმნა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გენდერული მენისტრინგის თემაზე;
3. ადგილობრივ დონეზე გენდერულ საკითხთა მაკოორდინირებელი პირის პოზიცია შექმნა;

<sup>1</sup> იქვე

4. თანამშრომლობა არასამეწარმეო სექტორთან გენდერული თანასწორობის სფეროში;
  5. ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ხელისუფალთა შორის ურთიერთთანამშრომლობის ქსელის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
  6. ხელისუფალთათვის საკონსულტაციო ონლაინ ფორუმის შექმნა;
  7. მუდმივი ძიება და კვლევა ადგილობრივ დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის თემაზე.
- თუმცა, არც ერთი რეკომენდაცია, გარდა პირველისა, არ შესრულებულა. რეკომენდაციები მხოლოდ ქალაქებში დარჩა და გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები.

## გენდერული ტრენინგები და გამოცდილება

გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებში ჩართული პირების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი მუდმივად ყურადღების ცენტრშია ჩეხეთის რესპუბლიკაში. გენდერული თანასწორობა არა მხოლოდ სამინისტროებში ინსტიტუციურ თანამდებობებზე მყოფმა პირებმა – გენდერულ საკითხთა კოორდინატორებმა – უნდა უზრუნველყონ, არამედ საჯარო მმართველობის ორგანოებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმაც. არსებობს სპეციალური ტრენინგები სახელმწიფო მოხელეთათვის, რომელთაც ატარებს ორგანიზაცია „ინსტიტუტი ადგილობრივი ადმინისტრაციისთვის“. თუმცა, როგორც აღინიშნა, ისინი ნაკლებად შედეგიანია, რადგან მათ მიერ მომზადებულ სატრენინგო მასალებში ნახსენებიც კი არაა გენდერული თანასწორობა და გენდერული მეინსტრიმინგი. ტერმინოლოგია შერჩეულია იმგვარად, რომ არ გამოიწვიოს ზედმეტი კონფლიქტი და მიმართავენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა თანასწორობა, ადამიანური რესურსების მართვა, კომუნიკაცია და ა.შ.<sup>1</sup>

ამიტომაც, უნდა დადგეს არა მხოლოდ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობის, არამედ მათი ხარისხის საკითხიც. რადგანაც განსაზღვრული არაა პასუხისმგებელ პირთა თანამდებობები, მათი მოვალეობები და მათდამი წაყენებული მოთხოვნები, შესაბამისად, შეუძლებელია ხარისხიანი ტრენინგის ორგანიზება<sup>2</sup>. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მოხელეთათვის ოფიციალურად არ არის განსაზღვრული სისტემატური ტრენინგები.

## გენდერული სტატისტიკა

გენდერული სტატისტიკა, როგორც კვლევის რესპონდენტების პასუხებიდან ირკვევა, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინსტრუმენტია. იგი აუცილებელია ქალებთან დაკავშირებული საკითხების საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მოსაქცევად და ყველა სფეროში დისკრიმინაციის გამოსავლენად. გენდერული კუთხით სტატისტიკის მომზადებაზე მოთხოვნა ჩნდება მაშინ, როცა საქმე ეხება ინდივიდუალურ და პირადულ საკითხებს.<sup>3</sup> ჩეხეთის სტატისტიკის სამმართველოში არის გენდერული განყოფილება<sup>4</sup>, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს გენდერულ სტატისტიკას<sup>5</sup>, მაგრამ ის აგროვებს მხოლოდ კონკრეტულ, ხელმისაწვდომ მონაცემებს. ჯერაც არ ხდება პირველადი წყაროების დამუშავება გენდერულად სენსიტიური კუთხით. ამიტომაც, გენდერული სტატისტიკის მომზადების საჭიროებას ხაზი გაესვა როგორც ადამიანის უფლებათა განყოფილების გენდერული თანასწორობის გუნდის ბოლო პროექტში, ასევე 2014-2020 წლების სამთავრობო სტრატეგიაში ჩეხეთის რესპუბლიკაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისათვის<sup>6</sup>.

1 ინტერვიუ იანა მალინოვსკასთან, ადგილობრივი ადმინისტრირების ინსტიტუტი.

2 Lukášová, Miloslava (ed). 2007. Zaostřeno na rovné příležitosti v praxi. Výběr z textů elektronického zpravodaje portálu www.muzaizeny.cz. Nadace Open Society Fund Praha a Otevřená společnost o.p.s.: Praha. Str. 72. ISBN: 978-80-87110-06-5

3 Ferrarová, Eva. 2007. Příručka pro implementaci rovných příležitostí žen a mužů a principů gender mainstreamingu ve veřejné správě v České republice. 25 p. ISBN: 976-80-86520-03-2

4 შესაბამისად, აღნიშნულ თემაზე მუშაობს ორი ექსპერტი.

5 Focused on Men and Women. Zaostřeno na ženy a muže. <https://www.czso.cz/csu/czso/zaostreno-na-zeny-a-muze>

6 See Government Strategy for Equality of Women and Men in the Czech Republic. <https://www.vlada.cz/assets/ppov/rovne-prilezitosti-zen-a-muzu/Projekt-Optimalizace-Strategie-pro-rovnost-zen-a-muzu-v-CR-na-leta-2014-2020.pdf>

## გენდერული აუდიტი

გენდერული აუდიტი განიხილება როგორც საკმაოდ რთული ინსტრუმენტი, რომელიც მიმართულია გენდერული თანასწორობის შეფასებისა და ხელშეწყობისაკენ ინსტიტუციურ დონეზე<sup>1</sup>. იგი უფრო გენდერული სენსიტიურობისა და გენდერული თანასწორობის გაზომვის ინსტრუმენტია მოცემულ არეალში ან დანესებულებაში, ვიდრე კონტროლის ფორმა. იგი უფრო კვალიფიციური კონსულტაციის ფორმაა, რომელიც გვეხმარება მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის სფეროში სუსტი და ძლიერი მხარეების, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გამოვლენაში.<sup>2</sup>

საჯარო ადმინისტრაცია მნიშვნელოვანი დამსაქმებელია და მასში შესაძლებელი უნდა იყოს გენდერული თანასწორობისადმი როგორც შიდა, ისე გარე მიდგომების შეფასება. „საჯარო ადმინისტრაცია სახელმწიფო ფინანსებს ეფექტურად უნდა იყენებდეს და იგი სამაგალითო უნდა იყოს კერძო სექტორისათვის სამართლებრივი რეგულაციების დაცვის თვალსაზრისით. ამას გარდა, მან უნდა შექმნას პროგრამები, რომელიც მასტიმულირებელი იქნება საზოგადოების ყველა ფენისათვის“.<sup>3</sup>

2007 წელს შემუშავებულ იქნა კონკრეტული მიდგომა გენდერული აუდიტის მიმართ რეგიონულ<sup>4</sup> და ადგილობრივ<sup>5</sup> დონეზე. რადგან უკვე არსებობდა აუდიტისადმი მრავალი მიდგომა – რომელიც მიმართული იყო მხოლოდ ოჯახზე მორგებული სტრატეგიების აუდიტზე, ან მხოლოდ მართვის დივერსიფიცირებაზე – შემუშავდა ზოგადი გენდერული აუდიტის სტანდარტი 2015 წ.<sup>6</sup> აუდიტის მხარდაჭერას ახორციელებს ევროპის სოციალური ფონდი ESF (ოპერატიული დასაქმების პროგრამა) და, ამდენად, იგი ადვილად ხელმისაწვდომია ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე<sup>7</sup>.

არსებობს მონინავე გამოცდილების მაგალითები. გენდერული აუდიტი ჩატარდა ქალაქების: ამის, სოკოლოვის, პისეკის და სლანის მუნიციპალურ ხელისუფალთა მიერ. გამოყენებული იქნა ევროპის სოციალური ფონდის დახმარება, რაც მომავალი განვითარების სანინდარია.<sup>8</sup>

## გენდერული ანალიზი – გენდერული ზეგავლენის შეფასება

გენდერული ზეგავლენის შეფასება და გენდერული ანალიზი საფუძვლად უნდა დაედოს როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონულ დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს. თუმცა ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამგვარი მიდგომა, ფართოდ არ არის გავრცელებული. ამასთან, გენდერული ანალიზის ნარმატიულად განხორციელების წინაპირობაა გენდერული სტატისტიკის არსებობა და როგორც აღვნიშნეთ (იხ. თავი – გენდერული სტატისტიკა), მასზე არ არსებობს ფართო წვდომა. ეროვნულ დონეზე გენდერული ზეგავლენის შეფასების დამხმარე დოკუმენტია „მმართველობით პროცესებში გენდერული ზეგავლენის შეფასების გზამკვლევი“, რომელიც ადვილად შეიძლება გამოვიყენოთ ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრაციის შემთხვევებშიც. ამგვარი გამოყენება რეკომენდებულია ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ<sup>10</sup>.

1 Franceskidesová, Rebecca. 2004. Příručka programu Iniciativy Společenství EQUAL zaměřená na gender mainstreaming. Evropská komise: MPSV ČR Praha.

2 ჩეხეთის რესპუბლიკის სამთავრობო კანცელარია, ადამიანურ რესურსთა და უმცირესობათა დაცვის განყოფილება. 2016 წ. გენდერული აუდიტი, სტადარტები, ვერსია 2.

3 Skálová, Helena. 2011. Rovné příležitosti žen a mužů a sladování osobního a pracovního života na úřadech veřejné správy. In: Sokačová, L. Malé obce za rovné příležitosti žen a mužů. Praha: Gender Studies, o.p.s. ISBN: 978-80-86520-37-7 P. 7.

4 Pavlík, Petr. 2007. Metodika genderového auditu krajského úřadu. Praha: Otevřená společnost, o.p.s.

5 Pavlík, Petr. 2007. Metodika genderového auditu městského / obecního úřadu. Praha: Otevřená společnost, o.p.s.

6 The Office of the Government of the Czech Republic, Department for Human Rights and Minority Protection. 2016. Gender audit. Standards. Version n. 2. <https://www.vlada.cz/assets/ppov/rovne-prilezitosti-zen-a-muzu/Projekt-Optimalizace/Gender-Audit-Standards-V2-March2016-2.pdf>

7 Kubálková, Petra (2014). “Rovné příležitosti mužů a žen – inspirace dobrou praxí v českých samosprávách”. Deník veřejné správy. <http://denik.obce.cz/clanek.asp?id=6675433>

8 იქვე.

9 Špondrová, Pavla, Eva Hejzlarová, Czeslaw Walek and Klára Čmolíková Cozlová. 2015. Metodika hodnocení dopadů na rovnost žen a mužů pro materiály předkládané vládě ČR. Úřad vlády ČR: Praha.

10 მთავრობის დადგენილება No. 542 8 ივლისი 2015 წ.

გზამკვლევი მარტივია და მორგებულია მკითხველზე. მთლიანი პროცესი დაყოფილია 3 ძირითად ეტაპად, რომელთაგან თითოეული იწყება საკვანძო კითხვით: (1) ახდენს თუ არა არსებული მდგომარეობა გავლენას ადამიანების ყოველდღიურ ყოფაზე? თუკი პასუხი დადებითია, საჭიროა გავიაროთ გენდერული ზეგავლენის შეფასების შემდეგი ეტაპი და ვუპასუხოთ მეორე კითხვას, (2) ვრცელდება თუ არა ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობა მართვის მოცემულ სფეროში და ბოლოს, (3) შეიტანს თუ არა ამ უთანასწორობაში რაიმე ცვლილებას შეთავაზებული რეგულაცია. გენდერული ზეგავლენის ამგვარი შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მონაცემებს, სტატისტიკას, ექსპერტულ შეხედულებებს, გენდერულ ანალიზს და ა.შ.<sup>1</sup>.

2016 წლის შეფასებითი ანგარიში გვიჩვენებს, რომ გენდერული მენისტრიმინგი და გენდერული ზეგავლენის შეფასების გამოყენების შემთხვევები სამთავრობო დონეზე საკმაოდ იშვიათია და თვით გზამკვლევის გამოყენების შემთხვევებიც არ არის ხშირი.<sup>2</sup> ამიტომაც დაისახა ახალი ამოცანა,<sup>3</sup> „უფრო თანმიმდევრულად იქნას გამოყენებული გენდერული მენისტრიმინგი, მათ შორის მისი ინსტრუმენტები, როგორცაა გენდერული ზემოქმედების შეფასება არსებული გზამკვლევის დახმარებით და უზრუნველყოფილი იქნას ამისთვის ტრენინგების ჩატარება.“<sup>4</sup> აქ საუბარი არ არის გზამკვლევის გამოყენებისა და ტრენინგების ჩატარების აუცილებლობაზე ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.

როგორც სამაგიდო კვლევიდან ჩანს, ქალაქ სლანის მუნიციპალიტეტი იყო ერთადერთი, რომელსაც შემუშავებული ჰქონდა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებდა მათ დაინტერესებას გენდერული ანალიზის მიმართ. პროექტის ფარგლებში შემუშავდა მეთოდოლოგია გენდერული ზეგავლენის შეფასების ჩასატარებლად. ამ მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ „ამჟამად ამ პრინციპით მუშაობა (გენდერული მენისტრიმინგი) ჩეხეთის რესპუბლიკაში საწყის ეტაპზეა, ამიტომ ღირშესანიშნავია, რომ სლანში შეიმუშავეს მეთოდოლოგია ამ კუთხით“<sup>5</sup>.

## გეგმები ადგილობრივ დონეზე თანასწორობის უზრუნველსაყოფად

ჯერ კიდევ 2003 წელს ჩატარებულ კვლევაში ასკლოფი მიუთითებდა სახელმწიფო ადმინისტრაციის ორგანოებზე ფოკუსირებისა და გენდერული თანასწორობის გეგმის შედგენის აუცილებლობაზე. ბევრი რეგიონი მიიჩნევს, რომ ისინი მომსახურებას ყველა მოქალაქეს უწევს და ეს თანაბრად შეეხება როგორც ქალებს, ასევე კაცებს. „მაგრამ როდესაც მათ შესაბამის კითხვას დაგუსვამთ, ვნახავთ, რომ ბევრ რეგიონს როდი შეუძლია წარმოადგინოს აღნიშნულ საკითხზე ჩატარებული კვლევის შედეგები“<sup>6</sup>.

ბოლო წლებში შეიმჩნევა გარკვეული პროგრესი და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელისუფლების ზოგიერთმა ორგანომ შეიმუშავა გარკვეული პროექტები ESF-ის მხარდაჭერით, რათა შეიქმნას გეგმები თანასწორობის უზრუნველსაყოფად. მათ შორისაა კრალოვეგრადეცის, სამხრეთ მორავიის და ზლინის რეგიონული ხელისუფლება. მათ მოახერხეს გენდერულ მენისტრიმინგზე ორიენტირება. მაგალითად, ისეთი ქალაქის, რომელშიც გათვალისწინებულია ქალთა, მამაკაცთა და ბავშვთა საჭიროებები, შეიძლება მოვიყვანოთ ქალაქი ნოვე-სტრაშეცი, სადაც შეიმუშავეს სა-

1 Špondrová, Pavla, Eva Hejzlarová, Czeslaw Walek and Klára Čmolíková Cozlová. 2015. Metodika hodnocení dopadů na rovnost žen a mužů pro materiály předkládané vládě ČR. Úřad vlády ČR: Praha.

2 Úřad vlády ČR. 2017. Zpráva za rok 2016 o rovnosti žen a mužů a o naplňování Vládní strategie pro rovnost žen a mužů v ČR na léta 2014 – 2020. <https://www.vlada.cz/assets/ppov/rovne-prilezitosti-zen-a-muzu/Aktuality/Zprava-o-rovnosti-za-rok-2016-1.pdf>

3 რომელიც მიუთითებს მინიმალური სტანდარტებიდან 5 ამოცანაზე და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ინსტიტუციური უზრუნველყოფიდან 3 მიზანზე.

4 Úřad vlády ČR. 2017. Zpráva za rok 2016 o rovnosti žen a mužů a o naplňování Vládní strategie pro rovnost žen a mužů v ČR na léta 2014 – 2020. <https://www.vlada.cz/assets/ppov/rovne-prilezitosti-zen-a-muzu/Aktuality/Zprava-o-rovnosti-za-rok-2016-1.pdf> p. 15.

5 Kubálková, Petra. 2013. Metodika implementace rovného přístupu. Praha: M.C. Triton. P. 13.

6 Asklöf, Cecilia, Strandberg, Helena and Karin E. Wenander. 2003. Proč a jak vypracovat Plán rovnosti žen a mužů. Praha: Ministerstvo práce a sociálních věcí. P. 18.

ოჯახის პოლიტიკის ჩამოყალიბების გეგმა ქალაქისთვის.<sup>1</sup> მოწინავე გამოცდილების კიდევ ერთი მაგალითი არის ქალაქი სლანი, რომელშიც 2013 წლიდან მუშაობენ გენდერული მეინსტრიმინგის ჩარჩო მეთოდოლოგიაზე<sup>2</sup>.

## ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ

ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ გამიზნულია გაზარდოს ინფორმირებულობა აღნიშნულ თემაზე და ხელი შეუწყოს თანასწორობის მიღწევას რეგიონებში. როგორც შესავალშია აღნიშნული: „...ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფალთ უკავიათ საუკეთესო პოზიცია იმისათვის, რომ ებრძოლონ არსებულ და განმეორებად უთანასწორობას და დაამკვიდრონ ჭეშმარიტად თანასწორი საზოგადოება... თუკი გვსურს მივალწიოთ თანასწორობაზე დაფუძნებულ საზოგადოებას, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებებმა სრულად გაითვალისწინონ გენდერული განზომილება თავიანთ სტრატეგიებში, ორგანიზების ფორმაში და პრაქტიკაში“.<sup>3</sup>

ქარტია მოიცავს გენდერული თანასწორობის ძირითად პრინციპებს, მათ შორის თანაბარ მოპყრობას, ანტი-დისკრიმინაციულ ქმედებებს, ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას, როგორც ფუნდამენტურ დემოკრატიულ პრინციპს; გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას; მართვაში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას და სამოქმედო გეგმის განსახორციელებელ რესურსებს.<sup>4</sup> ქარტიის მიღების შედეგად, ხელისუფალთ ეკისრებათ ვალდებულება, მოამზადონ თანასწორობის სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტებს, ქმედებებს და რესურსებს.<sup>5</sup> მისი შინაარსი და ძირითადი ფოკუსი დამოკიდებულია ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე – ამ მხრივ ქარტია არ აწესებს მკაცრ შემზღუდავ წესებს.<sup>6</sup> (Blondy 2009)

ევროპული ქარტია ჩეხეთის რესპუბლიკაში 2004 წელს შემოიტანა ფემინისტურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ფორუმი 50%“. ეს მოხდა პროექტის ფარგლებში, რომელშიც პარტნიორი ორგანიზაცია იყო Svaz měst a obcí (ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების კავშირი). თუმცა პარტნიორობა არ აღმოჩნდა ისე მტკიცე, როგორც მოსალოდნელი იყო და შედეგად, ქარტია მიღებულ იქნა ჩეხეთის რესპუბლიკის მხოლოდ 4 ქალაქის მიერ: ესენია პატარა სოფლები: სტანკოვიცე (რეგიონი ლიტომერიცე), მილოტიცე (რეგიონი ჰოდონინი), ზალუჟი (რეგიონი ბეროუნი) და პრალის მუნიციპალიტეტი – 18 ლეტნანი.

ნიშანდობლივია, რომ Svaz měst a obcí-ის ვებგვერდზე არ ხდება მონაცემთა განახლება. გვერდი ბოლოს 2010 წ. ივნისში განახლდა და მასზე არ მოიპოვება ზუსტი ინფორმაცია ქარტიაზე ხელმოწერთა რაოდენობის შესახებ (მხოლოდ ორი სოფელია მოხსენიებული).

მეორე მხრივ, ქარტიამ ფორმალური მხარდაჭერა მიიღო ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის დონეზე<sup>7</sup>. მთავრობამ მიიღო ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების სახელმწიფო საბჭოს რეკომენდაცია, მხარი დაუჭიროს ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქების, მუნიციპალიტეტების და რეგიონების მიერ „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტიის“ მიღებას. თუმცა, გენდერული მეინსტრიმინგის კუთხით ადგილობრივ დონეზე 2010 წლის შემდეგ პროგრესი არ შეიმჩნევა.

1 Kubáľková, Petra. 2014. “Rovné príležitosti mužů a žen – inspirace dobrou praxí v českých samosprávách”. Deník veřejné správy. <http://denik.obce.cz/clanek.asp?id=6675433>

2 Kubáľková, Petra. 2013. Metodika implementace rovného přístupu. Praha: M.C. Triton.

3 CEMR. 2006. Evropská charta za rovnost žen a mužů na úrovni života ve městech a obcích. SMOCR: Praha. P. 3.

4 იქვე

5 CEMR. 2009. Příručka k provádění Evropské charty pro rovnost žen a mužů na úrovni života ve městech a obcích. SMOCR: Praha.

6 Blondy, Emilie. 2009. Vznik Evropské charty za rovnost žen a mužů na úrovni života ve městech a obcích. In: Adamusová, Hejzlarová (eds.): Rovné příležitosti žen a mužů ve městech a obcích. Jak začít? Sborník z konference. Praha: Fórum 50 %. ISBN 978-80-904447-0-6. P. 6-9.

7 მთავრობის დადგენილება No. 422, 31 მაისი 2010 წ.

## გენდერული ბიუჯეტირება

გენდერული ბიუჯეტირება განისაზღვრება როგორც კომპლექსური გენდერული მიდგომა, გენდერული მეინსტრიმინგი, რომელიც აისახება საბიუჯეტო პროცესში. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ადგილობრივი, ასევე ეროვნული ბიუჯეტის დონეზე და მასში ყურადღება შეიძლება გამახვილდეს როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვით ნაწილზე. OECD-ის (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) კვლევის თანახმად, ჩეხეთის რესპუბლიკა იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებიც აქტიურად განიხილავენ გენდერული ბიუჯეტირების დანერგვას (OECD 2017:61). თუმცა, შიგნიდან დანახული სურათის მიხედვით, ვერ ვხედავთ დებატებს ამ თემაზე და შესაძლებლობას იმისა, რომ გენდერული ბიუჯეტირება აქტიურად დამკვიდრდეს ჩეხეთის სტრატეგიაში: ამგვარი დებატები არ მიმდინარეობს და არ არის მზადება საკანონმდებლო დონეზე ინიციატივების მხარდასაჭერად.

არსებობს მცირე რაოდენობა ქალაქებისა და მუნიციპალიტეტებისა, სადაც გადაიდგა ნაბიჯები გენდერული ბიუჯეტირებისაკენ. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია პროექტი სახელწოდებით Gender Fokus, რომელიც განხორციელდა ვისოჩინას რაიონში. გენდერული ბიუჯეტირება საკმაოდ პოზიტიური შედეგით განხორციელდა 5 ქალაქმა: პოჩატკიმ, ბოჰდალოვმა, ჰავლიჩკუვ ბროდმა, პონამ და შტემეხიმ. როგორც ჰავლიჩკუვ ბროდის მერის მოადგილე ივან კუჟელკა აღნიშნავს: „მუნიციპალიტეტის განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების არსებობისათვის უდაოდ საჭიროა მონიტორინგი იმისა, ესა თუ ის საბიუჯეტო გადაწყვეტილება ზრდის თუ ამცირებს უთანასწორობას. შემდგომი ნაბიჯები კი მუნიციპალიტეტის ხელთაა: მასზეა დამოკიდებული, გაითვალისწინებს თუ არა იგი მიღებულ შედეგებს საბიუჯეტო ლიმიტების დანესებისას და ა.შ.“<sup>1</sup>

## მონაწილეობითი ბიუჯეტირება

მონაწილეობითი ბიუჯეტირების ყურადღების ცენტრშია საზოგადოების ჩართულობა ბიუჯეტის მზადებაში ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. მისი შემადგენელი ნაწილები შეიძლება იყოს ბიუჯეტის სხვადასხვა ნაწილზე ფოკუსირება, კონკრეტული პროექტების შემუშავება ან მოქალაქეთა კონკრეტული აქტივობები და მათი ხედვების და დემოკრატიული მიდგომების გათვალისწინება. ამჟამად მოქალაქეებს ბიუჯეტის გაცნობა<sup>2</sup> შეუძლიათ ოფიციალური ანგარიშების საშუალებით ან საკრებულოებში. თუმცა, მონაწილეობითი ბიუჯეტირება საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, არ შემოიფარგლონ სათათბირო როლით და მათ ნაწილობრივ აღმასრულებელი ფუნქციითაც აღჭურვავენ. იგი ეფუძნება მოსახრებას, რომ საზოგადოება ღრმად დაინტერესებულია იმ გარემოთი, სადაც ცხოვრობს, ამდენად, ის საკმაოდ კომპეტენტურია იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის მომზადებაში.<sup>3</sup>

მონაწილეობითი ბიუჯეტირებისას გადაწყვეტილების მიღების ციკლი 5 ძირითადი ეტაპისაგან შედგება: მოსამზადებელი პროცესი, წინადადებების საჯარო განხილვა, გადაწყვეტილებათა ტექნიკური ანალიზი, წინადადებათა საჯარო შერჩევა და განხორციელება. ყოველი ეტაპის განუყოფელი ნაწილია მისი შეფასება, რაც უზრუნველყოფს მის წარმატებულ განხორციელებას.<sup>4</sup>

ეს მიდგომა სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს და ბევრი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანო იყენებს მონაწილეობით ბიუჯეტირებას. ჩატარდა მცირე სამაგიდო კვლევა, რომელიც ფოკუსირებული იყო ინტერნეტ გვერდებზე. გაირკვა, რომ აღნიშნული თემით დაინტერესებული არიან შემდეგი ქალაქები და მუნიციპალიტეტები: ხომუტოვი, ლიტომერიცე, რუმბურ-

1 Jaroš, Jan, Anna Křištofová, Josef Jukl, Anna Holcmanová, Ivana Hůšová, Eva Flesarová, Jana Videnská. 2011. Genderové rozpočtování v regionálních a komunálních rozpočtech. Jihlava: Vysočina. ISBN 978-80-87521-00-7.

2 საბიუჯეტო წესების შესახებ კანონის მოთხოვნის თანახმად 218/2000 Coll.

3 Alternativa zdola. Příručka participativního rozpočtu. P.4

<http://www.participativnirozpocet.cz/sites/default/files/P%C5%99iru%C4%8Dka-participativniho-rozpo%C4%8Dtu.pdf>

4 იხ. <http://www.participativnirozpocet.cz/o%20participativn%C3%ADm%20rozpo%C4%8Dtu>

კი, პრაღა 3, პრაღა 6, პრაღა 7, პრაღა 8, პრაღა 18, პრაღა – ზბრასლავი, ოლომოუცი, სემილი, სადსკა, მნიხოვიცე<sup>1</sup>, ჟდიარ ნად საზავოუ<sup>2</sup>.

## სამოქალაქო ბიუჯეტირება

სამოქალაქო, მონაწილეობითი და გენდერული ბიუჯეტირება წარმოადგენს ახალ მიდგომას ადგილობრივ, რეგიონულ და სამთავრობო დონეზე ბიუჯეტირების არსებული გზებისადმი. ამით ზოგადად ბიუჯეტირების პროცესის გადახედვა კი არ ხდება, არამედ სხვა კუთხით ფოკუსირება პროცესებზე (რათა გაიზარდოს საზოგადოების ჩართულობა ბიუჯეტის შესახებ გადანყვეტილებების მიღებისას) ან საბოლოო ბენეფიციარებზე (თემებზე, მამაკაცებსა და ქალებზე).

მაშინ, როდესაც სამოქალაქო ბიუჯეტირება ითვალისწინებს მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის ყველა ფენას, გენდერული ბიუჯეტირების უპირველეს ინტერესს წარმოადგენს საბიუჯეტო რესურსების განაწილების ანალიზი და შემოწმება გენდერული თანასწორობის კუთხით. ეს მიდგომა ახლოა ერთმანეთთან: სამოქალაქო ბიუჯეტირება, უპირველესად, გამოჰყოფს საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ჯგუფს და შემდეგ ჰყოფს მათ ქალებად და მამაკაცებად თავიანთი საჭიროებების მიხედვით (მაგ., მოხუცი ადამიანების ჯგუფი იყოფა მოხუც ქალებად და მოხუც მამაკაცებად და შემდეგ გამოიკვეთება მათი საჭიროებანი); გენდერული ბიუჯეტირებისას კი, პირველ რიგში, მოსახლეობა იყოფა მამაკაცებად და ქალებად და შემდეგ ხდება მათში ცალკეული ჯგუფების გამოყოფა (მაგ. მცირეწლოვანთა დედები, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ქალები, მოხუცი ქალები, ქალები ეთნიკური უმცირესობებიდან და ა.შ.). განსხვავება იმაშია, რომ სამოქალაქო ბიუჯეტირებისათვის პრიორიტეტულია საზოგადოების ჩართულობა და ამ მხრივ იგი უფრო ახლოს დგას მონაწილეობით ბიუჯეტირებასთან. გენდერული ბიუჯეტირება გარდა იმისა, რომ ფოკუსირებულია სხვადასხვა მიმართულებებისთვის გამოყოფილი ფინანსებზე, ყურადღებას მიაპყრობს აუნაზღაურებელი სამუშაოსა და დროის საკითხებსაც<sup>3</sup>.

ჩეხეთის რესპუბლიკაში გვხვდება ამგვარი მიდგომების მაგალითებიც. ზოგიერთ სოფელში იყენებენ სამოქალაქო ბიუჯეტირებას, ასეთია, მაგ.: ფრიდეკ მისტეკი, ნოვი ჟიჩინი, რამკოვიცე, დომასლავიცე<sup>4</sup>.

## თანამშრომლობითი (სამოქალაქო) დაგეგმვა

თანამშრომლობითი (სამოქალაქო) დაგეგმვა გამოიყენება როგორც მონაწილეობითი მიდგომა, რათა ინდივიდები ჩაერთონ საზოგადოებრივი გადანყვეტილებების მიღების პროცესში. მისი მიზანია თანასწორი და ჩართულობითი ინსტიტუციური გარემოს შექმნა. იგი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს ავითარებს. მისი დამახასიათებელია მონაწილეობითი მიდგომა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივი ცხოვრების მონაწილე ყველა აქტორის თანამშრომლობას და მონაწილეობას.<sup>5</sup> ვერონიკა აგერი მიიჩნევს, რომ მონაწილე პირები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: აქტივისტები ექსპერტთა წრეებიდან (არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და ა.შ., რომლებიც არ ცხოვრობენ მოცემულ ადგილას, მაგრამ მუშაობენ იქ) და ყოველდღიური გადანყვეტილებების მიმღები პირები – პროცესის ადგილობრივი მონაწილეები (როგორც წესი, ადგილობრივი პენსიონერები და დეკრეტულ შვეულებებში მყოფი დედები). თუმცა, როგორც წესი, არ ხერხდება სხვა ადგილობრივ უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართვა, ან მათი ჩართულობა გართულებულია არასაკმარისი ცოდნის გამო (პროცესების დაგეგმვის, დებატებში გამოყენებული თეორიული ტერმინოლოგიის უცოდინარობის ან უბრალოდ დროის უქონლობის გამო).

1 ob. for example <http://www.participativni-rozpocet.cz/mnichovice/>

2 საკუთარი კვლევა

3 Hejzlarová, Eva M. and Marcela Adamusová. 2010. Komunitní rozpočtování pro samouky a samoučky. Fórum 50 %: Praha. ISBN 978-80-904447-1-3.

4 იქვე

5 MPSV ČR. 2004. PRŮVODCE procesem komunitního plánování sociálních služeb. MPSV: Praha.



სოციალურ მომსახურებათა შესახებ<sup>1</sup> კანონის თანახმად, თანამშრომლობითი (სამოქალაქო) დაგეგმვა სავალდებულოა რეგიონულ დონეზე სოციალურ მომსახურებათა დასანერგად. 2007 წლის შემდეგ ყველა რეგიონში იყენებენ სამოქალაქო დაგეგმვას სოციალური მომსახურებისთვის. ბევრი ქალაქი და მუნიციპალიტეტი ჩართული სოციალური მომსახურებების თანამშრომლობით დაგეგმვაში, თუმცა მათ არა აქვთ ამგვარი ვალდებულება კანონის წინაშე. სოციალური სამსახურის კონტექსტში, თანამშრომლობითი (სამოქალაქო) დაგეგმვა განიხილება, როგორც ადგილობრივთა პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით პრობლემების მოგვარების ინდივიდუალური გზების ძიების შესაძლებლობა.<sup>2</sup> თუმცა, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში ან გადაწყვეტილებების მიღებისას ეს მიდგომა იშვიათად გამოიყენება. პოტენციურად იოლი უნდა იყოს მისი გამოყენება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საოჯახო პოლიტიკა, სამოქალაქო არქიტექტურა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების აღდგენა-განახლება, განათლება,<sup>3</sup> და არასამთავრობო ორგანიზაციათა მხარდაჭერა<sup>4</sup>.

თანამშრომლობითი (სამოქალაქო) დაგეგმვის უშუალო შედეგებია სამოქალაქო გეგმებისა და სამოქმედო გეგმების მომზადება. სამოქალაქო გეგმა, როგორც წესი, მოიცავს სამ წელს, სამოქმედო გეგმები კი ყოველწლიურია (მაგ. პარდუბიციში)<sup>5</sup>.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდგომისას აქცენტირებული არ არის გენდერული განზომილებები, თუმცა ისინი შეიძლება გახდნენ ამ მიდგომის განუყოფელი ნაწილი, განსაკუთრებით მაშინ, თუკი მონაწილეები ემხრობიან გენდერულად სენსიტიურ მიდგომებს (მათ შორის შეიძლება განიხილებოდეს რეგიონში გენდერულ თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მოწვევა ერთობლივ დაგეგმვაში მონაწილეობის მისაღებად)<sup>6</sup>.

## დასკვნები და რეკომენდაციები

ჩეხეთის რესპუბლიკა ევროკავშირში გაერთიანების წინა პერიოდში და მას შემდეგ - ძირითადად, კონცენტრირებული იყო ეკონომიკურ მოთხოვნებზე და საკანონმდებლო ცვლილებებზე, ხოლო გენდერული თანასწორობისათვის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა და მის უზრუნველსაყოფად სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება, გარკვეულწილად, მხოლოდ გარე მოთხოვნების დასაკმაყოფილებელ ფორმალობას წარმოადგენდა.<sup>7</sup> მიუხედავად გენდერული თანასწორობის ფორმალური აღიარების და მისი მნიშვნელობის დეკლარირებისა, არ არსებობდა ამ საკითხის თანმიმდევრული მხარდაჭერა. გენდერული მეინსტრიმინგის ოფიციალურად აღიარება და სახელმწიფო პრიორიტეტად დასახვა 1998 წელს მოხდა, თუმცა 2015 წლამდე არ არსებობდა დამხმარე მეთოდოლოგიური მასალა ან გზამკვლევი, თუ როგორ გამოვიყენოთ გენდერული ზეგავლენის შეფასება მმართველობით პროცესებში ან როგორ განვახორციელოთ თვით გენდერული ზეგავლენის შეფასება<sup>8</sup>. რეალური გახდა რისკი იმისა, რომ გენდერული მეინსტრიმინგი აღქმულიყო ყველას და ამავედროულად არავის პასუხისმგებლობად.<sup>9</sup>

1 კანონი სოციალური სერვისების შესახებ n. 108 / 2006 Coll.

2 Navrátilová, Jitka, Navrátil, Pavel. 2009. Komunitní plánování jako forma podpory životních projektů. Časopis sociální práce | Sociální práce, Brno, ASVSP. ISSN 1213-6204, 2009, vol. 9, no. 1 / 2009, s. 74-84.

3 Sokačová, Linda. Komunitní plánování. In Sokačová, L. (ed.): Malé obce za rovné příležitosti žen a mužů. Praha: Gender Studies, o.p.s. ISBN: 978-80-86520-37-7

4 Skálová, Helena. 2011. Rovné příležitosti žen a mužů a sladování osobního a pracovního života na úřadech veřejné správy. In Sokačová, L. Malé obce za rovné příležitosti žen a mužů. Praha: Gender Studies, o.p.s. ISBN: 978-80-86520-37-7.

5 ob.<http://www.pardubice.eu/urad/radnice/odbory-magistratu/odbor-socialnich-veci/komunitni-planovani/>

6 Sokačová, Linda. Komunitní plánování. In: Sokačová, L. (ed.): Malé obce za rovné příležitosti žen a mužů. Praha: Gender Studies, o.p.s. ISBN: 978-80-86520-37-7.

7 Musilová, Martina. 1999. Vývoj politiky rovných příležitostí mužů a žen v České republice kontextu evropské integrace. Praha: SOÚ AV ČR. P. 92.

Musilová, Martina. 2001. Mainstreaming. In: Gender, rovné příležitosti, výzkum. 1-2 / 2001. P. 14-15.

Očenašová, Zuzana. 2009. Europeanization of gender equality policies through the needle's eye of Slovakia and the Czech Republic. QUING Project. Vienna: Institute for Human Sciences. Dostupné z: <<http://www.quing.eu/files/WHY/ocenasova.pdf>>

8 Šponďrová, Pavla, Eva Hejzlarová, Czeslaw Walek and Klára Čmolíková Cozlová. 2015. Metodika hodnocení dopadů na rovnost žen a mužů pro materiály předkládané vládě ČR. Úřad vlády ČR: Praha

9 OECD. 2017. The pursuit of Gender Equality: An Uphill Battle. Paris: OECD Publishing. ISBN 978-92-64-28131-8. P. 65.

არ არსებობს კონკრეტული საკანონმდებლო მოთხოვნა, რომელიც სახელისუფლებო სტრუქტურებს ავალდებულებს ადგილობრივ დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვას ან გენდერული ზეგავლენის შეფასების ჩატარებას. იგი მთლიანად დამოკიდებულია კონკრეტული პირების ნებაზე, ამდენად მისი გამოყენება მეტად განსხვავებულია. თუმცა, მოწინავე პრაქტიკის არსებობა ამ მხრივ მეტად დამაიმედებელია. როგორც ჩვენმა გამოკვლევამ დაადასტურა, გენდერულ მეინსტრიმინგზე არსებული ცოდნა სახელისუფლებო სტრუქტურებში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ბოლო 8 წლის განმავლობაში. ამასთან, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ხშირად გამოიყენება გენდერული მეინსტრიმინგის ინსტრუმენტები: გენდერული ბიუჯეტირება, გენდერული აუდიტი, გენდერული სტატისტიკა და ტრენინგები გენდერულ თანასწორობაზე. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანამონაწილეობითი მიდგომა მოქალაქეთა ჩასართავად გადამწყვეტილების მიღების პროცესში (თანამშრომლობითი (სამოქალაქო) დაგეგმვის ან საბიუჯეტო დაგეგმვის დონეზე) მეტად მიმზიდველია ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრაციებისათვის. მეტად სასარგებლოა საპროექტო ფონდებით ამგვარი ინოვაციური მეთოდების დანერგვისადმი მხარდაჭერა.<sup>1</sup>

ჩეხეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია შემდეგი რეკომენდაციების გაკეთება:

გამოვიყენოთ ევროკავშირში განვერიანების წინა პერიოდი გენდერული თემების მხარდასაჭერად: როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ყველაზე დიდი პროგრესი გენდერული თანასწორობის საკითხებზე სწორედ ევროკავშირში შესვლის წინა პერიოდში იქნა მიღწეული. როგორც ჩეხეთის ქალთა ლობის თავმჯდომარე აღნიშნავს, „ევროკავშირში განვერიანების შემდეგ ამ მხრივ ვითარება გართულდა. უკვე აღარ იგრძნობა ზენოლა გენდერული თანასწორობის საკითხთა წინ წამოსანევადა. ჩვენ ვიცავთ გარკვეულ ნებსებს, მაგრამ წინსვლა წელია. გენდერული თანასწორობის ინდექსი არ გაუმჯობესებულა ბოლო 10 წლის განმავლობაში, რაც კიდევ უფრო ართულებს გენდერული მეინსტრიმინგის ირგვლივ არსებულ ვითარებას ჩეხეთის რესპუბლიკაში“.<sup>2</sup>

გენდერულ მეინსტრიმინგს, ისევე როგორც სხვა სტრატეგიებს, ესაჭიროება რესურსები: არა მხოლოდ ფინანსური (სადაც უკუგებას არ შეიძლება ველოდოთ მოკლევადიან პერიოდში), არამედ ადამიანური და საექსპერტო რესურსებიც. იმისათვის, რომ გენდერული მეინსტრიმინგი წარმატებული იყოს, სასიცოცხლოდ აუცილებელია გაიზარდოს გენდერული საკითხების შესახებ ინფორმირებულობა პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს, ჩინოვნიკებსა და საჯარო მოხელეებს შორის.

აუცილებელია გენდერული მეინსტრიმინგის ინსტრუმენტების, მაგ., გენდერული სტატისტიკის, გენდერული ანალიზის მუდმივი გამოყენება და მხარდაჭერა.

აუცილებელია გენდერულ საკითხთა ექსპერტების საკმარისი რაოდენობა, რომლებიც გაუწევენ კვალიფიციურ დახმარებას და საკმარისი რაოდენობით სახსრები, რათა შევძლოთ მათი შრომის ანაზღაურება. ეს უნდა უზრუნველყოთ არა მარტო ეროვნულ, არამედ ადგილობრივ და რეგიონულ დონეზეც.

სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა მონაწილეობითი პროცესებით. გენდერული საკითხების ჩართვა მონაწილეობითი მიდგომაში (როგორცაა სამოქალაქო დაგეგმვა, სამოქალაქო და მონაწილეობითი ბიუჯეტირება) თუნდაც იმ არასამთავრობო და ქალთა ორგანიზაციების ჩაბმით, რომლებიც ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე მუშაობენ.

გენდერული მეინსტრიმინგი მეტწილად ზემოდან ქვემოთ ვერტიკალზე წარმართული პროცესია. ევროკავშირის მოთხოვნისამებრ, მისი წარმატებული განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა. თუმცა, იგი დამოკიდებულია კულტურულ თავისებურებებზეც და იმაზეც, თუ რამდენად ეფექტურია კანონმდებლობა.

მეორე მხრივ, როგორც ირკვევა, წარმატებისათვის აუცილებელია ზემოდან ქვემოთ მიმდინარე პროცესს თან ახლდეს ქვედა დონეებზე ცნობიერების ამაღლება, რასაც სინერგიული ეფექტი ექნება გენდერული თანასწორობის საკითხების წინა პლანზე წამოწევისთვის.<sup>3</sup> როგორც ჩეხეთის გამოცდილება გვიჩვენებს, ზვიდან ამგვარი მიდგომის მისაღებად ვერ მოხერხდა სათანადო საფუძვლის შემზადება. როგორც ჩერვენკოვა აღნიშნავს – „გენდერული მეინსტრიმინგის ფართო სოციალურ

1 Kubálková, Petra. 2014. „Rovné příležitosti mužů a žen – inspirace dobrou praxí v českých samosprávách“. Deník veřejné správy.<http://denik.obce.cz/clanek.asp?id=6675433>

2 Smiggels Kavková, Jana. Speaker at Proměny a výzvy feministických hnutí v Evropě a v České republice. On conference: Dejme (že)nám šanci a mužům příležitost (Let's Give Women a Chance and Men an Opportunity). Hotel International: Prague 7.-8.11.2017.

3 Červinková, Alice. 2003. Gender Mainstreaming / Mainstreaming Gender. In Kontext, 1-2 / 2003, p. 8-16. P. 15

კონტექსტში გადმოტანას აუცილებლად თან ახლავს მოვლენები, რომლებიც ხშირად ფემინისტთა მხრიდან კრიტიკის ობიექტია. მხედველობაში მაქვს ამ კონცეფციის ზედმეტად გამარტივება, თავდაპირველი რიტორიკის გაქრობა და მისი შეცვლა მენჯერული რიტორიკით, რომელიც ორიენტირებულია ადამიანური რესურსების გამოყენებაზე და მის გამოვლინებებზე იერარქიულ სტრუქტურებში (ზემოდან-ქვემოთ). შეიძლება ითქვას, რომ გენდერული მეინსტრიმინგი, ამ კონტექსტში ნიშნავს გენდერის თემატიკის საყოველთაო მისანვდომობას<sup>1</sup>.

ისმის კითხვა, შეუძლიათ თუ არა მხოლოდ ქალებს დანერგონ გენდერული მეინსტრიმინგი. პოლიტიკური თვალსაზრისით, მამაკაცები კვლავ უმრავლესობაში არიან. ამიტომაც, მნიშვნელოვანი წინაპირობაა მამაკაცთა მიერ ამ მიდგომის მხარდაჭერა. ამ კონტექსტში, ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების სანინდარია<sup>2</sup>. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამაც თავის ანგარიშში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ (UNDP, 2010, გვ 1) აღიარებს, რომ გენდერული მეინსტრიმინგი მოითხოვს „უფრო მეტს, ვიდრე კიდევ ერთით მეტ ქალს წამყვან და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე... იგი მოითხოვს პოლიტიკის როგორც ქალ, ასევე მამაკაც ავტორთა შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა მათ შეძლონ გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელება“<sup>3</sup>. საჭიროა პოზიტიური ქმედებები უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდი გამოვთქვათ მიზეზებთან დაკავშირებით, იყო ეს ევროკავშირისა და მასთან თავსებადობის ვალდებულების შესრულება თუ უბრალოდ სპეციფიკური ადგილობრივი კონტექსტი, მაგრამ ფაქტია, რომ ვერ მოხერხდა გენდერული თანასწორობის თემის უფრო პოზიტიურად ათვისება. შთაბეჭდილება რჩება, რომ ჩეხეთის რესპუბლიკა მხოლოდ პოლიტიკური განცხადებების დონეზე აკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს და არ იზიარებს თანასწორობის ღირებულებებს პრაქტიკაში. ამგვარი დამოკიდებულება ქმნის პრობლემებს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი გენდერულ მეინსტრიმინგს რადიკალურ კონცეფციად განვიხილავთ. ამგვარად, მოსალოდნელია, რომ პატრიარქალურმა საზოგადოებამ მტკიცედ დაიცვას თავი, ისევე როგორც სისტემამ, რომელიც მხოლოდ განცხადებების დონეზე უჭერს მხარს მოცემულ საკითხს, მაგრამ არ ამჟღავნებს სურვილს, შეიცვალოს რაიმე მიმართულებით. „ევროკავშირის ცალკეული წევრი ქვეყნების მიერ თანასწორი შესაძლებლობების პოლიტიკის გატარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთლიანად ევროკავშირის მასშტაბით გენდერული მეინსტრიმინგის წარმატებისათვის“<sup>4</sup>.

ამ ნაკლოვანებებმა ასახვა ჰპოვა იმაში, რომ გენდერული მეინსტრიმინგი არათანაბრად ხორციელდება როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, ასევე მათ შიგნითაც, რამაც საბოლოოდ შეიძლება მიგვიყვანოს გენდერული მეინსტრიმინგის, როგორც სტრატეგიის სუსტ ინსტიტუციონალიზაციამდე<sup>5</sup>. „სიღრმისეული სოციალური ცვლილებები ან გენდერული სტრატეგიების რეკონცეპტუალიზაცია, როგორც ამას მოიხსენიებენ სოციალური მოძრაობის და ფემინიზმის თეორეტიკოსები, ვერ იქნა მიღწეული. ეს შეიძლება იყოს იმის შედეგი, რომ იმ მრავალი ქვეყნების ხელისუფალნი, რომლებს განაც შედგება ევროკავშირი, სხვადასხვაგვარად ახდენენ გენდერული მეინსტრიმინგის კონცეპტუალიზაციას“<sup>6</sup>.

როცა გენდერული მეინსტრიმინგი ერთნაირად არ ხორციელდება ყველა ქვეყანაში (და მათ შორის თვით ევროკავშირშიც), თვით ეს მიდგომა უუნარო ხდება. ამგვარი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ჩეხეთის გამოცდილება, რომელსაც რეკომენდაციის სახით წარუდგენთ ევროკავშირსაც.

1 იქვე

2 Musilová, Martina. 2001. Mainstreaming. In: Gender, rovné příležitosti, výzkum. 1-2 / 2001.P. 15.

3 United Nations Development Program (UNDP). (2010). Enhancing women's political participation: A policy note for Europe and the Commonwealth of Independent States. Bratislava: UNDP. P. 1.

4 Lavena, Cecilia & Riccucci, Norma. 2012. Exploring Gender Mainstreaming in the European Union. International Journal of Public Administration. 35. 122-136. 10.1080 / 01900692.P. 131.

5 Prechal, S., and Burri, S. 2009. EU rules on gender equality. How are they transposed into national laws? Luxembourg: Publications Office of the European Union.

6 Lavena, Cecilia & Riccucci, Norma. 2012. Exploring Gender Mainstreaming in the European Union. International Journal of Public Administration. 35. 122-136. 10.1080 / 01900692.P. 134.

## აფხაზეთის გამოსდილება ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში და გენდერული მიდგომის წინსვლის მხრივ

### შესავალი

როგორც ცნობილია, ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური ფუნქციონირება დემოკრატიული სისტემის განუყოფელი ნაწილია, რადგანაც ის მოქალაქეებს პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს. წარმოადგენს რა მმართველობის დეცენტრალიზებულ ფორმას, ადგილობრივი თვითმმართველობა ადგილობრივი ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველი ტერიტორიული საზოგადოებების გარკვეული დამოუკიდებლობაა, რაც ქმნის ხალხის მიერ მონიჭებული ხელისუფლების განხორციელების პირობებს.

ადგილობრივი თვითმმართველობა - ეს არის ადგილებზე მმართველობის ორგანიზება, რაც მოსახლეობის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების დამოუკიდებლად მოგვარებას გულისხმობს. სახელმწიფო აღიარებს ადგილობრივ თვითმმართველობას, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელ დონეს, რომელიც ხალხს ეკუთვნის და ხალხი ახორციელებს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა არის სახელმწიფო სახელმწიფოში: ის ინტეგრირებულია სახელმწიფოს და საზოგადოების საქმეთა მმართველობის საერთო სისტემაში, მაგრამ, ამასთანავე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და გარკვეული ავტონომია გააჩნია.

ადგილობრივი თვითმმართველობის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს მოსახლეობის საჭიროებათა უზრუნველყოფა სოციალურ-კულტურული, კომუნალურ-ყოფითი და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელ მომსახურებაში, მათ შორისაა: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, წყალმომარაგება, წყალარინება, საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ადგილობრივი თვითმმართველობა ხელისუფლების ის სპეციფიკური განმტობებაა, რომელიც ადგილობრივ დონეზე, ერთი მხრივ, მონაწილეობს სახელმწიფო ნების განხორციელებაში და, მეორე მხრივ, ყველაზე მეტად ითვალისწინებს მოსახლეობის ინტერესებს და ამით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის უფლებების და ქალთა უფლებების დაცვაში. ადგილობრივი თვითმმართველობა არ წარმოადგენს სახელმწიფო მართვის ორგანოების სისტემის ნაწილს. ის არის დამაკავშირებელი რგოლი სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. ადგილობრივი თვითმმართველობა გამოდის ცენტრალური ხელისუფლების ერთგვარ საპირწონედ და საზოგადოებაში პლურალიზმის შესაძლებლობას იძლევა.

## ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზა აფხაზეთის რესპუბლიკაში

აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციამ, რომელიც 1994 წელს იქნა მიღებული, ქვეყანა გამოაცხადა დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომელიც ეყრდნობა სახალხო მმართველობას და გულისხმობს ხელისუფლების დანაწილებას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად. სუვერენიტეტის მატარებლად და ხელისუფლების ერთადერთ წყაროდ აფხაზეთში აღიარებულია ხალხი. აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია ადგილობრივ თვითმმართველობას მიაკუთვნებს

ქვეყნის საკონსტიტუციო წყობის საფუძვლის რიცხვს და განსაზღვრავს მას, როგორც ხალხის მიერ ხელისუფლების განხორციელების დამოუკიდებელ ფორმას.

კონსტიტუციის მე-8 მუხლი ადგენს, რომ აფხაზეთის რესპუბლიკაში აღიარებულია და უზრუნველყოფილია ადგილობრივი თვითმმართველობა - დამოუკიდებელი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არ შედის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემაში. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში აგრეთვე იქმნება სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები<sup>1</sup>.

ამგვარად, საკონსტიტუციო-სამართლებრივი მოდელის შესაბამისად, აფხაზეთის რესპუბლიკაში ყალიბდება და ერთდროულად ფუნქციონირებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ვინაიდან მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია - ერთი ტერიტორიის მცხოვრებთა ინტერესების რეალიზების უზრუნველყოფა. შესაბამისად, ჩნდება შეკითხვა აღნიშნული ორგანოების უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აგვარებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს. ანუ იმ პრობლემებს, რომლებიც ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიის მთელი მოსახლეობის ან მისი აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესებს და უკავშირდება ამ ტერიტორიის თავისებურებებს, ინფრასტრუქტურას და შეუძლია გადაწყვიტოს თავისით, გარკვეულწილად, სახელმწიფო ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად.

ძირითადი კანონი აფიქსირებს ადგილობრივი თვითმმართველობის შემდეგ პრინციპებს:

1. დამოუკიდებლობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არ შედის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემაში. ამგვარად, კონსტიტუცია ხელისუფლების ჰორიზონტალური დანაწილების პრინციპის - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო (კონსტიტუცია, მე-7 მუხლი) - პარალელურად, ამყარებს ხელისუფლების დანაწილების ვერტიკალურ მოდელს - რესპუბლიკური დონის სახელმწიფო ხელისუფლება და ადგილობრივი ხელისუფლება.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობა. კონსტიტუციის 81-ე მუხლის თანახმად, არ დაიშვება ადგილობრივი თვითმმართველობის კანონიერ საქმიანობაში ჩარევა.

3. სასამართლო დაცვის პრინციპი (კონსტიტუციის 82-ე მუხლი). ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნია სასამართლო დაცვის უფლება თავისი უფლებამოსილების თავისუფალი და შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

4. დუალიზმის პრინციპი, ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თანაარსებობა. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად არსებობენ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები - ქალაქის, რაიონების და სხვა დასახლებული პუნქტების ადმინისტრაციები. ადმინისტრაციების ხელმძღვანელები ინიშნებიან პრეზიდენტის ან კრების - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო - მიერ. ისინი შედიან აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში და ანგარიშვალდებულნი არიან მინისტრთა კაბინეტის მიმართ.

ამგვარად, 1994 წლის კონსტიტუციაში დაფიქსირდა აფხაზეთის რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის მხოლოდ ზოგადი პრინციპები. კონსტიტუციის მესამე ნაწილის 79-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის შემადგენლობა, მონყობა და უფლებამოსილება უნდა დაადგინოს სპეციალურმა კანონებმა. ასეთი კანონები მიღებულ იქნა 1997 წელს. ეს არის „კანონი მართვის შესახებ აფხაზეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში“ და აფხაზეთის რესპუბლიკის კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის შესახებ“<sup>2</sup>. ამ კანონების მიღების შემდეგ, 1998 წლის 14 მარტს ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პირველი არჩევნები. კონსტიტუციაში ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლების დაფიქსირება და მოგვიანებით „მართვის შესახებ აფხაზეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის შესახებ“ კანონების მიღება გახდა ადგილებზე თვითმმართველობის პრინციპებზე დამყარებული ხელისუფლების რეფორმის პროცესის დასაწყისი. 1997 წელს მიღებულ კანონში „მართვის შესახებ აფხაზეთის რეს-

1 <http://presidentofabkhazia.org/doc/const/>

2 [abkhazia-apsny.ru/the-laws-of-the-r...](http://abkhazia-apsny.ru/the-laws-of-the-r...)

პუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში“ შემდგომ წლებში არაერთხელ იქნა შეტანილი ცვლილება და შესწორება. 1-ლი მუხლის ბოლო რედაქციაში ნათქვამია, რომ კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის და სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ამოცანებს, პასუხისმგებლობას და სტრუქტურას. მე-2 მუხლში მითითებულია: „ადგილობრივი თვითმმართველობა აფხაზეთის რესპუბლიკაში - ეს არის ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების დამოუკიდებელი მოგვარების მიზნით მოქალაქეთა საქმიანობის ორგანიზების სისტემა, მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. ქალაქებში, რაიონებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო მართვა - იმ ორგანოების სისტემაა, რომლებიც ახორციელებენ ტერიტორიის კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას“.

მუხლი 3. მართვის სამართლებრივი საფუძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მართვის სამართლებრივ საფუძველს შეადგენს აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, მოცემული კანონი და აფხაზეთის რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

კანონის მე-6 მუხლში აღნიშნულია თვითმმართველობის არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება. კანონის თანახმად, „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე საქმეთა მართვაში როგორც უშუალოდ, ისე თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. მოქალაქეებს აქვთ უფლება, აირჩიონ და იყვნენ არჩეულები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში“. ამ მუხლში მითითებულია ისიც, რომ მოქალაქეებს აქვთ უფლება, სასამართლოში გაასაჩივრონ ადგილობრივი თვითმმართველობის ან მისი თანამდებობრივი პირების გადაწყვეტილება, თუკი ის ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, არღვევს მათ უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს. კანონის მე-7 მუხლი ეძღვნება სახელმწიფო ხელისუფლების და მართვის ორგანოების ურთიერთობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, რაც „ხორციელდება კანონების მიღებით ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე, აგრეთვე საკოორდინაციო, საკონსულტაციო, სათათბირო და სხვა სამუშაო ორგანოების შექმნით“.

24-ე მუხლი ეძღვნება ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსს. მასში ნათქვამია, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობას უძღვება უფროსი. ის შედის აფხაზეთის რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიან სისტემაში, რომელსაც ხელმძღვანელობს პრეზიდენტი. ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსი აგრეთვე ანგარიშვალდებულია აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინაშე. კანონის „მართვის შესახებ აფხაზეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში“ 24-ე მუხლის შესაბამისად, რაიონის, ქალაქის ან რაიონში ქალაქის ადმინისტრაციის უფროსი ინიშნება აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შემადგენლობიდან, ანუ რაიონების, ქალაქების, ან რაიონში ქალაქის კრების დეპუტატებიდან. ამასთან, რაიონის ადმინისტრაციის უფროსი არის იმ ქალაქის ადმინისტრაციის უფროსიც, რომელიც რაიონულ ცენტრს წარმოადგენს. რაიონის ადმინისტრაციის უფროსი ინიშნავს და ათავისუფლებს დაბებისა და სოფლების ადმინისტრაციის უფროსებს შესაბამისი კრებების შემადგენლობიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როცა ადმინისტრაციის უფროსი პრეზიდენტმა დანიშნა არა შესაბამისი კრების წევრთაგან. პიროვნება ინიშნებოდა ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად, შემდეგ კი ტარდებოდა კრების დეპუტატების განმეორებითი არჩევნები (რომელიმე დეპუტატის ვადამდე გასვლიდან), სადაც ერთ-ერთ კანდიდატად განიხილებოდა ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. არჩევნის შემთხვევაში პრეზიდენტი ინიშნავდა მას ადმინისტრაციის სრულუფლებიან უფროსად, ანუ მისი უფლებამოსილება ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე ლეგიტიმური ხდებოდა.

ჩნდება კითხვა: რა შემთხვევაში შეძლება კრებიდან დეპუტატის გასვლა? უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევების რეგლამენტირების ნორმა არ არსებობს არც კანონში „მართვის შესახებ აფხაზეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში“, არც კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევნის შესახებ“. აფხაზეთის რესპუბლიკაში ჯერაც არ არის მიღებული კანონი, რომელშიც დეტალურად იქნება განერილი კრების დეპუტატთა სტატუსის რეგლამენტი, მაშინ, როცა მიღებულია კანონი სახალხო კრების / პარლამენტის დეპუტატთა სტატუსის შესახებ და ამ კანონში ნაჩვენებია შემთხვევები, როცა სახალხო კრების დეპუტატის უფლებამოსილება ვადამდე წყდება<sup>1</sup>.

<sup>1</sup> <http://lawyers-abkh.livejournal.com/8321.html>

კანონში „მართვის შესახებ აფხაზეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში“ შეტანილი შესწორებების თანახმად, კრება პრეზიდენტის მიერ ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე კანდიდატურის წარდგენიდან არა უმეტეს 30 დღისა იძლევა თანხმობას ადმინისტრაციის უფროსის დანიშვნის თაობაზე. გადანყვეტილება მიღებული უნდა იქნეს კრების დეპუტატთა საერთო რაოდენობის უმრავლესობის ხმით.

იმ შემთხვევაში, თუ კრებამ ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე არ დაამტკიცა წარდგენილი კანდიდატურა, პრეზიდენტს უფლება აქვს 30 დღის ვადაში შეიტანოს კრების თანხმობის მისაღებად ან ადრე წარდგენილი, ან ახალი კანდიდატურა. განმეორებითი უარის შემთხვევაში პრეზიდენტი 30 დღის მანძილზე თანხმობის მისაღებად კრებას წარუდგენს ახალ კანდიდატურას.

ამ კანონში და კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის შესახებ“ გამოიყენება შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა: ქალაქი - სოხუმი, ქალაქები - რაიონული ცენტრები - გაგრა, გუდაუთა, ოჩამჩირე, ტყვარჩელი, გალი; ქალაქი რაიონში - ახალი ათონი, ბიჭვინთა; რაიონები - გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის, გალის.

ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც კანონშია აღნიშნული, ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ - რაიონის, ქალაქის, რაიონში ქალაქის, დაბის, სოფლის კრების, აგრეთვე ადგილობრივი რეფერენდუმის ჩატარებით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი. კრების დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნას რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც გააჩნია საარჩევნო უფლება და არჩევნების დღისთვის შეუსრულდა 25 წელი.

ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობას განეკუთვნება:

- 1) მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა;
- 2) შესაბამისი ტერიტორიების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების შემუშავება, დასამტკიცებლად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შეტანა და მათი რეალიზაცია;
- 3) ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და დასამტკიცებლად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში წარდგენა, ბიუჯეტის შესრულების ორგანიზება და ანგარიშის წარდგენა მისი შესრულების შესახებ ადგილობრივ თვითმმართველობაში;
- 4) ადგილობრივი მეურნეობის სფეროების, ტერიტორიის და სასიცოცხლო პირობების უზრუნველყოფის მართვის სქემების დამტკიცება;
- 5) ქვეუწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობა;
- 6) შესაბამისი ტერიტორიებზე მდებარე სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების (საკუთრების და საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმებისგან დამოუკიდებლად) კანონით დადგენილ საზღვრებში საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- 7) განათლების, კულტურის და ენის, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- 8) შესაბამისი ტერიტორიების მოსახლეობის შრომის და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;
- 9) ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კუთხით ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- 10) შესაბამისი ტერიტორიების მოსახლეობის დასაქმებისა და სოციალური დაცვის მიმართულე-ბით ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- 11) საკუთრების ყველა ფორმის დაცვის უზრუნველყოფა, კანონმდებლობის შესაბამისად მიწათ-სარგებლობის საკითხების რეგულირება;
- 12) ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოსადმი ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა;
- 13) ხელშეკრულებების დადება სამეურნეო ორგანიზაციებთან და საწარმოებთან, რომლებიც ასრულებენ რაიმე სახის სამუშაოს ან ენევიან მომსახურებას მის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე (გარდა სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობისა), აგრეთვე სხვა სახის ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადება შესაბამისი ტერიტორიის სახელით;
- 14) ადგილობრივი ადმინისტრაციის ჩამოყალიბება და რეგლამენტირება, სტრუქტურული ქვედა-

ნაყოფების ხელმძღვანელების და ადგილობრივი ადმინისტრაციის სხვა თანამდებობის პირების დანიშვნა ან განთავისუფლება. ფინანსების, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის, ჯანდაცვის, მოსახლეობის სოციალური დაცვის, სპორტის მართვის (განყოფილებების) შესახებ დებულებების შემუშავება და დამტკიცება ერთობლივად სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი ცენტრალური ორგანოებისა და ადგილობრივი ადმინისტრაციების მიერ;

15) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დამტკიცებული ხარჯების ფარგლებში სტრუქტურისა და შტატების დამტკიცება;

16) სახელმწიფოს ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები შესაბამის ტერიტორიაზე;

17) ანგარიშების გახსნა და დახურვა საბანკო დანესებულებებში, ბიუჯეტის, არასაბიუჯეტო სახსრების და კანონით დადგენილი სავალუტო ფონდების განკარგვა;

18) კანონის შესაბამისად, მონაწილეობის მიღება არჩევნების, რესპუბლიკური და ადგილობრივი რეფერენდუმების მომზადებასა და ჩატარებაში;

19) საკუთრების შესახებ კანონის შესაბამისად კომუნალური მეურნეობის ობიექტების გამოყენება და მართვა;

20) სხვა უფლებამოსილების განხორციელება კანონმდებლობის შესაბამისად<sup>1</sup>.

ადგილობრივი ადმინისტრაციები თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებენ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, რომელსაც ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობის შედეგების მიხედვით პრეზიდენტის წინაშე შეუძლია საკითხის დასმა ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობრივი შეუსაბამობის გამო.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები ადასტურებს, რომ რესპუბლიკაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დონეზე მოქმედებს მმართველობის ორგანოების თავისებური სისტემა, რომელიც აერთიანებს ადგილობრივ თვითმმართველობას და ადგილობრივ სახელმწიფო მმართველობას.

ცხადია, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მართვის ეფექტურობის ასამაღლებლად კანონმდებლობის დონეზე აუცილებელია ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოებსა და მუნიციპალურ ერთეულებს შორის გაიმიჯნოს უფლებამოსილებისა და მართვის სუბიექტები, აგრეთვე კანონმდებლობამ უნდა მოაგვაროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი სახელმწიფო უფლებამოსილების დელეგირების პროცესი<sup>2</sup>.

უნდა ითქვას, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციებს უფლება არა აქვთ, შეზღუდონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებები, რაც დადგენილია რესპუბლიკის კონსტიტუციით და კანონებით. სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები - ადგილობრივი ადმინისტრაციები - თავიანთი საქმიანობით ანგარიშვალდებულნი არიან მინისტრთა კაბინეტის წინაშე.

აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი:

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას და აკონტროლებს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას;

- უზრუნველყოფს ურთიერთქმედებას სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებსა და სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს შორის;

- აგვარებს დავას და უთანხმოებას სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოებსა და სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შორის;

- თავისი დადგენილებებისა და განკარგულებების განხორციელების მიზნით მინისტრთა კაბინეტს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე უფლება აქვს, შეაჩეროს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადანყვეტილება იმ შემთხვევაში, თუკი ის ეწინააღმდეგება რესპუბლიკის კანონმდებლობას. უფლება აქვს, მოითხოვოს და მიიღოს მათგან ინფორმაცია მინისტრთა კაბინეტის გადანყვეტილებების შესრულების შესახებ;

- სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს ეხმარება მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაში, ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პირობების შექმნას, სწავლობს, განაზოგადებს და ავრცელებს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სამუშაო გამოცდილებას.

<sup>1</sup> <http://abkhazia-apsny.ru/the-laws-of-the-republic-of-abkhazia.html>

<sup>2</sup> Д. Пилия, Местные органы исполнительной власти Республики Абхазия <http://apsnyteka.org/file/szara-38.pd>



თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ეს დებულებები არ მუშაობს, რაც ინვესტორების მოსახლეობის ნაკლებ ნდობას ქალაქისა და რაიონის კრებებისადმი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სუსტ კავშირს ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრებ მოსახლეობასთან.

## ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემები და გამორწმუნება

ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტი 1992-93 წლებში, ისევე როგორც მისგან გამომდინარე ეკონომიკური სანქციები (აფხაზეთის მიმართ შემოღებული 1996 წელს, დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის - დსთ ქვეყნების სამიტზე), რამაც აფხაზეთი იზოლაციამდე მიიყვანა, განსაკუთრებით მძიმედ აისახა ქალებზე, რომელთაც გადაიტანეს ახლობელი ადამიანების დაღუპვა, ძალადობა, განდევნა, ეკონომიკური სიდუხჭირე. საომარი მოქმედებების ერთ-ერთი შედეგი იყო მოსახლეობის აქტიური მიგრაცია სოფლებიდან ქალაქებში, განსაკუთრებით იმ რაიონებიდან, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალებულნი იყვნენ დროს. საუბარია აღმოსავლეთ აფხაზეთზე, პირველ რიგში, მალაროელთა ქალაქ ტყვარჩელზე, რომელიც 13 თვის განმავლობაში იმყოფებოდა ბლოკადაში. მსგავსი სურათია ოჩამჩირის რაიონშიც, რომელიც ფრონტის გამყოფი ხაზი იყო და გალის რაიონის მოსაზღვრე. ამ რაიონებში სოციალური ინფრასტრუქტურის სრული განადგურების გამო მოხდა მოსახლეობის აქტიური გადინება, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, მათ შორის ახალგაზრდა ქალების - რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომელთაც ნაკლებად შეეხო შეიარაღებული კონფლიქტი.

ამგვარად, სოფლის დასახლებებში, ძირითადად, საცხოვრებლად დარჩნენ შუახნის და უფროსი ასაკის ადამიანები, ახალგაზრდები კი, მათ შორის ქალები, საცხოვრებლად გადავიდნენ ქალაქებში - სოხუმში, გაგრაში, გუდაუთაში, სადაც ნაკლებად იგრძნობოდა ომისშემდგომი ნგრევა. ამ პროცესებმა გამოიწვია სოფლის მოსახლეობის პოლიტიკური აქტივობის შემცირება, რაც მთლიანობაში უარყოფითად მოქმედებს მმართველობის დეცენტრალიზაციასა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე.

როგორც ზემოთ ითქვა, აფხაზეთის ადგილობრივი თვითმმართველობის არსებული სისტემა ნაკლებად ეფექტურია და არ იძლევა შესაძლებლობას, მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მოსახლეობის ინტერესები, დაკმაყოფილდეს მისი ყოველდღიური საჭიროებები. ამ სფეროში არსებული პრობლემების გამოსავლენად ჩატარდა 6 ჩალრმავებული ინტერვიუ იურისტებთან, სამოქალაქო აქტივისტებთან და ქალაქის კრების წევრებთან.

შეკითხვაზე: **„როგორი უნდა იყოს არჩევა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში?“** ყველა გამოკითხულმა უპასუხა, რომ საყოველთაო პირდაპირი არჩევნები შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს, გამოხატონ თავიანთი ნება-სურვილი. თუმცა რესპონდენტთა მოსაზრებები გაიყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სისტემასთან დაკავშირებით. თუ ორი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ყველაზე ოპტიმალური მოდელია, როცა პოლიტიკური პარტიები წარმოდგენილი არიან არა მარტო პარლამენტის დონეზე, არამედ ადგილობრივ კრებებზეც, ოთხი მათგანის აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არჩევნები უნდა განხორციელდეს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით, რადგანაც ეს ყველაზე მეტად ერგება ადგილობრივ პირობებს. ამ მიდგომის მომხრეების აზრით, პროპორციული სისტემა აშორებს დეპუტატებს ამომრჩევლებისგან, ასუსტებს მათ პირდაპირ კავშირებს, რაც უფრო მეტადაა უზრუნველყოფილი სწორედ მაჟორიტარული სისტემით დეპუტატების არჩევის დროს - ამ პირობებში უფრო სრულადაა შესაძლებელი ელექტორატის განწყობის, მისი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება. საქალაქო კრების დეპუტატმა ქალმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩამოყალიბება, მეტწილად, განპირობებულია ქვეყანაში დამკვიდრებული მმართველობის - საპარლამენტო, საპრეზიდენტო, შერეული - ფორმით.

ამასთანავე, ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩამოყალიბების პრინციპების განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვა ქვეყნებში ამ მხრივ არსებული პროგრესული გამოცდილება, საერთაშორისო სამართლის დამკვიდრებული ნორმები.

ძირითადი აქცენტი, მათი თქმით, ამ შემთხვევაში უნდა გაკეთდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევითობის პრინციპზე თავისუფალი, ფარული, თანასწორი და საყოველთაო

კენჭისყრის გზით. სამოქალაქო აქტივისტი ქალი მიიჩნევს, რომ შესაძლებლობა, მოქალაქეებმა აირჩიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სრულად შეესაბამება ადგილობრივი თვითმმართველობის ბუნებას, როგორც ქვეყნის მოქალაქეებთან ყველაზე ახლოს მყოფი საჯარო ხელისუფლების ფორმას.

კითხვაზე: „როგორია დღეისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილება?“ პასუხის გაცემისას ყველა რესპონდენტი შეთანხმდა იმაში, რომ უფლებამოსილება, რომელიც კანონით ენიჭება ადგილობრივ თვითმმართველობას, საკმაოდ ფართოა. ეს არის - ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება, რაიონის თუ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და პროგრამების განხილვა და დამტკიცება, ადგილობრივი გადასახადებისა და სხვადასხვა სახის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრა. როგორც იურისტმა აღნიშნა, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში შედის აგრეთვე საგადასახადო შეღავათების დანესება. ქალაქისა თუ რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს (განყოფილებას) უფროსის დანიშვნაც შეთანხმებული უნდა იყოს საქალაქო ან რაიონულ კრებასთან. დანარჩენი რესპონდენტები ადგილობრივი მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სფეროებად მიიჩნევენ საბინაო-კომუნალურ მეურნეობას, ტრანსპორტის განვითარებას, საგზაო მოძრაობის რეგულირებას, საყოფაცხოვრებო მომსახურებას, საზოგადოებრივი კვების ორგანიზებას. სოციალურ სფეროში მათ გამოყვეს ჯანდაცვა, განათლება, საზოგადოებრივი წესრიგი და სახანძრო უსაფრთხოება, ეკოლოგიურ სფეროში - ბუნების დაცვა.

იურისტმა რესპონდენტმა მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ 2016 წელს საკონსტიტუციო კანონში „აფხაზეთის რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ“ რესპუბლიკის პარლამენტის / სახალხო კრების მიერ მიღებული შესწორებების შედეგად რაიონული და საქალაქო კრებების დეპუტატებმა მოიპოვეს უფლება, უნდობლობა გამოუცხადონ შესაბამისი რაიონის თუ ქალაქის ადმინისტრაციის უფროსს. ახლა მათ შეუძლიათ პრეზიდენტთან განსახილველად შეიტანონ ეს საკითხი. უნდობლობის გამოცხადების შესახებ გადამწყვეტილება მიღებულია, თუკი კრების დეპუტატთა საერთო რაოდენობის 2/3 დაუჭერს მხარს. კრების მიერ ქალაქის ან რაიონის ადმინისტრაციის უფროსის მიმართ უნდობლობის გამოცხადების შემდეგ პრეზიდენტს უფლება აქვს, გაათავისუფლოს ის დაკავებული თანამდებობიდან, ან არ დაეთანხმოს კრების გადამწყვეტილებას. იურისტი რესპონდენტისთვის მნიშვნელოვანია დებულება იმის შესახებ, რომ თუ კრება წლის განმავლობაში განმეორებით გამოაცხადებს უნდობლობას ადმინისტრაციის უფროსის მიმართ, პრეზიდენტს უფლება აქვს, არაუგვიანეს 30 დღისა დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლოს ადმინისტრაციის უფროსი, ან დაითხოვოს კრება. მაგრამ ასეთი პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა, აღნიშნავს ის, ასე რომ ეს პრინციპი რეალურად არ მუშაობს.

საქალაქო კრების დეპუტატი მიიჩნევს, რომ, თუმცა კანონის თანახმად, ქალაქის ან რაიონის ადმინისტრაციის თანამდებობის პირების დანიშვნა უნდა ხდებოდეს, საქალაქო ან რაიონულ კრებასთან შეთანხმებით, ზოგჯერ ეს შეთანხმება ფორმალურ ხასიათს ატარებს. მისი აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ყოველთვის როდი ახორციელებენ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც განერილია „კანონში მართვის შესახებ აფხაზეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში“. თუ ადგილობრივი თვითმმართველობა შეძლებს უფრო სრულად გამოიყენოს კანონში დაფიქსირებული პოტენციალი, მაშინ საგრძნობლად ამაღლდება კრების დეპუტატთა რეიტინგი, ისევე როგორც მოსახლეობის ნდობა კრების მიმართ.

ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, სერიოზული პრობლემაა სტატისტიკური მონაცემების არარსებობა. თუ რესპუბლიკური ხელისუფლების დონეზე არის რაღაც სტატისტიკა, ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ის საერთოდ არ არსებობს. სამოქალაქო აქტივისტი ქალის აზრით, ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით არსებული სტატისტიკური მონაცემების არარსებობა სიმპტომატურია, რადგან ეს ადასტურებს, რომ ხშირად ადამიანებმა არ იციან, როგორ ხდება მოქალაქეთა უფლებების დაცვა ადგილებზე და ვინ უნდა იყოს ამით დაკავებული. მისი სიტყვებით, ამ მდგომარეობის შედეგად, ადამიანის უფლებების სფეროში რაიმე პრობლემასთან დაკავშირებით მოქალაქეები იშვიათად მიდიან ადგილობრივ ორგანოებში, ამჯობინებენ, მაშინვე მიმართონ ქვეყნის ხელმძღვანელობას. „ბევრ მოქალაქეს არც აქვს ადგილობრივ დონეზე რაიმე დაცვის იმედი, რაც სრულიად მიუღებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის. სამართალდამცავი საქმიანობა არ იქნება ეფექტური, თუკი პროცესი ქვევიდან არ წავა“, აღნიშნავს ის. ამაში დიდ როლს ასრულებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ინსტიტუტები.

გამოკითხვისას აღმოჩნდა, რომ ყველაზე მწვავეა და განხილვის საგნადაა ქვეული რაიონებისა და ქალაქების ადმინისტრაციის უფროსების პირდაპირი არჩევის საკითხი. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, დღეისათვის, კანონის თანახმად, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შემადგენლობიდან, ხოლო ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელები მიეკუთვნებიან აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიან სისტემას.

შეკითხვაზე: **„როგორია თქვენი დამოკიდებულება ადმინისტრაციის უფროსის არჩევის იდეის მიმართ?“** ექვსივე რესპონდენტმა დადებითად უპასუხა. სამოქალაქო აქტივისტმა ქალმა განაცხადა: „მე სრულიად ვეთანხმები ამ იდეას და დარწმუნებული ვარ, რომ ის უნდა გახდეს იმპულსი ადგილობრივი თვითმმართველობის ამაყად არსებული სისტემის რეფორმისკენ. აუცილებელია, რომ ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელები იქცეს მოსახლეობის პერეოგატივად“.

იურისტის აზრით, თუ ხალხის მიერ არჩეული ადმინისტრაციის უფროსი იგრძნობს ამომრჩევლის მხარდაჭერას და, შესაბამისად, პასუხს აგებს თავისი ელექტორატის და არა ზემდგომი ხელმძღვანელის წინაშე, ეს გაზრდის ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურობას. საქალაქო კრების დეპუტატი ქალი დარწმუნებულია, რომ ადმინისტრაციის უფროსად არჩეული და არა დანიშნული ჩინოვნიკი უფრო მეტად დაისახავს მიზნად თავისი მუშაობის პოზიტიურ შედეგებს, იმიტომ რომ მას „შეაფასებენ“ ამომრჩევლები, რომელთაც ძალაუფლება მიანიჭეს.

მეორე რესპონდენტმა - იურისტმა ქალმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის უფროსს საკმაოდ მნიშვნელოვანი უფლებამოსილება აქვს და თუ თავის მანდატს უშუალოდ ხალხისგან მიიღებს, მას უფრო მყარი კავშირები ექნება ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან. დაამატა ისიც, რომ აუცილებელია კანონში დაფიქსირდეს მკაფიო მოთხოვნები ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატურის მიმართ და კიდევ უფრო გარკვევით განისაზღვროს მისი სამართლებრივი სტატუსი.

კითხვის **„როგორ გავზარდოთ ადამიანთა ცხოვრების ხარისხი ლოკალურ თემებში?“** საპასუხოდ რესპონდენტები - სამოქალაქო აქტივისტები ამბობდნენ იმის შესახებ, რომ საჭიროა საზოგადოებრივი ინიციატივა, სწორედ ადგილობრივ დონეზე, რომელსაც მხარს დაუჭერდა ადგილობრივი თვითმმართველობა. ისინი უმნიშვნელოვანესად მიიჩნევენ რაიონულ და საქალაქო კრებებთან სპეციალური სტრუქტურის - კომიტეტების, კომისიების ან სხვა ორგანოების - შექმნას ადამიანთა უფლებების დაცვის მიზნით. როგორც სამოქალაქო აქტივისტმა ქალმა აღნიშნა, თუ დედაქალაქში ზოგიერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან არსებობს უფასო იურიდიული სამსახური და საზოგადოებრივი მისაღები, რომელიც მოსახლეობას სამართლებრივ და სხვა სახის დახმარებას უწევს, რაიონებში ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა. იურისტის თქმით, როცა ადამიანები გრძნობენ, რომ ადგილებზე კანონები არ მუშაობს, ისინი, როგორც წესი, იძულებულები არიან, სოხუმში ჩავიდნენ, რომ მიღებაზე მოხვდნენ ქვეყნის ხელმძღვანელობასთან. ყველა რესპონდენტის აზრით, საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში ისეთი ცვლილებების მიღწევა, რომ ადამიანებმა ადგილზე მოაგვარონ თავიანთი პრობლემები და იცოდნენ, ვის მიმართონ ამა თუ იმ შემთხვევაში.

იურისტი ამბობს, რომ შეიძლება სიტუაციის გაუმჯობესება, თუკი გაძლიერდება კონტროლი ადგილობრივ ადმინისტრაციებზე და გამჭვირვალე გახდება მათი მუშაობა. საამისოდ ერთ-ერთი გზაა - დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ან ნახევრადსახელმწიფო სტრუქტურების შექმნა, რომლებიც თავიანთ თავზე აიღებენ იმათ დახმარებას, ვისაც ეს ძალიან სჭირდება. ეს შეიძლება იყოს იურიდიული ან ფსიქოლოგიური კონსულტაციები ადგილებზე, ან საზოგადოებრივი მისაღებები. „არავის არ უნდა ეშინოდეს შეკითხვების დასმის და ხელისუფლებისგან პასუხის მოთხოვნის, მით უმეტეს, რომ ეს კანონით გვაქვს გარანტირებული“, - ხაზი გაუსვა იურისტმა.

როგორც საქალაქო კრების დეპუტატმა აღნიშნა, ზოგჯერ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები საერთოდ არ უწევენ ანგარიშს საქალაქო და რაიონული კრებების დეპუტატებს. ხალხის რჩეულთ ავიწყდებათ თავიანთი წინასაარჩევნო დაპირებები - წყლის და დენის გაყვანა, გზის და წყალარინების სისტემის შეკეთება, ამომრჩეველთა სხვა მოთხოვნების შესრულება. სრულიად კანონზომიერია, რომ ხშირად ადამიანები სვამენ კითხვას: „ვის სჭირდება ეს ადგილობრივი კრებები, ვისი მუშაობაც არ ჩანს?“ ამავე რესპონდენტს ძალიან აწუხებს ის გარემოება, რომ ხშირად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მოდიან სრულიად მოუმზადებელი დეპუტატები, რომელთა ცოდნის დონე არ შეესაბამება ამ თანამდებობას. „როგორც წესი, ასეთი დეპუტატები

არაფერს აკეთებენ და არაფერი აინტერესებთ. განსაკუთრებით მიშვეებულია შემდეგი სფეროები: ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სიტუაცია“, - დარწმუნებით აცხადებს დეპუტატი.

მეორე რესპონდენტი ქალის აზრით, აუცილებელია სივრცის შექმნა დისკუსიებისთვის, რათა მუდმივად მიმდინარეობდეს დიალოგი ადგილობრივ საზოგადოებებსა და ადგილობრივ მთავრობასთან, რაც გაზრდის ადგილობრივი თვითმმართველობის ავტორიტეტს და ადგილებზე გააუმჯობესებს ადამიანთა ცხოვრებას.

სამოქალაქო აქტივისტი ქალი დარწმუნებულია, რომ ყველაზე ხშირად ირღვევა მოქალაქეთა სოციალური უფლებები, რაც, როგორც წესი, დაკავშირებულია მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონესთან და სახელმწიფოს მწირ შესაძლებლობებთან. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მოქალაქეების მიმართებიდან ყველაზე ხშირია თხოვნა მატერიალური დახმარების შესახებ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, თანხის გამოყოფა რემონტისთვის (განსაკუთრებით წყალდიდობის და სხვა სტიქიური უბედურებების შემდეგ), საყოფაცხოვრებო დავებთან და კონფლიქტებთან დაკავშირებული საჩივრები, პრობლემები საბუთების გაფორმებისას და მისთ.

ბოლო შეკითხვაზე: „**შეგიძლიათ თუ არა მოიყვანოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმატებული ურთიერთქმედების მაგალითი?**“ ზოგიერთი რესპონდენტის რეაქცია ერთგვარად სკეპტიკური იყო. იურისტის აზრით, ადმინისტრაციის უფროსები მზად არ არიან, ურთიერთობა დაამყარონ თავიანთ ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრებ მოქალაქეებთან, ვინაიდან დამოკიდებულნი არიან აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და არა ელექტორატზე. „ადმინისტრაციის უფროსებს რომ ხალხი ირჩევდეს არჩევნებზე კენჭისყრით, მაშინ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის სულ სხვაგვარი, კონსტრუქციული თანამშრომლობასა და ურთიერთქმედებაზე დაფუძნებული ურთიერთობები იქნებოდა. მაგრამ რადგანაც ადმინისტრაციის უფროსები პრეზიდენტის მიერაა დანიშნული, მათ არა აქვთ საკმარისი მოტივაცია, დაამყარონ კონტაქტები რიგით მოქალაქეებთან და დადებითად აღიქვან მათი ინიციატივები“, - დარწმუნებულია ის.

სამოქალაქო აქტივისტმა ქალმა აღნიშნა, რომ ტყვარჩელის რაიონის საზოგადოება პროტესტს გამოხატავდა გზატკეცილის გასწვრივ დარგული ლიბანური კედარის გაჩეხვის გამო. გადანყვებილება ადმინისტრაციის უფროსმა მიიღო და ახსნა იმით, რომ ამ ხეების ფესვები ხელს უშლის საავტომობილო გზის რემონტს. ტყვარჩელის რაიონის მცხოვრებთა ნაწილთან ერთად ეკოლოგებიც გამოხატავდნენ აღშფოთებას ლიბანური კედრების ბარბაროსული განადგურების გამო, თუმცა ადმინისტრაციის უფროსმა საჭიროდ არ მიიჩნია საუკუნოვანი ხეების გაჩეხვის პროცესის შეჩერება.

დადებითი მაგალითისთვის სამოქალაქო აქტივისტმა ქალმა ისაუბრა მხარდაჭერაზე, რომელიც ოჩამჩირის რაიონის ადმინისტრაციის ყოფილმა უფროსმა გამოიჩინა ქალთა საინიციატივო ჯგუფის მიმართ. ამ ჯგუფმა საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა გადანყვიტა ქალთა უფლებების დაცვისა და სოციალური კუთხით ყველაზე მონყვლადი ჯგუფების პრობლემების მოგვარებისათვის. ქალთა საინიციატივო ჯგუფს გამოეყო ადგილი, გაენია დახმარება ორგანიზაციის რეგისტრაციაში, შედეგად - შეიქმნა და დღემდე მუშაობს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „აბჟუის ქალები“.

მეორე რესპონდენტმა ქალმა დადებით მაგალითად მოიყვანა ამბავი ახალგაზრდა ნარკომანების ჯგუფისა, რომელთაც განიზრახეს ამ დამლუპველ ჩვევაზე უარის თქმა. ჯგუფმა „ანონიმური ნარკომანები“ დახმარებისთვის მიმართა აფხაზეთის საზოგადოებრივ პალატას, რათა დაემყარებინა კონტაქტები გაგრის რაიონის ადმინისტრაციასთან. მისი მიზანი იყო, მიეღო მხარდაჭერა იმ ახალგაზრდების გაერთიანებისათვის, რომელთაც გადანყვიტეს, თავი დაანებონ ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას. საზოგადოებრივი პალატის ხელმძღვანელობამ, თავის მხრივ, სთხოვა გაგრის რაიონის ადმინისტრაციის უფროსს, ამ ჯგუფისთვის გაენია საჭირო დახმარება. ამის შედეგად, ჯგუფ „ანონიმურ ნარკომანებს“ გამოეყო ადგილი ქ. გაგრაში ნარკოტიკების მოხმარებელთა რეგულარული შეხვედრების ჩასატარებლად, რომელთაც უნდოდათ განკურნება დამლუპველი დამოკიდებულებისგან. ჯგუფის წევრობის ერთადერთი პირობა იყო ნარკოტიკებისთვის თავის დანებების გაცნობიერებული სურვილი.

ზოგადად გვინევს კონსტანტირება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მო-

სახლეობას შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებებთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემებს შორის შეიძლება გამოიყოს:

- ხელისუფლების გადამეტებული ცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის სიხისტე, რაც ხელს უშლის მართვის დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებას;
- ნდობის დეფიციტი ქალაქისა და რაიონის ხელისუფლების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ისევე, როგორც ნაკლები რწმენა იმისა, რომ მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ პრობლემები;
- ხარვეზები საკანონმდებლო დონეზე - სახელმწიფო მართვის ორგანოებსა და თვითმმართველობას შორის მკაფიო გამიჯვნის არარსებობა;
- საქალაქო და რაიონული კრებების დეპუტატებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის უკუკავშირის დამყარების არცოდნა;
- მოსახლეობის არასაკმარისი სამართლებრივი კულტურა, ისევე როგორც თავიანთი უფლებების და მათი გამოყენების არცოდნა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისთვის სერიოზულ წინააღმდეგობას წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელების დანიშვნის არსებული წესი. ჩნდება იურიდიული კაზუსი: ადგილობრივი დონის დეპუტატობის კანდიდატი ირჩევა მოსახლეობის მიერ და ენიჭება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, შემდეგ კი პრეზიდენტს თავისი გადაწყვეტილებით შეუძლია შეაჩეროს მისი სადეპუტატო უფლებამოსილება და ნიშნავს ადმინისტრაციის უფროსად, რაც იწვევს წინააღმდეგობას ადგილობრივი მოსახლეობის ნებასა და სახელმწიფოს მეთაურის მოქმედებას შორის;
- კანონში „მართვის შესახებ აფხაზეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში“ არ არის განმარტება მთელი რიგი ცნებებისა - ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი რეფერენდუმი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, მუნიციპალური საწარმო, მუნიციპალური საკუთრება და სხვ.

• ფაქტობრივად, ადგილობრივ დონეზე რესპუბლიკური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ხორციელდება მმართველობის მხოლოდ ერთი ფორმა - სახელმწიფო; უნდა დავამატოთ, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შეადგენენ დემოკრატიული წყობის ერთ-ერთ საფუძველს. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ეფექტური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა მათი გაძლიერება რეალური უფლებამოსილებით და, ამასთანავე, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა.

საერთაშორისო პრაქტიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და საქმიანობის დემოკრატიული ხასიათი, უპირველესად, ვლინდება მათ არჩევითობაში. ამ პრინციპის თანახმად, არჩევნების მიმდინარეობისას მოსახლეობა ირჩევს წარმომადგენლობით ორგანოებს, ანუ კრებას, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ. მოსახლეობის ან წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ თავისი შემადგენლობიდან აირჩევა აგრეთვე მუნიციპალური ერთეულის ხელმძღვანელი, ანუ ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსი. ამ შემთხვევაში ჩნდება შეკითხვა: რამდენად მიზანშეწონილია ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსის დანიშვნა პრეზიდენტის მიერ, როგორი პრაქტიკაცაა აფხაზეთში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს დებულება ეწინააღმდეგება ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიულ პრინციპებს, ხელისუფლების დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობას ადგილობრივი საქმეების მართვისას. იგივეს თქმა შეიძლება დაბებისა და რაიონების ადმინისტრაციის უფროსების დანიშვნაზეც.

ორივე ზემოთ დასახელებული დებულება წინააღმდეგობაში შედის ამავე კანონში დაფიქსირებულ დებულებასთან, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ ადგილობრივ თვითმმართველობას ცალმხრივად არ უნდა წაერთვას ან შეეზღუდოს უფლებები. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: ასეთ პირობებში წარმოუდგენელია საუბარი ადგილობრივი თვითმმართველობის ფართო ავტონომიაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ამ საკითხის გადაჭრისათვის საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკაში იყენებენ უფრო დემოკრატიულ საშუალებებს, რომელთა შორის არის ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსის არჩევითობა.

## სიბუასია გენდერული თანასწორობის სფეროში

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონფლიქტის საომარი ფაზის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა ქალებზე ფსიქოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვა, რაც, მეტწილად, დაკავშირებულია არა მხოლოდ ომის ურთულეს შედეგებთან, არამედ დსთ-ს მიერ აფხაზეთის მიმართ სანქციების შემოღებასთან. სიტუაციის თავისებურება ის იყო, რომ 16-დან 60 წლამდე მამაკაცებს აკრძალული ჰქონდათ რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის გადაკვეთა მდინარე ფსოუზე, ამიტომაც ოჯახების რჩენა ქალებმა აიღეს თავიანთ თავზე. ყოველივე ამან დაამძიმა ქალების სოციალური ტვირთი, გამოიწვია გენდერული როლების სერიოზული ცვლილება და ოჯახის ტრადიციული სტრუქტურის რადიკალური ტრანსფორმაცია. შედეგად, ქალები აღმოჩნდნენ პოლიტიკური მარგინალების მდომარეობაში. ამ დროს პოლიტიკურ არენაზე ჩნდებოდა სულ უფრო მეტი მამაკაცი, რომელთაც ჰქონდათ სამხედრო დამსახურებები ან საომარი მოქმედებების მეშვეობით ხელი მიუწვდებოდათ ხელისუფლებისა და მატერიალურ-ფინანსური რესურსებისადმი. საარჩევნო კამპანიებში სადეპუტატო მანდატებისთვის ბრძოლა სულ უფრო მწვავედებოდა და ქალი, რომლის მხარესაც ნაკლები ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსი იყო, ვერ მოხვდა პოლიტიკის სფეროში სახელისუფლებო და მართვის სტრუქტურების ყველაზე პრესტიჟული თანამდებობები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მამაკაცებმა დაიკავეს.

შეკითხვა, უნდა მიდიოდნენ თუ არა ქალები ხელისუფლებაში, ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ხდება მწვავე დისკუსიების საგანი როგორც აფხაზეთის სხვადასხვა სივრცეში, ასევე სოციალურ ქსელებში. ტრადიციული კავკასიური კულტურა ქალს ბავშვების აღზრდას და საოჯახო საქმეებს მიანერს. ვინაიდან ქალი უმთავრესად აღიქმება როგორც დედა და კერიის მფარველი, მისი სწრაფვა, გახდეს პოლიტიკოსი, გაუგებარია და, როგორც წესი, არ იღებს მხარდაჭერას.

ამავე დროს, ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნების მომხრეები არ უარყოფენ, რომ აფხაზეთში, ისევე, როგორც კავკასიის სხვა საზოგადოებებში, ბევრი ჭკვიანი ქალი იყო, რომელიც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა და რომლის აზრსაც ანგარიშს უწევდნენ.

უნდა ითქვას ისიც, რომ ბოლო ათწლეულებში ქალებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამოქალაქო საზოგადოებაში ქალები უფრო მეტნი არიან. ისინი, ძირითადად, ადამიანის უფლებების, ქალთა უფლებების დაცვას ემსახურებიან, მუშაობენ კონფლიქტის ტრანსფორმაციის, ადამიანური უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით, სოციალური კუთხით - მოსახლეობის ყველაზე მონყვლადი ფენების პრობლემებზე. ქალებს არცთუ ურიგო მიღწევები აქვთ მცირე მენარმეობის სფეროში, რაც, გარკვეულწილად, მათი დიდი მობილობით და რადიკალურად შეცვლილი ცხოვრების პირობების მიმართ ადაპტაციის ნიჭით აიხსნება.

აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები, უმეტესწილად, დარწმუნებულნი არიან, რომ ქალი შეიძლება იყოს შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსიც, პერსპექტიული ხელმძღვანელიც და ხელისუფლების წარმომადგენელიც. მსოფლიო პრაქტიკა, ისევე როგორც ყოველდღიური ცხოვრება, გვიჩვენებს, რომ ქალები მამაკაცებზე უფრო გულსხმიერები არიან უსამართლობის სხვადასხვა გამოვლინების მიმართ. მწვავე ყოფით და სოციალურ პრობლემებთან ჭიდილში ქალებმა უკეთ შეითვისეს მათი ეფექტური და ოპერატიული მოგვარების უნარი. ამიტომ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ აფხაზეთში გადანყვეტილების მიღების დონეზე ქალთა რიცხვი საგრძნობლად მცირდება. ეს უკავშირდება მთელ რიგ მიზეზს, რომლებზეც ქვემოთ ვილაპარაკებთ.

2008 წელს არასამთავრობო ორგანიზაციამ „აფხაზეთის ქალთა ასოციაციამ“ შეიმუშავა კანონის „აფხაზეთის რესპუბლიკაში მამაკაცებისა და ქალების თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის შესახებ“<sup>6</sup> პროექტი. პროექტის ადვოკატირების, სახალხო კრების / პარლამენტის დეპუტატებთან და სპიკერთან თანამშრომლობის და სამოქალაქო სექტორის ქალთა აქტიური საქმიანობის წყალობით, ეს კანონი მიიღეს და პრეზიდენტმა ხელი მოაწერა. ამან ქალთა მოძრაობის აქტივისტების დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია. იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთისთვის ქალთა უფლებების დაცვა შედარებით ახალი სფეროა, კანონში გათვალისწინებულია მუხლი, რომელიც განმარტავს შემდეგ ცნებებს: „გენდერული თანასწორობა, გენდერი, პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია სქესობრივი კუთვნილების მიხედვით“. კანონი ადგენს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში და მოუწოდებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის.

თუმცა ზემოხსენებული კანონი ძალაში 2009 წლის 1 თებერვალს შევიდა, ვერ ვისაუბრებთ მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებაზე, რადგანაც ჯერ კიდევ ბევრი ფაქტორი და გარემოებაა, რომელიც ხელს უშლის გენდერული პარიტეტის დამყარებას პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ შორის მთავარია საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებული გენდერული სტერეოტიპები. ის, რომ საზოგადოება და თვით ქალებიც ფსიქოლოგიურად არ არიან მზად ქალთა უფრო აქტიური პოლიტიკური მონაწილეობისთვის. ცხადია, დამკვიდრებული სტერეოტიპების შეცვლა ხანგრძლივი და რთული პროცესია, რომელიც სხვადასხვა ასპექტს მოიცავს. მათ შორის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ხელისუფლებისაკენ ქალების წინსვლა, რათა გააქტიურდეს პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი სრულფასოვანი ჩართვის პროცესი, ამალდეს ქალთა კონსტრუქციული გავლენა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებებზე.

2016 წლის გაზაფხულზე გამართული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს აშკარად გამოჩნდა, რომ არც საზოგადოებაა მზად, ხმა მისცეს ქალ კანდიდატებს და არც ქალები არიან მზად, წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურა.

ქვეყნის ყველა საარჩევნო ოლქში კანდიდატთა საერთო რაოდენობა 374 ადამიანი იყო, მათ შორის 53, ანუ 7%-მდე იყო ქალი. კერძოდ, გუდაუთის რაიონში 29 სადეპუტატო ადგილისთვის კენჭს იყრიდა 64 კანდიდატი, მათ შორის მხოლოდ ექვსი ქალი. შედეგად, მხოლოდ ერთმა მათგანმა გაიმარჯვა, რომელიც შემდგომ გადადგა, რადგან სახალხო კრების / პარლამენტის დეპუტატი გახდა. ამგვარად, დღეს გუდაუთის რაიონის კრებაში არც ერთი ქალი დეპუტატი არ არის.

ოჩამჩირის რაიონში რვა კანდიდატი ქალიდან არჩევნებში ოთხმა გაიმარჯვა. ტყვარჩელის რაიონულ კრებაზე მხოლოდ ორი დეპუტატი ქალია, სოხუმის საქალაქო კრებაზე (სულ 26 ადგილი) გავიდა მხოლოდ ერთი ქალი. გავრის კრებას (სულ 22 ადგილი) წარმოადგენს მხოლოდ ერთი ქალი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქებისა და რაიონების ადმინისტრაციის რვა უფროსს შორის ერთადერთი ქალია, რომელიც ტყვარჩელის რაიონის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს.

ასეთი მდგომარეობა ნეგატიურად მოქმედებს სიტუაციაზე ადგილობრივ საზოგადოებაში, ვინაიდან ქალები უფრო მგრძობიარეები არიან ყოველდღიური საზრუნავის მიმართ, ბევრად უფრო ოპერატიულად და ადეკვატურად რეაგირებენ ადამიანთა უფლებებისა და ქალთა უფლებების დარღვევებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ეროვნულ დონეზეა უკეთესი მდგომარეობა: ქალთა რაოდენობა სახალხო კრებაში / აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტში განუხრელად მცირდება. თუ 90-იანი წლების შუახანებში და ბოლოს ქალი დეპუტატების წილი 10-15% შეადგენდა, ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა. ახლა 35 დეპუტატიდან მხოლოდ ერთი ქალია.

ბოლო ათწლეულში სხვადასხვა დონის არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების ანალიზი ასეთი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:

- სადეპუტატო მანდატებისთვის ბრძოლა თანდათან უფრო მწვავედება და ქალს, რომლის მხარესაც, როგორც წესი, ბევრად ნაკლები ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსია, გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს;

- ტრადიციულ საზოგადოებაში, რომელსაც აფხაზური საზოგადოებაც მიეკუთვნება, როგორც წესი, არ ირჩევენ ქალებს არჩევით თანამდებობაზე. და არა იმიტომ, რომ მათ კომპეტენტურობა არ ყოფნით, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოება მიჩვეულია, გადაწყვეტილების მიღების უფლება მამაკაცებს მიანიჭოს;

- სოლიდარობის და ურთიერთმხარდაჭერის უქონლობა წარდგენის პროცესში იწვევს წინააღმდეგობას ქალებს შორის, მათ „გამოყენებას“ სხვადასხვა პოლიტიკური და ფინანსური ჯგუფების მიერ. ეს მკაფიოდ გამოვლინდა აფხაზეთის ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე, 2017 წელს, როცა ქალები „ბარიკადების“ სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ და დამარცხდნენ;

- ხშირად ქალები თვითონ არ არიან მზად პოლიტიკაში წასასვლელად, იმიტომ რომ დიდი ხნის განმავლობაში მონყვეტილნი იყვნენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას, დაკავებულნი იყვნენ საოჯახო ცხოვრებით, როგორც ამას აიძულებდა ომისშემდგომი დრო;

- როგორც წესი, საზოგადოება ქალებს საკმაოდ დიდ მოთხოვნებს უყენებს და არასოდეს აპატიებენ იმას, რასაც მამაკაცებს პატიობენ. თვით ქალებსაც დაბალი თვითშეფასება აქვთ და ეს ხელს უშლით ხელისუფლებისკენ მიმავალ გზაზე. ამომრჩეველი ქალებიც კი ხშირად მამაკაცებს აძლევენ ხმას;

- არჩევნები ხშირად უკავშირდება მაღალ ემოციურ დატვირთვას და სტრესს, პასუხისმგებლობის განცდას, რის გამოც ბევრი ქალი უარს ამბობს მასში მონაწილეობაზე;

- დღეისათვის აფხაზეთში არსებული მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა არ უწყობს ხელს ქალების მოსვლას ხელისუფლებაში. მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ ამ სისტემით უფრო ძნელია კანდიდატების გამარჯვება არჩევნებზე, ვიდრე პროპორციული ან შერეული სისტემით;
- ასაკი, როცა ქალს შეუძლია კარიერის გაკეთება, რომელ სფეროშიც არ უნდა იყოს, ხშირად ემთხვევა იმ დროს, როცა მან ოჯახი უნდა შექმნას და შვილები აღზარდოს. ამჟამინდელ პირობებში მათი შეთავსება კი ადვილი არ არის;
- დედობისა და ბავშვობის ეფექტური სახელმწიფო მხარდაჭერის უქონლობა, სუსტი სოციალური ინფრასტრუქტურა (საბავშვო ბაღების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პოლიკლინიკების ნაკლებობა) – ყველაფერი ხელისშემშლელი ფაქტორია პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალის აქტიური მონაწილეობისთვის;
- აფხაზეთში ქალთა ძლიერი ორგანიზაციების და ჯგუფების არარსებობა, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ქალის წარმატებაზე, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის სისტემის ცვლილების ლობირებაზე ქალთა ინტერესების გათვალისწინებით;
- საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აფხაზეთის, როგორც სხვა არალიარებული ან ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფოს, იგნორირება, აგრეთვე ამ ქვეყნებში არჩევნების აღიარებაზე უარის თქმა, სტიმულს უკარგავს მმართველ ელიტას და საზოგადოებას, უფრო მეტად დაიცვან საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის გენდერული თანასწორობა.

## ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაფართოებისთვის საჭირო ღონისძიებები

- ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გააქტიურების უმნიშვნელოვანესი პირობაა ქალთა ლიდერული პოტენციალის გაძლიერება და მათი თვითშეფასების ამაღლება. თუკი ქალი გადწყვეტს, მონაწილეობა მიიღოს წინასაარჩევნო ბრძოლაში, საფუძვლიანად უნდა მოემზადოს - ფსიქოლოგიურად განეწყოს ხანგრძლივი ბრძოლისთვის, რაციონალურად დახარჯოს თავისი ძალები, იყოს თავშეკავებული და პრაგმატული.
- იმისთვის, რომ გაძლიერდეს ქალთა როლი გადწყვეტილების მიღების პროცესში, საჭიროა განხორციელდეს ლიდერული ნიჭის მქონე ახალგაზრდა ქალების მომზადების პროგრამები - მოეწყოს ქალთა ლიდერობის სკოლები, ჩატარდეს ქალთა ფორუმები, ტრენინგები პიროვნული პოტენციალის ზრდისთვის და მისთ.
- მნიშვნელოვანია ქალი ლიდერის სახის წამოწევა და ქალთა ლიდერობის ყველაზე წარმატებული მაგალითებისა და საუკეთესო პრაქტიკის პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სოციალური ქსელის და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით.
- ქალთა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ქალთა წინსვლისათვის გადწყვეტილების მიღების დონეზე, რისთვისაც აუცილებელია ქალთა ახალი ორგანიზაციების შექმნის წახალისება და უკვე არსებული ორგანიზაციების პოტენციალის განვითარება.
- ქალთა უფლებების დაცვის სფეროში გენდერული კვლევები, სიტუაციის მონიტორინგი, ქალთა პოტენციალის გაძლიერებისკენ მიმართული საგანმანათლებლო პროგრამები – ეს და სხვა ღონისძიებები გენდერის ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.
- გენდერული ბალანსის მიღწევისთვის გადწყვეტილების მიღების დონეზე და პოლიტიკურ სტრუქტურებში საჭიროა თვით ქალების სამოქალაქო ინიციატივების განვითარება, პოლიტიკური საქმიანობის გამოცდილების მიღება, ლიდერული უნარ-ჩვევების დაუფლება.
- პოლიტიკურ პარტიებს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაფართოების საქმეში შეუძლიათ ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად იქცნენ. მათი დახმარებით ქალებს შეიძლება ხელი მიუწვდეთ არჩევით თანამდებობასა და პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე. საერთაშორისო გამოცდილება და კვლევების შედეგები აჩვენებს, რომ ქალების სახელისუფლებო წინსვლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქალთა პარტიული ფრაქციების შექმნას ან სექციებს ქალების მიერ თავიანთი პრიორიტეტების განსაზღვრისა და საერთო პრობლემების მოგვარების საკუთარი მიდგომის გამოუმუშავებისთვის.
- არის უტყუარი დასტური იმისა, რომ საარჩევნო სისტემა გავლენას ახდენს ქალთა რაოდენო-



ბაზე საკანონმდებლო ორგანოებში და ქალ კანდიდატებს უფრო უადვილდებათ გამარჯვება პროპორციული საარჩევნო სისტემის მქონე ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, ქალების ინტერესებშია სწრაფვა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასასვლელად.

- მსოფლიო პრაქტიკის თანხმად, კვოტირების ინსტიტუტი პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართვის ყველაზე ეფექტური მექანიზმია. შედარებითი კვლევა, რომელიც მიეძღვნა ქალთა მონაწილეობას იმ ქვეყნების პარლამენტში, სადაც ქალებისთვის კვოტირებას იყენებენ, აჩვენებს, რომ კვოტები საგრძობლად აჩქარებს პოლიტიკურ ინსტიტუტებში ქალთა ჩართვას. ქვეყნებში, სადაც კვოტები არ გამოიყენება, ქალები ორჯერ უფრო ნელა მიიწვევენ გადანაცვლების მიღების დონისკენ, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც კვოტების სისტემა მოქმედებს.

- კანონში პოლიტიკური პარტიების შესახებ აუცილებლად უნდა დაემატოს დებულება იმის შესახებ, რომ პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა აქტიურად ჩართონ ქალები პარტიულ მუშაობაში და პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში. ამან შეიძლება მეტად ხელსაყრელი პირობები შექმნას ქალთა წინსვლისათვის ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში.

- ყველაზე ეფექტური საშუალებაა კვოტების გამოყენება პოლიტიკურ პარტიებში. თუ პოლიტიკური პარტიები შესთავაზებენ ქალებს მონაცვლეობის წესით მოხვედრას თავიანთი სიების 40-50%-ში და არა სიის ბოლოში, გენდერული უთანასწორობა შეიძლება შემცირდეს.

- ქალების წინსვლაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სამოქალაქო საზოგადოებამ. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს უარი მხარდაჭერაზე პოლიტიკურ ლიდერს, რომელიც არ დაიცავს გენდერული თანასწორობის პრინციპს; გასვლა პარტიიდან, რომელიც არ უჭერს მხარს გენდერული თანასწორობის პრინციპებს; აგრეთვე ახალი პოლიტიკური პარტიების შექმნა და მონაწილეობა ქალთა მოძრაობებში. ქალებმა უნდა განაცხადონ თავიანთი პოლიტიკური ნების შესახებ.

- კანდიდატის წარმატება არჩევნებზე დიდადაა დამოკიდებული კარგად შერჩეულ გუნდზე, რომელიც საარჩევნო კამპანიაში კანდიდატის გამარჯვებასა და სადეპუტატო მანდატის მიღებაზეა ორიენტირებული. კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირების ეფექტურ მუშაობას პოტენციურ ელექტორატთან, არჩევნების გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით მონიტორინგის ჩატარებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს დადებითი შედეგების მისაღებად.

- სახელისუფლებო ორგანოებმა სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად უნდა მიმართონ ძალისხმევა, რომ შეენიშნა დეგონ „ბინძური“ პოლიტიკური ტექნოლოგიების გამოყენებას. საჭიროა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სერიოზული მონიტორინგის ჩატარება საარჩევნო კამპანიის პერიოდში. მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქალი პოლიტიკური ლიდერის სახის პოპულარიზებაში, მისი პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბებაში, საზოგადოებრივი კლიმატის თანდათანობით ფორმირებაში ისე, რომ კეთილად განეწყოს ქალი პოლიტიკური ლიდერების მიმართ.

კვოტირებაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ თემაზე ხშირად მსჯელობენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ასეთი დისკუსიები ახასიათებს აფხაზეთსაც. კვოტების მონიშნა დეგეები მას დისკრიმინაციულ და არადემოკრატიულ გზად მიიჩნევენ, რაც სრულიად არასწორია, რადგანაც თანამედროვე საერთაშორისო სამართალი უშვებს ე.წ. „პოზიტიური დისკრიმინაციის“ შემოღებას. განსახილველ კონტექსტში გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ეს კომპენსირების საშუალებაა და დროებითი ხასიათი აქვს.

გენდერის სფეროს ზოგიერთი ანალიტიკოსი და ექსპერტი მიიჩნევენ, რომ ქალებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მონაწილეობა უფრო მისაღებია, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლების დონეზე. ცხადია, ეს იმით აიხსნება, რომ ადგილობრივ დონეზე რეგიონის ქალების ცხოვრებისეულ ინტერესებთან დაკავშირებული კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების განხილვა ხდება, თანაც უფრო აშკარად ჩანს დეპუტატების მუშაობის შედეგები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო და მუნიციპალური მოხელეები გაეცნონ იმ ქვეყნების გენდერული მიდგომების გამოყენების მონიშნავ გამოცდილებას, რომელთაც ამ სფეროში წარმატებებს მიაღწიეს.

მეტად სასარგებლოა სხვადასხვა რეგიონულ თუ სექტორალურ პრობლემასთან მიმართებაში გენდერული ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენება. კერძოდ, ქალთა მონაწილეობას შეუძლია დღის წესრიგში დასვას მუნიციპალური ერთეულის ბიუჯეტური უზრუნველყოფის საკითხი და დახმარება ქალთა მცირე მენარმეობის განვითარებაში. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია გენდერული ბიუჯეტირება, რომელიც წარმოადგენს

სხვადასხვა ინსტრუმენტის, მექანიზმის და ინსტიტუტის ერთობლიობას, რომელთაც საერთო მიზანი აერთიანებთ - გენდერული მიდგომა აუცილებელი გახადონ მმართველობაში.

ამჟამად ასამდე ქვეყანაში ინერგება გენდერული ბიუჯეტირების ინიციატივები, რაც მოიცავს სამოქალაქო საზოგადოებას, მთავრობას, საერთაშორისო ორგანიზაციებს. ამ ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ გენდერული ბიუჯეტირება ხელს უწყობს მოსახლეობის მომსახურების ხარისხის ამაღლებას, ბიუჯეტის სახსრების უფრო გონივრულ ხარჯვას კონკრეტული მომხმარებლის საჭიროებების გათვალისწინებით, ეკონომიკური განვითარების ტემპების ზრდას და არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

სამწუხაროდ, აფხაზეთში არ არსებობს ცნება „გენდერული ბიუჯეტი“. ამიტომაც არ არის შესაძლებლობა, გათვალისწინებულ იქნას მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის ინტერესები სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების პროცესში. არსებითად, გენდერული ბიუჯეტი - ეს არის სახელმწიფო ბიუჯეტში მისი სოციალური შემადგენლის გამოყოფა, ასევე რესურსებისა - თანაბარი უფლებებისა და თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკის განხორციელებისთვის გენდერული კუთვნილების ნიშნით.

ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ხელს შეუწყობდა ადგილებზე სოციალურ-პროფილაქტიკური საქმიანობის განვითარებას, მათ შორის ოჯახური ძალადობის პრობლემის კუთხით. იმის გამო, რომ არ არის ოჯახური ძალადობის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმები, მსხვერპლი მარტო რჩება თავის პრობლემებთან და ოჯახი ზნეობრივი განადგურებისკენ მიდის, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მთელი საზოგადოებისთვის.

ზოგადად, გენდერული პოლიტიკა არის ეფექტური ინსტრუმენტი მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური დაცულობის ამაღლებისა და ქალთა შესაძლებლობების გაფართოებისათვის. როგორც ცნობილია, გენდერული თანასწორობა მმართველობის დემოკრატიული პრინციპების მნიშვნელოვანი ნაწილია.

## დასკვნა

დემოკრატიულ საზოგადოებაში ადგილობრივი თვითმმართველობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთი თემის ცხოვრებაში. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური ფუნქციონირება გადამწყვეტ როლს თამაშობს მოქალაქეთა ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაში, მათ შორის ადამიანთა, ქალთა უფლებების დაცვაში. თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში ასერიგად საჭირო მომსახურებები - განათლება, ჯანდაცვა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, წყალმომარაგება, წყალარინება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ა.შ. - შეიძლება წარმოდგენილი იყოს, უპირველესად, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ. სახელმწიფოს ვალდებულება ადამიანის უფლებათა სფეროს საერთაშორისო ნორმების გამოყენების მხრივ ადგილობრივ თვითმმართველობაზეც ვრცელდება.

ჩატარებული კვლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:

- აფხაზეთის რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში არაერთი პრობლემა და ხარვეზია. ცალკეული ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფების უფლებების დაცვის მიმართ უფრო ყურადღებიან დამოკიდებულებას შეუძლია რეალურად გააუმჯობესოს ადამიანთა ცხოვრების ხარისხი. ადამიანის უფლებებისა და ქალის უფლებებისადმი უპირობო პატივისცემის გამოხატვა ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის ხარისხის ამაღლებას, გაზრდის ცხოვრებისეული პირობებით ადამიანების დაკმაყოფილების დონეს და განაწყოს მათ უფრო აქტიური მონაწილეობისაკენ თავიანთი თემებისა და მთლიანად ქვეყნის ცხოვრებაში.

- მოსახლეობის მხრიდან ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის უფროსის პირდაპირი არჩევნების სისტემაზე გადასვლა ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის ეფექტურობას და მეტ დამოუკიდებლობას შესძენს. მიზანშეწონილია, კანონში გაიწეროს უფრო მკაფიო მოთხოვნები ადმინისტრაციის უფროსის კანდიდატურის მიმართ და უფრო გარკვევით განისაზღვროს მისი სამართლებრივი სტატუსი.

- ადამიანის უფლებების და ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით სიტუაციის გაუმჯობესება

შესაძლებელია ამ სფეროში სიტუაციის რეგულარული მონიტორინგით. ეს გამოავლენდა შეცდომებს სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკასა და მმართველობის სისტემაში, შექმნიდა პირობებს არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ქვეყნის ხელმძღვანელობას და სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გამოიყენონ მონიტორინგის მონაცემები, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვონ არსებული ხარვეზების გამოსწორება.

- ამ ეტაპზე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები იშვიათად იღებენ თავიანთ თავზე პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებებისა და ქალთა უფლებების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დაცვის მხრივ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ძირითადი კანონის მეორე თავი, დასათურებული როგორც „ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები“, შეიცავს დებულებას იმის შესახებ, რომ „აფხაზეთის რესპუბლიკა აღიარებს და გარანტიას აძლევს უფლებებისა და თავისუფლებების მხრივ, რომლებიც ჩანერილია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაკეტებში, სხვა საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში“ (აფხაზეთის კონსტიტუცია, მუხლი 11). ამგვარად შეიძლება ითქვას პრაქტიკის სფეროში სამართლის გამოყენების პრობლემაზეც.

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საგრძნობლად შეუძლიათ აამაღლონ თავიანთი ავტორიტეტი, ეფექტურობისა და ლეგიტიმურობის ხარისხი, თუკი ფართოდ ჩართავენ მოქალაქეებს მათ პრიორიტეტულ ინტერესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ადამიანის უფლებებისა და ქალთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა შეუძლებელია სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გარეშე.

- უნდა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები მომსახურების მინიმალური დონის უზრუნველსაყოფად, სოციალური სამართლიანობის რეალიზების და დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის, აგრეთვე იმ უფლებების სასამართლო დაცვის შესაძლებლობების წარდგენისთვის, რომელთა განხილვაც შესაძლებელია სასამართლოში. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიექცეს მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ჯგუფების - ქალები, ბავშვები, მარტოხელა პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები და სხვ. - უფლებების დაცვას. ხშირად სწორედ ეს ადამიანები ხდებიან დაუცველები, მათი უფლებები კი - იგნორირებული.

- სამართალდამცველებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის მონიტორინგში, მათთან ურთიერთობის დამყარებაში და, პირველ რიგში, იმ კუთხით, რაც ეხება მოქალაქეთა ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვას. ამას გარდა, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს შეუძლიათ პირდაპირ იმუშაონ ადგილობრივ ადმინისტრაციასთან ადამიანის უფლებებისა და ქალთა უფლებების სფეროში კვალიფიკაციის ამაღლებისა და გაცნობიერებისათვის. სამართალდაცვის მეთოდებსა და ხერხებს შეუძლია შესთავაზონ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ეფექტური ინსტრუმენტები სახელმწიფო მომსახურების და საკუთარი მიღწევების შეფასებისათვის. ეს შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, გააუმჯობესონ ურთიერთობა მოსახლეობასთან და მაღალი სტანდარტების შესაბამისად შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები.

გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის თემას რომ დავუბრუნდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ქალები დისკრიმინაციას განიცდიან არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან, რომლებმაც უნდა იზრუნონ ქალების უფლებების დაცვაზე, ხელი შეუწყონ ქალთა განვითარებას, მათ განათლებას, სამოქალაქო და სოციალური აქტივობის გაზრდას. თუ სამხრეთ კავკასიის აღიარებულ სახელმწიფოებში გაეროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის და ქალთა ფონდების ეგიდით ხორციელდება პროექტების მთელი რიგი, აფხაზეთის ტერიტორია თითქოს ამოვარდნილია მათი აქტიურობის სფეროდან, რაც ნეგატიურად მოქმედებს არა მარტო აფხაზეთის ქალთა მდგომარეობაზე, არამედ დემოკრატიზაციის პროცესსა და კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე (დარეგულირებაზე).

გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა გულისხმობს ქალთა აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესში. ამ მიზნების მისაღწევად ქალთა ორგანიზაციები და მოძრაობები უნდა იღებდნენ ზომებს საზოგადოებაში თავიანთი გავლენის გასაძლიერებლად - ინსტიტუტების შექმნით გენდერული დისბალანსის დაძლევისთვის პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღების სფეროში, ქალების

მარგინალიზაციის პროცესის საწინააღმდეგოდ. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდისაკენ მიმართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა შეიძლება პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ზემოქმედების ეფექტურ მექანიზმად იქცეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალების ლატენტური დისკრიმინაცია ჯერ კიდევ არსებობს ბევრ ქვეყანაში, რომელთა კონსტიტუციებშიც დეკლარირებულია სქესთა თანასწორობა. ამ მხრივ არც აფხაზეთია გამონაკლისი, რადგანაც აქაც არის ფარული ბარიერები და დისკრიმინაციები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს, იყვნენ არჩეულები ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში და მიიღონ პოლიტიკური წარმომადგენლობის სამართლიანი წილი. ასეთი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა აფხაზეთში ბოლო ათწლეულებში ჩატარებული ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნების შედეგების ანალიზი. პოლიტიკისაკენ მიმავალ გზაზე ბარიერთა შორისაა - ადმინისტრაციული რესურსი, პატრიარქალური ტრადიციები და სტერეოტიპები, ფინანსური რესურსების უქონლობა. ცხადია, ამ წინააღმდეგობების დაძლევა მხოლოდ კვოტირებითაა შესაძლებელი. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ქალთა კვოტები არანაირად არ ავიწროებს მამაკაცებს, არამედ ხდება კომპენსირება არსებული ბარიერების გამო. თანაც, როგორც წესი, კვოტების შემოღება დროებითი მოვლენაა - როგორც კი ფარული ბარიერები და დისკრიმინაცია ლიკვიდირებული იქნება, კვოტები გაუქმდება.

გენდერული კვოტები პარლამენტში, მთავრობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში წარმოადგენს პოზიტიური დისკრიმინაციის მექანიზმს, რაც ხელს უწყობს ორივე სქესის წარმომადგენლებს შორის ბალანსის დამყარებას. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გამოიყენება გენდერული კვოტები სხვადასხვა დონის არჩევნებზე.

არსებობს კვოტების სამი სახე, იმის მიხედვით, თუ რომელ დონეზე მიიღება: კონსტიტუციაშია განვრილი, არჩევნების შესახებ კანონში თუ პოლიტიკური პარტიის წესდებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი რეკომენდაციები იმ საქმიანობის ოპტიმიზაციისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას მუნიციპალური ერთეულების დონეზე და გენდერული ბალანსის დაცვას მუნიციპალური მმართველობის ორგანოებში:

1. საკანონმდებლო რესურსების გამოყენება. მიღება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტისა „მუნიციპალურ რაიონებსა და საქალაქო ოლქებში არჩევნების შესახებ“, რომელიც შეიცავს დებულებას საარჩევნო სიებში ქალების არანაკლებ 30% სავალდებულო შეყვანის თაობაზე.
2. მუშაობა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან მათი გენდერული განათლების და გენდერული სტერეოტიპების თანდათანობითი აღმოფხვრის მიზნით.
3. მუშაობა მმართველი ქალების საკადრო რესურსების ფორმირებისთვის, მათი პროფესიული დონის და თვითშეფასების ამაღლება, პიროვნული ზრდის კუთხით ტრენინგების ჩატარება და ქალთა ლიდერობის სკოლების ორგანიზება.
4. ფარული ბარიერების და ლატენტური დისკრიმინაციის დაძლევა, რაც ხელს უშლის ქალებს, არჩეულ იქნან წარმომადგენლობითი ხელისუფლების ორგანოებში და მიიღონ პოლიტიკური წარმომადგენლობის სამართლიანი წილი.
5. ქალი კანდიდატებისთვის საკონსულტაციო დახმარების გაწევა არჩევნებზე, დახმარება იმიჯის ფორმირებაში, პროგრამის შედგენაში, საარჩევნო კამპანიების ორგანიზებაში.
6. ახალგაზრდა ქალების საკადრო პოტენციალის ჩამოყალიბება.
7. პოლიტიკურად აქტიური, დამოუკიდებელი ქალთა ორგანიზაციების შექმნა ხელისუფლებაში ქალების წინსვლის მიზნით.

## საქართველოს მიერ განვლილი გზა ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობისა და გენდერული მინისტრინების დასაწარმოებლად ნაყოფიერი ნიადაგის შექმნისაკენ

### შესავალი

ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა ერთ-ერთი ადამიანის ძირითად უფლებათაგან და იგი უმნიშვნელოვანეს ფასეულობას წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიისა და ევროკავშირში მისი განვითარებისათვის. ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მისაღწევად არ კმარა მხოლოდ მისი ოფიციალური დეკლარირება და საკანონმდებლო დონეზე აღიარება, არამედ საჭიროა ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში მისი დანერგვა. მიუხედავად გენდერული თანასწორობის მისაღწევად განეული ძალისხმევისა და მისი ფორმალური აღიარების გზაზე მიღწეული პროგრესისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება, რადგან რეალურად, ქალები და მამაკაცები ვერ სარგებლობენ თანაბარი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებით. გაეროს განვითარების პროგრამის, ადამიანის განვითარების 2016 წლის ანგარიშში საქართველომ გენდერული უთანასწორობის ინდექსით 70-ე ადგილი დაიკავა 188 ქვეყანას შორის.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ელექტორატის 52% ქალია, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში მამაკაცებთან შედარებით გაცილებით დაბალია და მისი ზრდის ტენდენციაც მეტად ნელია. გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მიხედვით, საქართველო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებლით 144 ქვეყანას შორის 114-ე ადგილზეა.<sup>2</sup> საპარლამენტთაშორისო კავშირის 2017 წლის მონაცემებით, საქართველომ 193 ქვეყანას შორის 123-ე ადგილი დაიკავა.<sup>3</sup> 2016 წ. ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ქალ პარლამენტართა წილი მხოლოდ 15%-მდე გაიზარდა 2012 წ. პარლამენტთან შედარებით, როცა იგი 11% იყო. 2014 წლის მონაცემებით, ქალთა მონაწილეობა საქართველოს პარლამენტში თითქმის ორჯერ დაბალია მსოფლიო მასშტაბით საშუალო მონაცემთან შედარებით.<sup>4</sup>

უმნიშვნელოდ გაიზარდა ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალთა წარმომადგენლობა: 11,6%-დან 2014 წელს 13 პროცენტამდე 2017 წელს.<sup>5</sup>

ქალები თავიანთი თემების განუყოფელ ნაწილს შეადგენენ, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობის

1 ადამიანის განვითარების ანგარიში, 2016, გაეროს განვითარების პროგრამა, იხ. ბმული <http://hdr.undp.org/en/indicators/68606>

2 გლობალური გენდერული უთანასწორობის ანგარიში 2017, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, იხ. ბმული <http://www3.weforum.org/docs/WEF-GGGR-2017.pdf>

3 პარლამენტთაშორისი კავშირი, ქალები ეროვნულ პარლამენტებში, მდგომარეობა 2017 წ. 1 დეკემბრისათვის, იხ. ბმული <http://archive.ipu.org/wmn-e/classif.htm>

4 ქალები ეროვნულ პარლამენტში, 2017, იხ. ბმული <http://archive.ipu.org/wmn-e/world.htm>

5 პარლამენტთაშორისი კავშირი, იხ. ბმული <http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm>

მხრივ უზარმაზარი დისბალანსია. დღესდღეობით ქართულ საზოგადოებაში ქალთა როლი არ შეესაბამება არც მათ რიცხოვნობას და არც იმ ლიდერულ პოტენციალს, რაც მათ გააჩნიათ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ქალები მეტად აქტიურები და პროდუქტიულები არიან პარტიის წევრების და ელექტორატის მობილიზებისას, მამაკაც კანდიდატთათვის თანხების მოძიებისას და მხარდაჭერის კამპანიის წარმართვისას, ისინი იშვიათად აღწევენ წამყვან თანამდებობებს თავიანთ პოლიტიკურ პარტიებში და იშვიათად იყრიან კენჭს. მას შემდეგ, რაც არჩევნები ჩატარდება და თანამდებობები განაწილდება, ქალები უკვე აღარ ჩანან. არჩევნებისას არ ხდება ქალი კანდიდატების წამოყენება და ქალების ჩასმა პარტიული სიების მოწინავე პოზიციებზე. 2017 წ. ოქტომბერში გამართული ბოლო თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, არც ერთი ქალი არ იქნა არჩეული მერის თანამდებობაზე არსებულ ხუთ თვითმმართველ ქალაქში<sup>1</sup>. მხოლოდ ერთი ქალი მერია არჩეული 59 თვითმმართველ თემს შორის. მოვლენათა ამგვარი განვითარება მიუთითებს გენდერული თანასწორობის არასაკმარის პროგრესზე ხელისუფლების სტრუქტურებში და ყველა ტიპის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ძალაუფლება კვლავ მყარად არის მამაკაცთა ხელში და, მიუხედავად იმისა, რომ შეიმჩნევა გარკვეული პროგრესი, კვლავაც ბევრი რჩება გასაკეთებელი იმისათვის, რომ ქალებს მამაკაცების თანაბარი როლი ერგოს. ქალთა მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი შემაფერხებელი გარემოება ახლავს და მათ მრავალი სოციალური წინააღმდეგობის გადალახვა უხდებათ, რათა პოლიტიკურ არენაზე გამოვიდნენ. ამგვარი უთანასწორობა შედეგია იმ სოციალური მოწყობისა, რომელიც მთელ რიგ გენდერულ სტერეოტიპებსა და ოჯახში, საზოგადოებაში, პოლიტიკურ პროცესებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრებულ მიდგომებს ეფუძნება. თუმცა ეს ის სფეროებია, სადაც შესაძლებელია აქტიურობა ახალი მიდგომების დასამკვიდრებლად და სტრუქტურული ცვლილებების ინიცირება.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება წარმოადგენს იმ დონეს, რომელიც ხალხთან ყველაზე ახლოა და, ამდენად, მათ ყველაზე მეტად ხელეწიფებათ გამეფებული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა და მმართველობის იმ მოდელების დამკვიდრება, რომელთა მიზანი ჭეშმარიტად თანასწორუფლებიანი საზოგადოების შექმნაა. გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობა იმყოფება მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისების მიწოდების წინა ხაზზე, რაც მოიცავს განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სატრანსპორტო მომსახურების, წყალმომარაგებისა და სანიტარული მომსახურების, ელექტროენერჯისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ეს ის სფეროებია, რომლებიც თანაბრად მნიშვნელოვანი როგორც ქალების, ისე მამაკაცებისთვის და, ამდენად, მოითხოვს მათ თანაბარ ჩართულობას და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში ქალთა მონაწილეობას, აგრეთვე ადგილობრივი სტრატეგიებიდან და პროგრამებიდან პრიორიტეტების გამოკვეთას გენდერული პერსპექტივის კუთხით და მოსახლეობის გენდერული საჭიროებების მიხედვით.

გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას საქართველოში რამდენიმე საერთაშორისო, დონორი და არასამთავრობო ორგანიზაცია უჭერს მხარს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია გაეროს სააგენტოები, რომლებიც ჩართულნი არიან გაეროს ერთობლივ პროგრამაში „გენდერული თანასწორობის განვითარება საქართველოში“. ამ პროგრამას ახორციელებს გაეროს სამი სააგენტო – გაეროს განვითარების სააგენტო (UNDP), გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით.

ფაქტია, რომ ბოლო წლებში საქართველოს დიდი წინსვლა ჰქონდა გენდერული თანასწორობის მიზნების მისაღწევად საკანონმდებლო საფუძვლების შექმნისა და ადგილობრივ პოლიტიკაში გენდერული მენისტრინგის<sup>2</sup> დანერგვის კუთხით. დღესდღეობით, გენდერული თანასწორობის საფუძველს ქმნის საკონსტიტუციო და სამართლებრივი ჩარჩო, გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები და გენდერული პოლიტიკის ღონისძიებათა ეროვნული სამოქმედო გეგმა. თუმცა, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო და სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე მიღებული პროგრესი ხშირად გაუფერულებულია მათი არასრულყოფილად განხორციელების გამო,

1 თვითმმართველი ქალაქებია: თბილისი, რუსთავი (ქვემო ქართლი), ქუთაისი (იმერეთი), ფოთი (სამეგრელო) და ბათუმი (აჭარა).

2 გენდერული მენისტრინგი - ქალთა და მამაკაცთა პრიორიტეტებისა და საჭიროებების სისტემური ინტეგრაცია პოლიტიკის ფორმირების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით. იხილეთ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6953>

გენდერთან დაკავშირებული სტრატეგიების პრაქტიკაში დანერგვა მხოლოდ დეკლარირების დონეზე რჩება და მას მრავალი ფაქტორი აფერხებს. შემაფერხებელ ფაქტორთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ პრაქტიკული განხორციელების ნაკლებობა და პასუხისმგებლობათა მკვეთრი გამიჯვნის არქონა; დროში განერილი ამოცანების, საწყისი მდგომარეობის შეფასების და შემდგომი მონიტორინგის მექანიზმების ნაკლებობა, ალბულის ვალდებულებების შესრულებისას საერთაშორისო ფინანსურ მხარდაჭერაზე (დონორებზე) ზედმეტად დამოკიდებულება და უამრავ სფეროში სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების არარსებობა<sup>1</sup>.

აქედან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, ადგილობრივი თვითმმართველობა ღრმად ჩასწვდეს თანასწორობის არსს, როგორც კარგი მმართველობის დამახასიათებელ ატრიბუტს, აილოს ვალდებულება, განახორციელოს ეროვნული გენდერული პოლიტიკა და განავითაროს აქტიური ქმედებისათვის საჭირო უნარები და შესაძლებლობები.

## კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომი მიზნად ისახავს, გააანალიზოს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის კუთხით არსებული ინსტიტუციური მექანიზმები, განიხილოს საკანონმდებლო და სტრატეგიული ჩარჩოს სუსტი და ძლიერი მხარეები, ჩამოაყალიბოს ის საგარეო და საშინაო პირობები და ფაქტორები, რომლებიც ეხმარებიან ან აბრკოლებენ გენდერული თანასწორობის მისაღწევად ხელშემწყობი გარემოს შექმნას და გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვას ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში. და ბოლოს, ნაშრომი იძლევა რეკომენდაციებს გენდერულად ორიენტირებული ადგილობრივი მმართველობის გასაძლიერებლად მომავალში.

ნაშრომი ეფუძნება სამაგიდო კვლევას, რაც გულისხმობს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონმდებლობის, სტრატეგიის, ეროვნული სამოქმედო გეგმის და ეროვნულ დონეზე შექმნილი სხვა სტრატეგიული დოკუმენტების მიმოხილვას და ანალიზს, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშებს საქართველოში გენდერული თანასწორობის კუთხით მიმდინარე რეფორმის შესახებ.

მოცემული ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან. პირველ თავში განმარტებულია, რატომ აქვს დიდი მნიშვნელობა ადგილობრივ თვითმმართველობას გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში და რამდენად მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობა მათთვის. მეორე თავში ნაჩვენებია საქართველოში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული პოლიტიკის და საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა. მესამე თავში მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის მექანიზმის საპილოტე პროექტის მაგალითი. მასში კონკრეტულად აღწერილია, თუ როგორ ჩამოაყალიბდა და განხორციელდა ეს ინიციატივები და ხაზგასმულია მათი ზეგავლენა როგორც ქალებსა და მამაკაცებზე, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული თანასწორობის კუთხით რეფორმირებაზე. მეოთხე თავში შეჯამებულია არსებული ვითარება ზოგადი დასკვნების სახით და გვთავაზობს გრძელვადიან პერსპექტივებს და რეკომენდაციებს მომავალში გენდერულად ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის გასაუმჯობესებლად.

## თავი 1. რატომაა გენდერული თანასწორობა და გენდერულ საკითხებზე რეაგირება მნიშვნელოვანი ადგილობრივი თვითმმართველობისათვის

გენდერული თანასწორობის მიღწევა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ნებისმიერი თანამედროვე საზოგადოებისათვის. იგი გულისხმობს თანასწორ ხედვებს, თანაბარ მონაწილეობას და შესაძლებლობებს საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა სფეროში როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვის და მიზნად ისახავს ქალებისა და მამაკაცების სრულ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ადგილობრივი თვითმმართველობა მოქალაქეებთან ყველაზე ახლოს მყოფი სახელისუფლებო დო-

<sup>1</sup> CEDAW დასკვნითი შენიშვნები მეოთხე და მეხუთე პერიოდულ ანგარიშზე, CEDAW / C / GEO / CO / 4-5, 2014 წ. ივლისი.

ნეა და, შესაბამისად, ამ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს უშუალო ზეგავლენა აქვს მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ადგილებზე შემუშავებული და განხორციელებული ნებისმიერი სტრატეგია თუ პროგრამა განსხვავებულად ზემოქმედებს ქალებზე და მამაკაცებზე, ვინაიდან ქალები და მამაკაცები სხვადასხვაგვარად ურთიერთქმედებენ გარემოსთან და მისგანაც სხვადასხვაგვარ ზეგავლენას განიცდიან. გოგონები და ქალები კონკრეტული პრობლემების წინაშე დგებიან საჯარო სერვისების მიღებისას, რასაც უშუალო შედეგები მოსდევს სოფლებისა და ქალაქების განვითარების დაგეგმვის და მმართველობის თვალსაზრისით. ყველა მუნიციპალური ფუნქცია, რომელიც ზეგავლენას ახდენს მოსახლეობაზე, უნდა განიხილებოდეს იმ კუთხით, თუ რამდენად პასუხობს იგი ქალებისა და მამაკაცების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.

ადგილობრივ თვითმმართველობას, თავისი პოზიციიდან გამომდინარე, უკეთესად ხელეწიფება ქალებისა და გოგონების პრობლემებთან გამკლავება, უთანასწორობასთან ბრძოლა, ჩართულობითი, თანასწორი და სამართლიანი მმართველობის დამკვიდრება და ქალთა და მამაკაცთა განვითარების ხელშეწყობი სოციალური და ფიზიკური გარემოს შექმნა.

გენდერული მენისტრამინგი წარმოადგენს ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის მიღწევის ოფიციალურად აღიარებულ ინსტრუმენტს, რომლის მოთხოვნითაც ყველა სტრატეგია, პროგრამა და პროცესი უნდა ითვალისწინებდეს, რომ მათი შესაძლო ზეგავლენა ქალებსა და მამაკაცებზე, ბიჭებსა და გოგონებზე სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ეს განპირობებულია მოსაზრებებით ქალისა და მამაკაცის განსხვავებული როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ, რის შედეგადაც ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული, ხშირად არათანაბარი წვდომა და ზეგავლენა აქვთ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, რესურსებზე, ინფორმაციაზე, მომსახურებებზე და პროგრამებზე ოჯახსა და საზოგადოებაში.

იმისათვის, რომ მოვახდინოთ ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერულ მენისტრამინგზე ორიენტირება და მოვამზადოთ მტკიცე საფუძველი გენდერული თანასწორობისაკენ მიმართული ძალისხმევისათვის, საჭიროა გარკვეული პირობების შექმნა. უპირველეს ყოვლისა, **საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის სენსიტიზაცია გენდერული თემატიკის მიმართ და მისი შესაძლებლობების გაძლიერება.** ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა დონის მოხელეები უნდა ერკვეოდნენ, თუ რას გულისხმობს გენდერული თანასწორობა და რამდენად სასარგებლო იქნება მისი მიღწევა ადგილობრივი საზოგადოებისათვის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით. ადგილობრივი ხელისუფლების გენდერული კუთხით კომპეტენციის ამაღლების და პოტენციის ზრდის გარეშე, შესაძლებელია ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებისას მოხდეს გენდერული თემატიკის უგულვებლყოფა და მისი უკანა პლანზე გადაწევა. გარდა ამისა, **პოლიტიკური ნება უნდა აისახოს კონკრეტულ ქმედებებში.** კონკრეტული ქმედებების გარეშე დეკლარირება მხოლოდ ცარიელი რიტორიკის დონეზე დარჩება, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს მხოლოდ როგორც საერთაშორისო დონორების გულის მოგების მცდელობა. მნიშვნელოვანია, მოხდეს გენდერული თანასწორობის გადაქცევა პოლიტიკური დღის წესრიგის პრიორიტეტულ მიმართულებად და საამისოდ ადამიანური და ფინანსური რესურსების მობილიზება, გენდერული მენისტრამინგის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავებულ პროგრამებში და სტრატეგიებში. ამის მისაღწევად საჭიროა შეიქმნას ტექნიკური სისტემა, რომლის მეშვეობითაც შეგროვდება და გაანალიზდება სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები, რაც საკვანძო მნიშვნელობისაა ისეთი სტრატეგიებისა და საჯარო სერვისების შესამუშავებლად, რომლებიც ყველაზე მეტად პასუხობს ქალებისა და მამაკაცების, გოგონებისა და ვაჟების საჭიროებებს. მომსახურების მიწოდების სერვისების სტანდარტებსა და მეთოდებში ქალებისა და გოგონების საჭიროებების, პრიორიტეტების და მდგომარეობის რეალურად გათვალისწინება გამოიწვევს საჯარო სერვისების უკეთ დაგეგმვას, რაც მომსახურების მიწოდებას და ადგილობრივ ბიუჯეტს გენდერულად ორიენტირებულს და, შესაბამისად, უფრო ეფექტურს გახდის. მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურები, რომლებიც შეისწავლიან ქალებისა და გოგონების შრომით საქმიანობას, სავარაუდოდ, აღმოაჩენენ, რომ ქალებს უწევთ აუნაზღაურებელი შრომა ოჯახში მოვლისა და მზრუნველობის, ოჯახური და სამეურნეო საქმიანობის მხრივ, რითაც თავის თავზე იღებენ თავიანთი ოჯახებისა და თემებისათვის „მომსახურების მიწოდების“ როლს. თუკი პრიორიტეტული გახდება ბავშვთა მზრუნველობისა და ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი სერვისების მიწოდება (მაგ. სკოლისშემდგომი კლასგარეშე პროგრამები ბავშვებისათვის, დროებითი მზრუნველობა მოხუცებისათვის, ოჯახში მომსახურების სერვისები), ამით მნიშვნელოვნად შემცირდება ქალების აუნაზღაურებელი სამუშაო დატვირთვა.



## თავი 2. გენდერული თანასწორობის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში

გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული კანონმდებლობა მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ქალთა უფლებების და პოლიტიკაში მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, რაც შესაბამისობაშია ისეთი საერთაშორისო ვალდებულებებისა და ხელშეკრულებების მოთხოვნებთან, როგორც ბიცაა კონვენცია ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), პეკინის სამოქმედო პლატფორმა და ათასწლეულის განვითარების ამოცანები. გარდა ამისა, 2014 წელს ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება, გენდერულ საკითხს მიანიჭოს პრიორიტეტული მნიშვნელობა. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი 2014-2016 წლებისათვის შედგენილია იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს ასოცირების შეთანხმების შესრულებას, რომლის მიხედვითაც საქართველომ იკისრა ვალდებულება, უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა პოლიტიკურ ცხოვრებაში.<sup>1</sup> ასოცირების დღის წესრიგში აღნიშნულია, რომ საქართველომ უნდა უზრუნველყოს ქალთა და მამაკაცთა თანასწორი წარმომადგენლობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის პარლამენტში, მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფლებაში<sup>2</sup>.

საქართველომ, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის ქალთა უფლებების დამცავი ძირითადი დოკუმენტების ხელმომწერმა, იკისრა ვალდებულება, ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას ქვეყნის კანონმდებლობაში, სტრატეგიებში და პროგრამებში გენდერული მიდგომების დანერგვის გზით.

სახელმწიფოს დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ აღბეჭდილია **საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში**, რომელშიც ვკითხულობთ: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

„გენდერულად ნეიტრალური“ ტერმინოლოგია და სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის ზოგადი აღიარება თითქმის ყველა ძირითად საკანონმდებლო აქტში გვხვდება. თუმცა, ეს ზოგადი დებულებები არ არის გამაგრებული თანასწორობის მისაღწევად საჭირო ქმედითი საკანონმდებლო მექანიზმებით და კონკრეტული ღონისძიებებით. მაგალითად, საქართველოს საარჩევნო კოდექსი აღიარებს ქალისა და მამაკაცის თანაბარ აქტიურ და პასიურ პოლიტიკურ უფლებებს. თუმცა, კონკრეტული (დროებითი ან მუდმივი) ღონისძიებების არარსებობას, რაც ქმედითს გახდიდა ამ ზოგად დებულებებს, მივყავართ არჩევით ორგანოებში ქალების უკიდურესად დაბალ წარმომადგენლობამდე.<sup>3</sup>

გასული ათწლეული ერთგვარი წყალგამყოფი იყო ქალთა გაძლიერების მხრივ, რაც აღინიშნა გენდერული თანასწორობისათვის საკანონმდებლო ჩარჩოსა და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნით. საქართველომ, როგორც ათასწლეულის განვითარების ამოცანების (MDG) ხელმომწერმა ქვეყანამ, ვალდებულება აიღო, 2015 წლისათვის მიეღწია ათასწლეულის განვითარების მე-3 ამოცანისათვის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერება“ და შეიმუშავა მისი შესრულების სტრატეგიული გეგმა, რომლის ძირითადი მიზანი იყო თანასწორობა დასაქმებაში და თანაბარი წვდომა პოლიტიკურ საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე. შედეგად შეიქმნა ორი ახალი სტრუქტურა: 2004 წ. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო და აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით მოქმედი გენდერული თანასწორობის საკითხთა სამთავრობო კომისია.

საბჭო იყო გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად შექმნილი პირველი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების შეკრებას გენდერულ საკითხებზე მსჯელობისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის, რაც შესაძლებელს გახდიდა ქალთა ხმის სათანადოდ გათვალისწინებას საჯარო პოლიტიკის შემუშავებისა და ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისას.

1 საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება და ასოცირების დღის წესრიგი 2014-2016 წწ, ნან. 2.1 პოლიტიკური დიალოგი და რეფორმები, სექცია: თანასწორი მოპყრობა.

2 ზემოთ მოყვანილი შენიშვნა 2, 7-ე მუხლი

3 ანგარიში მოამზადა ქალთა უფლებების დამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში, 12 ივლისი, 2010 წ., გვ. 2.

გაეროს სააგენტოების, ქალთა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და გენდერული თანასწორობის საბჭოს ინტენსიური ლობირების შედეგად, საქართველოს პარლამენტმა 2010წ. 27 მარტს მიიღო „**კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ**“. კანონი განსაზღვრავს იმ მექანიზმებს და გარანტიებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გენდერული თანასწორობა შრომითი და საოჯახო ურთიერთობებისას, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროებში, აგრეთვე ქალების თანასწორი მონაწილეობა მაღალი დონის წარმომადგენლობით ორგანოებში. „**წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის უფლების რეალიზაციისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ორივე სქესის პირთა თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა**“. კანონით, გენდერული თანასწორობის საბჭოს ენიჭება მუდმივმოქმედი სტატუსი და მან უნდა განახორციელოს საკანონმდებლო აქტების გენდერული ანალიზი, შეიმუშავოს რეკომენდაციები და პარლამენტს წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში.

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის ეფექტური განხორციელების მიზნით შემუშავდა ეროვნული სამოქმედო გეგმა (პირველი მოიცავდა 2011-2013 წლებს, მეორე - 2014-2016, ხოლო მესამე - 2017-2019 - განხორციელების სტადიაში). ეროვნული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ისეთი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გენდერული თანასწორობა სამოქალაქო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, როგორცაა, მაგალითად, გენდერული მენისტრინგის განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებში, მამაკაცებისა და ქალების თანაბარი მონაწილეობის ნახალისება ეკონომიკაში, გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესება, სახელმწიფო ბიუჯეტირების პროცესში გენდერულ საკითხთა ინსტიტუციონალიზაციის მხარდაჭერა, გადანყვეტილების მღებაში ქალთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა მშვიდობის და აღმშენებლობის საკითხებზე და სხვ.

მართალია, კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ მეტად სასარგებლო მექანიზმს წარმოადგენს გენდერულ საკითხებზე მთავრობის მუშაობის გასაუმჯობესებლად და ნაკისრ ვალდებულებებზე ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება შორსაა სასურველისაგან. კანონსა და ქალთა რეალურ ცხოვრებას შორის არსებული სხვაობა მხოლოდ ამ დოკუმენტებით დიდად არ იცვლება.

ეკროკავშირში სახელმწიფოს განევიანებით დაინტერესებამ ხელი შეუწყო ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებას, რომელიც მოიცავს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის თემასაც და, ამასთან, უფრო ფართოდ განიხილავს გენდერულ საკითხებს. 2014წ. ცხარე დისკუსიების შემდეგ მიღებულ იქნა **საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ანტიდისკრიმინაციული კანონი)**. კანონი ცალსახად კრძალავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, რასობრივი, კანის ფერის, ენობრივი, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, სქესის, ორსულობისა თუ დედობის, ოჯახური ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკის, ეროვნების, წარმოშობის, დაბადების ან საცხოვრებელი ადგილის, ადგილნაცვალობის, მატერიალური ან სოციალური მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური ან სხვა ნიშნის საფუძველზე (1-ლი და მე-2 მუხლი). კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს მისი მოქმედების სფეროს და ადგენს, რომ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც შეესაბამება დისკრიმინაციის შესახებ მოთხოვნებსა და აკრძალავს. მართალია, ეს კანონი წინგადადგმული ნაბიჯია ქალთა ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან დასაცავად და მან შეიძლება უზრუნველყოს გადანყვეტილებების მიღების პროცესებში ქალთა ეფექტური ჩართვა, მაგრამ იმ სანქციებისა და კონკრეტული დამცავი მექანიზმების არარსებობა, რომლებიც სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციისაგან დაზარალებულთ საშუალებას მისცემდა, სათანადო იურიდიულ საფუძველზე მიემართათ შესაბამისი ორგანოებისათვის, არის ძირითადი მიზეზი, რაც აფერხებს ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტურ აღსრულებას.

ქალთა გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯი იყო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც **2017 წლის 19 მაისს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებიდან** მალევე იქნა მიღებული. ცვლილებები და დამატებები შევიდა კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ. განისაზღვრა მთავრობისა და პარლამენტის როლი გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს მთავრობასთან შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

უნყებათაშორისი კომისიის შექმნა და მისი თანამშრომლობა სხვა ეროვნულ სტრუქტურებთან მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ხელშეწყობას და მისი ეფექტურობის ამაღლებას. ამას გარდა, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის ეფექტური დანერგვისთვის, შესაბამისი ცვლილებები და შესწორებები შევიდა საქართველოს ორგანულ კანონში თვითმმართველობის შესახებ, საქართველოს კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ და ეროვნულ სამოქმედო გეგმაში. საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს საკრებულოებში **გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოების** და მერის გენდერულ საკითხებზე მრჩევლის თანამდებობის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების ეფექტურ ქმედებებს გენდერული თანასწორობის საკითხებში და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებულ მუშაობას. აღსანიშნავია, რომ 2013 წ. გენდერული თანასწორობის საბჭოები პირველად შეიქმნა და მათი პილოტირება მოხდა დასავლეთ საქართველოს ოთხ მუნიციპალიტეტში ფონდი „სოხუმის“ ინიციატივით. გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნის შემდეგ თვალსაჩინო და ხელშესახები ცვლილებები გამოიხატა მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა გენდერულ სენსიტიზაციასა და გადანყვეტილებების მიღების პროცესში გენდერული ხედვის გათვალისწინების მნიშვნელობის გაცნობიერებაში. ეს ადასტურებს, რომ ამ ინსტიტუტს აქვს პოტენციალი, შეასრულოს ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებისას ქალთა პოზიციების გაძლიერების და გენდერული მეინსტრიმინგის ეფექტური მექანიზმის ფუნქცია.

ქალთა საინფორმაციო ცენტრის ძალისხმევით გენდერულ საკითხებში მრჩევლის ინსტიტუტმა სერიოზულად შეუწყო ხელი საქართველოს 49 მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებში მრჩევლების დანიშვნას. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ადვოკატირების შედეგად, რომელიც საკანონმდებლო შესწორებების გზით ორივე მექანიზმის ინსტიტუციონალიზაციას ისახავდა მიზნად, მოხერხდა ქალაქის საკრებულოებში გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მერების გენდერულ საკითხებში მრჩევლის თანამდებობების ფორმალური ინსტიტუციონალიზაცია.

ამკარაა, რომ საქართველომ შექმნა მრავალმხრივი საკანონმდებლო და პოლიტიკური ჩარჩო გენდერული თანასწორობისათვის როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე. ამას გარდა, არსებობს რწმენა, რომ განხორციელებულ ცვლილებებს აქვს პოტენციალი, გაზარდოს გენდერული თანასწორობის საკითხთა მნიშვნელობა, უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა და განამტკიცოს ქალთა პოზიციები ადგილობრივ დონეზე. თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ამგვარი სახელმძღვანელო ჩარჩოს არსებობის მიუხედავად, ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესი არ არის ავტომატურად გენდერულად ორიენტირებული, არ ხდება ქალთა და მამაკაცთა, გოგონებისა და ვაჟების თანაბარი ჩართულობა. კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს არსებული კანონების აღსრულება და ორივე ინსტიტუტის ჯეროვანი მუშაობა. ინსტიტუციური მდგრადობის, ანგარიშვალდებულების მექანიზმების, ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ვალდებულებების გარეშე ორივე ინსტიტუტი შეიძლება უფუნქციო და არაეფექტურ სტრუქტურად იქცეს, რომლებიც ვერ მოახერხებენ ადგილობრივ დონეზე გადანყვეტილებების მიღებისას გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვას და სასურველი ცვლილებების გატარებას.

### თავი 3. პირობების შექმნა გენდერულ მიდგომაზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობისათვის

ამ თავში განხილულია გენდერულად ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის მოდელი, რომლის დანერგვა და პილოტირებაც პირველად განხორციელდა დასავლეთ საქართველოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „სოხუმის“ მიერ. წარმოდგენილია გენდერულად ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ინიციატივები, რაც მოიცავს პოლიტიკის შემუშავებას ჩართულობისა და მონაწილეობის საფუძველზე, ადგილობრივი გენდერული სამოქმედო გეგმების შემუშავებას, ქალთა საჭიროებების ანალიზზე დაფუძნებული კონკრეტული ადგილობრივი პროგრამების ფინანსებით უზრუნველყოფას. მოცემულია კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ შეუძლია ადგილობრივ ხელისუფლებას წარმართოს გენდერულად ორიენტირებული პროცესები და აქტივობები და როგორ განხორციელდა პრაქტიკაში გენდერული მეინსტრიმინგის ცალკეული კომპონენტები.

### 3.1 ადგილობრივ დონეზე გენდერული მენისტრინგის ინიციატივების პრაქტიკის შესწავლა – გენდერული საკონსულტაციო საბჭოების პილოტირება საქართველოს ოთხ რეგიონში

კულტურულ-ჰუმანიტარულმა ფონდმა „სოხუმმა“ შეიმუშავა და განახორციელა პროექტი „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“ დასავლეთ საქართველოს ოთხ ქალაქში – ქუთაისში, ოზურგეთში, სენაკსა და ბათუმში. ეს იყო ადგილობრივ დონეზე ჩართულობითი და ეფექტური გენდერული მენისტრინგის მექანიზმის შექმნის პირველი მცდელობა. იდეას მხარი დაუჭირეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ფონდმა და აშშ საელჩომ საქართველოში. მისი განხორციელება დაიწყო 2013 წ. და დასრულდა 2016 წ.

პროექტი მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოს ოთხ მუნიციპალიტეტში გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შექმნითა და მისი შესაძლებლობების გაძლიერებით ქალთა მონაწილეობის გაზრდას ადგილობრივ თვითმმართველობაში და გადანყვეტილებების მიღების პროცესში. გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციები მოიცავდა: გენდერულად ორიენტირებული პროგრამების, სტრატეგიებისა და ბიუჯეტების შემუშავებაში მონაწილეობას; მუნიციპალიტეტების მიერ გენდერული მენისტრინგის მიმართულებით განხორციელებული ან მიმდინარე მოქმედებების მონიტორინგსა და შეფასებას, თემებთან ურთიერთობას და საზოგადოების გენდერული საჭიროებების შეფასებას; ადგილობრივი ხელისუფლებისათვის გენდერულად ორიენტირებული რეკომენდაციების და საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას და ლობირებას. გენდერული საკონსულტაციო საბჭოს **პილოტირებას, რაც ადგილობრივ მუნიციპალურ დონეზე გენდერული მენისტრინგის პირველ ინსტიტუციურ მექანიზმს** წარმოადგენდა, უნდა მოჰყოლოდა მსგავსი სტრუქტურების შექმნა სხვა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში და ასევე მისი მდგრადობის გაძლიერება შესაბამის კანონებში ცვლილებების შეტანის გზით (საქართველოს ორგანულ კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და საქართველოს კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ).

ამ მიზნების მისაღწევად ფონდმა „სოხუმმა“ დაისახა შემდეგი ამოცანები:

- გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მეშვეობით ქალთა ჩართულობის გაზრდა გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად;
- ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება გენდერული თანასწორობისა და მუნიციპალურ დონეზე გადანყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით;
- თემების მობილიზება ქალთა ჩართულობის მხარდასაჭერად და გენდერულად ორიენტირებული პროგრამებისა და ბიუჯეტების ადვოკატირება;
- საქართველოს ეროვნულ სამოქმედო გეგმაში და საქართველოს ორგანულ კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ცვლილებების მხარდაჭერა ქალაქების საკრებულოებში გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნასთან დაკავშირებით.

გენდერულად ორიენტირებული მმართველობის იდეის რეალობაში დასამკვიდრებლად გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

**გენდერული საკონსულტაციო საბჭოების დაარსება:** ხანგრძლივმა სამუშაო გამოცდილებაში, ადგილებზე გადანყვეტილებების მიმღებ წრეებთან და საჯარო მოხელეებთან ურთიერთობაზე დამყარებულმა ურთიერთობებმა, მაღალმა რეპუტაციამ და სხვადასხვა გენდერულ საკითხზე ადრინდელმა თანამშრომლობამ შესაძლებლობა მისცა ფონდ „სოხუმს“, დაერწმუნებინა ადგილებზე სახელისუფლებო წრეები, დაეწყოთ მუშაობა თავიანთ მუნიციპალიტეტებში გენდერული მენისტრინგის პირველი მექანიზმების შექმნაზე. ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი და დაიწყო აქტიური მუშაობა. დაფუძნებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ძლიერ მხარეს წარმოადგენდა სტრატეგიული გადანყვეტილება, გაეხადათ მათი სტრუქტურა მაქსიმალურად ჩართულობითი და მრავალფეროვანი. საბჭოს წევრები წარმოადგენდნენ მოსახლეობის ჯგუფებს სხვადასხვა სფეროდან, მათ შორის ადგილობრივ თანამდებობის პირებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, ადგილობრივი თემის ლიდერებს (როგორც იძულებით გადაადგილებული პირებიდან - იგპ, ასევე ადგილობრივი მოსახლეობიდან), მასმედიას და კერძო სექ-

ტორს. ყოველ საბჭოში იყო 15 წევრი (5 ადგილობრივი ხელისუფლებიდან და 10 სამოქალაქო საზოგადოებიდან). სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელთა ჩართულობამ მათ საშუალება მისცა, განსხვავებული კუთხით დაენახათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის აქტუალური პრობლემები და დაეხმარა, პრობლემების მოგვარების გზების ძიებისას ემოქმედათ უფრო ეფექტურად.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მუშაობაში ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობამ (არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი, ჟურნალისტები, იგპ, თემის ლიდერები) და ფართო საზოგადოებასთან მუდმივმა კონსულტაციებმა. გაცილებით ძლიერი გახდა საბჭოების წევრების ხმა და უფრო მეტი ღირებულება და მნიშვნელობა შესძინა მის მუშაობას. ერთობლივი მოქმედება გაცილებით ეფექტური აღმოჩნდა პოლიტიკოსების ყურადღების მისაპყრობად და საზოგადოების მოთხოვნის განსამტკიცებლად.

**ადგილობრივ თანამდებობის პირთა კომპეტენციის ამაღლება.** ადგილობრივ ხელისუფალთა უნარების და კომპეტენციის განვითარება პროგრამის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი იყო. აქტივობების უმეტესი ნაწილი გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრების ირგვლივ იყო კონცენტრირებული, თუმცა მასში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელიც, რომელთა უმეტესობა მამაკაცი იყო. მუშაობის პროცესში ნათელი გახდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მაღალი თანამდებობის პირები განიცდიდნენ ინფორმაციის და ცოდნის ნაკლებობას ისეთ თემებზე, როგორებიცაა: გენდერული კონცეფცია, გენდერული მეინსტრიმინგის მნიშვნელობა, გენდერულად ორიენტირებული ადგილობრივი ხელისუფლება, გენდერული ბიუჯეტირება და ა.შ. მათი ინფორმირებულობა შემოისაზღვრებოდა მხოლოდ იმის გაგებით, რომ ცვალებადი გარემო და ევროკავშირისკენ ქვეყნის სწრაფვა მოითხოვს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდას. გენდერულ და გენდერულად ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის თემატიკაზე ჩატარდა 3 ტრენინგი, რამაც განავითარა ადგილობრივი ხელისუფლების მოხელეთა უნარები გენდერულ საკითხებში და შექმნა ნაყოფიერი ნიადაგი და მეგობრული ატმოსფერო საბჭოსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობისა და საერთო მიზნისთვის, გენდერული მეინსტრიმინგის დასაწერად ადგილობრივ პოლიტიკაში.

### **ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება და ჩართულობა ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში**

ფართო საზოგადოებასთან საინფორმაციო შეხვედრების საშუალებით, რომელშიც მონაწილეობდნენ გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები, თემის ლიდერები (იგპ, ადგილობრივი მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობების სახით), ქალები ამომრჩეველთა კლუბიდან და ჟურნალისტები, მოხერხდა ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, გენდერული თანასწორობის საკითხის წინ წამოწევა და ილუსტრირება იმისა, თუ როგორ შეუძლია თემებს ადგილობრივ თვითმმართველობასთან მუშაობა, თავიანთი პრობლემების ადვოკატირება და მათი მოგვარების გზების ძიება.

პროექტის მიმდინარეობისას სისტემატურად იმართებოდა შეხვედრები საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომელთა უმეტესობა ქალები იყვნენ. ეს შეხვედრები პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპონენტი აღმოჩნდა, რადგან ისინი საშუალებას აძლევდა ქალებს, მიელოთ ინფორმაცია, საშუალოზე გამოეტანათ თავიანთი საჭიროებები და საზრუნავი, შეეთავაზებინათ მათი გადწყვეტის გზები გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის. შეხვედრებზე განიხილებოდა საკითხთა ფართო წრე, რომელთა შორის იყო საგზაო უსაფრთხოება სკოლის მოსწავლეებისთვის, მარტოხელა ქალის შემთხვევა, რომელსაც შეუწყვიტეს სოციალური დახმარება, მანანალა ძალები, ზოგ ქუჩასა და უბანში რეკრეაციული სივრცის არარსებობა, სათამაშოების ნაკლებობა ბავა-ბალებში, ქუჩებისა და ეზოების არასაკმარისი განათება და ა.შ. ამგვარმა მიდგომამ ეფექტურად შეასრულა ინფორმაციის ურთიერთგაზიარების მექანიზმის ფუნქცია და ჩამოაყალიბა ინტერაქტიული და ანგარიშვალდებულებაზე დამყარებული ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. საზოგადოების წარმომადგენლებსა და საბჭოს წევრებს, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების არჩეულ წარმომადგენლებს, შორის ინფორმაციის რეგულარული ურთიერთგაცვლის შედეგად გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ მოახერხა პოტენციური პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე მუშაობა. მაგალითად, ქალთა ადვოკატირების ფარგლებში დაისვა 55 პრობლემური საკითხი, რომელთაგანაც 15 წარმატებით გადაიჭრა.

თემის რესურსებზე დაყრდნობით გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ თავისი ძალისხმევა მიმართა სპეციალური პროგრამების შემუშავებისკენ პრობლემების მოსაგვარებლად, ამ პრობლემების შესახებ შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ინფორმაციის მიტანას და მათი გადაწყვეტის ან მომავალ ადგილობრივ ბიუჯეტში საჭირო ფინანსური რესურსების გამოყოფის ადვოკატირებას. ამგვარი შეხვედრები იძლეოდა ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობას, ჩამოყალიბდა ფორუმი, რომელზეც ხდებოდა საკითხების წამოჭრა და განხილვა, პრობლემების გადასაწყვეტად იდეებისა და მოსაზრებების ურთიერთგაზიარება. მეტიც, იგი მონაწილეებს აძლევდა საშუალებას, ეთათბირათ განვითარების შესაძლებლობებზე და მიეღოთ საზოგადოების საჭიროებების მოგვარებისაკენ მიმართული გადაწყვეტილებები.

**მედიაკამპანია:** ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული კამპანიის შედეგად, გენდერულმა საკითხებმა და მოსახლეობის გენდერულმა საჭიროებებმა, გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მუშაობამ და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში ქალთა მეტი ჩართულობის მნიშვნელობის თემატიკამ მყარად მოიკიდა ფეხი მასმედიაში. ადგილობრივი მედიასაშუალებებით გავრცელდა მრავალი სატელევიზიო რეპორტაჟი და თოქშოუ, რადიოგადაცემა, საგაზეთო სტატია, გამოქვეყნდა მასალები ონლაინ პუბლიკაციებითა თუ ახალი ამბების სააგენტოების საშუალებით. რეგიონულ მედიასაშუალებებთან და ჟურნალისტებთან თანამშრომლობა პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა ცნობიერების ამაღლებაში, გენდერული საკონსულტაციო საბჭოების აქტივობებისა და მიღწევების გავრცელების საქმეში ჟურნალისტების ჩართულობის ხარისხმა დიდწილად განაპირობა მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფალთა შორის გენდერული საკითხების შესახებ გაზრდილი ინფორმირებულობა და მათი აქტიური მონაწილეობა.

ნათელი გახდა, რომ ამგვარმა ფართო საინფორმაციო შეხვედრებმა, სემინარებმა და მედიაკამპანიამ ბევრ ქალს უზიდავს არჩევნებში მონაწილეობისა და კენჭისყრისკენ, რამაც ხელშეახლები შედეგიც გამოიღო. პროექტი, პირდაპირ თუ ირიბად (მედიაკამპანიის მეშვეობით) შეეხო 43 კანდიდატ ქალს და 42,000-ზე მეტ ქალსა და მამაკაცს. 2013 წლის ადგილობრივ არჩევნებში სამიზნე ქალაქების საკრებულოების დეპუტატად არჩეული იქნა 21 ქალი, რაც ორჯერ მეტი იყო 2009 წლის ადგილობრივ არჩევნებზე არჩეულ ქალთა რაოდენობაზე (მხოლოდ 10).

ამგვარი შედეგები შეიძლება განპირობებული იყოს თემების პრობლემების და მათი გადაჭრის გზების უკეთესად გაცნობით გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მუშაობის შედეგად, რამაც ხელი შეუწყო ქალ კანდიდატებს წინასაარჩევნო კამპანიის წარმატებით წარმართვაში, მათ შორის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზებით.

**გენდერული საჭიროებების შეფასება, გენდერული სამოქმედო გეგმა და გენდერული ბიუჯეტირება:** აღმოჩნდა, რომ პროექტის სამიზნე რეგიონებში არასოდეს ჩატარებულა მოსახლეობის კომპლექსური და სისტემური გენდერული საჭიროებების კვლევა, მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის და კონსულტაციების გზით, რომელშიც აისახებოდა არსებული პრობლემები და რეკომენდაციები მათ გადასაწყვეტად. შესაბამისად, მუნიციპალური პროგრამები და ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტები არ იყო გენდერულად ორიენტირებული და არ ასახავდა რომელიმე გენდერულ მიდგომას. გენდერული საჭიროებების შეფასება პირველად ჩატარეს საბჭოს წევრებმა. ის მოიცავდა ოთხ სამიზნე რეგიონს, სადაც გამოიკითხა მოსახლეობის ფართო ჯგუფები, მათ შორის იგპ ქალები, სოციალურად დაუცველი პირები, ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრები, გენდერული ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეფასების შედეგები საფუძვლად დაედო არა მარტო მოსახლეობის გენდერული საჭიროებების შესწავლას, არამედ კარგი პლატფორმა გამოდგა პოლიტიკის შემუშავებისათვის და წარმოადგინდა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დასაბუთებას ადგილობრივი ხელისუფლებისგან დაფინანსების მოთხოვნისათვის. იგი გახდა პირველი ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ფართო მონაწილეობითა და კონსულტაციებით.

მართალია, საჭიროებათა კვლევის შედეგად გამოვლენილი ყველა პრობლემა და მათი გადაწყვეტის შეთავაზებული გზები მთლიანად არ ასახულა ადგილობრივ პროგრამებსა და ბიუჯეტებში, თუმცა მოხდა მრავალი მათგანის გათვალისწინება. კვლევის კვალდაკვალ მუნიციპალიტეტებში შემუშავდა გენდერული სამოქმედო გეგმა. საჭიროებათა კვლევაში მოცემულ რეკომენდაციათა 53% აისახა ადგილობრივ პროგრამებსა და გეგმებში. სამიზნე ადგილებში დაიწყო და განხორციელდა ოცი გენ-

დერული პროექტი, რომელთაგან 16 თანადაფინანსებული იყო ფონდი „სოხუმის“ მიერ, ხოლო 4 კი სრულად დაფინანსდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ (ოზურგეთში).

ფონდმა „სოხუმმა“ შეიმუშავა ადგილობრივი ბიუჯეტების გენდერული ანალიზისა და გენდერულ საჭიროებათა შეფასების მეთოდოლოგია და მრავალი ტრენინგის საშუალებით მოამზადა გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლები პრაქტიკაში მისი გამოყენებისთვის. ტრენინგებში მონაწილეობამ და საჭიროებათა შეფასებამ მნიშვნელოვნად აამაღლა ადგილობრივ ხელისუფალთა და საბჭოს წევრების ცოდნა და უნარები, შეცვალა მათი აზროვნების მიმართულება გენდერული თვალსაზრისით, რაც აშკარად გამოიხატა გენდერულად ორიენტირებული გეგმების ინტეგრაციაში ადგილობრივ პროგრამებსა და ბიუჯეტებში. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოში, როცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაამტკიცა გენდერული სამოქმედო გეგმა და ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყო ფინანსური რესურსები შემოთავაზებული აქტივობების განსახორციელებლად. ეს შეიძლება ჩაითვალოს ამ პროექტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად. მართალია, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრებისათვის გენდერულ საკითხებზე გამოყოფილი თანხები საკმაოდ მოკრძალებულია, თუმცა „გენდერულად ორიენტირებული ბიუჯეტირება“ ოფიციალურად პირველად გამოჩნდა საკრებულოების 2015–2016 წლების მარეგულირებელ და დაგეგმვის დოკუმენტებში, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების **არაფორმალურმა ქსელმა**, რომელიც ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად შეიქმნა, უდაოდ უფრო ფართო ასპარეზზე გაიყვანა გენდერული საკონსულტაციო საბჭოები, როგორც გენდერული მენსტრიმინგის მოდელი საქართველოს სხვა რეგიონებისათვის. თუმცა ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ადრეც ურთიერთობდნენ ერთმანეთთან გარკვეულ დონეზე, მათ აკლდათ სათანადო თანამშრომლობა და კომუნიკაცია. თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელმოწერით და ქსელის შექმნით ფონდმა „სოხუმმა“ ერთმანეთს დაუკავშირა მუნიციპალიტეტები და მათი გენდერული საკონსულტაციო საბჭოები, რითაც გააღრმავა მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობა. მან შესაძლებლობა მისცა მუნიციპალიტეტებს, არა მარტო მჭიდროდ ეთანამშრომლათ ერთმანეთთან, არამედ ერთობლივად ჩართულიყვნენ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. აღსანიშნავია, რომ საპილოტე პროგრამის ფარგლებში შექმნილი გენდერული საკონსულტაციო საბჭოები მაგალითი გახდა სხვა მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი მთავრობებისათვის. რამდენიმე სხვა მუნიციპალიტეტმაც გამოხატა ძლიერი ინტერესი, გაეგრძელებინა ეს გამოცდილება. იმერეთის სხვადასხვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ფონდ „სოხუმს“ ხშირად მიმართავდნენ თხოვნით, დახმარებოდნენ გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შექმნაში. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი დასრულდა და ფონდ „სოხუმს“ არ მიუღია შემდგომი მხარდაჭერა გენდერული მენსტრიმინგის წარმატებული მექანიზმის უფრო ფართოდ გავრცელებისათვის, იგი ნებაყოფლობით აგრძელებს გამოცდილების გაზიარებას და ადამიანური რესურსებით დახმარებას იმ მუნიციპალიტეტებისათვის, რომლებიც ქმნიან გენდერულ საკონსულტაციო საბჭოებს ადგილებზე.

ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე გენდერული მენსტრიმინგის ისეთი ინსტიტუციური მექანიზმის შექმნით, როგორცაა გენდერული საკონსულტაციო საბჭო, საპილოტე პროექტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნას. ამ მექანიზმის პილოტირებამ მიგვიყვანა ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე სამართლებრივი ბაზის ინტენსიური ცვლილებების საჭიროებამდე და შეიმუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები და ცვლილებები შესაბამის კანონებსა და რეგულაციებში. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებამ დაადასტურა, რომ გენდერულ საკონსულტაციო საბჭოებს მძლავრი პოტენციალი გააჩნიათ, რათა დაამკვიდრონ ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა და მათი ურთიერთთანამშრომლობა, ამგვარად, ხელი შეუწყონ ქალთა გაძლიერებას და უზრუნველყონ მონაწილეობითი და გენდერულად ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობა. თუმცა, რეალურ ცხოვრებაში ბევრი გამოწვევა რჩება, რომელიც ხელს უშლის გენდერული თანასწორობის საბჭოების ეფექტურ მოქმედებას გენდერული მენსტრიმინგის მიმართულებით და აბრკოლებს ადგილობრივი პოლიტიკის გენდერულად ორიენტირებულობას. ეს ფაქტორები დაწვრილებით იქნება განხილული შემდეგ ნაწილში.

## 3.2 ადგილობრივ დონეზე გენდერული მენისტრიმინგის დასაწარმად არსებული ინსტიტუციური შესაძლებლობები და გამოწვევები

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობისა და ადვოკატირების შედეგად მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ხელსაყრელი პირობები შექმნა გენდერული საკონსულტაციო საბჭოების უფრო მაღალ დონეზე აყვანისათვის, რაც გამოიხატა შესაბამის კანონებში შეტანილ ცვლილებებში. კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ და საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ცალსახად მოითხოვს საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში **გენდერული თანასწორობის საბჭოს** შექმნას, რამაც უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტებში გენდერულ საკითხებზე სისტემატური მუშაობა.<sup>1</sup> ახალი ცვლილებების თანახმად, საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.

გარდა ამისა, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელის (შემდგომში **მრჩეველი გენდერულ საკითხებში**) დანიშვნას შეუძლია უზრუნველყოს თანამშრომლობა საკრებულოებსა (ადგილობრივი სათათბირო ორგანო) და გამგეობებს (ადგილობრივი ადმინისტრაცია) შორის. კანონის თანახმად, მერი ნიშნავს გენდერულ საკითხებში მრჩეველს, რომელიც პასუხისმგებელია გენდერულ საკითხებზე შესაბამის გამგეობაში ან მერიაში. მას ევალება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დისკრიმინაციის ნებისმიერი გამოვლინების შესახებ შეტყობინების გაკეთება და მის აღმოსაფხვრელად შესაბამისი რეკომენდაციის მომზადება. მრჩეველი გენდერულ საკითხებში ინიშნება ან განთავისუფლდება მერის მიერ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

უნდა ველოდოთ, რომ მრჩეველი გენდერულ საკითხებზე დაამყარებს კავშირებს და ხელს შეუწყობს თანამშრომლობას გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციაში გადანაცვეტილებების მიმღებ წრეებს შორის.

მიუხედავად საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს რეფორმირებაში მიღწეული თვალსაჩინო პროგრესისა, კვლავაც რჩება რიგი დაბრკოლებებისა და გამოწვევებისა, რამაც შეიძლება შეაფერხოს გენდერული მენისტრიმინგის არსებული მექანიზმების მდგრადი მუშაობა, რომელთა დაძლევაც სამომავლოდ დიდ ყურადღებასა და კომპლექსურ ძალისხმევას მოითხოვს.

საქართველოს კანონში საჯარო მოხელეთა შესახებ ბოლოდროინდელი ცვლილებების თანახმად, მრჩეველებისა და ნებისმიერი პერსონალის დაქირავება, რომელიც ტექნიკურ დახმარებას უწევს ადგილობრივი ხელისუფლების თანამდებობის პირებს, უნდა მოხდეს ხელშეკრულების საფუძველზე და ისინი ველარ ჩაითვლებიან საჯარო მოხელეებად. აღნიშნული მუხლი პირდაპირ ეხება გენდერულ საკითხებზე მრჩეველის თანამდებობას, რადგან იმ პირებს, რომლებიც დაინიშნენ ამ თანამდებობებზე, თავის დროზე გავლილი ჰქონდათ საჯარო მოხელეთა შერჩევის კონკურსი. მათი შერჩევა მოხდა ამ კონკურსის საფუძველზე, მაგრამ კანონში ცვლილებების შედეგად უცებ ჩამოერთვათ საჯარო მოხელის სტატუსი. აღნიშნულმა ვითარებამ გავლენა იქონია მათ მდგომარეობაზე, რადგან ისინი არა მარტო თანამდებობრივად დაქვეითდნენ საჯარო სამსახურის იერარქიაში, არამედ ხელფასებიც მნიშვნელოვნად შეუმცირდათ, რაც აქვეითებს ამ ადამიანების მოტივაციას.

ცენტალურ ბიუჯეტზე ფინანსური დამოკიდებულება „უძღურს“ ხდის ადგილობრივ თვითმმართველობას, გაატაროს უფრო თანმიმდევრული მიდგომები ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისას და გენდერული პრობლემების გადანაცვეტისას. თვითმმართველი ერთეულების მთლიანი შემოსავლებიდან მხოლოდ 5% მოდის ადგილობრივ შემოსავლებზე. დღესდღეობით მეტად შეზღუდული ჩანს მდგრადი განვითარებისათვის დამატებითი რესურსების მოზიდვის, მათ შორის თემების რესურსების მობილიზებისა და კერძო და საჯარო პარტნიორობის გამოყენების შესაძლებლობები. გენდერული თანასწორობის ეროვნული გეგმის განხორციელებისას **გარე დაფინანსების წყაროებზე (დონორებზე) ზედმეტად დამოკიდებულება** სრულიადაც არ უწყობს ხელს გენდერული მენისტრიმინგის დაგეგმვას და მდგრად განხორციელებას.

<sup>1</sup> კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (2010), მუხლი 13 გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ



გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების დროის ნაკლებობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ მათ სხვა მოვალეობებიც აკისრიათ, ასევე რესურსების მოძიების კუთხით გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების სიმწირე არ გვაძლევს საშუალებას, ველოდოთ მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას. ამას გარდა, შეთავაზებული პროექტებისა და აქტივობებისათვის რესურსების მოძიება სულაც არ შედის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების მოვალეობებში. შესაბამისად, ყურადღება უნდა გამახვილდეს გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის შედეგად შეთავაზებული პოლიტიკისა და რეფორმების განსახორციელებლად მდგრადი დაფინანსების დაგეგმვაზე.

ინსტიტუციურ და საკადრო შესაძლებლობებზე დიდ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური ფაქტორები, როგორცაა არჩევნები. ახლადჩატარებულ ადგილობრივ არჩევნებს მოჰყვა ადგილობრივ მთავრობებში და საკრებულოებში შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებები, რის შედეგადაც დაინიშნა გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი წევრები, რომლებიც არ ფლობენ საკმარის ცოდნას გენდერულ საკითხებზე.

ამას გარდა, შესაბამისი კანონების მოთხოვნათა კვალდაკვალ, საჯარო სამსახურში დასანიშნად ყველა კანდიდატმა უნდა გაიაროს საგამოცდო კონკურსი და ატესტაცია<sup>1</sup>, თუმცა, საკონკურსო თემათიკის დეტალურმა შემოწმებამ გამოავლინა, რომ გამოცდებში და ტესტებში არ არის გენდერული საკითხები. **საჯარო სამსახურში თანამდებობების დასაკავებლად ადამიანებს არ მოეთხოვებათ გენდერული თემათიკის ცოდნა.** პოტენციური კანდიდატისადმი სამუშაო მოთხოვნებში არ შედის ისეთი საკითხების ცოდნა, როგორებიცაა გენდერი, გენდერული მეინსტრიმინგი, გენდერულად ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სამსახურის რეფორმირების პროცესში საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს დაეკისრა ვალდებულება, ტრენინგების მეშვეობით აამაღლოს საჯარო მოხელეთა კვალიფიკაცია შემდეგი მიმართულებებით: ერთიანობა და ეთიკურობა, ადამიანური რესურსების მართვა, ლიდერობა, პროექტების მართვა, ელექტრონული მმართველობა, აგრეთვე სხვა პრიორიტეტული მიმართულებები. თუმცა, ტრენინგებში ჩართული არ არის გენდერული საკითხები. ამიტომაც, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა გენდერული სენსიტიზაცია, მათთვის გენდერულ საკითხებზე ტრენინგების ჩატარება დღესდღეობით, სამწუხაროდ, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დონორების მხარდაჭერაზე დამოკიდებულია, რაც, გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს არ უწყობს ადგილობრივ დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის მექანიზმების მდგრად ამოქმედებას. ფონდმა „სოხუმმა“ მოამზადა და მიანოდა რეკომენდაციები შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს, მათ შორის ადგილობრივი მთავრობის პერსონალის საატესტაციო კომისიას, საჯარო სამსახურის ბიუროს, საქართველოს პარლამენტს და სახალხო დამცველის ოფისს, რათა მომხდარიყო გენდერული თემათიკის ჩართვა საჯარო მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებში და წერილობით გამოცდებში / ტესტებში. აუცილებელია, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე გადაწყვეტილებების მიმღები წრეების უფრო აქტიური მონაწილეობა გენდერული თანასწორობის საბჭოს და გენდერული მეინსტრიმინგის მექანიზმების მდგრადობისა და განახლებისაკენ მიმართული სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ახალი ინსტიტუციური მექანიზმებისათვის პარლამენტმა დაამტკიცოს სტანდარტული კომპეტენციის ფარგლები და შეიმუშაოს ინსტრუქციები მათი საქმიანობისათვის.

### **გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების ორგანიზაციული მოვალეობები და მათი დატვირთვა.**

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები შეირჩევიან ადგილობრივი მოხელეებისგან, რომელთაც აქვთ სხვა მოვალეობებიც და მათი ჩართულობა გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობაში მათგან დამატებით დროს და ძალისხმევას მოითხოვს. იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს ახალ საქმიანობასთან და მოითხოვს გარკვეულ დროს ისეთი კომპეტენციების განვითარებისათვის, როგორებიცაა გენდერული ანალიზისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, გენდერულად ორიენტირებული დაგეგმვა ან ბიუჯეტირება და ა.შ. კვლავაც გაურკვეველია საბჭოს და მათი წევრების სტატუსი, რა გზით უნდა მოხდეს მათი ორგანული ჩართვა თავიანთი პასუხისმგებლობის სფეროში და საქმიანობის ფორმატში ისე, რომ არ მოხდეს მათი ფუნქციების გადაფარვა. აღნიშნული საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და განიხილული უნდა იქნეს მომავალში, რათა შემცირდეს შერჩეული ადგილობრივი პერსონალის დატვირთვა.

<sup>1</sup> საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, იხილეთ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28312>

**დონორების მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა და ჰორიზონტალური მიდგომის არარსებობა:** პარადოქსია, მაგრამ მაშინ, როცა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი გამოცდილება დაუგროვდათ, გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური გაძლიერების საკითხების მიმართ დონორთა მხრიდან ყურადღებამ ზოგადად კლება დაიწყო. მთავარ გამოწვევად, რაც აბრკოლებს ხელშესახები შედეგების მიღწევას, ქალთა პოლიტიკური გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე დონორთა საზოგადოების მხრიდან გამოყოფილი მწირი რესურსები რჩება. გარდა ამისა, ზოგი დონორი მხოლოდ ფრაგმენტულად და მოკლე ვადით მუშაობს. დონორთა მიერ დაფინანსებული პროექტების უმეტესობა გულისხმობს მოკლევადიან და მცირემასშტაბიან საპროექტო საქმიანობას, რომლებშიც ზოგი წარმატებული ნამონყების მიტოვება შუა გზაში ხდება. მაგალითად, შეიძლება ერთ ეტაპზე მათ დააფინანსონ მეტად მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო პროექტი, მაგრამ არ მოხდეს მისი გაგრძელება შემდეგ ეტაპზე, შეწყდეს შემდგომი განვითარებისა და მიღწევების გაუმჯობესებისა და განვრცობის გარეშე.

გარდა ამისა, დონორები, როგორც წესი, პარტნიორად ირჩევენ არასამთავრობო ორგანიზაცი-ათა მცირე რაოდენობას, რომელთა უმეტესობა დედაქალაქში მუშაობს და იშვიათად თუ ცდილობენ პარტნიორთა წრის გაფართოებას რეგიონებში. ამგვარი მიდგომა, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება ადგილობრივ ხელისუფლებასთან მუშაობას, არა მარტო მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში საჭირო აქტივობებს, არამედ აკნინებს ქალთა სხვადასხვა რეგიონულ ჯგუფში დაგროვილ გამოცდილებასაც. ქალთა რეგიონულ ორგანიზაციებს, რომელნიც ფლობენ ცოდნას, გამოცდილებას, გააჩნიათ ინფორმაცია ადგილებზე არსებული ვითარების შესახებ, აქვთ პირდაპირი, ყოველდღიური კონტაქტი ბენეფიციარებთან, სარგებლობენ მათი ნდობით და, შესაბამისად, შეუძლიათ მიაღწიონ ხელშესახებ შედეგებს და იქონიონ უფრო დიდი და გრძელვადიანი გავლენა ადგილებზე არსებულ მდგომარეობაზე, არა აქვთ საკმარისი მხარდაჭერა, რაც აფერხებს მათ საქმიანობას და ხელს უშლის არსებული ვითარების შეცვლას.

**ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის შიშუშავებაში მოქალაქეთა არასაკმარისი მონაწილეობა და არასაკმარისი საზოგადოებრივი მოთხოვნა,** რომ ადგილობრივი პოლიტიკა გახდეს გენდერულად ორიენტირებული. 2013 წლის მარტში მიღებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაციისა და განვითარების სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდას. ეს მიდგომა აისახა საქართველოს ახალ ორგანულ კანონში თვითმმართველობის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 2014 წელს. თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისას მოქალაქეთა მონაწილეობის ახალ ფორმებს. კანონის მიხედვით, მონაწილეობა უნდა განხორციელდეს ორი გზით. პირველი: გუბერნატორებმა (გამგებლებმა) უნდა გაიარონ კონსულტაციები სოფლის დონეზე, რათა მოამზადონ და განაახლონ სამოქმედო გეგმები. მეორე: მუნიციპალიტეტებმა უნდა შექმნან სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები, რომელთა შემადგენლობის 1/3 სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები უნდა იყვნენ და რომელთანაც უნდა მოხდეს კონსულტირება მუნიციპალური ბიუჯეტის, ადგილობრივი დაგეგმვის, პროგრამების, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების საკითხებზე.<sup>1</sup> ამგვარი შესაძლებლობების მიუხედავად, არ შეიმჩნევა მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ადგილობრივ პროგრამებში არ ხდება გენდერული ხედვების გათვალისწინება. უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო, რომ ეს მექანიზმები ქმედითი გახდეს. გენდერული თანასწორობის საბჭოების დაკავშირება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოებთან შესაძლებელს გახდიდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მუდმივ კონსულტაციებსა და ურთიერთქმედებას ფართო საზოგადოებასთან. მათი ერთობლივი ქმედება შეიძლება უფრო ეფექტური გამოდგეს პოლიტიკის განმსაზღვრელი წრეების ყურადღების გენდერულ საკითხებისკენ მიმართვისა და სოციალური მოთხოვნების ვალიდურობის დემონსტრირების თვალსაზრისით.

ქალების არასაკმარისი მონაწილეობა პოლიტიკაში და საქართველოს საარჩევნო სისტემაში კვოტების შემოტანაზე უარის თქმა დამატებითი და მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომელთაც ბოლო პერიოდის განმავლობაში დააბრკოლეს გენდერული თანასწორობისა და გენდერულად ორიენტირებული პოლიტიკის დამკვიდრება. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა როლის გაძლიერება ბოლო წლებში მეტად აქტიური დებატების საგნად იქცა. 2014 წლიდან დაიწყო ცხარე დისკუსია საქართველოში კვო-

<sup>1</sup> საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 2014 წ. მუხლი 85- 85<sup>1</sup>

ტირების სისტემის შემოღებაზე, როცა საქართველოში ქალთა პოლიტიკური ჩართულობის სამუშაო ჯგუფმა, რომელიც ადგილობრივმა სამოქალაქო საზოგადოებამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა შექმნეს, აქტიური ადვოკატირება გაუწია საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შემოღებას პარლამენტში სავალდებულო პარტიული კვოტების დანერგვის შესახებ. აღსანიშნავია, რომ 2015 წ. 8 მარტს საქართველოს ქალთა მოძრაობამ (არაფორმალური ქალთა გაერთიანება, რომელშიც 600-ზე მეტი აქტივისტი ქალია) ქვეყნის 25 ქალაქში ჩაატარა აქცია „მეტი ქალი პარლამენტში“ პარტიული სიების სავალდებულო კვოტირების მხარდასაჭერად.<sup>1</sup> მეტიც, საქართველოს მოსახლეობის 68% მხარს უჭერს პარლამენტის მიერ გენდერული კვოტირების შემოღებას.<sup>2</sup> ამგვარად, საარჩევნო სისტემაში ცვლილებისა და სავალდებულო კვოტირების მოთხოვნამ საქართველოში უპრეცედენტო დონეს მიაღწია. თუმცა, მიუხედავად საზოგადოების მოთხოვნისა, იმ ეტაპზე არც მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და არც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას არ გამოუხატავს ოფიციალური მხარდაჭერა კვოტირების სისტემის შემოღების მიმართ და გენდერული კვოტირების საკითხზე დისკუსია საკომიტეტო მოსმენას არ გაცდენია.

ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა მოიტანა ცვლილებების ახალი ტალღა, როცა კანონმდებლებმა საქართველოს სამი საპარლამენტო პარტიიდან, მათ შორის მმართველმა ქართულმა ოცნებამ – დემოკრატიულმა საქართველომ, ევროპულმა საქართველომ და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 2017 წლის დეკემბერში გამართულ კონფერენციაზე გამოხატეს თავიანთი მხარდაჭერა სავალდებულო გენდერული კვოტების მიმართ. თუკი კანონი დამტკიცდება, ის დაანერგებს სავალდებულო კვოტებს ქალებისათვის, რაც გაზრდის საქართველოს პარლამენტში და საკრებულოებში (მუნიციპალურ საბჭოებში) ქალი წევრების რიცხვს. საკანონმდებლო შეთავაზება გულისხმობს ურთიერთმონაცვლეობის პრინციპის შემოღებას, რაც ნიშნავს, რომ საპარლამენტო და მუნიციპალურ არჩევნებში მამაკაცი და ქალი კანდიდატები პარტიულ სიებში მონაცვლეობით განთავსდებიან. კანონის თანახმად, თუკი პარლამენტის ან საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეწყდება, მის ადგილს იგივე სქესის კანდიდატი დაიკავებს. გამოცხადდა, რომ კანონის მიღების სავარაუდო ვადა 2018 წლის გაზაფხული იქნება. არსებობს რწმენა, რომ ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობისათვის სავალდებულო კვოტირების სისტემის შემოღება გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე მეტ ქალს მოიყვანს და, შესაბამისად, პოლიტიკის დაგეგმვაში და პროგრამების შემუშავებაში მეტად იქნება ასახული გენდერული ხედვები და მოსაზრებები.

ამჟამად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ფინანსურ დაინტერესებას იმ პარტიებისათვის, რომლებიც მეტ ქალს შეიყვანენ პარტიულ სიებში, კერძოდ, პარტიებს 30%-ით გაეზრდებათ საბიუჯეტო დაფინანსება სახელმწიფოსაგან, თუკი მათი პარტიული სიების შემადგენლობის 30% ქალი იქნება და ისინი ყოველ ათ კანდიდატს შორის იქნებიან განაწილებულნი.<sup>3</sup> ქალების სიებში ჩასმის ამგვარმა ნებაყოფლობითმა ინიციატივამ გარკვეული ეფექტი იქონია 2014 წ. ადგილობრივი არჩევნებისას, თუმცა ზოგადად მას არ მოუტანია რაიმე ხელშესახები შედეგი, რაც ადასტურებს იმას, რომ სავალდებულო კვოტირების შემოღება ერთადერთ გზად რჩება პოლიტიკაში ქალთა დაბალი წარმომადგენლობის პრობლემის გადასაწყვეტად.

## თავი 4: დასკვნები და რეკომენდაციები

მიუხედავად საკანონმდებლო და სტრატეგიული ჩარჩოს ჩამოყალიბების მხრივ მიღწეული პროგრესისა, კვლავაც ბევრია გასაკეთებელი, რათა მივალწიოთ გენდერულ თანასწორობას, გენდერულად ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებას ადგილებზე და გენდერულად სენსიტიური ადგილობრივი ხელისუფლების ჩამოყალიბებას. გენდერული მეინსტრიმინგი არის პროცესი, რომელიც მოითხოვს სისტემატურ და ხანგრძლივ მუშაობას ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური მდგრადობის, ანგარიშგების მექანიზმების და საბიუჯეტო ვალდებულებების მიმართულებით. სხვაგვარად, არსე-

1 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, 8 მარტი, 2015 წ. იხ. ბმული: <http://1tv.ge/ge/news/view/87076.html>

2 იქვე

3 საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, მუხლი 30 (71). იხ. ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324>

ბობს რისკი იმისა, რომ ეს მექანიზმები უფუნქციო და არაეფექტური გახდეს. მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს თანამშრომლობა ადგილობრივი ხელისუფლების გენდერული თანასწორობის მექანიზმებსა და არასამთავრობო სექტორს, დანესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ ქრილში.

სხვადასხვა აქტორის მიერ ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ ზოგადი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი არასაკმარისი და ფრაგმენტული ხასიათისაა; არ არსებობს სტაბილური, ხანგრძლივი და რეგულარული თანამშრომლობა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებს შორის და მათ შიგნით იმ დაინტერესებულ მხარეთა შორის, რომლებიც ისწრაფვიან ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებისაკენ. ბევრ თემში სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ პირველნი, ვინაც დაიწყეს ქალთა უფლებების დაცვა და რეალიზაცია და კვლავაც აგრძელებენ აქტიურობას ყველა თემში ქალთა გაძლიერებისათვის. თუმცა, მათ არა აქვთ საკმარისი მხარდაჭერა და ფინანსები საიმისოდ, რომ ხელშესახები ცვლილებები განახორციელონ.

გენდერული მეინსტრიმინგი ვერ ჩაანაცვლებს სამთავრობო პოლიტიკას გენდერული თანასწორობის საკითხზე. გენდერული თანასწორობა და გენდერულად ორიენტირებული პოლიტიკა ურთიერთშემავსებელი სტრატეგიებია და ისინი ერთმანეთთან კავშირში უნდა განიხილებოდეს, თუმცა იმის გადანყვეტა, თუ რისი გაკეთებაა საჭირო, ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებზე და მოკიდებული. ეფექტური პოლიტიკის შემუშავება მოსდევს შესაბამისი ინფორმაციის ფლობას, რაშიც მოიაზრება კონკრეტული მონაცემები მოცემულ კონტექსტში ქალებისა და მამაკაცების, გოგონებისა და ვაჟების მდგომარეობის შესახებ. ამგვარი ინფორმაცია გამოიყენება იმისათვის, რომ შემუშავდეს პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საჯარო სერვისების მიწოდება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ასევე მოგვარდეს უთანასწორობასთან დაკავშირებული პრობლემები, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები და გაუთვალისწინებელი სიტუაციები. უნდა არსებობდეს გენდერული თანასწორობის სტრატეგიები და მოიპოვებოდეს მონაცემები და სტატისტიკა გენდერულ თემატიკაზე. ამ სტრატეგიების პრაქტიკაში დასანერგად უნდა შეიქმნას შესაბამისი მექანიზმები და ინსტრუმენტები, მოხდეს ამ პროცესში ჩართული ადამიანების მომზადება და დატრენინგება.

ანალიზის შედეგად მიღებული ზოგადი დასკვნების საფუძველზე, რეკომენდებულია განხორციელდეს შემდეგი ქმედებები, რათა მივალნიოთ ხელშესახებ შედეგებს:

## **1. გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის შესახებ ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება**

1.1 უნდა მოხდეს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში (მაგ. ადგილობრივ მთავრობებში, პოლიტიკურ პარტიებში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში, მასმედიაში, მასწავლებლებში, კერძო სექტორში, სოციალურ მუშაკებში და ა.შ.) ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე, ჩართული და სოციალურად სამართლიანი საზოგადოების შექმნის პერსპექტივის გათვალისწინებით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი მოქმედებების მეშვეობით:

- გენდერული ცნობიერების ამაღლების კამპანია;
- სხვადასხვა დაინტერესებული მხარის სპეციფიკაზე და როლზე მორგებული ტრენინგები;
- საჯარო დებატები სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით;
- სხვადასხვა სფეროში (მენარმეობა, პოლიტიკა, ხელოვნება და ა.შ.) საქმიანობისას ადგილობრივ ქალთა თვალსაჩინო მიღწევებისა და წარმატებული მაგალითების საჯაროდ წარდგენა საზოგადოებისათვის.

1.2 ყველა დაინტერესებულმა მხარემ (მთავრობამ, პოლიტიკურმა პარტიებმა, საზოგადოებრივმა დანესებულებებმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, მასმედია) უნდა შეიძინოს ცოდნა არსებული გენდერული უთანასწორობის განზომილებებსა და პირობებზე. მართალია, ზოგი მათგანი კარგად იცნობს გენდერული უთანასწორობის ზოგიერთ ასპექტს, თუმცა უმეტესობისთვის უცნობია „მთლიანი სურათი“. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებებით:

- შესაბამისი ტრენინგები ან ტრენინგის მოდულები, რომლებიც წარმომადგენს ფაქტებს სხვადასხვა განზომილებაში (პოლიტიკური, ეკონომიკური მონაწილეობის, კეთილდღეობის, განათლების, სოციალურ-კულტურული მონაწილეობის და სხვა კუთხით) მამაკაცებისა და ქალების მდგომარეობის შესახებ;

- ზოგადად გენდერული უთანასწორობის, ან მისი რომელიმე კონკრეტული ასპექტის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები, რომლის შესახებ ანგარიში მიენოდება დაინტერესებულ მხარეებს;
- გენდერული უთანასწორობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ საჯარო პრეზენტაცია.

**2. ადგილობრივი ხელისუფლების, განსაკუთრებით მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების ინსტიტუციური გაძლიერება და შესაძლებლობათა განვითარება:**

2.1 უნდა ხდებოდეს ადგილობრივი ხელისუფლების მოხელეების პერიოდული დატრენინგება გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე და შემუშავდეს გენდერული მეინსტრიმინგის მექანიზმების კომპლექტი, რომელიც გამოიყენება ადგილობრივ დონეზე.

2.2 უნდა შემუშავდეს ონლაინ კურსი გენდერულ საკითხებზე და გენდერულ მეინსტრიმინგზე, რომელიც მისაწვდომი იქნება, მაგალითად, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ვებ-გვერდზე. მისი გავლა სავალდებულო უნდა გახდეს ყველა საჯარო მოხელისათვის, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის. კურსი უნდა შეიცავდეს შემდეგ მოდულებს:

- საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩო;
- ძირითადი კონცეფცია, რასაც ეყრდნობა გენდერული თანასწორობა და გენდერული მეინსტრიმინგი;
- ადგილობრივ დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის ინსტიტუციური და სტრატეგიული არქიტექტურა;
- ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის მონიტორინგისათვის საჭირო მეთოდები და პროცედურები;
- მეთოდები და პროცედურები ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის, სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და ბიუჯეტის შემუშავების პროცესში გენდერული მეინსტრიმინგის უზრუნველსაყოფად;
- გენდერული თანასწორობის კუთხით ადგილობრივი პოლიტიკის გავლენის შეფასება.

2.3 საქართველოს საჯარო სამსახურის ბიურომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რომ საჯარო მოხელეთათვის ადგილებზე გამართოს წელიწადში სულ მცირე სამი ტრენინგი გენდერულ და გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე, მათ შორის გენდერულად ორიენტირებულ ბიუჯეტირებაზე და გენდერულ სამოქმედო გეგმაზე;

2.4 გენდერული საკითხების ზოგადი ცოდნა უნდა გახდეს პრიორიტეტული მოთხოვნა ადგილობრივ მთავრობაში კადრების დაკომპლექტებისას:

- უნდა შემუშავდეს კომპეტენციის ზღვარი და ნათელი სამუშაო აღწერილობა პოტენციური კანდიდატებისათვის, რაც უნდა მოიცავდეს გენდერულ საკითხებს და გენდერულად ორიენტირებული მმართველობის ზოგად პრინციპებს;
- კანდიდატების საკონკურსო თემატიკა უნდა შეიცავდეს გენდერულ საკითხებს;
- ინტერვიუებისას მონვეულნი უნდა იქნან გენდერულ საკითხთა ექსპერტები, რათა უკეთ შევარჩიოთ საუკეთესო კანდიდატი მოცემული თანამდებობისათვის.

**3. მონაცემთა შეგროვების სტანდარტების ფორმალიზაცია:**

3.1 უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს მეთოდოლოგია მონაცემთა შეგროვებისათვის და სახელმძღვანელო ინსტრუქციები სიტუაციის გასაანალიზებლად;

3.2 უნდა განისაზღვროს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების როლი მონაცემთა შეგროვების პროცესში და მოხდეს მათი მომზადება, რათა შეძლონ გენდერული კუთხით სიტუაციის გაანალიზება;

3.3 უნდა შემუშავდეს რეგულაცია, დირექტივა ან მემორანდუმი, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის მიწოდების მექანიზმს მუნიციპალიტეტებიდან ისეთ ეროვნულ სააგენტოში, როგორცაა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

3.4 ადგილობრივი და ეროვნული სტატისტიკური სამსახურები საქმის კურსში უნდა იყვნენ გენდერული თანასწორობის საბჭოების მიერ მონაცემთა შეგროვების შესახებ და დამყარდეს ამ სამსახურებთან პირდაპირი კავშირები;

3.5 უნდა ჩამოყალიბდეს მონაცემთა შეგროვების ეფექტური სისტემა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა მუნიციპალიტეტში.

4. ადგილებზე გენდერული სამოქმედო გეგმის შემუშავება, რათა განისაზღვროს ამოცანები, პრიორიტეტები და დაისახოს სამოქმედო გეგმა, რათა გაიზარდოს მუნიციპალიტეტების გენდერული ორიენტირება და გაუმჯობესდეს გენდერული თანასწორობის მდგომარეობა.

5. ადგილობრივი გეგმები თანხვედრაში უნდა იყოს ეროვნულ სტრატეგიასთან, თუმცა ისინი უნდა შემუშავდეს ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრების, ადგილობრივი თემებიდან გენდერული მრჩეველების, ექსპერტების და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები.

6. გარდა განხორციელების მექანიზმებისა, გეგმაში უნდა განისაზღვროს ზუსტი ინდიკატორები მიღწეული პროგრესის მონიტორინგისათვის და ჩამოყალიბდეს რეგულარული ანგარიშგების სისტემა შემდგომი ჩარევებისათვის.

7. გენდერულად ორიენტირებულმა ბიუჯეტირებამ უნდა მიიღოს რეგულარული სახე. ამისთვის აუცილებელია, საბიუჯეტო დაგეგმვა დაეფუძნოს გენდერულად ორიენტირებულ ანალიზს და მოსახლეობის გენდერული საჭიროებების შეფასებას.

8. მუნიციპალიტეტებს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია უნდა მოხდეს გენდერული თანასწორობის საბჭოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებით.

9. აუცილებელია გენდერული თანასწორობის საბჭოების ქსელის ჩამოყალიბება და გაძლიერება მთელ საქართველოში. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებით და გუბერნატორების აპარატის დახმარებით, ქსელი შეიკრიბება ყოველკვარტალურად ან სულ ცოტა წელიწადში ორჯერ, რათა ერთმანეთს გაუზიარონ მათ წინაშე არსებული გამოწვევები და მიღწეული პროგრესი; ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებაში ქსელი შეიძლება გადაიქცეს ხერხემლად და გადამწყვეტ ფიგურანტად.

10. გადანყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ისეთი არსებული მექანიზმების პარალელურად, როგორებიცაა: მოქალაქეთა საკონსულტაციო საბჭოები, საჯარო მოსმენები და მოსახლეობასთან შეხვედრები, უნდა წახალისდეს მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

11. ადგილობრივმა თანამდებობის პირებმა უნდა ჩართონ გენდერული ექსპერტები და ქალები პოლიტიკის ჩამოყალიბების ყველა ეტაპზე. გენდერული თანასწორობის საბჭოები, გენდერულ საკითხთა მრჩეველები უნდა ჩაერთონ ადგილობრივი დაგეგმვის ყველა ეტაპზე, რათა ყველა პროგრამა გაანალიზდეს გენდერული კუთხით.

## 12. საერთაშორისო ორგანიზაციებმა და დონორებმა:

– უნდა მოახდინონ გრძელვადიანი და თანმიმდევრული ინვესტირება, რათა არასამთავრობო, მათ შორის ქალთა, ორგანიზაციებმა გააფართოონ წარმატებული ინიციატივების მასშტაბები შემდგომი განვითარებისათვის;

– უნდა გაზარდონ ფინანსური დახმარება ქალთა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც მუშაობენ გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვის კუთხით, უფრო მეტი ფოკუსი გადაიტანონ რეგიონული ორგანიზაციების მხარდაჭერაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება მუშაობის წარმართვას ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან;

– მხარი დაუჭირონ და ხელი შეუწყონ საქართველოს დედაქალაქში და რეგიონებში უფრო ხშირი შეხვედრების, სემინარებისა და კონფერენციების ჩატარებას გენდერულ და გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე.

## დეცენტრალიზაცია - ადგილობრივი თვითმმართველობა - გენდერული პოლიტიკა, საქართველო

### I. შესავალი

საქართველომ, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მკაფიოდ გამოაცხადა თავისი მისწრაფება ევროკავშირის წევრობისაკენ, რაც თავისთავად ნიშნავს არა მარტო ევროპული პოლიტიკის იმპლემენტაციას, არამედ საჭირო მექანიზმებისა და რესურსების გამოყენებით საკანონმდებლო რეფორმების გატარებას, რათა პირნათლად შეასრულოს აღებული საერთაშორისო ვალდებულებები.

საქართველომ, დღიდან ევროინტეგრაციისაკენ თავისი მისწრაფების გამოცხადებისა - გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა:

- საქართველოს პარლამენტთან შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო;
- 2010 წელი - მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“;
- შემუშავებულია სამოქმედო გეგმა, რომელშიც შესაბამის პერიოდში შედის ცვლილებები;
- 2016 წლის მაისში შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილება საქართველოს კანონში „გენდერული თანასწორობის შესახებ“ რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნას.

ეს საკანონმდებლო ცვლილებების არასრული ჩამონათვალია, მაგრამ, მიუხედავად საყოველთაოდ დეკლარირებული პოლიტიკური ნებისა და საკანონმდებლო ბაზისა, საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს გენდერული დისბალანსი, განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე და არა მარტო ცენტრალურ უწყებებში, არამედ ადგილობრივ დონეზეც.

სრული გენდერული თანასწორობის და ქალთა მიერ თავიანთი უფლებების და თავისუფლების მსოფლიო სტანდარტების შეუზღუდავი რეალიზაციისათვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ხშირ შემთხვევაში „კარგი კანონი“ ვერ გვაძლევს კარგ შედეგებს, რადგან არ არის კანონზე მორგებული შესრულების შესაბამისი მექანიზმები, რომელიც არ მისცემს სახელმწიფო ჩინოვნიკს, პოლიტიკური პროცესების ხელმძღვანელობას კანონის თავის თავზე მორგების საშუალებას.

მაგალითად, „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნულმა სამოქმედო გეგმამ“ გამოკვეთა ძირითადი გენდერული პრობლემები და დასახა სტრატეგიული მიზნები, მაგრამ საბიუჯეტო უზრუნველყოფის მექანიზმი არ იყო გამოკვეთილი, რამაც მისცა საშუალება სახელმწიფო მოხელეებს, თავი აერიდებინათ ამ დავალებისგან. შესაბამისად, გეგმის უდიდესი ნაწილი ქალაქებში დარჩა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული პოლიტიკის დანერგვა აუცილებელია არა მარტო ცენტრალურ, არამედ ადგილობრივ რეგიონალურ დონეზე, რადგანაც სწორედ რეგიონებში იკვეთება საჭიროებების უმეტესობა. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ ადგილზე შეიქმნას გენდერული პოლიტიკის დღის წესრიგი, ანუ მოხდეს სახელმწიფო ფუნქციების დეცენტრალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ადგილზე გამოვლენილი პრობლემის გადაწყვეტის უფრო მოქნილ შესაძლებლობებს.

აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანია: პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა ბარიერების შეფასება, რაც ხელს უშლის ქალების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიმღებ პროცესებში; თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის პროცესის განხილვა, როგორც ქალის და კაცის საჭიროებებისა და პრიორიტეტების რეალიზების საშუალებისა; დეცენტრალიზაციის პრინციპების დადებითი და უარყოფითი მხარეების და მოსალოდნელი საფრთხეების შეფასება-გაანალიზება; ევროპული ქვეყნების მაგალითების გამოყენებით დეცენტრალიზაციის პროცესის მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავება გენდერული პრობლემატიკის გათვალისწინებით.

## II. გენდერული თანასწორობის პოლიტიკა - შედეგები და გამოწვევები. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა

საქართველომ საკანონმდებლო დონეზე გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით უნდა ითქვას იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევის შესახებ, რომლებიც მუშაობდნენ და მუშაობენ გენდერული საკითხების წინ წამოწევაში. მინდა მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი: კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდი „სოხუმის“ მჭიდრო თანამშრომლობით საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭოსთან (რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდა პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე) ოთხი მუნიციპალიტეტის (ქუთაისი, სენაკი, ოზურგეთი, ბათუმი) ბაზაზე შესაძლებელი გახდა, აპრობაცია გაეცლო გენდერულ საკონსულტაციო საბჭოებს, რამაც საფუძველი ჩაუყარა შემდგომ ცვლილებებს „კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ“.

ქალთა საინფორმაციო ცენტრის შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მუნიციპალიტეტებში გაჩნდნენ სპეციალისტები გენდერის საკითხებში.

დიდი მუშაობა გასწია ბოლო წლებში აგრეთვე გენდერული თანასწორობის ქსელმა, რომელშიც გაერთიანებული არიან ქალთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედის წარმომადგენლები.

ამ და გენდერულ საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციების ძალისხმევით ხდებოდა და ხდება გრძელვადიან პერსპექტივებზე გათვლილი სპეციალური მექანიზმების შექმნა ადგილობრივ დონეზე, ადგილობრივ ბიუჯეტში გენდერული კომპონენტების გათვალისწინება და პოლიტიკაში ცვლილებების შეტანა გენდერული კვლევების შედეგად მიღებული რეკომენდაციების ასახვით.

2016 წელს ჩატარდა კვლევა პროექტის „გენდერული პოლიტიკა და ევროინტეგრაცია - ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის“ ფარგლებში (დამფინანსებელი - ვიშეგრადის ფონდი, შემსრულებელი - მენარმე ქალთა ფონდი). კვლევა მოიცავდა როგორც საქართველოს მკვლევარების ნაშრომს, აგრეთვე უკრაინისა და აღმოსავლეთ ქვეყნების (უნგრეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი და პოლონეთი) მაგალითს.

ეს არის არა მარტო ანალიტიკური სტატიები, აგრეთვე დასკვნები და რეკომენდაციები. ნაშრომი გამოცემულია კრებულად და გაეგზავნა როგორც სამთავრობო სტრუქტურებს, ასევე უმაღლესი სასწავლებლებისა და პრეზიდენტის ბიბლიოთეკას.

როდესაც სამოქალაქო საზოგადოება ეხმარება სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებაში, ხოლო სახელმწიფო თავისი მოქმედებით აძლიერებს სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფებს და ეს არ არის ერთჯერადი აქცია, არამედ გათვლილია გრძელვადიან თანამშრომლობაზე, მხოლოდ ასეთ საზოგადოებაში არის შესაძლებელი მიზნის მიღწევა. სწორედ ასეთმა თანამშრომლობამ გახდა შესაძლებელი, შესულიყო შესწორება კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ, რაც არის რომელიმე უწყების, თუნდაც პარლამენტის მიერ შემუშავებული, მაგრამ არააპრობირებული შესწორება, არამედ უკვე გამოცდილი, პრაქტიკაში მიღებული შედეგი. რომ არა ეს ფაქტი, ის ვერ იქნებოდა ასე დახვეწილი და წინასწარ არ იქნებოდა გათვლილი ყველა ნიუანსი.

ამ შესწორებამ გაუჩინა ვალდებულებები ადგილობრივ მმართველობას, შეიტანოს ცვლილებები თავის მოვალეობებში, ადგილზე გენდერული პოლიტიკის დღის წესრიგის გათვალისწინებით.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ მიმართული მიდგომების დანერგვა სახელმწიფო თუ ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირებაში ჯერ კიდევ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სქესთა შორის უთანასწორობის პრობლემის აქტუალიზაციას ხელს უშლის წლების მანძილზე დაგროვილი და გადაუჭრელი უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, რომლებიც პოლიტიკური სპექტრის და საზოგადოების უმეტესი ნაწილის მიერ უფრო მნიშვნელოვნად აღიქმება და ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გააზრებული.

გენდერული მეინსტრიმინგი ანუ გენდერული პარამეტრების სისტემური ინტეგრაცია პოლიტიკის ფორმირების, განხორციელების და შეფასების პროცესში განაპირობებს ნებისმიერი პოლიტიკის ეფექტურობას.

გენდერული მიდგომების დანერგვა, ანუ განსხვავებული საჭიროებებისა და პრობლემების დახვება, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის გამოცდილებისა და ხედვების გათვალისწინება, თავისთავად



ვად ძალიან ღირებულია და ხელს უწყობს სოციალურად მგრძობიარე, საზოგადოების ინტერესებზე დამყარებული პოლიტიკის განხორციელებას. ყველაზე მთავარია - ამ პოლიტიკის შექმნაში და მის განხორციელებაში ქალთა ჩართვა, რათა ქალი მოგვევლინოს არა როგორც საზოგადოების მეორეხარისხოვანი პერსონა, არამედ როგორც პოლიტიკის შემქმნელი და მონაწილე, რადგანაც, როგორც იტყვიან: „რაც კეთდება ჩემთვის, მაგრამ უჩემოდ, ის ვერ იქნება ჩემს სასარგებლოდ“.

### **III. დეცენტრალიზაცია და გენდერული პოლიტიკა - ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება**

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და სხვა საკანონმდებლო ნორმატივებით, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის არსს წარმოადგენს თანასწორობის უფლებების განხორციელება და ხელშეწყობა. მან უნდა განსაზღვროს სამოქმედო გეგმის შედგენა (მისთვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე) რეალური შესაძლებლობითა და პერიოდის განსაზღვრით; უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირებულობა და თავისი საქმიანობის გამჭვირვალობა; სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მისი კორექტირების შემთხვევაში საზოგადოების ჩართვა; გადწყვეტილების მიღების პროცესში ფართო მასების ჩართვა; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ყველა ჯგუფის წარმომადგენელთა მოთხოვნების შესწავლა და მათზე რეაგირება (მათ შორის გენდერულ საკითხებზე).

აღნიშნული პრინციპები ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების განხორციელებას, ხოლო გენდერული თანასწორობის პრინციპი არის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ქვეყნის დემოკრატიზაციის საქმეში.

რადგანაც ჩვენი ქვეყანა მიისწრაფვის ევროკავშირის სივრცეში, აუცილებელია კარგად ვიცოდეთ ის პრინციპები, რაც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნდამენტს და ღირებულებებს ანუ დეცენტრალიზაციის, დეკონცენტრაციის და სუბრიდიარების არსს:

#### **ა) დეცენტრალიზაცია**

საქართველოში სახელმწიფო მართვის სამი დონეა - ცენტრალური (ეროვნული), რეგიონული (ავტონომიური, სამხარეო) და ადგილობრივი თვითმმართველობა. ყველა სახელმწიფო სტრუქტურა დაკავებულია თავისი შესაბამისი საქმიანობით სახელმწიფო მართვის პროცესებში, რაც ხდება უფლება-მოვალეობათა განაწილების პრინციპით - ანუ დეცენტრალიზაციის პროცესის განხორციელებით.

დეცენტრალიზაცია, თავის მხრივ, მოიცავს სამ კომპონენტს: პოლიტიკურს, ადმინისტრაციულს და ფისკალურს.

#### **რას წარმოადგენს თითოეული მათგანი?**

- პოლიტიკური დეცენტრალიზაცია ნიშნავს ადგილობრივ დონეზე წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევას, რომლებიც იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს (საკანონმდებლო ორგანო);
- ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია ნიშნავს თვითმმართველობის ორგანოებისათვის ფართო უფლებამოსილების გადაცემას მთელ მუნიციპალურ ტერიტორიაზე (აღმასრულებელი ორგანო);
- ფისკალური დეცენტრალიზაცია - თვითმმართველობის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების გაცემა - მართვას.

#### **ბ) დეკონცენტრაცია**

ცენტრალური ხელისუფლების ინსტიტუტები ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე აწარმოებენ თავიანთი წარმომადგენლობის ფორმირებას და მართვას ხალხთან დაახლოების მიზნით (ანუ თავისი მომსახურების ადგილზე მიტანით). ისინი არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს და ატარებენ ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას. ასეთებია, მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და სხვა.

#### **გ) სუბრიდიარება**

ანუ დაბალი მმართველობის დონეების გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართულობა.

რაც შეეხება ამ პრინციპს, ის მოითხოვს დახვეწას, რადგანაც ის განსხვავდება ისეთი პრინციპისგან, როგორცაა დეკონცენტრაცია და იწვევს როგორც დადებით დასკვნას, ასევე კრიტიკასაც.

ცნობილია ევროპელმა პოლიტიკოსმა ჟაკ დულორმა გამოთქვა ასეთი აზრი: ყველა ფედერალური წყობის სისტემაში, ისეთში, როგორცაა ევროპული საზოგადოება, სუბრიდიარების პრინციპი, მუდმივად წინააღმდეგობაში იმყოფება გადამეტებული ძალაუფლების მექანიზმებთან, რაც ცენტრალური ხელისუფლების ზედმეტად გადატვირთვას იწვევს.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ როგორც თვითმმართველობის ძირითადი ფუნქციები, ასევე თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპები და, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სრულ დეცენტრალიზაციას ბევრი პრობლემის მოხსნა შეუძლია ქართულ სინამდვილეში. დეცენტრალიზაცია ჩამოაყალიბებს და განამტკიცებს დემოკრატიული მონაწილეობის დამატებით დონეებს, გეოგრაფიულად დააახლოებს ხელისუფლებას და ხალხს, რადგანაც, რაც უფრო ნაკლებია დისტანცია გადაწყვეტილების მიმღებ ცენტრსა და მოქალაქეებს შორის, მით უფრო ახლოა თანამშრომლობის ფორმები - ურთიერთკავშირი, ურთიერთობა. პრობლემა, რომელიც ადგილზე იჩენს თავს, უფრო ოპერატიულად აღმოფხვრის საშუალებას იძლევა ადგილზევე, ეს კი აამაღლებს სოციალური სოლიდარობის განწყობას საზოგადოებაში, სიტუაციის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებას და მის გამჭვირვალობას.

მართვის დეცენტრალიზაციას შეუძლია გაანეიტრალოს მთელი რიგი დაპირისპირებები, რომელიც, დავიანებული რეაქციის შემთხვევაში, შესაძლოა საშიშ კონფლიქტებში გადაიზარდოს. ცენტრალურ სისტემას შეუძლია ოპერატიულად ჩაახშოს ადგილობრივი ინტერესები და წინააღმდეგობა, მაგრამ ეს იქნება ძალისმიერი გადაწყვეტა, რომელიც ვერ მოაგვარებს პრობლემას, ვერ იქონიებს გავლენას კონფლიქტების წარმოშობის მიზეზებზე და ვერ მოახდენს სოციალურ ინტეგრაციას.

ცენტრალიზაცია ცნობს მხოლოდ ერთიანობას „ზემოდან“, ხოლო დეცენტრალიზაცია ერთიანობას ეფუძნება „ქვევიდან“, მაქსიმალურად უწყობს ხელს ადგილობრივი პრობლემების ადგილზე გადაჭრას. ამას ნაკლები დრო და რესურსები სჭირდება.

ამასთან ერთად უნდა ვიცოდეთ ამ პრინციპის არა მარტო დადებითი მხარე, არამედ შესაძლო გამოწვევები, რადგანაც აბსტრაქტიული დეცენტრალიზაციის მოთხოვნამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოს წესრიგს. დეცენტრალიზაცია უნდა წარმართოს სათანადო ფარგლების დაცვით, რომ არ წაახალისოს სახელმწიფოს დეზინტეგრაცია.

დეცენტრალიზებულ სისტემაში განსაკუთრებით აქტუალური ხდება, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობა და მართვაზე საზოგადოებრივი კონტროლის პრობლემა და, მეორე მხრივ, რაც არანაკლებ პრობლემურია, სათანადო კვალიფიკაციის კადრების უქონლობა, რადგანაც დეცენტრალიზებულ სისტემაში ადგილობრივ მმართველობით ხელისუფლებას ცენტრალურ დონესთან შედარებით მეტად ხელწინფება გაანეიტრალოს პოლიტიკის ღია, გამჭვირვალე ხასიათის გარანტიები: მედია და საზოგადოებრივი კონტროლი, ხოლო არასათანადო კვალიფიკაციის კადრებს შეუძლიათ არაეფექტური გახადონ დეცენტრალიზაციის პრინციპების დანერგვა. თუმცა ამ უკანასკნელი პრობლემის აღმოფხვრა შესაძლოა სახელმწიფო მოხელეების გადამზადების პროგრამის განხორციელების გზით.

როდესაც დეცენტრალიზაციის პრინციპებზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს გენდერული პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობების გაზრდა საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულია ქალის და მამაკაცის თანასწორობა თავისი პოლიტიკური, სამოქალაქო და კულტურული უფლებებით, სინამდვილეში სახეზეა ქალთა მონაწილეობის დაბალი დონე, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში.

საქართველოს მოსახლეობის 52,3% (ქალებს) არა აქვს მხარდაჭერა და სათანადო რესურსები, რომ აქტიურად ჩაერთოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და სამოქალაქო აქტივობაში.

ეს არ ხდება ლიდერი ქალებისა და ქალთა ორგანიზაციების სუსტი მუშაობის შედეგად. ეს, ერთი მხრივ, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირებულობის დაბალი დონის და, მეორე მხრივ, ხელისუფლების მხრიდან მკაფიო პოლიტიკური ნების არარსებობის შედეგია. ამის თქმის საბაზს გვაძლევს საქართველოს პარლამენტში ქალთა დანინაურების მიზნით კვოტირების, როგორც დროებითი მექანიზმის, შემოღებასთან დაკავშირებული ჯერ კიდევ 2002 წელს შეტანილი ორი დამოუკიდებელი განაცხადი.

არც ერთ ამ წინადადებას არ მოჰყოლია გამოხმაურება და მხარდაჭერა. შემდგომ, 2008 და 2013 წლებში სხვადასხვა ჯგუფის მიერ შემუშავებულ ინიციატივებსაც იგივე ბედი ეწია. სწორედ ასეთი მიდგომის შედეგად ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქალთა რაოდენობა წარმომადგენლობით ორგანოში არასოდეს არ აჭარბებდა 10% (1991, 1992, 1995, 1999, 2003 და 2008 წლების მონვევის პარლამენტში შესაბამისად შეადგენდა - 6,8%; 5,6%; 7%; 6,4%; 9,4% და 5%, ხოლო 2012 წ. - 11,3% და 2016 წ. - 16%. სწორედ ამან განაპირობა საქართველოს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებელი - 124-ე პოზიცია 193 ქვეყანას შორის.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა - ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.ipu.org/wwn-e-classif.htm> (ბოლოს ნანახია 2017 წლის 15 მარტს).

თავის დროზე დეცენტრალიზაციის პრინციპმა ფუნქციებისა და რესურსების გადაცემასთან დაკავშირებით ბევრ ქვეყანაში შეცვალა გენდერული თანასწორობის პოლიტიკური და ინსტიტუციური კონტექსტი.

დეცენტრალიზაციის პრინციპების დანერგვა იმ შემთხვევაში მოიტანს შედეგებს, თუკი ის გამყარდება არა მარტო ფუნქციით, არამედ შესაბამისი რესურსებით.

ამაზე იქნება აგრეთვე დამოკიდებული, რამდენად ხარისხიანად განხორციელდება ცვლილება „კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის მაისიდან. კანონში ცვლილება მოიცავს: „მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფისათვის ქმნის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო“ (კანონის მე-13 მუხლის 1.1 პუნქტი).

ადგილობრივ მმართველობას კანონში ამ ცვლილებამდე ეს ვალდებულება არ ჰქონდა, ცდილობდა, ნაკლებად გამოეჩინა ინიციატივა და უმეტეს შემთხვევაში თავს იმართლებდა შესაბამისი კანონის არარსებობით ან „ზევიდან დირექტივის არქონით“. დღეს კანონი არის, მაგრამ თუ არ გამყარდა შესაბამისი ფინანსური სახსრებით, ის სრულფასოვნად ვერ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და დარჩება ქალაქზე - უშედეგოდ. გენდერული თანასწორობა, მართალია, დღეს უკვე არ არის „სალანძლავი“ ტერმინი, როგორც ეს იყო ახლო წარსულში, მაგრამ არც ახლა აღიქმება აუცილებელ ღონისძიებად, როდესაც ამდენი პრობლემაა. ამიტომ საჭიროა როგორც ჩვენი საზოგადოების, ასევე სამთავრობო სტრუქტურებში მომუშავე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების ცოდნის ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებში, რათა გაცნობიერებულ იქნას, რომ გენდერული პოლიტიკა განსაზღვრავს არა მარტო დემოკრატიის დონეს, არამედ ის არის ქვეყანაში აზროვნებისა და ცხოვრების დონის მაჩვენებელი. ქალთა ჩართვა ქართულ პოლიტიკაში, ქალთა ხედვის გათვალისწინება ქვეყნის ეკონომიკაში თუ პოლიტიკაში აუცილებლად შეცვლის ცხოვრების კულტურას და ხარისხს.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ დონეზე, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის საბჭოები (რომელიც ჩამოყალიბდა კანონში ცვლილების შეტანის საფუძველზე), არის გენდერულ საკითხებში მრჩევლის თანამდებობა, რომლის ფუნქციებში შედის გენდერული მეინსტრიმინგი და ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში დაგეგმარებისა და გადამწყვეტილების მიღების პროცესებში, ჯერ კიდევ ბლომდაა გამოწვევა, რომელიც გამოვლენილია საქართველოს პრაქტიკის ანალიზის შედეგად; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ჩაატარა კვლევა პროექტის „მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში“ ფარგლებში (მხარდაჭერილია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ევროპის ფონდის პროექტით „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისათვის: საქართველოში სახელმწიფო ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგი“) და ამყარებს ჩვენს პოზიციას, რომ მწირი ფინანსური სახსრები არ აძლევს საშუალებას თვითმმართველობებს, ადგილზე გაუმკლავდნენ პრობლემებს, რომ არაფერი ვთქვათ გენდერული პრინციპების განხორციელებისათვის საჭირო დამატებით თანხებზე.

- მართვის პროცესში საზოგადოების ჩართვა მართვის დეცენტრალიზაციის ხარისხის პირდაპირპროპორციულია. სწორედ მართვის ცენტრალიზებული სისტემა გამორიცხავს მოქალაქის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და, მიუხედავად სამართლებრივი გარანტიებისა, ფორმალურ ხასიათს იძენს;

- მთელი რიგი ცვლილებების მიუხედავად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები წლების მანძილზე არაერთი პრობლემის წინაშე იდგნენ. არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი მომსახურების ადეკვატურ და ეფექტურ მონოდებას და მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

- თვითმმართველობის შეზღუდული უფლებამოსილება და შესაძლებლობა, გადაწყვიტა მოსახლეობისათვის აქტუალური საკითხი, გავლენას ახდენდა მოქალაქეებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უსაფრთხოებაზე. აღმოჩნდა, რომ მწირი ფინანსური რესურსებისა და კომპეტენციის არარსებობის პირობებში, მთელი რიგი მიმართულებებით, თვითმმართველობა უძლური

იყო, გავლენა მოეხდინა მოქალაქეთა ცხოვრების გაუმჯობესების ხარისხზე, ინფორმირების დაბალი დონე და თვითმმართველობის შეზღუდული შესაძლებლობები წლების მანძილზე ხელს უშლიდა მოქალაქეების აქტიურ ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;


- სწორედ ამ გამოწვევის საპასუხოდ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ახალი ტალღის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმების დანერგვას და რეალური მონაწილეობის შესაძლებლობების შექმნას. აღნიშნული კი თვითმმართველობის კოდექსში მოქალაქეთა ჩართულობის დამატებითი მექანიზმების დახვეწით განხორციელდა. თუმცა, ამ პერიოდამდე არ მომხდარა მისი ეფექტური იმპლემენტაცია.

ინტერესს იწვევს მოქალაქეთა გამოკითხვის შედეგები, რომელიც ნათლად გვიჩვენებს მოქალაქეთა ჩართულობას და განწყობებს.


**კვლევის შედეგები:**

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 322-მა რესპონდენტმა, რომელთა შორის 199 იყო ქალაქის, 120 - სოფლის და 3 დაბის მცხოვრები. ორგანიზაციისთვის ასევე საინტერესო იყო მონაწილეთა გენდერული და ასაკობრივი კომპოზიცია. <sup>1</sup>

**გამოკითხულთა რაოდენობა ქალაქის, სოფლისა და დაბის მიხედვით**





**გამოკითხულთა გენდერული კომპოზიცია**



<sup>1</sup> გამოყენებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები (2016 წ.)


ასაკობრივი ჯგუფი

■ 18-35 წლის ჩათვლით ■ 36-60 წლის ჩათვლით ■ 60 წლიდან ზემოთ




კითხვაზე, მიუმართავთ თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის და კონკრეტულად ვისთვის, მხოლოდ 110-მა გამოკითხულმა გასცა დადებითი პასუხი. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნავენ, რომ მიუმართავთ მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის.

თვითმმართველობის რომელი წარმომადგენლისთვის მიგმართავთ




რაც შეეხება კითხვას, თუ რა საკითხებთან დაკავშირებით მიუმართავთ თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, რესპონდენტთა უმრავლესობა სოციალური დახმარების მიღების საკითხს ასახელებს.

**ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის მიზიარდა**




კითხვაზე, სმენიათ თუ არა მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების თაობაზე და რომელია ეს მექანიზმები, მხოლოდ 98-მა რესპონდენტმა გასცა პასუხი და, ხშირ შემთხვევაში, ეს მექანიზმი დასახლების საერთო კრებაა.

**ჩამოთვლილი ჩართულობის მექანიზმებიდან, რომლის შესახებ გსმენიათ?**



რაც შეეხება კითხვას, მიუღიათ თუ არა მონაწილეობა თვითმმართველობის მიერ გადამწყვეტილების მიღების პროცესში და ჩართულობის რა მექანიზმების საშუალებით, მხოლოდ 40-მა რესპონდენტმა უპასუხა და ასეთ მექანიზმად საკრებულოს სხდომები დაასახელა.

**მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადამწყვეტილების პროცესში და რომელი ჩართულობის მექანიზმის საშუალებით?**



როგორც კვლევის მასალებიდან ირკვევა, მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობის ორგანოები უფრო საჯარო და ღია გახდა, მოსახლეობის ჩართულობა მათ საქმიანობაში ჯერ კიდევ დაბალია და ეს გამოიხატება პრობლემის არსებობის შემთხვევაში იმ სამსახურების ხელმძღვანელებთან შეხვედრაში, რომელთაც შეუძლიათ მათი დახმარება. უმეტეს შემთხვევაში ეს იყო სოციალური დახმარება. რაც შეეხება მონაწილეობას გადამწყვეტილების მიღების პროცესში, მხოლოდ 40-მა რესპონდენტმა (გამოკითხულია 322) უპასუხა, რომ ესწრებოდა საკრებულოს სხდომებს.

აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს, ერთი მხრივ, თვითმმართველოების ორგანოების მხრიდან არაჯეროვან მცდელობას, საჯარო გახადონ თავიანთი მუშაობა, მოიზიდონ მოქალაქეები, რათა ერთად მიიღონ გადაწყვეტილებები, თუ როგორ და რაში გახარჯონ საბიუჯეტო სახსრები, რათა მეტი სარგებელი მოუტანონ საზოგადოებას, მეორე მხრივ, თვით საზოგადოების წარმომადგენლები უმეტეს შემთხვევაში ვერ ითავისებენ აზრს, რომ ისინიც ვალდებული არიან, გამოიჩინონ აქტიურობა და აიძულონ თვითმმართველობა, გაიზიაროს მათი საჭიროებები.

ამიტომ უნდა შემუშავდეს სტრატეგია ყოველ მუნიციპალიტეტში საზოგადოებისა და თვითმმართველობის პოზიციების დაახლოების, მათი ძალისხმევის გაერთიანების და ბიუჯეტის დაგეგმარებაში „მონაწილეობითი ბიუჯეტირების“ მეთოდის გამოყენებით.

## IV. ადგილობრივი თვითმმართველობა „მონაწილეობითი ბიუჯეტირება“ - გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით

ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად ფუნქციას განსაზღვრავს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მოიცავს ორ ძირითად ფუნქციას:

1. ადგილობრივი სერვისების მიწოდება მოსახლეობისათვის;
2. მოსახლეობასთან სიახლოვე;

ეს ორივე ფუნქცია ერთმანეთზე დამოკიდებულია.

სერვისების მიწოდება - ეს არის ადგილობრივი მოსახლეობისათვის ყოველდღიური მოთხოვნილების მიწოდების უზრუნველყოფა; ხოლო რაც შეეხება მოსახლეობასთან სიახლოვეს - ეს მრავალკომპონენტური ფუნქციაა და გულისხმობს: თვითმმართველობის ყოველდღიურ უშუალო კონტაქტს მოსახლეობასთან - რაც ნიშნავს ოფიციალურ და არაოფიციალურ შეხვედრებს; მაგრამ ეს შეხვედრები მოითხოვს არა მარტო ოფიციალური პირების ნებას, არამედ ის მეტწილად განხორციელდება, თუ თვით მოსახლეობაც იქნება აქტიური და დაინტერესებული თავისი რეგიონის საზოგადოებრივი ცხოვრებით. მოსახლეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის აუცილებელია, ჩამოყალიბდეს პარტნიორული დამოკიდებულება. ამის ერთ-ერთ ხელისშემწყობ ფაქტორად მიგვაჩნია „მონაწილეობითი ბიუჯეტირება“.

სანამ ამ ფაქტორზე გადავიდოდეთ, შეიძლება განვიხილოთ მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მხრივ საქართველოში. „კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მიღებულ იქნა 1997 წელს, 2005 წელს გაუმჯობესდა და 1997 წლის კანონთან შედარებით მასში მოქალაქეთა მონაწილეობის მეტი ფორმა იყო ჩადებული; 2009 წელს კვლავ განხორციელდა ცვლილება კანონში - ახლა უკვე ცალკე თავი გაჩნდა (x<sup>1</sup>), რომელიც ეხება მოქალაქეთა მონაწილეობას თვითმმართველობის განხორციელებაში და გულისხმობს, რომ მოქალაქეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ არა მარტო საკრებულოს სხდომებზე, არამედ დადგენილი წესით მათ მიეცათ უფლება, მონაწილეობა მიეღონ საკრებულოს კომისიის სხდომებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ არის კანონი - ამ კანონის ეფექტური იმპლემენტაცია დარჩა მხოლოდ ქალაქებში, რადგანაც მოქალაქენი უმთავრეს შემთხვევაში არ სარგებლობენ ამ უფლებით.

როცა ვამბობთ მოქალაქეთა მონაწილეობას საბიუჯეტო პროცესში, ვგულისხმობთ, რომ მათი ჩართულობით უნდა ყალიბდებოდეს ადგილობრივი ბიუჯეტი, მათ განსაზღვრონ, თუ სად და რატომ უნდა დახარჯონ ადგილობრივმა თვითმმართველობამ - ხალხისთვის ხალხის ფული. „მონაწილეობითი ბიუჯეტირება“ არის ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც პასუხობს კითხვას, თუ ვინ განკარგავს ხალხის ფულს და როგორ იხარჯება ის.

„მონანილეობითი ბიუჯეტირების“ არსი შემდეგია: ბიუჯეტის შედგენაზე ადგილობრივი თვითმმართველობა აცხადებს „იდეების კონკურსს“, რომელშიც მონანილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის ახალგაზრდებსაც, რათა წარმოადგინონ თავიანთი დასაბუთებული წინადადება, როგორც საბიუჯეტო სახსრების, ასევე მხარდაჭერთა სიის კუთხით.

შემდგომ კომისია განიხილავს ამ წინადადებებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. პროცესი გამჭვირვალეა და ქვეყნდება ადგილობრივი თვითმმართველობის საიტზე.

ეს პრინციპი გვაძლევს საშუალებას, ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს „გენდერული ბიუჯეტი“, ეს არ არის ბიუჯეტის გაყოფა, არამედ გენდერული ასპექტებია საბიუჯეტო პროცესში.

თუ როგორ მუშაობს ეს პრინციპი ევროკავშირის ქვეყნებში, ჩეხეთსა და პოლონეთში და რა დადებითი მხარეები აქვს, ნაჩვენებია შემდეგ თავში.

## V. საერთაშორისო გამოცდილება დეცენტრალიზაციაში და გენდერული ურთიერთკავშირი

კვლევაში, რომელიც 2016 წელს განხორციელდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი), ნათელი სურათი მოგვცა, თუ რა გზა გაიარეს ამ ქვეყნებმა ევროინტეგრაციის კონტექსტში: ბრძოლა გენდერულ სტერეოტიპებთან, ქალთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობების ხელშეწყობა, სტრატეგიების შემუშავება, გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შემოღება, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განვითარების შემდგომი ევროპიზაცია, გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება, მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში. გარდა საკანონმდებლო რეგულაციებისა, ამ ქვეყნებში არსებობს რამდენიმე პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ფართო სტრატეგიას ჩართულობის ზრდისთვის. ნათელ მაგალითს წარმოადგენს მუნიციპალიტეტი „პრალა 10“, სადაც გვქონდა საშუალება, გავცნობოდით მათი მუშაობის პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ ერთჯერაც არ იყო ნახსენები გენდერული ბიუჯეტირება, სახეზე იყო „ღია მმართველობის მაგალითი“, როდესაც ხდებოდა მუნიციპალიტეტის მიერ ე. წ. „მონანილეობითი ბიუჯეტირება“, რაც მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, მიიღონ მონანილეობა პროცესში, თუ როგორ დაიხარჯოს ადგილობრივი ბიუჯეტი. ზემოთ ხსენებული მოდელი მოსახლეობას, მათ შორის ქალებს, ანიჭებს ფაქტობრივი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებს, ხოლო მუნიციპალიტეტი ვალდებულია, მათი მოსაზრებები ასახოს ბიუჯეტში. როგორც აგვისსნეს, პრალა 10-ში ქალების მიერ წარმოდგენილი პროექტები არის ფინანსურად დასაბუთებული, ფართო საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი, უფრო მიზანშეწონილი და ამიტომ დაფინანსებული პროექტების მეტი ნაწილი ქალების მიერაა შემუშავებული.

რაც შეეხება პოლონეთის მაგალითს: ე.წ. მონანილეობითი ბიუჯეტირება გულისხმობს მოქალაქეთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ის სავალდებულოა. ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი თემის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეული თავად განაგებს, სად და რისთვის გახარჯოს მისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის წილი.

რაც მეტად მნიშვნელოვანია, ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს კონსულტაციის ვალდებულება იმ საკითხებზე, რომლებზეც მუშაობენ ეს ორგანიზაციები, რისთვისაც ისინი ქმნიან საკონსულტაციო და საინიციატივო ჯგუფებს.

აქვე გვინდა გავიხსენოთ ფონდი „სოხუმის“ მიერ აპრობირებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების წარმომადგენლები. სწორედ ამ სისტემამ უზრუნველყო გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მუშაობის წარმატება. თუმცა კანონმდებლობის აქტში ეს ვერ შევიდა, როგორც სავალდებულო პრინციპი.

„მონანილეობითი ბიუჯეტირების“ მოდელი, როგორც განვიხილეთ, მოსახლეობას ანიჭებს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებს, ის არის გამჭვირვალე და ეფუძნება მოქალაქეთა მოსაზრებების ასახვას ბიუჯეტში. შესაბამისად, ხელს შეუწყობს ბიუჯეტის გენდერიზაციასაც, რადგანაც ქალებს მიეცემათ საშუალება, შეუზღუდავად მიიღონ მონანილეობა ამ პროცესში. ამასთან ერთად გასათვა-



ლისწინებელია ის ფაქტი, რომ „ჩართულობის ბიუჯეტირების“ პროცესის დაწესება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნია ფინანსური დამოუკიდებლობა. ეს აუცილებელი კომპონენტია რეალური შედეგის მისაღწევად.

საჭიროა როგორც პოლიტიკური კულტურა (ჯანსაღი დებატების და შეთანხმების მიღწევის კულტურა მოქალაქეებში); პროცესის სათანადოდ ორგანიზება და წარმართვა - ანუ სათანადო უნარ-ჩვევებით აღჭურვა, როგორც თვითმმართველობის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების; ექსპერტების ჩართვა, სწორი ინფორმაციის გავრცელება და სწორი მოლოდინების შექმნა მოსახლეობაში; გადაწყვეტილების აუცილებელი დასაბუთება და სხვა მნიშვნელოვანი ნიუანსების გათვალისწინება.

## VI. დეცენტრალიზაციის პროცესის მონიტორინგი - შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით

იმისათვის, რომ ჩამოვყალიბოთ დეცენტრალიზაციის პროცესის მონიტორინგის კრიტერიუმები, პირველ რიგში, უნდა შეიქმნას რეალური შესაძლებლობა ადგილობრივი თვითმმართველობისათვის, რათა განახორციელოს თავისი მოვალეობები მიღებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე:

- მოხელეთა სწავლება უნდა განხორციელდეს ერთიანი უნიფიცირებული პროგრამით, მმართველობის სფეროში ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით;
- კანონმდებლობით განხილული პროცედურების გადახედვა (ბიუჯეტის შედგენისა და მიღების ვადების გადასინჯვა);
- ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური დამოუკიდებლობა;
- თვითმმართველობასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება, კონსენსუსის მიღწევა, თუ რაზე განაწილდეს საბიუჯეტო სახსრები;
- ბიუჯეტის შედგენა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით; გენდერული ბიუჯეტირების მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება „მონაწილეობითი ბიუჯეტირების“ პრინციპების პოპულარიზაციას და იმპლემენტაციას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, დეცენტრალიზაციის მონიტორინგი, გენდერული პრობლემეტიკის გათვალისწინებით, უნდა მოიცავდეს:

1. საბიუჯეტო პრიორიტეტების ფინანსურ განხილვას - „ჩართულობის ბიუჯეტირების“ შედგენა;
  2. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოსახლეობის ჩართულობას;
  3. განხილვის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას;
  4. ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებას ბიუჯეტირებისა და მისი აღსრულების ყველა ეტაპზე:
- მონიტორინგის ჩატარების ვადების განსაზღვრას;
  - მონიტორინგის შედეგების გაცნობას ფართო საზოგადოებისათვის.

## VII. დასკვნები და რეკომენდაციები დეცენტრალიზაციის პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებით

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ევროკავშირის მაღალ სტანდარტებს:

- არ არის შემუშავებული ამ კანონების შესრულების სრულყოფილი მექანიზმები, რაც ხელს უშლის პრობლემის გადაწყვეტას;
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, უმეტეს შემთხვევაში, არ არიან მზად კანონში შეტანილი ცვლილებების განსახორციელებლად, რადგანაც სრულად არ არიან ინფორმირებულები ამ რეფორმის და განხორციელების გზების შესახებ;
- მუნიციპალიტეტებს არ აქვთ შესაბამისი ფინანსური სახსრები გენდერული პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებისა და დანერგვისთვის.

იმისათვის, რომ მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გენდერული მენ-სტრიმინგის ინტეგრირება, საჭიროა:

- ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი კამპანია, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე საზოგადოების ფართო ფენებისთვის;
- გენდერულ ბიუჯეტთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების ჩატარება;
- მუნიციპალიტეტებში ფართო საზოგადოების ჩართვის მიზნით ევროკავშირის ქვეყნების „მონანილეობითი ბიუჯეტირების“ გამოცდილების შესწავლა - დანერგვა.

## გამოყენებული წყაროები

საქართველოს ორგანული კანონი, 1995 წლის 24 აგვისტო;

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 2014 წლის 5 თებერვალი;

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, 2006 წლის 16 დეკემბერი;

საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, 2009 წელი;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის სახელმძღვანელო პრინციპები (პუბლიკაცია პროექტის „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების“ ინსტიტუციური ანალიზი საქართველოში „სინერჯი ჯგუფი“);

ევროკავშირის სტრატეგია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისათვის 2014-2017 წწ. (სტრატეგია დამტკიცებულია ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ევროკავშირის სახელმწიფოების საელჩოების მიერ), 2014 წლის 21 ივლისი;

გენდერული თანასწორობის სახელმძღვანელო პრინციპები, 2013 წელი;

გენდერული მენსტრიმინგი (პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო მოხელეებისათვის), 2014 წელი, ECMI; UN Women;

მონანილეობითი ბიუჯეტირება. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;

ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. სტრასბურგი, 1985 წლის 15 ოქტომბერი (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 26 ოქტომბერს №515 II-ს დადგენილებით);

„რატომ დეცენტრალიზაცია?“ მოსაზრება 02.11.2012 წ. ვია ხუხუა (ბარბერგის უნივერსიტეტი) (გერმანია);

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა, 2016 წ.

## გენდერული ბიუჯეტირება ადგილობრივ დონეზე. რეალობა და გამოწვევები საქართველოში

### კვლევის ანოტაცია

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში ადგილობრივ დონეზე გენდერული ბიუჯეტირების კუთხით არსებული რეალობის შეფასებას და არსებული გამოწვევების გამოვლენას, რათა შემუშავდეს რეკომენდაციები ადგილობრივ მმართველობაში გენდერული მენეჯმენტის ხელშეწყობის ადვოკატირებისთვის.

ნაშრომში გამოყენებულია სამაგიდე კვლევის მეთოდი: გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, სხვადასხვა დოკუმენტის, კვლევის, ანგარიშის შესწავლა / ანალიზი.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობის კუთხით ცვლილებები არასაკმარისი ტემპებით, მაგრამ ინტენსიურად მიმდინარეობს. ეს ეხება გენდერული ბიუჯეტირების პრინციპის დამკვიდრებასაც, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე.

ქვეყანაში პოლიტიკის დონეზე აღიარებულია, რომ გენდერული ბიუჯეტირება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების აუცილებელი მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო რესურსების თანაბრად განაწილებას, მაგრამ პრაქტიკულად, ამის რეალიზება სრულყოფილად არ ხდება. გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახელმწიფო სამოქმედო გეგმაში ხდება გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის აუცილებლობის ასახვა, მაგრამ როგორც სახელმწიფოს, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული დასკვნებით, განუღებელი საჭიროება არა აქვს ინტენსიური და კოორდინირებული ხასიათი. სახელმწიფოს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებით, გენდერის ექსპერტების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, თვითონ საკითხზე პასუხისმგებელი პირებისგან მიღებული ინფორმაციებით აშკარა ხდება, რომ არსებობს სხვადასხვა მიზეზი, რის გამოც საკითხი ნელა მიდის წინ: არასაკმარისი გენდერული განათლება, არასაკმარისი ფინანსური რესურსები საჭიროებათა კვლევების ჩასატარებლად; გამოცდილების გაცვლისა და ინფორმირების ნაკლები შესაძლებლობა; უწყებებში კადრების ხშირი ცვლა, შესაბამისად იმ ადამიანებისა, რომლებიც უწყებაში გენდერულ პოლიტიკაზე არიან პასუხისმგებლები; თვითონ გენდერული ბიუჯეტირების საკითხში სპეციალისტების დეფიციტი; ასევე, ერთეული, კვალიფიციური ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის არასაკმარისი რესურსები, მოხდეს მათ ხელთ არსებული გამოცდილების მულტიპლიცირება; თვითონ ადგილობრივი თვითმმართველობის კადრების დაბალი მოტივაცია, გაიარონ კონსულტირება საკითხში გარკვეულ ექსპერტებთან და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან; ზემდგომი ორგანოებიდან სათანადო დირექტივების არარსებობა ან ბუნდოვანება; ადგილობრივ დონეზე გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების დაბალი სტატუსი და პოზიციონირება, რაც ასუსტებს მათ გავლენას და ნდობას გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან, საზოგადოებისგან; ასევე მეთოდოლოგიური და ინსტიტუციური დახმარების არქონა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტებისგან (თუნდაც პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსგან, უწყებათაშორისი კომისიისგან).

ხშირად არ სრულდება სახელმწიფოს მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებები სათანადო მექანიზმების არარსებობის გამო, მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება - გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში, საჭიროებიდან გამომდინარე, პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გამოყოფილ იქნას პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი.

არ არის გამოყენებული საკმაოდ კარგი რესურსი: ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის

რეალიზების ჯაჭვში „ამოვარდნილია“ გუბერნია / სამხარეო ადმინისტრაცია, რომელიც სხვა საკითხებთან მიმართებაში საკმაოდ კარგად ასრულებს მაკოორდინირებელ ფუნქციას.

ადგილობრივ დონეზე გენდერული ბიუჯეტირების პრაქტიკის დანერგვის საკითხში ჯერჯერობით სუსტად გამოიყენება ადგილობრივი ინსტიტუციური მექანიზმი - გენდერული თანასწორობის საბჭო, არასათანადო კვალიფიკაციის, ფინანსური რესურსების, მეთოდოლოგიური გაძლიერების შესაძლებლობების არქონის გამო.

კვლევის შედეგად გაკეთებული რეკომენდაციები მოიცავს საკითხებს ადგილობრივ დონეზე გენდერული ბიუჯეტირებისა და გენდერული მეინსტრიმინგის ხელშესაწყობად: იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ორგანიზაციების სტრუქტურებში ოპერატიული პროცესის ვალდებულება აკისრიათ სხვადასხვა დონის სახელმწიფო მოხელეებს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათი გენდერული კომპეტენტირობის ამაღლებას (მაგალითად, საფინანსო, იურიდიული სამსახურების თანამშრომლების გენდერული კომპეტენციის საკითხები).

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივ, მათ შორის გენდერულ საჭიროებათა კვლევის დანერგვა, თვითმმართველობის ბიუჯეტის შესწავლა ბიუჯეტის პროექტში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებით; ამ საკითხში საჭიროა როგორც მუნიციპალიტეტის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე კვალიფიციურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტი, პერმანენტული კონსულტირების რეჟიმი.

ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოს დაკანონების შემდგომ, რომელიც ცალსახად პოზიტიურ მოვლენას წარმოადგენს, მნიშვნელოვანია მისი აღსრულების უზრუნველსაყოფად ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება იმისათვის, რომ მიღებული კანონი მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს არ ატარებდეს. ამისთვის უნდა მოხდეს ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოების ინსტიტუციური და მეთოდოლოგიური გაძლიერება, მჭიდრო კომუნიკაცია პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, საკოორდინაციო ფუნქციის დანერგვა სამხარეო ადმინისტრაციების აპარატში.

ბოლო სახელმწიფო სამოქმედო გეგმების პროექტებში გაჩნდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმის დანერგვის ამოცანა, რაც კვალიფიციურ არასამთავრობო სექტორთან, ექსპერტებთან, საერთაშორისო დონორებთან, სამოქალაქო ჯგუფებთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე ძნელი მისაღწევია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ სტრუქტურათა მაკოორდინირებელ ფუნქციას, ვისაც ეკისრება პირდაპირი პასუხისმგებლობა ადგილობრივ დონეზე მიმდინარე გენდერულად სენსიტიურ პოლიტიკაზე. განსაკუთრებით - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომელიც, განსხვავებით სხვა საკითხებისგან, გენდერული პოლიტიკის საკითხებში არ / ვერ ასრულებს სახელმძღვანელო ფუნქციას.

სასურველია, შეიქმნას მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლს, მაგალითად - ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება - გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში, საჭიროებიდან გამომდინარე, პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გამოყოფილ იქნას პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი. ამისთვის იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის დანერგილი პროგრამული ბიუჯეტირების პრაქტიკა, დროულად უნდა დაინერგოს პროგრამული ბიუჯეტის პრინციპი, რომელიც ქმნის კარგ საფუძველს გენდერულ ბიუჯეტირებაზე გადასასვლელად.

გენდერული ბიუჯეტირების პროცესის დანერგვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს სამოქალაქო სექტორის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორის, სათემო ჯგუფების, დარგის ექსპერტების და დაინტერესებული პირების ჩართულობა. ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ საშუალება, გამოიყენონ ადგილობრივი თუ ცენტრალური უწყებების საბიუჯეტო რესურსები და მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, ახალი სერვისების დანერგვაში, რათა სახელმწიფო სოციალური პოლიტიკა გახდეს უფრო მოქნილი, ეფექტური და გენდერულად ორიენტირებული.

## I. შესავალი

*„პირველი შეხედვით, ბიუჯეტი წარმოგვიდგება, როგორც გენდერულად ნეიტრალური პოლიტიკური ინსტრუმენტი. მაგრამ პოლიტიკოსები არ უნდა თვლიდნენ, რომ გადასახადები და სახელმწიფო ხარჯები ერთნაირ გავლენას ახდენს ქალებზე და კაცებზე, რამეთუ მათ, როგორც წესი, უკავიათ გან-*

სხვაგვარი სოციალური და ეკონომიკური პოზიციები“ (იზაბელა ბაკერი, პოლიტოლოგიის პროფესორი, იორკის უნივერსიტეტი, კანადა).

ქვეყნებისთვის, რომლებიც აცხადებენ შეუქცევად კურსს ევროსტრუქტურებში რეალიზაციისათვის, უმნიშვნელოვანესია ისეთი რეფორმების დანერგვა, რომლებიც ქვეყანას დასახულ მიზანს მიუახლოებს. ერთ-ერთს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა საბიუჯეტო დეცენტრალიზაციის, სხვადასხვა უფლებამოსილების ტერიტორიული ერთეულებისთვის გადანაწილების და სხვა მიმართულებით. ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური რეფორმისთვის უმნიშვნელოვანესია მასში გენდერული ფაქტორების გათვალისწინება, კერძოდ - გენდერული ბიუჯეტირების, როგორც სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების ქმედითი ინსტრუმენტის, დანერგვა.

## II. კვლევის მიზანი და მეთოდები

### კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში ადგილობრივ დონეზე გენდერული ბიუჯეტირების კუთხით არსებული რეალობის შეფასებას და არსებული გამოწვევების გამოვლენას, რათა შემუშავდეს რეკომენდაციები ადგილობრივ მმართველობაში გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობის ადვოკატირებისთვის.

### კვლევის მეთოდი

კვლევაში გამოყენებული იყო სამაგიდე კვლევა: გენდერული თანასწორობის პოლიტიკასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, სხვადასხვა დოკუმენტის, კვლევის, ანგარიშის შესწავლა / ანალიზი.

**საკვანძო სიტყვები:** გენდერული ბიუჯეტი, ადგილობრივი თვითმმართველობა, გენდერული ანალიზი, თანასწორობის პოლიტიკა, საჭიროებათა კვლევა, გენდერული მეინსტრიმინგი.

## III. ზოგადი მიმოხილვა

### 1. გენდერული ბიუჯეტი - არსი და მნიშვნელობა

„გენდერული ბიუჯეტი - თანამედროვე სოციალური ტექნოლოგიაა, რომელიც საშუალებას იძლევა, დაინერგოს სამთავრობო პოლიტიკის მიერ ინტერესთა გათვალისწინების დიფერენცირებადი აღრიცხვის პრინციპი სოციალურ-გენდერული ნიშნის მიხედვით. ის გულისხმობს გენდერულ ასპექტებს საბიუჯეტო პროცესში. გენდერული ბიუჯეტი არის ფინანსური მექანიზმი თანასწორობის პოლიტიკის განსახორციელებლად“.<sup>1</sup>

„გენდერული ბიუჯეტი არ გულისხმობს ცალკე მამაკაცისა და ცალკე ქალის ბიუჯეტის ფორმირებას, იგი არ არის სპეციალურად მიმართული მამაკაცზე ან ქალზე და არ მოითხოვს მხოლოდ ქალთა პროგრამებზე ხარჯების ზრდას. ეს არის ბიუჯეტი, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოებაში სოციალური ბალანსის დამყარებაზე ფინანსების ეფექტური განაწილების გზით.“<sup>2</sup>

### 2. გენდერული ბიუჯეტის შემუშავების პროცესი:

გენდერული ბიუჯეტის შემუშავების პროცესი სამ ძირითად ეტაპად იყოფა:

1. ბიუჯეტის ანალიზი გენდერული ასპექტების გათვალისწინებით;
2. გენდერული ასპექტების გათვალისწინებით პრიორიტეტების განსაზღვრა საბიუჯეტო რესურსების გადანაწილებაზე დაყრდნობით;
3. გენდერული თანასწორობის ასპექტების ჩართვა საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე.

1 ჩარიტა ჯაში, გენდერული ბიუჯეტი / სემინარის მასალები, თბილისი, 2004.

2 ქალთა ჩართულობის გაძლიერება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ექსპერტული ანალიზის კრებული, მომზადებულია ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტისთვის კანადის ადგილობრივი ინიციატივების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 2013.

ამ დროისთვის 90 ქვეყანაზე მეტი ნერგავს სხვადასხვა გენდერულ ინიციატივას, რომელიც მოიცავს სამოქალაქო საზოგადოებას, მთავრობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ამ ქვეყნების გამოცდილება უჩვენებს, რომ გენდერული ბიუჯეტირება ხელს უწყობს მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესებას, საბიუჯეტო რესურსების უფრო მკაფიო გადანაწილებას ყოველი კონკრეტული მომხმარებლის საჭიროების მიხედვით, ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების, ასევე არსებული რესურსების ეფექტური გამოყენების კუთხით.

გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ შექმნილია გენდერული ანალიზის დირექტორატი, რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის უნივერსალური რეცეპტი ყველა მოცემული შემთხვევისათვის, მაგრამ, შეძლებისდაგვარად, განსაზღვრავს გენდერული ანალიზის საყრდენ პრინციპებს.

გენდერული ბიუჯეტის სამიზნე გენდერული ჯგუფი შეიძლება, იყვნენ როგორც ქალები, ისე კაცები, ან სხვა ჯგუფები (მაგალითად, შშმ და იძულებით გადაადგილებული პირები, ახალგაზრდები, ნაციონალური უმცირესობები, მარტოხელა ან ქვრივი მშობლები, სოციალურად დაუცველები), გამომდინარე იქიდან, თუ რა სპექტრის გენდერული პრობლემები არსებობს მოცემულ ტერიტორიაზე.

**3. გენდერული ბიუჯეტირება, როგორც გენდერული მინისტრიატის პირობა:** გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ყველა საქმიანობაში, როგორც აუცილებელ პირობას ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის გასაძლიერებლად, ხაზს უსვამს „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“:

*„გენდერული პერსპექტივა უნდა იქნას გათვალისწინებული ისეთი ნებსების, მეთოდების და ინსტრუმენტების შედგენისას, რომლებიც გავლენას ახდენენ ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მაგალითად, „გენდერული მინისტრიატის“ და „გენდერული ბიუჯეტირების“ გამოყენება. ამ მიზნით ქალთა გამოცდილება ადგილობრივ ყოფაში, მათ შორის საცხოვრებელი და სამუშაო პირობები, უნდა იქნას გაანალიზებული და გათვალისწინებული“.<sup>1</sup>*

იქვე არის განმარტებული გენდერული მინისტრიატი და გენდერული ბიუჯეტირება: „გენდერული მინისტრიატი - ეს არის სტრატეგია, მოხდეს ქალებისა და აგრეთვე მამაკაცების საჭიროებებისა და გამოცდილების ინტეგრირება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში სხვადასხვა პოლიტიკის და პროგრამის შედგენის, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების დროს, რათა ქალებმა და მამაკაცებმა მიიღონ თანაბარი სარგებელი და არ გავრძელდეს უთანასწორობა“.

„გენდერული ბიუჯეტირება“ არის გენდერული მინისტრიატის გამოყენება ბიუჯეტირების პროცესში. ეს ნიშნავს ბიუჯეტების გენდერულ დაფუძნებულ შეფასებას, გენდერული პერსპექტივის ჩართვას ბიუჯეტირების პროცესის ყველა დონეზე და შემოსავლებისა და ხარჯების რესტრუქტურისა და გენდერული თანასწორობის ნახალისების მიზნით“.

ეს ტექნოლოგიები ორიენტირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების პროცესში მოქალაქეთა სხვადასხვა კატეგორიის ინტერესების გათვალისწინებაზე.

პეკინის დეკლარაციის მოქმედების პლატფორმა (პარაგრაფი 346) მიუთითებს, რომ სახელმწიფოებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შესწავლილი იქნეს სახელმწიფო სექტორის ხარჯები ქალებთან მიმართებაში და მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება მათთვის ფინანსური რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

გენდერული ბიუჯეტის, როგორც მმართველობითი ტექნოლოგიის გამოყენების „ველი“ არის, პირველ რიგში, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი, სახელმწიფო სადაზღვევო ფონდები, ასევე - რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არასამთავრობო სექტორის სოციალური მომსახურების სახელმწიფო მხარდაჭერა, რაც, ხშირ შემთხვევაში, ნაკლებად განიხილება გენდერული ბიუჯეტირების ნაწილად.

ფაქტობრივად, გენდერული ბიუჯეტირება - ეს არის სახელმწიფო ინსტრუმენტი გენდერული მიდგომების ეფექტური დანერგვისათვის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის თითქმის ყველა ასპექტში და ბიუჯეტის სათანადო გადანაწილებისათვის არა მხოლოდ ქალების და კაცების, არამედ მოსახლეობის მეტნაკლებად სოციალურად დაუცველი კატეგორიის - ბავშვების, პენსიონრების და ა.შ. სასარგებლოდ.

<sup>1</sup> წყარო - „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო (CEMR). [http://www.ccre.org/img/uploads/piecesjointe/ filename/charte-egalite-geo.pdf](http://www.ccre.org/img/uploads/piecesjointe/filename/charte-egalite-geo.pdf). ბოლო ნახვის თარიღი 31.08 2017

**4. პასუხისმგებლობა გენდერულ ბიუჯეტირებაზე:** განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში გენდერული ბიუჯეტირებით, ძირითადად, დაკავებულია ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია, თავისი ინიციატივით შეადგინოს ბიუჯეტი, ან მიიღოს სამოქალაქო საზოგადოების წინადადებები. ხელისუფლებას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება, კონსულტაციისთვის მოიწვიოს გარეშე ექსპერტები ან სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენენ ექსპერტებს გენდერულ საკითხებში. ევროპის მაგალითზე საჯარო სექტორი, ქალთა ორგანიზაციები და სოციალური პარტნიორობის ორგანიზაციები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს იმით, რომ ხელს უწყობენ ინფორმირებულობის ამაღლებას, პროპაგანდას უწევენ ქალთა ეკონომიკური გავლენის ზრდას, ასევე - მმართველობის სფეროში მათ უფრო სრულფასოვან ჩართვას.

საქართველოში ჩატარებული სხვადასხვა კვლევა ცხადყოფს, რომ „ხელისუფლების სხვა შტოებთან შედარებით, ადგილობრივ ხელისუფლებას სამოქალაქო ჩართულობის უკეთ განსაზღვრული სამართლებრივი ბაზა აქვს. ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს არ გააჩნიათ ერთიანი რეგულაცია მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ“.<sup>1</sup>

მიიჩნევა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების გააქტიურება საბიუჯეტო დეცენტრალიზაციის გზით, მოქალაქეთა სოციალური დაცვა და დახმარება უფრო ეფექტურია იმ მიზეზით, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური საქმიანობის დაფინანსება ნაკლებად ბიუროკრატიულია, უფრო მეტად მიზნობრივია და მისამართულია.

## IV. ძირითადი ნაწილი

### 1. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სამართლებრივი

#### და პოლიტიკური გარემო საქართველოში

საქართველო დამოუკიდებლობის 26 წელს ითვლის. ქვეყანაში დეკლარირებულია დემოკრატიული და სოციალურად თანასწორი საზოგადოების ფორმირების პოლიტიკური ნება და გენდერული დღის წესრიგის მხარდაჭერა, მაგრამ მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, რომლის ფონზე ქალთა მონაწილეობა კვლავ ნომინალურია, ვერ უზრუნველყოფენ დემოკრატიული ფასეულობების ბოლომდე რეალიზაციას. სადღეისო ვითარებით, გენდერული ბიუჯეტირება შეიძლება მივიჩნიოთ ინსტრუმენტად, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.

საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობაში „ახალგაზრდა დემოკრატიის“ ქვეყანაა. დემოკრატიის ინდექსში 81-ე ადგილზეა და ითვლება „გარდამავალ / ჰიბრიდულ რეჟიმად“.<sup>2</sup>

საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტები ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის საკითხებს.

საქართველო არის 1995 წელს პეკინის ქალთა საკითხებისადმი მიძღვნილი მეოთხე კონფერენციის და მისი სამოქმედო პლატფორმის მონაწილე; ხელმოწერილი აქვს გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW); რომელიც დღემდე რჩება ქვეყანაში გენდერული პოლიტიკის განვითარების ყველაზე ყოვლისმომცველ და მკაფიო საერთაშორისო დოკუმენტად.

საქართველოში, აგრეთვე, მიღებულია მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი ჩარჩო-დოკუმენტები, რომლებიც გენდერული თანასწორობის საკითხებს არეგულირებენ: „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმა 2006-2011“ და გაეროს უშიშროების საბჭოს N1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი ეროვნული სამოქმედო გეგმები „ქალი, მშვიდობა და უსაფრთხოება“ (რომელიც პირველად 2011 წელს იქნა მიღებული). ამ გეგმების მთავარი მიზანია ქალების აქტიური ჩართვა მშვიდობის, კონფლიქტების გადაწყვეტის და კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების დაცვის საქმეში. მოცემული დროისათვის ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტში პირველად განიხილება ადგილობრივი ხელისუფლება, როგორც დამოუკი-

<sup>1</sup> მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკის შეფასება ქალაქ ბათუმის, ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტებში. IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2017 წელი.

<sup>2</sup> მონაწილეობითი ბიუჯეტირება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016 წ, გვ. 5

დებელი აქტორი, ადგილობრივ დონეზე გენდერული პერსპექტივების ინტეგრირების საკითხში, რაც წინგადადგმული ნაბიჯია.

უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული დღის წესრიგი არის საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის ერთ-ერთი ქვაკუთხედიც. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის“ პუნქტი „თანასწორი მოპყრობა“ პირდაპირ იძლევა დირექტივებს გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად.

2010 წელს მიღებულ „საქართველოს კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ“, ის განსაზღვრულია, როგორც „ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს თანაბარ უფლებებსა და ვალდებულებებს, პასუხისმგებლობასა და მამაკაცთა და ქალთა თანაბარ მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში“.

გენდერული თანასწორობის დაცვაზე ზედამხედველობის ინსტიტუციური მექანიზმების შემოღებასა და დამკვიდრებას ეთმობა კანონის მე-3 თავი.

გენდერული საკითხების რეგულირებისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში მთავარი განმსაზღვრელი ფუნქცია აკისრია საქართველოს პარლამენტს და გენდერული თანასწორობის საბჭოს. ის წარმოადგენს მთავარ უწყებას, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი.

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ ასევე ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობას გენდერული თანასწორობის დაცვისა და უზრუნველყოფის სფეროში. კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შეიმუშავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად“.<sup>1</sup>

გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს მონიტორინგი გენდერული თანასწორობის დაცვაზე და შესაბამისი ზომები მიიღოს კანონის დარღვევის შემთხვევაში. რაც აისახება სახალხო დამცველის პერიოდულ ანგარიშებში „ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა“.

საქართველოს არ გააჩნია მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ სპეციფიკური ეროვნული კანონმდებლობა. „საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი ტექსტი არ იძლევა მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიებს... არ არსებობს კონკრეტული მითითებები გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების შესახებ“.<sup>2</sup>

რამდენიმე წლის წინ საქართველოს მთავრობამ მიიღო „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017“<sup>3</sup> სადაც ასევე ნაკლებად არის საუბარი გენდერული მიდგომების, გენდერული საჭიროებების, გენდერული ბიუჯეტირების შესახებ.

2014 წელს დამტკიცებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი შეიცავს ცალკე თავს, რომელიც არა მარტო ავალდებულებს მუნიციპალურ საჯარო დაწესებულებებს, უზრუნველყოს მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში, არამედ განსაზღვრავს კონკრეტულ ქმედებებს ამისათვის: კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია: დასახლების საერთო კრება - სოფლის / დაბის; პეტიცია; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში 2015 წლის ივლისში შესულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივი ჩართულობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო. დღესდღეობით, მოქალაქეთა მონაწილეობის ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩო უკეთესია, ვიდრე ცენტრალურ დონეზე არსებული სტანდარტი“.<sup>4</sup>

ევროპის საბჭოს 2016 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, „საქართველოს ადგილობრივი

1 საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ <http://codex.ge/1070> (ბოლო ვიზიტის თარიღი: 26.08.2017 წ.) .

2 წყარო - კვლევა „მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკის შეფასება ქალაქ ბათუმის, ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტებში“, გვ.5,6.

3 წყარო - მთავრობის დადგენილება №427 „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ისა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ დამტკიცების შესახებ, 2015 წლის 19 აგვისტო.

4 წყარო - კვლევა „მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკის შეფასება ქალაქ ბათუმის, ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტებში“, გვ.8



თვითმმართველობის ერთეულებს ევალებათ პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება; თუმცა, მათ არ ჰყავთ მოქალაქეთა ჩართულობაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ამ მიმართულებით რეგულარული ტრენინგები არ არის გათვალისწინებული“.<sup>1</sup>

ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 20% იყენებდა ჩართულობის რაიმე ფორმას. ამ მხრივ ყველაზე აქტიური თბილისისა და საქართველოს სოფლების მოსახლეობა აღმოჩნდა. დაახლოებით 12-15% ინფორმირებული იყო საბიუჯეტო პროცესის შესახებ.<sup>2</sup>

## 2. გენდერული ბიუჯეტი და საქართველო

პოლიტიკური გარემოს კუთხით - 2014 წელს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით მიღებულ იქნა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა. ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს გენდერული თანასწორობის გაძლიერება ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე და სტრატეგიულ ამოცანად დასახელებულია „გენდერული ასპექტების გათვალისწინება ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკაში“.<sup>3</sup>

„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების ანგარიშში ნათქვამია, რომ „არ შესრულებულა, ასევე, გენდერულ ბიუჯეტთან დაკავშირებული პუნქტები, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო გენდერული ასპექტების გათვალისწინება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტებში (გეგმა: 1.5)“.<sup>4</sup>

საპარლამენტო 2012 წლის არჩევნების შემდგომ, ახალმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ პრიორიტეტად თვითმმართველობის რეფორმის განხორციელება დაისახა, რომელშიც მნიშვნელოვანი საკითხი მონაწილეობითი ბიუჯეტირება იყო. მონაწილეობითი ბიუჯეტირება შეიძლება განვიხილოთ გენდერული ბიუჯეტირების ფორმად, რადგან მათი პრინციპები თითქმის იდენტურია.

ცნობილია, რომ საბიუჯეტო პროცესი ორწლიან ციკლს მოიცავს, რომელიც იწყება საბიუჯეტო წლის დაწყებამდე 10 თვით ადრე (1 მარტს) ბიუჯეტის პროექტის მომზადებით და გრძელდება საბიუჯეტო წლის მომდევნო წლის 1 მაისამდე, როდესაც ხდება ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცება.<sup>5</sup>

საბიუჯეტო პროცესი, ბიუჯეტის პროექტის მომზადებიდან მის შესრულებამდე, რამდენიმე ეტაპს მოიცავს და ყოველ ეტაპზე მოქალაქეებს ჩართვისა და მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა აქვთ.

2013 წელს შეიქმნა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი სახალხო დამცველის აპარატში, რომელიც ცალკეული სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების შეფასების საფუძველზე ამზადებს ანგარიშებს საქართველოში ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ, მართალია, შედარებით ნელი ტემპებით, მაგრამ საქართველოში თანდათან ინერგება გენდერულად დისაგრეგირებული მონაცემები.

**სტატისტიკური მონაცემები** - ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებს გენდერულ სტატისტიკას.

გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და მისი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს პარლამენტის 24.01.2014 წლის დადგენილების - „საქართველო-

1 სამოქალაქო ჩართულობა გადანყვეტილების მიღების პროცესში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ნაწილი 1: კანონები და პოლიტიკა, გვ. 66, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, საფრანგეთი, 2016 წლის მაისი.

2 იქვე, გვ. 5

3 წყარო - საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოსაზრებები „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების შესახებ. 2015 წ, გვ. 6

4 გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების 2016 წლის ანგარიში 2017 თბილისი. <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/69631/Gender—Equality—NAP—report-2016—GEO—19052017>

5 მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესში. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი, 2010. გვ 49.

ში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - პირველი პრიორიტეტული სფეროს ფარგლებში ერთ-ერთ ღონისძიებად განსაზღვრულ იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება. დადგენილების თანახმად, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავმა დანესებულებებმა უნდა უზრუნველყონ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში, პროგრამების სპეციფიკის მიხედვით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება“.<sup>1</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების თვალსაზრისით საგულისხმო იყო „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 14 აგვისტოს ბრძანება. მის საფუძველზე, მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში, საჭიროებიდან გამომდინარე, პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გამოყოფილ იქნას პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი“.<sup>2</sup> სამწუხაროდ, ამ მიდგომის დანერგვა ფრაგმენტულად, მხოლოდ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მოხერხდა.

### **3. ადგილობრივ დონეზე გენდერული ბიუჯეტირების გამოცდილება საქართველოში**

საქართველოში გენდერული ბიუჯეტის პრაქტიკის დანერგვის მცდელობა მეორე ათწლეულს ითვლის. საკითხის ინიციატორად, როგორც წესი, იმთავითვე გამოდიოდნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ყველაზე ხშირად ეს იყო საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომლებიც მიმდინარეობდა სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით. ამის გარდა, ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის გენდერული ანალიზის პირველ მცდელობებს, ასევე გენდერული ინიციატივების სხვადასხვა დონის ბიუჯეტებსა და პროგრამებში ინტეგრაციას.

ქართულ სინამდვილეში არსებული ერთ-ერთი პირველი პრაქტიკა იყო საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის განვითარების სააგენტოს ერთობლივი პროექტის კომპონენტი „გენდერული ბიუჯეტის ინიციატივა საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც შესრულდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, განათლებისა და სოციალური სფეროს გენდერული ანალიზი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური საფუძვლის შექმნის პროცესი ადგილობრივ დონეზეც წარიმართა.

კერძოდ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრმა“ ბრიტანეთის საელჩოსა და ეუთოს მიერ მხარდაჭერილი პროგრამის „აქტიური ქალები ცვლილებებისათვის“ ფარგლებში მოახერხა ოთხი მუნიციპალიტეტის (მცხეთა, დუშეთი, ჩოხატაური, ახალციხე) მმართველობაში გენდერულ საქმეთა სამსახურების შექმნის პროცესის ინიცირება. ეს საქართველოსთვის ადგილობრივ ხელისუფლებაში გენდერულ პრობლემატიკაზე მომუშავე სპეციალური სტრუქტურის შექმნის პირველი პრეცედენტი იყო.

თუმცა პრაქტიკამ უჩვენა, რომ მათთვის დაკისრებული ვალდებულებები იყო როგორც პოზიციებზე წარმოდგენილი კადრების სტატუსისა და კვალიფიკაციის არაპროპორციული, ასევე ძნელად აღსაქმელი ადგილობრივ ხელისუფლებაში დაკავებული პირებისათვის.

პერიოდულად, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მხრიდან იყო გარკვეული მცდელობა, მომხდარიყო გენდერული ასპექტების სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე ინტეგრირება, საბიუჯეტო მოწყობაში გენდერული პასუხისმგებლობის ზრდა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში გენდერული პარამეტრების გათვალისწინება, მაგრამ სამთავრობო სტრუქტურების მიერ ის მხარდაჭერილი არ იქნა. დიდი ხნის განმავლობაში სამინისტროებსა და სახელმწიფო უწყებებში არ არსებობდა გენდერულად სეგრეირებული ინფორმაციებიც.

1 წყარო - საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოსაზრებები „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების შესახებ. 2015 წ, გვ.8.

<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/54537/2016-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98>

2 იქვე

თუმცა, თუ ცენტრალურ დონეზე უფრო მეტად იყო სახეზე სახელმწიფო ჩინოვნიკების ინდივერენტული დამოკიდებულება, რომელიც ხელს უშლიდა გენდერული ბიუჯეტის მეინსტრიმიზს, შედარებით უკეთ წარმართა მუშაობა მუნიციპალიტეტების დონეზე. საინტერესო გამოდგა ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტთან. ევროპული გამოცდილების განზოგადებით, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ქალაქის მუნიციპალიტეტში საინტერესო ინიციატივები განხორციელდა. ეს პილოტური პროექტი დღემდე რჩება ერთ-ერთ ნიმუშად, თუ როგორ შეიძლება ადგილობრივ დონეზე გენდერული მეინსტრიმიზის დანერგვა.

დღემდე „გენდერული ბიუჯეტის ინიციატივას მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ჰქონდა. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება“.<sup>1</sup>

*ადგილობრივი გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - როგორც სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების ერთიანი ქმედება გენდერული ბიუჯეტირების პოპულარიზაციისათვის:*

ადგილობრივ დონეზე გენდერული ბიუჯეტირების ინიციატივების საინტერესო გამოცდილება შექმნა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციამ - ფონდი „სოხუმი“. გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ოთხ მუნიციპალიტეტში შეიქმნა კარგი საფუძველი გენდერული ბიუჯეტირების მნიშვნელობის გააზრების, საჭიროებათა კვლევების პრაქტიკის დანერგვის, ბიუჯეტში გენდერული ასპექტების ასახვისათვის რეკომენდაციების / პროგრამების მომზადებისა და ადვოკატირებისათვის. ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ საქმიანობის გაეროს ანგარიში იუნყება:

„In 2014, Fund Sukhumi, an FGE-assisted grantee, invited her to become a member of one of three Gender Advisory Councils in the municipalities of Kutaisi, Ozurgeti and Senaki. The councils comprise representatives from local government, NGOs, internally displaced people, journalists and community leaders. Members learn about gender mainstreaming and gender-responsive budgeting, and collaborate with community members on gender needs assessments and policy recommendations to solve pressing local issues. “[As a member of the council] I suddenly realized my responsibility,” Some 30 council recommendations have been integrated into local budgets, plans and municipal services. Each municipality now has a Gender Action Plan with an allocated budget, which increased by as much as 50 percent in 2016 over the previous year. Perhaps most importantly, the national Government has amended the Organic Law on Local Self-Government to stipulate the establishment of Gender Advisory Councils in every municipality“.<sup>2</sup>

ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებული პროექტი - ოთხი პილოტური გენდერული საკონსულტაციო საბჭოს დაფუძნებითა და მისი საქმიანობის ხელშეწყობით (ქუთაისში, ბათუმში, სენაკში, ოზურგეთში) - იყო თვალსაჩინო ილუსტრაცია, რათა გასაგები და აღსაქმელი გამხდარიყო ადგილობრივ პოლიტიკასა და პრაქტიკაში გენდერული ასპექტების გათვალისწინების, ბიუჯეტის გენდერული პარამეტრებით განხილვის მნიშვნელობა და სარგებელი.

საბჭოების ბაზაზე შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭოების ქსელი, რომელიც მონაწილეობდა გენდერული კანონმდებლობის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმების განხილვაში და ამზადებდა რეკომენდაციებს. მათ მოახერხეს საინტერესო პრეცედენტის შექმნა, რაც გამოიხატა საპარლამენტო გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მუნიციპალური გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრების ინიცირებაში, სადაც მაღალი შეფასება მიეცა ცენტრალური და ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით სივრცის შექმნას კონსტრუქციული დიალოგისთვის. შეხვედრის მასალები აისახა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2014 წლის ანგარიშში<sup>3</sup>, სადაც ხაზგასმული იყო საბჭოების შექმნის მიზანი „ადგილებზე გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვის

1 წყარო - ქალთა ჩართულობის გაძლიერება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ექსპერტული ანალიზის კრებული. გვ. 122 <http://sapari.ge/wp-content/uploads/2016/05/qalta-chartulobis-gazliereba.pdf>

2 <http://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2017/fge-2016-annual-report-en.pdf?la=en&vs=3807>, გვ 41.

3 წყარო - <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/44960/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-2014>, გვ 11

ხელშეწყობა, ქალთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესება“. ანგარიშში ნათქვამია, რომ „შეხვედრის მიზანი იყო ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა, კოორდინაციის გაუმჯობესება პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ადგილობრივ გენდერულ საკონსულტაციო საბჭოებს შორის“. ქსელის ფარგლებში ხდებოდა ინფორმაციების გაცვლა იმ საბიუჯეტო ინიციატივებზე, რომლებიც იყო პასუხი ადგილობრივ გენდერულ საჭიროებებზე.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წარმატებულმა პრაქტიკამ განაპირობა პროექტის საბოლოო მიზნის მიღწევის ხელშეწყობა - საკანონმდებლო ცვლილება ადგილობრივი გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის დასაწესებლად, რომელშიც პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ფონდი „სოხუმი“ აქტიურად იყო ჩართული.

#### **4. გენდერული თანასწორობის ადგილობრივი ინსტიტუციური მექანიზმი, როგორც გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის ინსტრუმენტი**

ორგანიზაცია OXSIFAM მხარდაჭერით ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციათა და ექსპერტთა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც 2017 წლის აპრილში დაკანონდა და ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური რგოლის შექმნა სავალდებულო გახდა. დღეის მონაცემებით, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში უკვე 30-ზე მეტი გენდერული თანასწორობის საბჭო ფუნქციონირებს, რომელთაც გენდერული ბიუჯეტის დანერგვის საკითხი და მისი რეალიზებისათვის საჭირო ღონისძიებები განსაზღვრული აქვთ საბჭოს დებულებით. რამდენიმე მათგანს შექნილი აქვს გენდერული სტრატეგია, სადაც გენდერული ბიუჯეტირება დასახელებულია სტრატეგიულ პრიორიტეტად. განკარგულებაში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“<sup>1</sup>.

სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია - ა) გენდერული ბიუჯეტი - რომელიც „მოიცავს გენდერული ჯგუფების მოთხოვნათა გათვალისწინებით გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირებას“.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭოები მუშაობენ სამოქმედო გეგმებზე, რომლებშიც გენდერული ბიუჯეტირება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია: „გენდერული ბიუჯეტი: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, სოციალური პროგრამების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების განვება. შემსრულებლები - მუნიციპალიტეტის გამგეობა; მუნიციპალიტეტის საკრებულო“. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მათ სუსტად აქვთ გაცნობიერებული გენდერული ბიუჯეტირების არსი და ჯერ კიდევ ბევრი მიიჩნევს, რომ გენდერულად ნეიტრალური ბიუჯეტი „ყველას ინტერესებს თანაბრად ითვალისწინებს“, ნაკლებად აცნობიერებენ გენდერული განსხვავებების, გენდერული საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობას.

ადგილობრივ დონეზე გენდერული ბიუჯეტირების დანერგვაში მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების როლის ხაზგასმა ხშირად ხდება ქალთა ჯგუფების მხრიდან, რაც აისახა ჩატარებულ კვლევებში: „გენდერული ბიუჯეტირების პრინციპის, კვლევებზე დაფუძნებული პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა უნდა გახდეს საბჭოს საქმიანობის ქვაკუთხედი“<sup>2</sup>.

პროექტის „ქალები თანასწორობისთვის, მშვიდობისა და განვითარებისთვის“ - სამოქალაქო მონაწილეობა გენდერული ბიუჯეტირების პროცესში. გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ძალისხმევა გასწიეს სხვა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ნორვეგიის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობით 2013-2015 წლებში სამეგრელოს, იმერეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის რეგიონებში განხორციელდა. „ოქსფამმა“ და გაეროს განვითარების პროგრამამ საქართველოს 11 მუნიციპალიტეტის გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და მისი პარტნიორების - ქალთა საინფორმაციო ცენტრისა და ფონდ „ტასოს“ მიერ იყო ორგანიზებული.

1 2017-2020 მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება, 03 / 02 / 2017, ვებგვერდი, 07 / 02 / 2017 სარეგისტრაციო კოდი 010260040.35.101.016363.

2 „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს“ კვლევა, ქალთა საჭიროებების კვლევა იმერეთის მხარეში, 2017 წ, კვლევის ავტორი - ფონდი „სოხუმი“, გვ 56. <https://issuu.com/nino5/docs/dc5b9cdd9b3f69>,

პროექტის დიდი ნაწილი შეეხებოდა სერვისების მისაწვდომობის გაუმჯობესებას („ერთი ფანჯრის“ პრინციპი), ადგილობრივი მასშტაბის დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენის გენდერულად სენსიტიურ ქცევას („გენდერულად სენსიტიური სამუშაო ჯგუფები“) და სათანადო პირობების შექმნას იმისთვის, რომ თემები გენდერული თვალსაზრისით კიდევ უფრო თანასწორები გახდნენ.

შექმნილი იყო გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტირების სათემო კომიტეტები (ზუგდიდის, საჩხერის, მარნეულის, გორის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში). პროექტის მონაწილეების შეფასებით, „გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტირების კომიტეტი უაღრესად სასარგებლოა ჩვენთვის. მის მიერ წარმოებულმა ადვოკატირებამ ჩვენს თემს ბევრი სასიკეთო ცვლილება მოუტანა.“<sup>41</sup> საერთაშორისო ორგანიზაციების, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ პროექტი დადებითად შეფასდა დაგეგმვისა და ბიუჯეტის შედგენის პროცესში გენდერული საკითხების წინა პლანზე წამოწევის ხელშეწყობის კუთხით.

მონაწილეობითი ბიუჯეტირება, როგორც ადგილობრივ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინება - მეორე მაგალითი, რომელიც შეიძლება მოვიაზროთ გენდერული ბიუჯეტირების ხელშეწყობ პროცესად, არის მონაწილეობითი ბიუჯეტირება, რომელიც ბოლო წლებია საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში იწერება. მან შექმნა საუკეთესო პრეცედენტი მოქალაქეთა ჩართულობისა და დემოკრატიული მართვის დასაწერად, რაც გენდერული ბიუჯეტირების პრინციპებს წარმოადგენს. თუმცა - მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული პროექტები მეტწილად გენდერული ხასიათისაა, მათი შერჩევისას წინასწარ განზრახულად არ ხდება გენდერული მარკერების გამოყენება, ასევე, ევროპული გამოცდილებისგან განსხვავებით, არ არის შესწავლილი მასში მონაწილეთა გენდერული მახასიათებლები, სხვა სოციალური სტატისტიკა.

ამ საკითხის ხაზგასმა ხდება კვლევაში „მონაწილეობითი ბიუჯეტირება“: მასში რეკომენდებულია მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტებში „ბიუჯეტის შედგენა გენდერული ასპექტებით“: „მნიშვნელოვანია, შემდგომ წლებში კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს გენდერული თანასწორობის პრინციპის ასახვას როგორც სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისას. მეტი რესურსი უნდა დაეთმოს გენდერული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის პოპულარიზაციას და მის ქმედით იმპლემენტაციას ადგილებზე.“<sup>42</sup>

სოციალური ჩართულობის პროექტები - გრძელვადიანი სოციალური სერვისების დასაწერად. გენდერული ბიუჯეტირების პრინციპის დაცვა - ადგილობრივი რესურსების განაწილება მოხდეს მონყვლადი ჯგუფების საჭიროებათა გათვალისწინებით, რისთვისაც ხდება ამ საჭიროებათა კვალიფიციური კვლევა და იდენტიფიცირებული პრობლემების პრიორიტეტიზაცია, გრძელვადიანი ადგილობრივი სერვისების დაწერვაში მოქალაქეთა ჯგუფების აქტიური ჩართვა, პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად („თანაზიარი“, ფონდი „სოხუმი“, ცენტრი „აფხაზეთი“, „ტყიბულის განვითარების ფონდი“) საინტერესო შედეგებს მიაღწია საერთაშორისო ორგანიზაციამ „ფიფლ ინ ნიდ“-მა.

ადგილობრივი სოციალური სტრატეგიები და სამოქმედო გეგმების შექმნა, რომლებიც ადგილობრივი მონყვლადი ჯგუფების სოციალურ ინკლუზიას, გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ინიცირებულ სერვისებს, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ, მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით განხორციელებულ მართვას, ადგილობრივ მონაცემთა ბაზებს და ბიუჯეტის პროგრამების მონიტორინგის, მათ შორის გენდერული მარკერებით მონიტორინგის პრაქტიკას ნერგავენ, თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვება გენდერული ბიუჯეტირების ძირითად პრინციპებს და მოცემულ ლოკაციაში სოციალური სამართლიანობის, მონყვლად ჯგუფებზე ზრუნვის, გრძელვადიანი სერვისების დაწერვის, რესურსების საჭიროებათა მიხედვით განაწილების საკითხების ინიცირებით, ფაქტობრივად, დიდი წვლილი შეაქვს ადგილობრივ დონეზე გენდერულ მეინსტრიმინგში.

ადგილობრივ გენდერულ მეინსტრიმინგში საინტერესო პრეცედენტი შეიქმნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპი-ში, რომელიც, ძირითადად, ახალგაზრდული მიმართულებით მუშაობს და საჭიროებათა კვლევების, საბიუჯეტო პროგრამების ინიცირებისას განხორციელებული პროგრამების გენდერული ანალიზის, მიღებული ეფექტის საფუძველზე მომზადებული წინადადებებით

1 ინტერნეტ-სტატია „გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური ადგილობრივი მმართველობის ორგანოები“ <http://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2015/10/gender-sensitive-local-governments>

2 კვლევა „მონაწილეობითი ბიუჯეტირება“.

მუნიციპალიტეტში ნერგავს გენდერული ბიუჯეტირების ასპექტებს. ახალგაზრდები, როგორც გენდერული დღის წესრიგის სუბიექტი, მათი საჭიროებები და მათი რესურსის გამოყენება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის საკითხში გრძელვადიანი გენდერული პერსპექტივის საუკეთესო ნიმუშია.

მიჩნეულია, რომ გენდერული ბიუჯეტირების პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ბიუჯეტის გენდერული ანალიზი გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.

სამწუხაროდ, საქართველოში ბიუჯეტის გენდერული ანალიზის საკმაოდ მცირე პრაქტიკა არსებობს. არსებული ერთეული კვლევების მიხედვით, „ადგილობრივ ბიუჯეტში სოციალური დაცვის სფეროში ბიუჯეტის გენდერული ხასიათი პროგრამულად არ არის დანაწევრებული, მის ფორმატში არ არის გენდერული მაჩვენებლები იდენტიფიცირებული.“<sup>1</sup>

ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მცდელობა აქვთ ასევე ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომელთა ძალისხმევას ექსპერტები მაღალ შეფასებას აძლევენ, რადგან ეს საშუალებას იძლევა, ამ კუთხით არსებული მწირი მატერიალური და მეთოდოლოგიური რესურსების პირობებში მუნიციპალიტეტებმა მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაციები, რომლებიც აუცილებელია გენდერული ბიუჯეტის პრინციპის დასაწერად. „მუნიციპალიტეტებში არსებული საბიუჯეტო პროცესები აუცილებლად საჭიროებს გენდერული ანალიზის ელემენტების დანერგვას. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიუჯეტის სტრუქტურულ სრულყოფას, ქალებისა და კაცების, საზოგადოების სხვა ჯგუფების პრიორიტეტების დაფინანსებას სამართლიანობის უზრუნველყოფის ვით.“<sup>2</sup>

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „სოხუმის“ ძალისხმევით, ხელშეწყობილი იყო ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტების გენდერული ანალიზის დანერგვის პრაქტიკა. ადგილობრივი საჯარო მოხელეების, დარგის სპეციალისტების, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით ჩატარდა ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის, სენაკის ადგილობრივი ბიუჯეტების გენდერული ანალიზი იმის გამოსავლენად, რამდენად პასუხობდა ბიუჯეტი ქალების და კაცების განსხვავებულ საჭიროებებს. რამდენად იყო ბიუჯეტი ორიენტირებული ადგილობრივი მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ადგილობრივ დონეზე გენდერული ბიუჯეტირების საკითხის მეტწილად დეკლარაციული ხასიათის დადასტურებაა მუნიციპალიტეტების სოციალური პრიორიტეტების დოკუმენტები, სადაც, როგორც წესი, არ არის ასახული გენდერულად სენსიტიური საკითხები, გენდერული დისპროპორციის შემცირების მექანიზმები. უფრო მეტიც, საერთოდ ნახსენებიც კი არ არის ტერმინი „გენდერი“, მაშინ როდესაც მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების საკრებულოს მიერ დამტკიცებულ დებულებებში, გენდერულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში დეკლარირებულია გენდერული ბიუჯეტირება, როგორც ადგილობრივი პრიორიტეტი.

გენდერული ბიუჯეტირების კუთხით არსებული სადღეისო სიტუაცია, სამომავლო პერსპექტივები და ზოგადად, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოიკვეთა ფონდი „სოხუმის“ ეგიდით გამართულ შეხვედრათა ციკლში ადგილობრივ გენდერულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელ საჯარო მოხელეებთან, საკრებულოს წევრებთან, ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან 2017 წელს (შეხვედრათა ციკლში საშუალოდ 21 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, სამოქალაქო აქტივისტები, ექსპერტები მონაწილეობდნენ. რაოდენობა - 151 მონაწილე). ხარვეზად დასახელდა კოორდინაციის სისუსტე და ინსტიტუციური განვითარების კუთხით არსებული სტაგნაცია; ინფორმაციის გაცვლის, გამოცდილების გაზიარების საკითხის უგულებელყოფა; კვალიფიციურ არასამთავრობო სექტორთან კონსულტირების სერვისის დეფიციტი; თემის არაპოპულარულობა ადგილობრივ საჯარო მოხელეებში; პრაქტიკა, როცა გენდერული მინისტრინგი მთლიანად დამოკიდებულია ადგილობრივი ხელმძღვანელობის კეთილ ნებაზე, ადგილობრივ გენდერულ მრჩეველებს კი დაკისრებული აქვთ მაღალი პასუხისმგებლობა შედარებით დაბალი სტატუსის ფონზე და გაურკვეველი მანდატი გენდერული საკითხების მართვისათვის.

1 წყარო - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი, მიხეილ თოქმაზიშვილი, გვ.20

2 კვლევა ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთის სამოქალაქო ჯგუფების გენდერული საჭიროებების ადგილობრივ ბიუჯეტში ინტეგრირებისათვის, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, ივნისი, 2015 წელი <http://fsokhumi.ge/images/2016/28.01-28.02/Publik/Down/GE.PDF>

## **5. არასამთავრობო სექტორის სოციალური მომსახურების სახელმწიფო მხარდაჭერა, როგორც გენდერული ბიუჯეტირების ნაწილი**

გენდერული ბიუჯეტირების პრინციპების დანერგვის პროცესში, ადგილობრივი ხელისუფლების გარდა, აქტიურებად მოიაზრება მოქალაქეთა ჯგუფები, კერძო სექტორი და, რა თქმა უნდა, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც ხშირად აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, რესურსი, რათა შესთავაზონ და გაუწიონ სათანადო სოციალური მომსახურება, დანერგონ ადგილობრივ დონეზე ის სერვისები, რომელთა მიწოდება სხვადასხვა მიზეზის გამო ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუძლია. სამწუხაროდ, ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულება სათანადო არაა.

**6. ქართულ რეალობაში ნაკლებად არის დანერგილი სოციალური სერვისების აუთსორსინგი**, როგორც ხარჯების, დროის რესურსების ეკონომიის ეფექტური პრაქტიკა, რომელიც სამუშაოს გარე მომწოდებლისთვის, ამ შემთხვევაში კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გადაცემას გულისხმობს. პრაქტიკა, რომ - სახელმწიფოს მიერ გარკვეული სერვისების არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის „მიყიდვა“ მოხდეს, მაგალითად, - საჭიროებათა კვლევების, საკონსულტაციო მომსახურების, მცირე მენარმეობის ხელშეწყობის და ა.შ., როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, ჩანასახოვანი სახით მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტში არსებობს. მაგალითად - ზუგდიდის ადგილობრივ ბიუჯეტში არსებობს მუხლი, რომელიც საშუალებას აძლევს არასამთავრობო სექტორს, მონაწილეობა მიიღოს საგრანტო კონკურსში და განახორციელოს სხვადასხვა სოციალური პროგრამა მონყვლადი ჯგუფების სასარგებლოდ. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ადგილობრივი თუ ცენტრალური უწყებების საბიუჯეტო რესურსების გამოყენება სოციალური პოლიტიკის განხორციელებისათვის მათთვის მკაცრად შეზღუდულია, რაც სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის არაეფექტურობაზე მიანიშნებს.

## **V. დასკვნები და გოგადი რეკომენდაციები**

მიუხედავად საქართველოში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და პოლიტიკის შემუშავების მხრივ არსებული მნიშვნელოვანი პროგრესისა, მათი განხორციელებისა და ზეგავლენის კუთხით გამოწვევები კვლავ რჩება.

არსებობს მრავალი სტრატეგია და კანონი, რომელიც გენდერული თანასწორობის მუხლებს შეიცავს, მაგრამ რეალობა აჩვენებს, რომ გენდერული თანასწორობის დებულებების უმრავლესობა ფურცელზე რჩება, არის განხორციელებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილების ნაკლებობა; გენდერული თანასწორობის დებულებებს აკლიათ დროში განერილი მიზნები, საფუძვლები თუ ინდიკატორები პროგრესის გასაზომად, ასევე, არის მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმების, ბიუჯეტური სახსრების ნაკლებობა და ზედმეტი მოლოდინი, რომ ინიციატივები დონორების მიერ დაფინანსდება.

ბოლო წლებში მოხდა გარკვეული გაუმჯობესება, მაგრამ ბევრ მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი სქესის მიხედვით დაყოფილი მონაცემების მოპოვება და / ან გაანალიზება.

თვალშისაცემია, რომ მუნიციპალიტეტში გენდერული პრობლემები სოციალურ პრობლემებთან უფრო მეტად არის იდენტიფიცირებული, ვიდრე ეკონომიკურთან. ბიუჯეტების კონცეფციაში ეკონომიკური საკითხები მეორეხარისხოვანია. ამას ადასტურებს მათზე გამოყოფილი ასიგნებების სიმცირე და გაურკვეველი ეკონომიკური სტრატეგია, გენდერთან დაკავშირებული საკითხების იგნორირება მუნიციპალური პრიორიტეტების დოკუმენტში. ნაკლებად არის გააზრებული მოქალაქეთა იდენტიფიცირებულ გენდერულ საჭიროებებზე დაფუძნებული, გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების დანერგვა, როგორც გენდერული ბიუჯეტირების მნიშვნელოვანი კომპონენტი.

მეტწილად, გენდერული საკითხები ინტეგრირებულია ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამაში. მას კონკრეტული მიზნობრივი ხასიათი არ გააჩნია, ხოლო ბიუჯეტირების ფორმატი კი გენდერული მაჩვენებლების იდენტიფიცირებით, სერიოზულ დახვეწას მოითხოვს, რათა გაადვილდეს მისი გენდერული თვალსაზრისით ნაკითხვა. ეს შედარებით გაადვილებულია პროგრამული ბიუჯეტის პირობებში, რომელიც სადღეისოდ, ბევრ მუნიციპალიტეტს ჯერ არ გააჩნია, მაგრამ იქაც, სადაც ისინი არსებობს, საერთო „სენია“ ბუნდოვანი მიზნები და ამოცანები, ინდიკატორები.

მიუხედავად აღიარებისა, რომ გენდერულად დისაგრეგირებული მონაცემები არსებითია გენდერული ბიუჯეტირების ინიციატივისათვის, სამწუხაროდ, ის მხოლოდ კანტიკუნტად სრულდება. მუნიციპალიტეტებს ნაკლებად აქვთ გააზრებული ადგილობრივი გენდერული სტატისტიკის, სქესის ნიშნით და / ან სხვა სოციალური შინაარსის მონაცემების მნიშვნელობა.

გენდერული თანასწორობის რიგ საბჭოებს გააჩნია სათანადო პოტენციალი და შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება, მათი გარკვეული ნაწილი პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ცდილობს საკითხის ადგილიდან დაძვრას. ამ ინსტიტუტების მთავარი გამოწვევა ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ფინანსური და მეთოდოლოგიური რესურსების ნაკლებობაა. სათანადო ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის სამართლებრივი ან პოლიტიკური ვალდებულება არ არსებობს და მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება საკითხით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს: მათი უმეტესობა საერთაშორისო დონორების დახმარებაზეა დამოკიდებული.

**ამკარაა გენდერული ბიუჯეტირების ფართომასშტაბიანი პრაქტიკის დანერგვის ნელი ტემპი, რის მიზეზად სახელდება ის, რომ** ადგილობრივ მოხელეებში გენდერული ბიუჯეტირება არ არის გააზრებული, როგორც ეფექტური მექანიზმი საბიუჯეტო სფეროში გენდერული ასპექტების ინსტიტუციონალიზაციისათვის, რომელიც ყურადღებას მიაპყრობს გენდერული უთანასწორობის პრობლემას. ის, რომ მას შეუძლია დასაბამი მისცეს პოზიტიურ ცვლილებებს კანონებსა და პოლიტიკაში მათში არსებული გენდერული პრობლემების ასახვით.

ასევე არ არის გაცნობიერებული, რომ გენდერული ბიუჯეტის დანერგვა ადგილობრივ დონეზე არის საშუალება, უფრო მეტად გააქტიურდეს და გამყარდეს სამოქალაქო საზოგადოების პოზიციები და მიიღოს აქტიური მონაწილეობა მართვაში, თუმცა თვითმმართველობაში ადგილობრივი ჯგუფების მონაწილეობის აუცილებლობაზე ყველა თანხმდება. ანუ - გენდერული ბიუჯეტირება ჯერ კიდევ არ განიხილება, როგორც უთანასწორობის შემცირებისა და საზოგადოებრივი რესურსების სამართლიანი განაწილების საშუალება. დღემდე გენდერულ ბიუჯეტირებაზე მეტი საუბარი მიდის - ვიდრე რეალური საქმეები.

გენდერული ბიუჯეტირებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს საკითხიც, რომ არ ხდება ადგილობრივი პროგრამების ეფექტურობის ანალიზი, რათა მის საფუძველზე შემდგომში მოხდეს სწორი პრიორიტეტიზაცია, რესურსების უფრო სამართლიანი და რაციონალური გამოყენება, ფინანსების ეფექტური განაწილება და სოციალური ბალანსის დამყარება.

**წინამდებარე კვლევის საფუძველზე, ადგილობრივი გენდერული ბიუჯეტირების დანერგვისათვის, შეიძლება, ფორმულირებულ იქნეს შემდეგი რეკომენდაციები, როგორც გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვის სანინდარი:**

- გენდერული ბიუჯეტირების დასაწერად უნდა იქნეს გათვალისწინებული შედეგი, რომელიც დაუდგება ქალს ან კაცს ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელებისას. შეეხება ეს კანონმდებლობას, სტრატეგიულ პოლიტიკას თუ პროგრამებს ყველა სფეროში და ყველა დონეზე. გენდერული ბიუჯეტირების მცდელობისას სპეციალისტები, პირველ რიგში, ორიენტირებული უნდა იქნენ გენდერული უთანასწორობის შემცირებაზე და მოხდეს იმ მიზეზების კვლევა, რაც იწვევს ამ უთანასწორობას და დისპროპორციებს.

- გენდერული ბიუჯეტირების სხვადასხვა ეტაპზე ქალისა და კაცის / სხვა გენდერული ჯგუფების თანაბარი მონაწილეობა თვითმმართველობაში - გენდერულ ბიუჯეტირებაში წარმატების მომტანია, ამიტომ უნდა იყოს დანერგილი კონკრეტული ღონისძიებები და სტრატეგიები ყველა დონეზე გენდერული ბალანსის დანერგვისათვის.

- მოქალაქეთა მონაწილეობა შეიძლება განხილული იყოს, როგორც გენდერული ბიუჯეტირების აუცილებელი პირობა. ეს ეხება ბიუჯეტირების ყველა ეტაპს: დაგეგმვას, რეალიზებას და ანგარიშგებას და აუცილებელია ამ მონაწილეობის მექანიზმების სახელმწიფო უზრუნველყოფა და მხარდაჭერა.

- არსებული კანონმდებლობით, ადგილობრივ თვითმმართველობებს შეუძლიათ სახელფასო ფონდის 1% გახარჯვა ადგილობრივ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების საგანმანათლებლო ღონისძიებებზე. ადგილობრივ თვითმმართველობას უნდა მიეცეს რეკომენდაცია, ამ თანხის ნაწილი დაიხარჯოს მოხელეთა გენდერული კომპეტენციის ასამაღლებლად, მათ შორის გენდერული ბიუჯეტირების საკითხის ირგვლივ განათლების ასამაღლებლად.



- იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ორგანიზაციების სტრუქტურებში ოპერატიული პროცესის ვალდებულება აკისრიათ სხვადასხვა დონის სახელმწიფო მოხელეებს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათი გენდერული კომპეტენტურობის ამაღლებას (მაგალითად, საფინანსო, იურიდიული სამსახური).

- განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საჭიროებათა კვლევის დანერგვა, თვითმმართველობის ბიუჯეტის შესწავლა ბიუჯეტის პროექტში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებით; ამ საკითხში საჭიროა კვალიფიციურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საექსპერტო წრეებთან მჭიდრო კონტაქტი, პერიოდული კონსულტირების რეჟიმი.

- მუნიციპალური და სოფლის ადგილობრივი მთავრობა უნდა დაეხმაროს გენდერულ მრჩევლებს და / ან გენდერულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებს თვითმმართველობაში და წახალისოს მათი ახალი ინიციატივები გენდერული თანასწორობის მიღწევის საკითხში. მრჩევლები უნდა ცდილობდნენ გენდერული პოლიტიკის ცნობადობის გაზრდას საზოგადოებაში, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივად განხორციელებულ პროგრამებში, გენდერულად სენსიტიურ ბიუჯეტირებაში, თემის პრიორიტეტების დასახვაში და ა.შ.

- ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოს დაკანონების შემდგომ, რომელიც ცალსახად პოზიტიურ მოვლენას წარმოადგენს, მნიშვნელოვანია მისი აღსრულების უზრუნველსაყოფად ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება იმისათვის, რომ მიღებული კანონი მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს არ ატარებდეს. ამისთვის უნდა მოხდეს ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოების ინსტიტუციური და მეთოდოლოგიური გაძლიერება, მჭიდრო კომუნიკაცია პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, საკოორდინაციო ფუნქციის დანერგვა სამხარეო ადმინისტრაციების აპარატში.

- ბოლო სახელმწიფო სამოქმედო გეგმების პროექტებში გაჩნდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმის დანერგვის ამოცანა, რაც კვალიფიციურ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის გარეშე ძნელი მისაღწევია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ სტრუქტურათა მაკოორდინირებელ ფუნქციას, ვისაც ეკისრება პირდაპირი პასუხისმგებლობა ადგილობრივ დონეზე მიმდინარე გენდერულად სენსიტიურ პოლიტიკაზე. განსაკუთრებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

- სასურველია, მოხდეს ბიუჯეტირების პროცედურების გადახედვა. უნდა დადგინდეს საჯარო განხილვისათვის ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნების ვადა. ასევე, საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული უნდა იყოს პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენაში მოსახლეობის მონაწილეობა. მასში უფრო თამამად უნდა აისახოს გენდერული ასპექტები, როგორც მოქალაქეთა მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების გათვალისწინების საშუალება.

- სასურველია, შეიქმნას მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლს, მაგალითად, - ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება - გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში, საჭიროებიდან გამომდინარე, პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გამოყოფილ იქნას პროგრამის გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი. ამისთვის იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის დანერგილი პროგრამული ბიუჯეტირების პრაქტიკა, დროულად უნდა დაინერგოს პროგრამული ბიუჯეტის პრინციპი, რომელიც კარგ საფუძველს ქმნის გენდერულ ბიუჯეტირებაზე გადასასვლელად.

- ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ საშუალება, გამოიყენონ ადგილობრივი თუ ცენტრალური უწყებების საბიუჯეტო რესურსები და მიიღონ მონაწილეობა სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, რათა სახელმწიფო სოციალური პოლიტიკა გახდეს უფრო ეფექტური.

- სასურველია ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოიყენოს საკუთარი რესურსები გენდერულად დანაწევრებული მონაცემების ბაზის შესაქმნელად, სადაც შევა მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემები, უმუშევართა კვალიფიკაცია, განათლება, მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, სხვადასხვა სახის სოციალური ინფორმაცია და სხვ. მხოლოდ პირველადი გენდერული მაჩვენებლების შეგროვების, სისტემატიზაციის და საინფორმაციო ბანკის ფორმირების შემდეგ გახდება ბიუჯეტის გენდერული ანალიზი ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტის საქმიანობაში და საფუძველი დაედება გენდერზე ორიენტირებული საბიუჯეტო პოლიტიკის მექანიზმსა და ინსტრუმენტების შექმნას.

## გამოყენებული ლიტერატურა

- ჩარიტა ჯაში, გენდერული ბიუჯეტი / სემინარის მასალები, თბილისი, 2004.
- ქალთა ჩართულობის გაძლიერება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ექსპერტული ანალიზის კრებული, მომზადებულია ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტისთვის კანადის ადგილობრივი ინიციატივების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, 2013.
- წყარო - „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო (CEMR).
- მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკის შეფასება ქალაქ ბათუმის, ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტებში. IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. თბილისი, 2017 წელი.
- მონაწილეობითი ბიუჯეტირება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016 წ.
- სამოქალაქო ჩართულობა გადანაცვების მიღების პროცესში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ნაწილი 1: კანონები და პოლიტიკა, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, საფრანგეთი, 2016 წლის მარტი.
- წყარო - საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოსაზრებები „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების შესახებ. 2015 წ.
- გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში  
„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების ანგარიში. მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესში. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი, 2010. გვ 49.
- გენდერი და პოლიტიკა, თბილისი, 2006.
- ქალთა ჩართულობის გაძლიერება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ექსპერტული ანალიზის კრებული.  
<http://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2017/fg-2016-annual-report-en.pdf?la=en&vs=3807>
- 2017-2020 მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება, 03/02/2017, ვებგვერდი, 07/02/2017  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი, მიხეილ თოქმაზიშვილი.  
გაეროს ქალთა ორგანიზაციის წლიური ანგარიში 2013-2014; ხელმისაწვდომია ბმულზე: [org/~ / media / 58ED9AE6A3B544149C9DEFA302CC9884.ashx](http://media/58ED9AE6A3B544149C9DEFA302CC9884.ashx)
- საქართველოში ქალთა უფლებების ადვოკატირების სახელმძღვანელო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია ბმულზე:  
<http://georgia.unwomen.org/~ / media / field%20office%20georgia / attachments / publications / 2014 / womens%20rights%20evidence%20based%20advocacy%20manual%20geo.pdf>
- ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს კვლევა - ქალთა საჭიროებების კვლევა იმერეთის მხარეში, კვლევის ავტორი - ფონდი „სოხუმი“
- საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოსაზრებები „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, საქართველოს კანონის პროექტში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების შესახებ, 2015/ [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)
- გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების 2015 წლის ანგარიში
- ინტერნეტ-რესურსი - საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ანგარიში, სექტემბერი 2013 - დეკემბერი 2014

## გენდერული თანასწორობა საქართველოში: ქვეყნის ვალდებულებები და პროგრესი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში

### შესავალი

2014 წ. ივნისში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების შეთანხმებას, რათა მნიშვნელოვნად გაეღრმავებინათ პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები. ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი 2014-2016 წლებისათვის. ამ ხელშეკრულებათა ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა და დაამკვიდროს თანაბარი მოპყრობა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს და თანასწორობაზე დაფუძნებული მდგრადი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ასოცირების შეთანხმება სავალდებულო იურიდიული ინსტრუმენტია, რომელიც ადასტურებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს და მის სტრატეგიულ პოლიტიკურ პრიორიტეტს, განავითაროს უფრო ღრმა ურთიერთობები ევროკავშირთან. იგი ხელს უწყობს ხალხებს შორის კომუნიკაციას და თანამშრომლობას და განსაზღვრავს იმ ევროპულ ფასეულობებსა და სტანდარტებს, რომელთა ინტეგრირებაც უნდა მოხდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მიმართულებებით.

ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის საქმეში, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. მას მერე ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს მთავრობის დღის წესრიგის უპირველეს ამოცანად რჩება. ევროკავშირში ინტეგრაციას საქართველოს მოსახლეობაშიც ფართო მხარდაჭერა აქვს. ენ-დი-აის (NDI) ბოლო გამოკითხვის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას, რაც 2016 წლის 72-პროცენტიან მაჩვენებელთან შედარებით მხარდაჭერთა ზრდის ტენდენციაზე მიუთითებს.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის არსებული მწვავე დაპირისპირებებისა და უთანხმოების მიუხედავად, ევროკავშირში ინტეგრაცია კვლავაც რჩება საგარეო პოლიტიკის იმ უმთავრეს პრიორიტეტად, რომელზეც თანხმდება საქართველოში მოქმედი ყველა მსხვილი პოლიტიკური ძალა.

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას თან ახლავს გარკვეული სიძნელებები. მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას, რაც საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მხრივ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა გადავიდეთ ხელშეკრულების განხორციელების ეტაპზე. იგი მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მტკიცე მზადყოფნას, დაგეგმოს და განახორციელოს ყოვლისმომცველი რეფორმები მრავალი მიმართულებით, რათა ისინი თავსებადი გახდეს ევროპულ სტანდარტებთან.

<sup>1</sup> ენ-დი-აის გამოკითხვის პრეს-რელიზი: ქართველების მხარდ მხარდაჭერა ევროკავშირისა და ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი, მაისი, 2017, იხ. ბმული: <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll%20press%20release-April%202017-Foreign%20Affairs-ENG.pdf>

საქართველოს ოფიციალური პირები ცალსახად იძლევიან დაპირებებს, რომ დროულად განახორციელებენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც ქართულ კანონმდებლობას ევროკავშირის სტანდარტებს დაუახლოებს. მთავრობა აპირებს გაატაროს მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო ჩარჩოს შექმნას, რაც აისახა საქართველო-ევროკავშირის ეროვნულ სამოქმედო გეგმებში.

მოცემული ნაშრომი მიმოიხილავს ასოცირების დღის წესრიგისა და ეროვნული სამოქმედო გეგმის მიმდინარეობას, გამოწვევებსა და მიღწევებს, კერძოდ კი ხელშეკრულების იმ ნაწილში, რომელიც შეეხება გენდერულ თანასწორობასა და თანასწორ მოპყრობას. განხილული იქნება ამ თემატიკის სამი ძირითადი მიმართულება:

- მდგომარეობის გაუმჯობესება გენდერული თანასწორობის მხრივ და სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფა;
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, დედობის დაცვის, მშობლისა და პროფესიულ მოვალეობათა ურთიერთშეთავსების რეგულაციების დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან ისე, როგორც ამას ითვალისწინებს ასოცირების შეთანხმება;
- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონმდებლობის აღსრულების გაძლიერება, ცნობიერების ამაღლება მოსახლეობის ფართო ფენებში, მათ შორის ისეთ პროფესიულ წრეებში, როგორიცაა პოლიცია, განსაკუთრებით სოფლად და უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში. საკონსულტაციო მომსახურებისა და თავშესაფრის მისაწვდომობის გაუმჯობესება ძალადობის მსხვერპლთათვის.

## მეთოდოლოგია

ნაშრომის მიზანია, წარმოადგინოს ასოცირების შეთანხმების განხორციელების ალტერნატიული ანალიზი თანასწორი მოპყრობის კუთხით, გამოავლინოს ის პროგრესი, რაც მიღწეულია ამ მიმართულებით ხელშეკრულების დებულებების დაგეგმვის, განხორციელებისა და აღსრულების საქმეში. გარდა ამისა, ნაშრომში არის მცდელობა, გამოვავლინოთ სამოქმედო გეგმაში არსებული გამოწვევები და წინააღმდეგობები.

თანასწორი მოპყრობის თემატიკა ახალი მიმართულებაა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში. განსხვავებით ასოცირების შეთანხმების სხვა საკითხებისგან, რომლებიც ადრეც გამხდარა დისკუსიებისა და განხორციელების საგანი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოს მთავრობას პირველად მოუხდა გეგმაში ისეთი აქტივობების შემუშავება, რომლებიც თანასწორი მოპყრობის თემატიკაზეა კონცენტრირებული. ამიტომ, განხორციელების შეფასებასთან ერთად, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის შინაარსის შეფასებაც.

ასოცირების დღის წესრიგში თანასწორი მოპყრობის კუთხით ისახება სამი ძირითადი მიმართულება:

- 1) სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის გაძლიერება;
- 2) ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რეგულაციების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება;
- 3) ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონმდებლობის აღსრულების გაძლიერება, ცნობიერების ამაღლება, მსხვერპლთათვის საკონსულტაციო მომსახურებისა და თავშესაფრის მისაწვდომობის გაუმჯობესება.

კვლევა მიზნად ისახავს, წარმოადგინოს აღნიშნული სამი მიმართულებით არსებული კონტექსტისა და ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა; განიხილოს 2016-2017 წწ. სამოქმედო გეგმა, მოახდინოს მისი თვისობრივი შეფასება და განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება მასში დაგეგმილი აქტივობები ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ მიზნებს; შეაფასოს სამოქმედო გეგმის განხორციელების კონკრეტული მიმართულებები. და ბოლოს, კვლევა ეროვნულ და საერთაშორისო დონის აქტორებს სთავაზობს რეკომენდაციებს პოლიტიკის შემუშავებისათვის.

მოცემული ანგარიში ეყრდნობა პოლიტიკური და სამართლებრივი დოკუმენტების, ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ არსებული ოფიციალური ანგარიშების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სხვადასხვა ანალიტიკური კვლევის და აგრეთვე საინფორმაციო სტატიების მიმოხილვას. ამდენად, ანგარიში წარმოადგენს ინფორმაციის ალტერ-

ნაციონალურ წყაროს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესის შესახებ ზემოთ აღნიშნული სამი მიმართულებით.

## თავი 1. ქალები საქართველოს სოციალურ, კოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომი გარდამავალი პერიოდი ხასიათდებოდა მკვეთრი ეკონომიკური დაღმასვლით, განადგურებული მრეწველობით, უმუშევრობით და მრავალი ეთნიკური კონფლიქტით, რამაც ქალებზე უზარმაზარი გავლენა იქონია. სოციალურმა, ეკონომიკურმა და კულტურულმა ძვრებმა საზოგადოებაში მამაკაცისა და ქალის ტრადიციულ როლებზეც მოახდინა ზეგავლენა. ქალებს შეჭიდება მოუხდათ თავიანთი როლის შესახებ დამკვიდრებულ კულტურულ და სოციალურ სტერეოტიპებთან, რადგან ოჯახის ყოფილ დიასახლისებს ის ტვირთი დააწვათ, რაც ადრე მამაკაცებს ეკუთვნოდათ. მათ პასუხისმგებლობა დაეკისრათ ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობაზე. ამასთან, კატასტროფულად გაუარესებულმა სოციალური უზრუნველყოფის სისტემამ და ოჯახისა და ბავშვთა დახმარების სახელმწიფო სისტემის კრახმა ქალები არაპროპორციულად მეტად დააზარალა. ოჯახის კეთილდღეობის საკითხებში სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკა არ კომპენსირებულა მამაკაცების მხრიდან საოჯახო საქმეებში გაზრდილი მონაწილეობით. ქალები იძულებული გახდნენ, ორმაგი ტვირთი აეღოთ მხრებზე. ისინი აგრძელებენ სოციალურ სფეროში და კერძო სექტორში მუშაობას, თანაც კვლავ უწევთ საოჯახო საქმეების კეთებას. ამგვარი ტრადიციული პრაქტიკა და მიდგომა ნაკლებ შესაძლებლობას უტოვებს ქალებს, მონაწილეობა მიიღონ და გზა გაიკვლიონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოში ქალთა ორგანიზაციებისა და მოძრაობების გაძლიერებამ და ქალების ლიდერობის შესაძლებლობების პარალელურმა ზრდამ ბევრ ქალს უბიძგა უფრო აქტიური ჩართვისკენ პოლიტიკაში. თუმცა ქალთა ამგვარი მისწრაფებები ყოველთვის როდი აისახება მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე თანაბარი წარმომადგენლობით. დღესდღეობით ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში და გადწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე არაპროპორციულად დაბალი რჩება და არ შეესაბამება მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და ლიდერობის პოტენციალს.

ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა უზრუნველყოთ გენდერული საკითხების მენისტრინგი, მივალწიოთ სტრატეგიების მეტ თანმიმდევრულობას, ავამაღლოთ ცნობიერება გენდერულ საკითხებზე.

ქალთა სტატუსის შეცვლისათვის ბოლო ორი ათწლეული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საკვანძო გამოდგა გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბების მხრივ. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებები. 1995 წ. საქართველო შეუერთდა პეკინის სამოქმედო პლატფორმას და კონვენციას ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

საქართველომ, როგორც ათასწლეულის განვითარების ამოცანების ხელმძღვანელმა ქვეყანამ, ვალდებულია აიღოს მიეღწია ათასწლეულის განვითარების მე-3 ამოცანისათვის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერება“ 2015 წლისათვის და შეიმუშავა მისი შესრულების სტრატეგიული გეგმა.

2004 წ. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნა, რომელიც მოგვიანებით, 2010 წელს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე მუდმივმოქმედი ორგანო გახდა, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოში თანასწორობის დასამკვიდრებლად. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო 2014 წ. საქართველოს კანონის ამოქმედება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელმაც საქართველოს ანტიდისკრიმინაციული საკანონმდებლო ჩარჩო მსოფლიო სტანდარტებს დაუახლოვა.

ამის შემდგომ, 2017 წ. მაისში საქართველომ მოახდინა ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ (სტამბოლის კონვენცია), რითაც იკისრა ვალდებულება, შეექმნა ერთი ან მეტი ოფიციალური სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა კონვენციით განსაზღვრული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პოლიტიკისა და ღონისძიებების კოორდინირებაზე,

განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. შედეგად, 2017 წ. ივნისში შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქართველოს მთავრობასთან არსებული უწყებათაშორისი კომისია. სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, იგი ასრულებს ადგილობრივი მაკოორდინირებელი სტრუქტურის ფუნქციას. დამატებით, მას ევალება შესაბამისი ეროვნული სამოქმედო გეგმების<sup>1</sup> შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინირება და მონიტორინგი. შესაბამისად, 2016 წ. აპრილში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა „საქართველოს კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ“ და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში. ამ ცვლილებათა შესაბამისად, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში შეიქმნა გენდერული მენისტრინგის მექანიზმები საკრებულოს (ქალაქის საბჭოს) გენდერული თანასწორობის საბჭოებისა და მერების (ქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ან მერის) მიერ დანიშნული პირის სახით, რომელიც პასუხისმგებელია გენდერული თანასწორობის საკითხებზე მერიებში და ადგილობრივ ადმინისტრაციებში (გამგეობებში). თუმცა მხოლოდ კანონების მიღება და პოლიტიკის შემუშავება არ უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას ან თუნდაც ქალთა უფლებრივ თანასწორობას და მათი უფლებების პატივისცემას. არსებული კანონების აღსრულება და რეალური განხორციელება კვლავაც პრობლემურია და მოითხოვს ყველა დაინტერესებული მხარის თანმიმდევრულ, მიზანსწრაფულ, შედეგზე ორიენტირებულ და კომპლექსურ ქმედებებს.

მიუხედავად კანონმდებლობის გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ძალისხმევებისა, გენდერული უთანასწორობა კვლავაც ღრმადაა ფესვგადგმული პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში<sup>2</sup>. გენდერული უთანასწორობის ინდექსით (GII) საქართველო 188 ქვეყანას შორის 76-ე ადგილზეა.<sup>3</sup> 2017 წ. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ გლობალური გენდერული სხვაობის ინდექსით საქართველომ 0,679 ქულით 144 ქვეყანას შორის 94-ე ადგილი დაიკავა.<sup>4</sup> იგივე გლობალური გენდერული ინდექსით ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხრივ საქართველო 114-ე ადგილზეა, ხოლო ქალთა წარმომადგენლობით პარლამენტში კი 117-ე ადგილზე 144 ქვეყანას შორის.

ქალები არასათანადოდ არიან წარმოდგენილნი **პოლიტიკაში და გადაწყვეტილებების მიმღებ თანამდებობებზე**. 2016 წ. საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტართა მხოლოდ 15%-ია ქალი, რაც მცირედითაა გაზრდილი 2012 წ. 11.6%-თან შედარებით. რაც შეეხება ქალთა წარმომადგენლობას აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მინისტრთა კაბინეტის 14 მინისტრს შორის მხოლოდ ორი ქალია<sup>5</sup> და შესაბამისად 14.3%-ს შეადგენენ, რაც წინა წლებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელია. 2011–დან 2012 წლამდე მინისტრ ქალთა რაოდენობა არ აღემატებოდა 16%-ს (სამი ქალი მინისტრი), 2013 წ. მინისტრ ქალთა ოდენობამ 21%-ს მიაღწია, რომელიც 2014 წ. ისევ 16%-მდე დაეცა. 2017 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე არჩეულთა მხოლოდ 13% იყო ქალი, რაც უმნიშვნელო ზრდაა 2014წ. 11,6%-თან შედარებით. ქვეყნის ხუთი თვითმმართველი ქალაქის მერებს შორის არც ერთი ქალი არაა<sup>6</sup>, თუმცა მერის 48 კანდიდატს შორის 11 ქალი კანდიდატი იყო (22.92%). 59 თვითმმართველი თემის მერებს შორის მხოლოდ ერთი ქალია (ნინოწმინდა,

1 ეროვნული სამოქმედო გეგმა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ განსახორციელებლად და ეროვნული სამოქმედო გეგმა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თაობაზე.

2 ევროკომისიის აპარატის გაერთიანებული ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების შესახებ, ბრიუსელი, 09.11.2017, გვ 3. იხ. ბმული <http://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-14200-2017-INIT/en/pdf>

3 ადამიანური განვითარების ანგარიში, 2016წ. გაეროს განვითარების პროგრამა, იხ. ბმული <http://hdr.undp.org/sites/default/files/2016-human-development-report.pdf>; GII ასახავს გენდერულ უთანასწორობებს სამ განზომილებაში – რეპროდუქციული ჯანმრთელობის, გაძლიერებისა და ეკონომიკური აქტივობის კუთხით.

4 გლობალური გენდერული სხვაობის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, იხ. ბმული <http://www3.weforum.org/docs/WEF-GGGR-2017.pdf>; გლობალური გენდერული სხვაობის ინდექსი ქვეყნებს აფასებს ეკონომიკური, პოლიტიკური, საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის მხრივ არსებული გენდერული სხვაობების მიხედვით. მინიჭებულია ქულა პროცენტულად გამოსახავს ქალთა და მამაკაცთა შორის უთანასწორობის აღმოფხვრის ხარისხს.

5 მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, იუსტიციის მინისტრი.

6 თვითმმართველი ქალაქებია: თბილისი, რუსთავი (ქვემო ქართლი), ქუთაისი (იმერეთი), ფოთი (სამეგრელო), ბათუმი (აჭარა).

სამცხე-ჯავახეთი).<sup>1</sup> ვითარება მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული საკრებულოების თავმჯდომარე ქალების რაოდენობის მხრივ. ბოლო მონაცემებით, ამჟამად 5 საკრებულოს თავმჯდომარე ქალია (თერჯოლა, ტყიბული, ხარაგაული (იმერეთი), გორი (შიდა ქართლი), ახმეტა (კახეთი)), როცა 2014წ. არც ერთი საკრებულოს თავმჯდომარე არ იყო ქალი.

გლობალური გენდერული სხვაობის 2017 წ. ანგარიშის მიხედვით, საქართველოში კანონმდებლებს, მაღალი თანამდებობის პირებსა და მენეჯერებს შორის მხოლოდ 34%-ია ქალი.<sup>2</sup>

**შრომის ბაზარზე** დასაქმებულ ქალთა რაოდენობა 53%-ია, მამაკაცებისა კი - 67%<sup>3</sup> მაშინ, როცა დანყებით, საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებებში ჩარიცხვის მაჩვენებელი პრაქტიკულად თანაბარია ორივე სქესისათვის, ზოგ შემთხვევაში კი ქალების მაჩვენებელი მამაკაცებისას აჭარბებს კიდევ (მაგ. უმაღლეს სასწავლო დანესებულებებში ქალები შეადგენენ სტუდენტების 55%-ს, მამაკაცები კი - 45%-ს)<sup>4</sup>. ეს ადასტურებს, რომ ქალებს საგანმანათლებლო პოტენციალის გამოვლენის ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე მამაკაცებს.

საზოგადოებაში დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპები, კულტურული და ტრადიციული მიდგომები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ქალისა და მამაკაცის როლზე მათი ცხოვრების ყველა ეტაპზე. ბიჭებისა და გოგონების აღზრდის სხვადასხვა მოდელი, გენდერულ სტერეოტიპებზე აგებული მოლოდინები და საზოგადოების მხრიდან მათზე დაკისრებული როლები თავის ასახვას ჰპოვებს ქალთა გენდერულად სეგრეგირებულ მდგომარეობაში. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) 2013 წლის ანგარიშის თანახმად, რომელიც საქართველოში გენდერულ აღქმას ეხება, რესპონდენტთა 66% იზიარებს აზრს, რომ „უმჯობესია მამაკაცი მუშაობდეს და ქალი სახლში იყოს“, ხოლო 79% მიიჩნევს, რომ „ქალმა ოჯახს უნდა მიანიჭოს უპირატესობა კარიერასთან შედარებით“. გამოკითხულთა მხოლოდ 11% ფიქრობს, რომ „ქალების წვლილი ოჯახის კეთილდღეობაში მამაკაცის თანახმად უნდა იყოს“.<sup>5</sup> ქალთა მიმართ ამგვარი მიდგომები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საზოგადოებაში ქალთა დაქვემდებარებულ მდგომარეობას.

გარდა ამისა, ქალების შესაძლებლობა, იყოს მეტად აქტიური და ჩაერთოს პოლიტიკაში ან მიიღოს ღირსეული სამუშაო, მჭიდროდაა დაკავშირებული ოჯახის საქმეების გადანაწილებასთან მის წევრებს შორის. ქალებს მამაკაცებზე უფრო ხშირად უხდებათ არჩევანის გაკეთება კარიერასა და საოჯახო საქმეებს შორის. მათ არაპროპორციულად მაღალი პასუხისმგებლობა ეკისრებათ არაანაზღაურებად საოჯახო საქმეებზე (სახლის დასუფთავება, საჭმლის მომზადება, ოჯახის ავადმყოფი წევრების და ბავშვების მოვლა და ა.შ.), რაც უარყოფითად აისახება მათ კარიერულ განვითარებასა და საზოგადოებაში გაძლიერებაზე.

როგორც სხვადასხვა სტატისტიკური და კვლევითი მონაცემი ცხადყოფს, საქართველოს შრომითი ბაზარი ხასიათდება მაღალი გენდერული უთანასწორობით სამუშაო ძალის მონაწილეობის და უმუშევრობის დონის, დასაქმების გენდერული სეგრეგაციის და საშუალო ხელფასის ოდენობის მხრივ. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2014 წ. საშუალო ნომინალური ხელფასი მამაკაცებისათვის შეადგენდა 1074 ლარს, ხოლო ქალებისათვის 693 ლარს (დაახლოებით 37%-ით ნაკლებს).<sup>6</sup>

ზოგი პროფესია ტრადიციულად „მამაკაცურ“ ან „ქალურ“ პროფესიად მიიჩნევა, რაც სპორიზონტალურ სეგრეგაციას იწვევს. არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ გენდერული უთანასწორობა საქმიანობის მიხედვით შრომის განაწილებაში განსაკუთრებით თვალშისაცემია განათლების, ჯანმრთელობის

1 თვითმმართველი თემებია: საგარეჯო, გურჯაანი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, ყვარელი, თელავი, ახმეტა, თიანეთი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, თეთრიწყარო, მცხეთა, დუშეთი, ყაზბეგი, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, ბორჯომი, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ონი, ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი, მესტია, ხარაგაული, თერჯოლა, საჩხერე, ზესტაფონი, ბაღდათი, ვანი, სამტრედია, ხონი, ჭიათურა, ტყიბული, წყალტუბო, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, აბაშა, სენაკი, მარტვილი, ხობი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ქედა, ქობულეთი, შუახევი, ხელვაჩაური, ხულო

2 გლობალური გენდერული სხვაობის ანგარიში, 2017წ. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გვ 158. იხ. ბმული <http://www3.weforum.org/docs/WEF-GGGR-2017.pdf>

3 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2017 წ. გვ 47. იხ. ბმული <http://www.geostat.ge/cms/site-images/-files/english/health/W&M%20in%20ENG-2017.pdf>

4 იქვე, გვ 29

5 UNDP / ACT, “Public Perception Study on Gender Equality in Politics and Business”, 2013, page 79.

6 სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2017 წ. , გვ. 58. იხ ბმული: <http://www.geostat.ge/cms/site-images/-files/english/health/W&M%20in%20ENG-2017.pdf>

დაცვის და სოციალური მომსახურების სფეროებში. მაგალითად, 2014 წლის ეროვნული სტატისტიკური მონაცემებით, ქალები შედგენდნენ თანამშრომელთა 85%-ზე მეტს განათლების სფეროში, 72,5% - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში და 61% - სასტუმროებისა და სარესტორნო ბიზნესში. ამავდროულად, ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ე.წ. „მასკულიზურ“ პროფესიებში, მაგ. მშენებლობაში - 6,5%, მრეწველობაში - 26,7% და უძრავი ქონების ბიზნესში - 32%.<sup>1</sup>

**ოჯახური ძალადობა** საქართველოში ქალებისათვის კვლავაც დაუძლეველ პრობლემად რჩება და ხშირად ხდება ქალთა ორგანიზაციების მიერ მისი წამოწევა რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებთან ერთად. შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) 2017 წ. სტატისტიკის მიხედვით, ოჯახური ძალადობის 2638 რეგისტრირებული მსხვერპლისგან 87.3% ქალია. შსს მონაცემებით, ოჯახური ძალადობის შემთხვევებში მათ 3137 შემთხვევითი ორდერი გაცეს, რაც წინა წლების მონაცემებზე მაღალია: 2013 წლიდან შემთხვევითი ორდერების გაცემის სტატისტიკა შემდეგია: 2013 წ. – 227 ორდერი, 2014 წ. – 817 ორდერი, 2015 წ. 2598 ორდერი, 2016 წ. – 2877 ორდერი და 2017 წ (ოქტომბრამდე) – 3137 ორდერი.<sup>2</sup> სამართალდამცავი უწყებები აღნიშნავენ, რომ სტატისტიკის ამ მიმართულებით ზრდა მსხვერპლთა პოლიციისადმი გაზრდილ მიმართვიანობას უფრო უკავშირდება, ვიდრე ძალადობის შემთხვევების ზრდას. ეს შეიძლება მიენეროს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარმართულ ცნობიერების ამაღლების კამპანიას, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ. მაშინ, როცა 2009 წ. მოსახლეობის 78.3% ოჯახურ ძალადობას „ოჯახის შინაურ საქმედ“ მიიჩნევდა<sup>3</sup>, ძალადობის მსხვერპლს და მის ნათესავებს არ სურდათ პოლიციისათვის მიმართვა, უკიდურეს შემთხვევებშიც კი. ამგვარი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო წლების განმავლობაში. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში (2013 წ.) ჩატარებულმა კვლევამ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღქმის შესახებ აჩვენა, რომ ამჟამად მხოლოდ 25% მიიჩნევს, რომ ოჯახური ძალადობა ოჯახის შიდა საქმეა, ხოლო 69% აზრით, დანაშაულია<sup>4</sup>. ამგვარი დამოკიდებულება აისახება ოჯახური ძალადობის შემთხვევებში ადამიანთა გაზრდილ მიმართვიანობაზე სამართალდამცავი უწყებების მიმართ.

ბოლო წლებში საქართველოში გახშირდა ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე სასტიკი ფორმები. სახალხო დამცველის მონაცემების თანახმად, 2017 წ. 9 თვის განმავლობაში საქართველოში მოკლულია 22 ქალი, რომელთაგან 13 კლასიფიცირდა, როგორც ოჯახში ძალადობით გამოწვეული დანაშაული<sup>5</sup>. მსხვერპლთა შესახებ მასმედიით გავრცელებული ისტორიები ცხადყოფს, რომ ფემიციდი, როგორც წესი, ქალთა მიმართ ადრინდელი ძალადობის შედეგია და არა განცალკევებული ინციდენტი. აღნიშნული ხაზს უსვამს პოლიციის უმნიშვნელოვანეს როლს, რაც მან უნდა შეასრულოს ქალთა დაცვის, ძალადობისა და ფემიციდის პრევენციის საქმეში. 2016 წლის მაისში საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ წამოაყენა ინიციატივა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესულიყო ცვლილება, რომლის მიხედვითაც „ფემიციდი“ განისაზღვრებოდა როგორც ქალის წინასწარ განზრახული მკვლელობა სქესობრივი ნიშნით და განსაზღვრავდა სასჯელს ფემიციდისათვის, როგორც განსაკუთრებით სასტიკი დანაშაულისათვის, თუმცა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა უარყო ეს წინადადება.

საქართველოში გენდერული უთანასწორობისა და გენდერული ძალადობის პრობლემის მოგვარება მარტივი როდია, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, სადაც გენდერული დისკრიმინაცია ღრმადაა გამჯდარი კულტურულ და სოციალურ ნორმებში და პრაქტიკაში და კიდევ უფრო დამძიმებულია არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და არასრულფასოვანი მომსახურებით. იმისათვის, რომ შევამციროთ გენდერული უთანასწორობა, საჭიროა ყველა დაინტერესებული მხარის,

1 სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, 2017 წ. , გვ 15

2 Georgia Today, (ონლაინ ბიულეტენი), 2017 წ. საქართველოს სტატისტიკა: ფემიციდის 22 შემთხვევა, იხ. ბმული <http://georgiatoday.ge/news/8343/2017-Statistics-for-Georgia%3A-22-Cases-of-Femicide>

3 ეროვნული კვლევა ქალთა წინააღმდეგ ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოში, ეისითის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის კვლევა, 2010 წ <http://www2.ohchr.org/english/bodies/cedaw/docs/AdvanceVersions/GeorgiaAnnexX.pdf>

4 ნანა სუმბაძე „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღქმა თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში“ 2013 წ., იხ. ბმული <http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2014/english-study%20unjp.pdf?la=en&vs=4908>

5 ნეტგაზეთი, (ონლაინ ბიულეტენი), 2017 წელს მოკლული ქალები – სტატისტიკა და ჩავარდნილი კანონპროექტი. ქართულად იხ. ბმული <http://netgazeti.ge/news/236199/>



მათ შორის მთავრობის, დონორი ორგანიზაციების, კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საპასუხო მოქმედებათა კონსოლიდაცია, რათა შეიქმნას და გაიზარდოს მოთხოვნა ისეთ ეფექტურ პოლიტიკასა და პროგრამებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა მონაწილეობას პოლიტიკასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ზრდიან შრომითი ბაზრის მიმართ მათ წვდომას.

## თავი 2: ეროვნული სამოქმედო გეგმები

### 2.1. ეროვნული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული მოქმედებები

თანასწორი მოპყრობის თვალსაზრისით ასოცირების დღის წესრიგი სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1. გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში; 2. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება; 3. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის იმპლემენტაციის გაძლიერება, ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლება, მსხვერპლთათვის საკონსულტაციო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. შესაბამისად, პირველად 2014 წელს და ასევე მომდევნო წლებისათვის (2015, 2016, 2017 წლებში), შემუშავდა ეროვნული სამოქმედო გეგმები ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განსახორციელებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების დღის წესრიგს საკმაოდ ამბიციური მიზნები აქვს, ეროვნული სამოქმედო გეგმის დეტალური ანალიზი ავლენს გარკვეულ ნაკლოვანებებს „თანასწორი მოპყრობის“ მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების მხრივ.

არსებობს მნიშვნელოვანი შეუთავსებლობა ასოცირების დღის წესრიგით ნაკისრ ვალდებულებებსა და ეროვნულ სამოქმედო გეგმაში განერილ შესაბამის მოქმედებებს შორის. ამიტომაც საეჭვოა, რამდენად შესაძლებელია დასახული მიზნების მიღწევა აღნიშნული მოქმედებებით, თუნდაც მათი თანმიმდევრული და ჯეროვანი განხორციელება მოხდეს. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ასოცირების დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ამოცანაა, არ არის დასახული და შემუშავებული საკმარისი მოქმედებები და ეფექტური მექანიზმები მათ შესასრულებლად. არსებული მოქმედებები შემოიფარგლება თავდაცვის სამინისტროში გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შემუშავებით, მისი განხორციელების შეფასებით (2014, 2015, 2016, 2017 წ. ეროვნული სამოქმედო გეგმები); გენდერული თანასწორობის საკითხებზე თავდაცვის სამინისტროს პერსონალის შესაძლებლობათა განვითარებით, გენდერული მრჩეველების კომპეტენციის ამაღლებით და სამინისტროს აქტიური ჩართულობით გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის განხორციელებისთვის ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებაში.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა“ მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის ყველა ძირითადი ასპექტი. გაცილებით ეფექტური იქნებოდა ამ დასახული მიზნების მიღწევა, თუკი საქართველოს მთავრობა იკისრებდა გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების მხარდაჭერას ასოცირების დღის წესრიგის ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში. დღესდღეობით საქართველოში ასოცირების დღის წესრიგის ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების კუთხით მოქმედებები შემოიფარგლება თავდაცვის სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებით, შეიმუშაოს გენდერული თანასწორობის საკუთარი სტრატეგია და განახორციელოს იგი. 2017 წ. ეროვნულ სამოქმედო გეგმაში არაფერია ნათქვამი ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების შესახებ. მასში არ არის მოცემული კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც შექმნიდა ხელსაყრელ გარემოსა და ეფექტურ მექანიზმებს ქალთა დასამკვიდრებლად შრომით ბაზარზე და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე. მართალია, 2017 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში მოცემულია გარკვეული ღონისძიებები მოსახლეობის დასაქმებულობის ხელშესაწყობად, რაც გულისხმობს დასაქმების ფორუმების ორგანიზებას, მოსახლეობისათვის კარიერული ორიენტირების ახალი ფორუმების პილოტირებას და კონსულტირებას, თუმცა ეს მოქმედებები ზოგადია მთელი მოსახლეობისათვის და არაა მიმართული

კონკრეტულად იმ გენდერული ბარიერებისა და შეზღუდვების დასაძლევად, რომლებიც ქალებს ელობებათ შრომით ბაზარზე.

ასოცირების დღის წესრიგის შესაბამისად, საქართველოს ევალეზა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება, რაც უნდა აისახოს 1) ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რეგულაციებში; 2) დედობის დაცვის რეგულაციებში; 3) მშობლისა და პროფესიულ პასუხისმგებლობათა ურთიერთმეთავსების რეგულაციებში.<sup>1</sup> თუმცა, ჯერჯერობით არც ერთი სამოქმედო გეგმა არ შეიცავს შესაბამის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია დედათა დაცვისაკენ ან ქალთა და მამაკაცთა თანასწორი მოპყრობის კუთხით მშობლისა და პროფესიული პასუხისმგებლობის ურთიერთმეთავსებისაკენ. რაც შეეხება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციებს, 2017 წ. ეროვნული სამოქმედო გეგმით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იღებს პასუხისმგებლობას, ზოგადად გააძლიეროს მექანიზმები სამუშაო პირობების ჯეროვანი ინსპექტირებისათვის, რაც გარკვეულწილად პასუხობს დღის წესრიგით ნაკისრ ვალდებულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმების სხვადასხვა ნაწილი განსხვავდება ერთმანეთისაკენ განსახორციელებელი მოქმედებების დეტალიზების და მოცულობის მხრივ. მაგალითად, სამოქმედო გეგმები საკმაოდ შეზღუდულად და მოკლედ გადმოსცემენ გენდერული თანასწორობის მისაღწევად გამიზნულ კონკრეტულ ღონისძიებებს, თუმცა საკმაოდ ფართოდაა განხილული ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები. ნათელია, რომ ეროვნულ სამოქმედო გეგმებში მნიშვნელოვნად მეტი ყურადღება ეთმობა ოჯახში ძალადობის საკითხებს. ერთი მხრივ, ქალთა მიმართ ძალადობის გამანადგურებელი შედეგის გათვალისწინებით გასაგებია, რატომაც დიდი ძალისხმევა მიმართულია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კანონმდებლობის გაუმჯობესებაზე, ცნობიერების ამაღლებაზე და ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერასა და მათთვის გამიზნულ სერვისებზე. თუმცა, მეორე მხრივ, საჭიროა სახელმწიფოს რეაგირება ამ დანაშაულზე უფრო მრავლისმომცველი იყოს, რაც გულისხმობს იმას, რომ აუცილებელია მისი ფესვების და სტრუქტურული მიზეზების, ანუ არსებული გენდერული დისკრიმინაციისა და უთანასწორობების აღმოფხვრა. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა სამოქმედო გეგმამ გაამახვილოს ყურადღება გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაზე, უზრუნველყოს ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება და გაზარდოს ქალთა მონაწილეობა და გადამწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა როგორც ოჯახში და ნათესავთა წრეში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკაში. ამდენად, ეროვნულ სამოქმედო გეგმებში ჩამოყალიბებული მოქმედებები სათანადოდ უნდა იყოს ორიენტირებული ჩვენს ქვეყანაში არსებული გენდერული უთანასწორობების და დისკრიმინაციის დაძლევისაკენ და ითვალისწინებდეს კონკრეტულ და რეალისტურ ღონისძიებებს და მექანიზმებს.

ეროვნული სამოქმედო გეგმები მოიცავს ოჯახური ძალადობის დაძლევისაკენ მიმართულ სხვადასხვა ქმედებას, რომელთა შორისაც: ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონმდებლობის გამკაცრება, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების გაძლიერება; შესაძლებლობათა განვითარება და ტრენინგები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებისათვის: პოლიციელები, მოსამართლეები, პროკურორები, მასწავლებლები, თავშესაფრისა და გენდერული ძალადობის კრიზისული ცენტრის პერსონალი; მოსახლეობის ფართო მასებში, მათ შორის იგპ-ებში, ეროვნულ უმცირესობებში, სოფლის მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლება; თავშესაფარსა და საკონსულტაციო სერვისებზე მსხვერპლთა წვდომის გაუმჯობესება და მათი დაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წ. ეროვნულ სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულია მრავალი მოქმედება, რომლებიც მიზნად ისახავს ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას, ამ მნიშვნელოვან კომპონენტზე პასუხისმგებელი სააგენტოების ჩამონათვალი არასრულია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომლის ფუნქციებშიც შედის განათლების პოლიტიკის განსაზღვრა და საზოგადოების განათლება, სათანადოდ არ არის წარმოდგენილი ეროვნულ სამოქმედო გეგმებში. რეკომენდებულია სხვა განმხორციელებელი დაწესებულებების პარალელურად, გაიზარდოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლი, განსაკუთრებით ცნობიერების ამაღლების კომპონენტში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, განხილულ სამოქმედო გეგმათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ზუსტი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების, სამიზნე რიცხობრივი ნიშნულების

<sup>1</sup> საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგი 2014-2016 წწ., <https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/associationagenda-2014-en.pdf>

და მოსალოდნელი შედეგების არარსებობა, რაც საშუალებას მისცემდა სამოქალაქო საზოგადოებას და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, განხორციელებინათ სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის მონიტორინგი და შეეფასებინათ მიღწეული პროგრესი. განმახორციელებელი სააგენტოების მიმართ არ არსებობს მოთხოვნა, შეაფასონ ეროვნული სამოქმედო გეგმების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების (მაგ. ჩატარებული ტრენინგების) ეფექტურობა.

## 2.2 პროგრესი დაბეჭდილი მოქმედებების განხორციელების მხრივ

საქართველოს მთავრობამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა ასოცირების დღის წესრიგის ეროვნულ სამოქმედო გეგმებში განხორციელების მიმართულებით და ზოგი მნიშვნელოვანი ამოცანა შეასრულა კიდევ. თუმცა, გარდა სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული მოქმედებების აღწერის და ჩამოთვლისა, სახელმწიფოს არ მოუშადა კონკრეტული ანგარიში, რომელიც გააანალიზებდა რეფორმების და ჩატარებული საქმიანობის ზეგავლენას არსებულ სიტუაციაზე.

### განდერული თანასწორობის გაუმჯობესება ასოცირების დღის წესრიგის ეროვნული სამოქმედო გეგმების ფარგლებში

გეგმის შესაბამისად, 2014 წ. 29 დეკემბერს თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და დაამტკიცა გენდერული თანასწორობის სტრატეგია, რომელშიც გამოიკვეთა სტრატეგიის მიზანი და მასშტაბი, განისაზღვრა, თუ რა არის გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია და სქესობრივი ძალადობა და აღინერა ის ქმედებები, რაც სამინისტროს ფარგლებში გენდერული თანასწორობის მისაღწევად არის საჭირო. ამავე მიზნით, 2016 წ. თავდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრო ვალდებულებას იღებს, აამაღლოს სამინისტროს პერსონალის შესაძლებლობები და ცნობიერება გენდერული თანასწორობის საკითხებზე, გაამყაროს გენდერულ საკითხებზე მრჩევლის ინსტიტუციონალიზაცია, წახალისოს ქალთა ჩართულობა შეიარაღებულ ძალებში და უზრუნველყოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში ქალთა და მამაკაცთა მიღების თანასწორი პროცედურები. დამატებით, სამინისტრო ვალდებულებას იღებს მოახდინოს გენდერული შეფასება, რათა შეისწავლოს თავდაცვის სამინისტროში ქალთა მდგომარეობა, ჩაუტაროს სამხედრო პირებს ტრენინგები გენდერულ საკითხებზე და ა.შ. ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ პერიოდული ანგარიშები ცხადყოფს, რომ შესრულდა მთელი რიგი დაგეგმილი აქტივობებისა, მათ შორის გენდერულ საკითხებზე მრჩევლისათვის, სამინისტროს თანაშრომელთა და სხვა პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგები და სემინარები გენდერული თანასწორობის, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის და გენდერული ძალადობის საკითხების ირგვლივ.

მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი გენდერული დისკრიმინაციის შემთხვევების შესასწავლად, არც ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების შესახებ სახელმწიფო ანგარიში და არც თავდაცვის სამინისტროს რაიმე ოფიციალური დოკუმენტი არ შეიცავს ინფორმაციას სამინისტროში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული ხარვეზების შეფასების შესახებ.

თავდაცვის სამინისტრო აქტიურად მონაწილეობს დისკუსიაში გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის შესასრულებლად სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის, იგი აგრეთვე სამთავრობო სტრუქტურებს შორის ერთ-ერთი ძირითადი განმახორციელებელი პარტნიორია. თუმცა, სასურველია ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის შესრულებაზე პასუხისმგებელი ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, მათ შორის თავდაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ასევე აქტიურად ჩაერთონ გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და იმპლემენტაციაში.

### ოჯახში ძალადობის შესახებ კანონმდებლობის აღსრულების გაძლიერება

2017 წ. საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ოჯახურ ძალადობასთან საბრძოლველად სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს შესაქმნელად. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 2017 წ. მაისში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრე-

ვენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში, სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წ. სექტემბრიდან.

კონვენციის მიზანია ღონისძიებების გატარება ადამიანის უფლებების დარღვევებისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად, მსხვერპლთა დასაცავად და დამნაშავეთა დასასჯელად. კონვენციასთან ჰარმონიზაციის მიზნით მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც 25 სხვადასხვა საკანონმდებლო დოკუმენტში შევიდა. 2017 წ. 24 იანვარს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2017 წ. მაისში. საკანონმდებლო ცვლილებები და დამატებები წინასწარ იყო განხილული მთავრობის შესაბამის სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ცვლილებები შეეხო საქართველოს კანონს ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. ახალი ცვლილებებით გაფართოვდა კანონის მოქმედების არეალი, რომელიც უკვე არა მხოლოდ ოჯახურ ძალადობას მოიცავს, არამედ ზოგადად ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგაა მიმართული. შესაბამისად, შეიცვალა კანონის სათაურიც და „ოჯახში ძალადობას“ დაემატა „ქალთა მიმართ ძალადობა“ („კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან / და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“). შეცვლილი კანონის მე-3<sup>1</sup> მუხლი ქალთა მიმართ ძალადობას განმარტავს როგორც „საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.“<sup>1</sup>

აღნიშნული ცვლილება შეეხო შემაკავებელ და დამცავ ორდერს, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის შემთხვევაში გაიცემა (მუხლი 10). კანონი აღნიშნავს: „ქალთა მიმართ ძალადობის ან / და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი.“<sup>2</sup> ცვლილებების თანახმად, შემაკავებელი ორდერი პოლიციის მიერ მისი გამოცემისთანავე შედის ძალაში (მუხლი 10, 3<sup>6</sup>), და სავალდებულო არ არის მისი სასამართლოში წარდგენა, როგორც ამას კანონის წინა ვერსია ითვალისწინებდა.

გარდა ამისა, ახალი ცვლილებები აფართოებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის შეთავაზებული სერვისების არეალს. ნებისმიერი სახის ძალადობის მსხვერპლს შეუძლია წლის მანძილზე 30 დღე გაატაროს თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში, სადაც მას შეუძლია ისარგებლოს იურიდიული კონსულტაციით, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით და ფსიქოლოგიური დახმარებით (მუხლი 17, 1).

ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში, რომლითაც მოხდა ქალის სასქესო ორგანოს დასახინჩრების და ქალის სტერილიზაციის კრიმინალიზაცია. ქალის წინააღმდეგ ჩადენილი ეს ქმედებები გახდა დასჯადი და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ორიდან ოთხ წლამდე (მუხლი 133<sup>2</sup>, 1, 2)<sup>3</sup>.

ასევე გაფართოვდა გენდერული ძალადობის შემთხვევაში დამამძიმებელ გარემოებათა სია. მასწავლებლებს, ადვოკატებს და ექიმებს არ ეზღუდებათ უფლება, შეატყობინონ შესაბამის ორგანოებს ქალთა მიმართ შესაძლო ძალადობის (მათ შორის ოჯახური ძალადობის) ფაქტების შესახებ, მიუხედავად პროფესიული კონფიდენციალობის მოთხოვნებისა. პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, ციხიდან დამნაშავის განთავისუფლებამდე სამი თვით ადრე პოლიციამ ამის შესახებ უნდა აცნობოს ძალადობის მსხვერპლს.

გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, 2017 წ. მაისში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში

1 „კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან / და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, საბოლოო ვერსია. ქართულ ენაზე იხ. ბმული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422>

2 იქვე.

3 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ახალი რედაქცია, 2017 წ. ქართულ ენაზე იხ. ბმული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სახით შეიქმნა ახალი ინსტიტუციური მექანიზმი. კომისია, სხვა უფლებებთან და მოვალეობებთან ერთად, სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებს იმ ადგილობრივი დანესებულების ფუნქციას, რომელიც პასუხისმგებელია კონვენციით გათვალისწინებული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის შეფასებასა და ღონისძიებების განხორციელებაზე. უწყებათაშორისი კომისია პასუხისმგებელია შეიმუშაოს ეროვნული სამოქმედო გეგმები, უზრუნველყოს მათი კოორდინირება და მოახდინოს მისი განხორციელების მონიტორინგი. კომისიის ქარტია შემუშავდა გაეროს სხვადასხვა სააგენტოს აქტიური მონაწილეობით. კომისია აგრეთვე ვალდებულია ხელი შეუწყოს და ჩაატაროს ცნობიერების ამაღლების კამპანიები და განახორციელოს პროგრამები ფართო საზოგადოებაში ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ოჯახში ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და პრობლემის გასათავისებლად. აღნიშნული პირდაპირ პასუხობს ასოცირების დღის წესრიგთან მიმართებით საქართველოს მთავრობის ვალდებულებას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ.

მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები და ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი გახდა საქართველოს კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციისა და ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით.

### **ფართო საზოგადოებისა და სპეციალისტთა ცნობიერების ამაღლება**

ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ 2017 წლის ექვსი თვის სახელმწიფო ანგარიშის მიხედვით, საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში ჩატარდა ცნობიერების ამაღლების აქტივობები, რაც მიზნად ისახავდა მოსახლეობის და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, მათ შორის პოლიციელების, მოსამართლეების, პროკურორების, იურისტების, მასწავლებლების, თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის თანამშრომლების ინფორმირებულობის გაზრდას ქალთა მიმართ ძალადობის, მსხვერპლთა დაცვისა და ძალადობაზე რეაგირების სამართლებრივი ინსტრუმენტების შესახებ.<sup>1</sup>

3,5–5 საათიანი ტრენინგის მოდული შეიმუშავა იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ. მოდული მოიცავს საკითხებს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივი ინსტრუმენტების შესახებ. ტრენინგთა ტრენინგი გენდერული ძალადობის სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ ასპექტებზე გაიარა 30 იურისტმა, რომელთაც თავის მხრივ ჩაუტარეს ტრენინგები დაინტერესებულ ადამიანთა ჯგუფებს. 2017 წ. მაის–ივნისში ტრენინგი გაიარა 269 მონაწილემ (მათ შორის 240 ქალმა). დაგეგმილი იყო საქართველოს სხვადასხვა ადგილას 74 ტრენინგის ჩატარება ეთნიკურ უმცირესობებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან.<sup>2</sup> სამწუხაროდ, სახელმწიფო ანგარიშებში არ მოიპოვება ინფორმაცია ამ მხრივ არსებული პროგრესის შესახებ.

